

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი

ТБИЛИСИ

4. 1983

ქერნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
ГамкRELИДзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1983, № 4.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 25.VIII.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.XII.1983; უე 07804;
ქალაქის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭედა; ნაბეჭდი თაბახი 14,0; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 11,1; ტირაჟი 1850; შეკვ. 2686; ფასი 1 მან. 20 კაბ.

•

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

•

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

გ. გაბუნია, სანდრო შანშიაშვილი — მეტეხის ციხის ტუსალი	5
ე. პერელმანი, ხალხური ხასიათები	17
მ. გიგოლოვი, თ. მ. დოსტოევსკის „ციმბირის“ პერიოდის მოთხრობების მთხო- ბელთა ტიპები	22
ვ. გაბაშვილი, ქართულ-სპარსული ელტურული ურთიერთობანი (X ს.)	33
დ. ომიადე, მეგრძოლი ქალის არაბ ზანგილარაბზანგინის რამდენიმე პარალელი ფოლ- კლორსა და ლიტერატურაში	46
რ. ჩოლოყაშვილი, ცხოველთა ზღაპრის შესწავლის ისტორია საქართველოში	54
მ. ივანიშვილი, დაკვირვებები თანამედროვე სპარსული პროზის მცირე ფორმის ენარებზე	64
გ. ალასანია, ჰაგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის შედარებითი შესწავლისათვის	73
ნ. ქაჯაია, ბასილი დიდის ერთი თხზულების ქართული თარგმანი	92
მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, თ. ჩუბინიძე, იოვანე ოქროპირის ერ- თი საკითხავის ქართული თარგმანი	96
ბ. ცხადაძე, მასდარისა და აბსტრაქტულ სახელთა ურთიერთმიმართებისათვის ქართულში	102
ვ. შალრაძე, ინდიკატორები კასპის რაიონის ტოპონიმიაში	111
ო. ჭურღულია, „ზე“ ნაწილაკის ვარიანტები ქართულში	119
ი. ლევანვა, კოარტიკულაცია და სიბილანტთა სპექტრული მახასიათებლები (ექსპერი- მენტული გამოკვლევა სვანურის მასალაზე)	135
ბ. ნერსესიანი, აქტუალიზაციის კატეგორია ძველი ქართულისა და ძველი სომხუ- რის ბრუნების სისტემაში	147
ე. ზარიძე, პრესუპოზიციის ფუნქცია ონომასიოლოგიურ სტრუქტურებში აზრის კომპრესიის დროს	152

<table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>პაეღ ინგოროყვა</td></tr></table>	პაეღ ინგოროყვა	157
პაეღ ინგოროყვა		
<table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>თინათინ შარაძენიძე</td></tr></table>	თინათინ შარაძენიძე	159
თინათინ შარაძენიძე		

წერილები

გიორგი ბაბუნია

სანდრო შანშიაშვილი — მებების ციხის ტუსადი

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მე-6 კლასის ყოფილ მოსწავლეს, შემდგომში — გამოჩენილ ქართველ პოეტს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს სანდრო შანშიაშვილს ჰაბტუკობის წლებში გაჩაღებული აშკარა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისა და „მავნე“ იდეური მიმართულების გამო, რამდენიმე თვით მოუწია თავდაპირველად მეტეხის, ხოლო შემდეგ — თბილისის საგუბერნიო (ორთაქალის) ციხეში პატიმრად ყოფნა და თავისთავად თავზე გამოცდა იმ მკაცრი, ენით აუწერელი დიდმპყრობელურ-შოვინისტური „აღმზრდელიობით“ მეთოდებისა, რომლებსაც „ხელმწიფე-იმპერატორის“ უერთგულესი სატრაპები განუკითხავად იყენებდნენ რუსეთის იმპერიის განაპირა ეროვნულ რეგიონებში სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით საშიში პირების, მუამბოხურეოლოგიური სულის „ინოროდებისა და ტუზემცების“ დასაშოშმინებლად, მათი „ბუნტარული“ ფსიქიკის „გასაკეთილშობილებლად“. მაგრამ, მეფის თვითმპყრობელობის ყურმოჭრილ მსახურთათვის დიდად სამწუხაროდ, თბილისის სატუსაღოებში გატარებულმა თვეებმა სანდრო შანშიაშვილი ვერ აქციეს იმპერიისა და მისი გამგებელი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატის რიგით რომალისტ-მოხელედ. პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტეხისა და ორთაქალის ციხის საკნებმა, იქ გამეფებულმა სულემზხუთველმა სუსხიანმა ატმოსფერომ, თეთრად გათენებულმა უძილო ღამეებმა და, რაც მთავარია, პატიმრობაში მყოფ ქართველ ბოლშევიკთა ჯგუფთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ (აღსანიშნავია, რომ ტუსად რეეოლოგიონერთა ერთ ნაწილს ჰაბტუკი სანდრო იმ დროისათვის უკვე საკმაოდ კარგად იცნობდა თავისი ნათესაების მეშვეობით), მათთან სისტემატურად წარმოებულმა სჯა-ბაასმა თანამედროვეობის აქტუალურ, რეეოლოგიური გზით გადასაწყვეტ პრობლემატურ საკითხებზე უდიდესი გავლენა იქონიეს გიმნაზიელი ყმაწვილი კაცის მსოფლმხედველობრივ-ინტელექტუალურ ზრდასა და მისი მებების მოქალაქეობრივი მრწამსის ფორმირებაზე.

სანდრო შანშიაშვილმა (1888—1979) სიღნაღის მაზრის სოფელ ჭუგანისა და ხირსის (ტიბანის) მონასტერთან არსებული სამრევლო სკოლების დამთავრების შემდეგ, XX საუკუნის დამდეგს თბილისის მოაშურა და სწავლის გასაგრძელებლად ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელში შევიდა, რომელიც იმ ხანად მთავრობის მიერ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო „ბუნტარულ“ სასწავლო დაწესებულებად იყო მიჩნეული. ქიზიყის პატარა სოფლიდან დედაქალაქში განათლების მისაღებად ჩამოსული ყრმა სანდრო დაბინავდა თავისი ახლო ნათესავის ივანე (კირილე) სვანიძის ოჯახში და თბილისის მღელეარე

ცხოვრებას ჯერ კიდევ შეუჩვეველი 14—15 წლის სწავლამოწყურებული ბიჭი იმთავითვე მოხდა მეტად მშფოთვარე რევოლუციურ ატმოსფეროში, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ი. სვანიძის ბინა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა პერიოდსა და თვით რევოლუციის ბოლოქარ დღეებში ერთ-ერთ კონსპირაციულ თავშესაყრელ პუნქტს წარმოადგენდა როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის (მაგ., შ. ელიავა, მ. ჩოდრიშვილი და სხვ.), ასევე თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მოწინავე მუშებისთვისაც. აქ, ამ ოჯახში, ს. შანშიაშვილის თვალწინ ხშირად გამართულა მძაფრი ხასიათის პოლემიკური დისკუსიები, სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე არაერთხელ ჩატარებულა ლექცია-საუბრები, რაც გამარეკოლუციურებელ ზეგავლენას ახდენდა ცნობისმოყვარე და საღად მოაზროვნე მოსწავლე სანდროზე. აქი ამიტომაც მიუთითებს მწერალი თავის ავტობიოგრაფიაში, რომ სვანიძემ და მისმა გარემოცვამ ჩემზე დიდი გავლენა იქონიაო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაბეჭდვებით შეიძლება დაეასკნათ, რომ თბილისის სასულიერო სასწავლებელში გატარებულმა მოწაფეობის ხანმოკლე პერიოდმა და ი. სვანიძის ოჯახში ყოფნის ორმა წელმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სანდრო შანშიაშვილის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, ჩამოყალიბებას არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტანტული სულისკვეთებით განმსჭვალულ მებრძოლ მებრძოხედ, ერთგვარი დასაბამი მისცა სამშობლოსა და ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის დაუზარელი მოამაგის, მაღალნიჭიერი შემოქმედის ხანგრძლივ ცხოვრებასა და უაღრესად სასარგებლო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რასაც იგი, თითქმის, 75 წლის მანძილზე დიდი რუდუნებითა და ერთგულებით კიდევაც ეწეოდა.

1905 წლის დასაწყისიდან საქართველოში მძლავრად აზვირთებულმა საერთო-სახალხო მოძრაობის ტალღამ ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის ყველა სოციალური ფენა მოიცვა და ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ მშრომელთა აშკარა ოპოზიციურ გამოსვლებს თავისი მტკიანე ხმა იმთავითვე შეუერთა აქაურმა მოსწავლე ახალგაზრდობამაც, რომელიც ქვეყანაში რევოლუციური ალის ავარდნისთანავე მტკიცედ დადგა მუშათა კლასის, ღარიბი გლეხობისა და მოწინავე, დემოკრატიული ინტელიგენციის საბრძოლო პოზიციებზე და ბოლომდე მათი ერთგული დარჩა. რუსეთის იმპერიაში გაჩაღებულ მგზნებარე ანტისახელმწიფოებრივ ბატალიებს არც თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეობა განდგომია განზე და ერთ-ერთი პირველი, ვინც მაღლა აიტაცა რევოლუციის დროშა და ბარიკადებისაკენ გაიყოლია ამხანაგები, იყო სანდრო შანშიაშვილი, რომლის მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის რამდენიმე ლექსსაც ქართველი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობა იმეამდ უკვე საკმაოდ კარგად იცნობდა პრესის საშუალებით და აზრიც იყო გამოთქმული, რომ ამ ლექსებში აშკარად იგრძნობა მომავალი ცხოვრების აქტიური მშენებლის მძლავრი სუნთქვაო. და აი, 1905 წლის გაზაფხულის ერთ მზიან დღეს, სასულიერო სასწავლებლის უფროსკლასელმა მოსწავლეებმა, ნიშნად პროტესტისა მათ სასწავლო-დაწესებულებაში გამეფებული აუტანელი საარსებო პირობებისა, გაფიცვა გამოაცხადეს და რამდენიმე დღის განმავლობაში ახლოს არ გაეკარებიან სკოლას. შექმნილმა ვითარებამ ააწრიალა სასწავლებლის ადმინისტრაცია. დაფაცურდნენ ფისკალი პედაგოგები და ანაფორიანი ვაი-აღმზრდევები, ამოქმედდა ქანდარმერია და სულ მოკლე დროში სარწმუნო წყაროებიდან დადგენილ იქნა,

რომ ხსენებული „ბუნტის“ მოთავენი იყვნენ ა. შანშიაშვილი (შანშიაშვილი) და მისი ორი თანაკლასელი — შუშიაშვილი და ციკუბაძე. სკოლის პედსაბჭოს საგანგებოდ მოწვეული სხდომის გადაწყვეტილებით სამივე „უწმინდური“ აღსაზრდელი გაირიცხა სასწავლებლიდან, ხოლო ა. შანშიაშვილის გვარი, როგორც განსაკუთრებით „არაკეთილსამიშველი და პოლიტიკურად სეიქვო“ პირისა, კონფიდენციალურად იქნა შეტანილი ჟანდარმერიის საიდუმლო კარტოთეკაში. ახალგაზრდობის წლების ზემოაღწერილ ეპიზოდთან დაკავშირებით ა. შანშიაშვილი თავის „ავტობიოგრაფიაში“ წერს, რომ: „...ამ სკოლის (ე. ი. თბილისის სასულიერო სასწავლებლის — გ. გ.) რეჟიმს მხოლოდ მეოთხე კლასამდე გავუძელე. შემდეგ კი აღარ დამამთავრებინეს, რადგან ერთხელ მოწაფეები გავაფიცე და საღამოს ლოცვაზე დიდმარხვაში რამდენიმე მოწაფემ განგებ გულები შევიღონეთ, ერთბაშად წავიქეცი, ამდენმავე მოწაფემ ხელი დაგეტაცეს და გარეთ გამოგვიყვანეს. ეშმაკობა გავგიგეს და დაგვესაჩუქეს; ამის შემდეგ მე ექვის თვალით მიცქერდნენ. ერთხელ... „სმოტრიტელზე“ კარიკატურა დავხატე და მაშინ კი „ვოლჩი“ ბილეთით გამომპაანჯურეს“²... ამრიგად, 17 წლის სანდროს „მზრუნველმა“ ბერებმა ქუჩაში უკრეს თავი და ამით მისი „მორჩულება, ცხრვრების სწორ გზაზე დაყენება“ მოთავებულ საქმედ მიიჩნიეს...

1905 წლის გაზაფხულზე თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან გარიცხულმა ა. შანშიაშვილმა მოახერხა და იმავე წელს სწავლა განაგრძო ქალაქის სამხატვრო სკოლაში, სადაც მან დაყო 1907 წლის შუა გაზაფხულამდე, შემდეგ კი ჰაბუკი სანდრო კვლავ „თავისუფალ მოქალაქედ“ იქცა, ეინაიდან რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებისა და ქვეყანაში რეაქციის მძვინვარების დადგომისთანავე მთავრობას განკარგულებით სასწრაფოდ დაიხურა იმ სასწავლო-დაწესებულებათა უმრავლესობა, რომელთა აღსაზრდელბმაც რევოლუციის აღმავლობის ხანაში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს საერთო-სახალხო გაფიცვებში, მასობრივ დემონსტრაციებსა და ანტისახელმწიფოებრივ მანიფესტაციებში. სამწუხაროდ, ასეთ სასწავლებელთა რიცხვში მოხვდა თბილისის სამხატვრო სკოლაც. მაგრამ, 1907/1908 სასწავლო წლის დამდეგს მამის ახლო ამხანაგების ხელშეწყობით, სანდრო მიღებულ იქნა თბილისის სათავადაზნაურო რეკლასიანი ქართული გიმნაზიის მე-6 კლასში და სწორედ ამ პერიოდიდანვე იწყება ს. შანშიაშვილის მხატვრული ნაწარმოებების სისტემატური ბექდვაც აღგილობრივი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ამასთან ერთად, მან, გონებრივად როგორც უკვე საცნებით მოწიფულმა და პოლიტიკურად მომზადებულმა გიმნაზიელმა, მოწინავე პედაგოგებისა და ნაცნობი რევოლუციონერების წაბიძგებით საზოგადოებრივ საქმიანობასა და, ნაწილობრივ, „პოლიტიკურ მოღვაწეობასაც“

² გ. ლიონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (სსმ), ხელნაწერი № 22439-ბ, ფურც. 2. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ მოგონებაში ს. შანშიაშვილი იხსენებს, რომ: „...ჩემი რევოლუციური ნათლაბა მე მივიღე ჭერ კიდევ გიმნაზიურ წლებში. გამოზრდილმა, ასე ვთქვათ, თავისუფლებისმოყვარეობისა და მხურვალე პატრიოტიზმის ატმოსფეროში, რომელიც სუფევდა ჩვენს ოჯახში, მე მონაწილეობა მივიღე გიმნაზიის, რომელშიც ესწავლობდი, მეტრისმეტად მაკარო რეჟიმისა და ვანწყობილების გამოდგებულ აღმინსტრაციის წინააღმდეგ მიმართულ უფროს-კლასიანთა გამოსვლებში, და ამის გამო არ ამხანაგთან ერთად გარიცხულ ვიქნე იქიდან“ (იხ. *Литературная Грузия*, № 11, 1977, გვ. 15). როგორც ჩანს, ამ სტრიქონების წერის დროს პატივცემულ ავტორის, ეტყობა რეჟინისცენიკის გამო, მხედველობიდან გამორჩენია ის გარემოება, რომ ხსენებული ფაქტი განუყოფნებოდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, და არა სათავადაზნაურო გიმნაზიაში, მისი მოწაფეობის ხანას.

მიპყო ხელი. იმ დროისათვის ს. შანშიაშვილი დაბინავებული იყო ყოფილ ანდრეევის (ამჟამად ს. ორჯონიკიძის) ქუჩაზე მდებარე ანდრეოლიტის სახლში მცხოვრებ თავისი ახლობელი ნათესავების — მიხეილ და ლადო დარჩიაშვილების ოჯახში, რომელიც რევოლუციის წლებში ხშირად „მასპინძლობდა“ ხოლმე პროგრესული იდეებით მოაზროვნე და ქვეყნის ბედნიერ მომავალში ღრმად დარწმუნებულ ქალაქის მაშინდელ ახალთაობას. ჭაბუკი სანდრო მთავრობის მიერ ნებადაურთველი ამდაგვარი საიდუმლო პოლიტიკური შეხვედრების აქტიური მსმენელი და ქმედითი მონაწილე გახდა. აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებაში: „ყრმობისას თბილისში მე ცეხხვარობდი ჩემს ნათესავთან ლადო დარჩიაშვილთან. ამ პოლიტიკური მოღვაწის სახლში, რომელიც ცნობილი იყო თავისი ლალი აზროვნებით, ხშირად იკრიბებოდნენ პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ ხოლმე, მაგალითად, იროდიონ ევდოშვილი და სხვები. ისინი ლაპარაკობდნენ სოციალიზმზე, იხილავდნენ რუსეთში მომხდარ მოვლენებს. ვხედავდი და მესმოდა რა ყოველივე ეს, მე თვითონაც ჩაეები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, გაეხდი რევოლუციურ-პროპაგანდისტული წრეების ერთ-ერთი აქტიური წევრი. სწორედ მაშინ დაეწერე მე... ლექსი „მტარვალს“. ყოველივე ამის გამო ჩამსვეს კიდევ მეტეხის საპყრობილეში...“³.

როგორც აღვნიშნეთ, 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან გარიცხულ და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ „ქვეყნისათვის საშიშ“ პიროვნებად მონათლულ ს. შანშიაშვილის შესახებ ეანდარმერიას უკვე გააჩნდა გარკვეული დონე. 1907 წლის დასასრულს ეანდარმთა სამმართველომ გადაწყვიტა, ყოველი შემთხვევისათვის, ე. წ. „პროფლაქტიკური“ თვალაზრისით, კიდევ ერთხელ შემოწმებინა (ეტყობა, სამმართველოში შესული ახალი საიდუმლო ცნობების საფუძველზე). თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მე-6 კლასის აღსაზრდელის ალექსანდრე შანშიევის (შანშიაშვილის) „კეთილსამელობა“ და 1907 წლის 3, 6 და 12 დეკემბერს მისი საცხოვრებელი ბინა ანდრეევის ქუჩაზე სამჯერ იქნა გაჩხრეკილი. მართალია, პირველმა ორმა „ობისკმა“ ახალგაზრდა სანდროსათვის შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ მასთან მესამედ „სტუმრობის“ შემდეგ ეანდარმერიის აგენტები უკვე საკმაოდ უხვი „ნადავლით“ დაბრუნდნენ თავიანთ სამმართველოში. აი, რას ატყობინებდა 1907 წლის 23 დეკემბერს თბილისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, პოდპოლკოვნიკი ბაშინსკი თბილისის სამხარეო სასამართლოს პროკურორს: „ვაუწყებ თქვენს მალაქეთილშობილებას, რომ დრ. ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში აღძრულია... საქმე მღვდლის ვაჟის, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფის ალექსანდრე ილარიონის ძე შანშიევის ბრალდების გამოსამიებლად, რომელსაც 12 დეკემბერს მოწყობილი ჩხრეკის შედეგად აღმოუჩინეს არალეგალური ლიტერატურა ქართულ ენაზე: 1) ქართული დაუმთავრებელი ხელნაწერი ორ ფურცელზე „მიწა და თავისუფლება“, 2) 86-გვერდიანი რვეული „ა. შანშიაშვილის ლექსები“, 3) ერთ ეგზ. 1907 წლის 22 ნოემბრით დათარიღებული მოსწავლეთა ჰექტოგრაფიული პერიოდული ჟურნალისა „ჩვენი დროშა“ № 1, 4)

³ Сандро Шаншиашвили, Источник вдохновения, сб. «Литературная Грузия», 1977, № 11, стр. 15.

ქართულ ენაზე დაწერილი წერილი ეგორ ზედელაშვილის ხელმოწერით, 5) 4 ეგზ. ქართული ნაბეჭდი ბროშურისა „საქართველოს სოც. ფედ. რევოლუციური პარტიის პროგრამა და წესდება“. ყველა ეს ხელნაწერი და გამოცემა პროპაგანდას უწყევს აჯანყებას „მიწისა და თავისუფლების“ მოსაპოვებლად, არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების დასაშობად... კვლევადიების წარმოება დაევალა ჟანდარმთა კორპუსის შტაბ-როტმისტრს ბულიჩს⁴. 1907 წლის 13 დეკემბერს, განთიადისას, ს. შანშიაშვილი დააპატიმრეს⁵ და მეტეხის ციხეში გაამწყესეს, სადაც მას რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ წარუდგინეს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ მიღებული კონფიდენციალური დადგენილება, რომელიც პატიმრობაში აყვანილ სანდროს აუწყებდა, რომ: „1907 წლის 16 დეკემბერს მე, ჟანდარმთა კორპუსის პოდპოლკოვნიკმა ბაშინსკიმ, მხედველობაში მივიღე რა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოში არსებული ცნობები ალექსანდრე ილარიონის ძე შანშიევის პიროვნების შესახებ, ... დავადგინე: ალექსანდრე შანშიევი ამ საქმის გარემოებათა გამორკვევამდე დააპატიმრებულ იქნეს თბილისის მეტეხის სატუსალოში, რის შესახებაც მას გამოეცხადოს; მიღებული დადგენილების ასლი გადაეგზავნოს თბილისის მეტეხის ციხის უფროსს⁶. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, 1907 წლის დეკემბრის უკანასკნელი დეკადის რამდენიმე დღე ს. შანშიაშვილს მეტეხის ციხეში არ გაუტარებია. ამ ვერსიას, ნაწილობრივ, ადასტურებს ხსენებული საპატიმროს მორიგე-კომენდანტის სპეციალურ სააღრიცხვო ჟურნალში გაკეთებული შემდეგი ოფიციალური ჩანაწერიც: „ვიძლევი ამ ხელწერილს მასზედ, რომ მე, მორიგე უფროსმა ზედამხედველმა ატამანენკომ უნტერ-ოფიცერთომთე სკრიპნიკოვისაგან 1907 წლის 27 დეკემბერს უკანვე (ხაზგასმა ჩვენია. — გ. გ.) მივიღე მეტეხის ციხეში ტუსალი ალექსანდრე შანშიევი...“⁷. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს იმ პერიოდში უფრო მიზანშეწონილად უცენიათ (ალბათ, გარკვეული რაღაც მოსაზრებით), ახალგაზრდა პატიმრის დროებით გადაყვანა აღნიშნული სატუსალოდან თბილისის საგუბერნიო (ორთაჭალის) საპყრობილეში, საიდანაც იგი 27 დეკემბერს ჟანდარმერიას კვლავ უკანვე დაუბრუნებია საქართველოს „უპირველეს ციხე-დარბაზში“. (მართალია, მეორე დღეს (ე. ი. 28 დეკემბერს), ს. შანშიაშვილი გაუნთავისუფლებიათ პატიმრობიდან, რაზეც ნათლად მეტყველებს თბილისის სამხარეო სასამართლოს პროკურორისადმი წარდგენილი მეტეხის ციხის უფროსის მოხსენებითი ბარათი⁸, მაგრამ 1908 წლის იანვრის დამდეგს გიმნაზიელი სანდრო „წესრიგის დამცველებმა“ (ეტყობა, მათ დიდად არ ექაშნიკებოდათ „მაგნე“ აზრებით შეპყრობილი ყმაწვილი კაცის „თავის ნებაზე“ მიშვება), ხელახლა გაამწყესეს მეტეხის ციხეში).

დაიწყოს ს. შანშიაშვილის საქმის გამოძიება, რომელმაც თითქმის სამ თვეს გასტანა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჰაბუკი სანდრო, სხვა პატიმრების მსგავსად, მეტეხის ციხის ტუსალის ფორმაში „გამოწყობილი“, ვაჟაკურად იტანდა

⁴ საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცსა), ფ. 115, აღწ. 4, საქ. 80, ფურც. 1; ფ. 153; აღწ. 1, საქ. 1059, ფურც. 2.

⁵ 1907 წლის 14 დეკემბერს გაზ. „ისარმა“ (№ 276, ვვ. 2) გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „მოსწავლის დაპატიმრება. 13 დეკემბერს ვახტანგის და დაპატიმრეს მოსწავლე სანდრო შანშიაშვილი“.

⁶ იქვე, ფ. 115, აღწ. 4, საქ. 80, ფურც. 2; ფ. 114; აღწ. 2, საქ. 1316, ფურც. 1.

⁷ იქვე, ფ. 153, აღწ. 1, საქ. 1059, ფურც. 3.

⁸ იქვე, ფ. 115, აღწ. 4, საქ. 80, ფურც. 5.

საპრობილის სუსხიან მარწუხებს. შეიძლება ითქვას, რომ ერთდერით შვებას მისთვის იშვამად წარმოადგენდა ახლო ურთიერთობა ბოლშევიკ-პატიმრებთან და ის გულთბილი, მართლაც რომ ძმური მხარდაჭერა და მზრუნველობა, რომელსაც მისდამი იჩენდნენ უფროსი მეგობრები და თანამებრძოლი ამხანაგები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვალერიან გუნაას ღვაწლი, რომლის ამავიცი ღრმად ჩარჩა მესხიერებაში ახალგაზრდა სანდროს. „1907 წელს გამ-ჩხრიკეს და დამაპატიმრეს, — იგონებს ს. შანშიაშვილი. — ვალერიანს ეს ამბავი რომ გაუგია, ძალიან შეწუხებულა. რამდენიმე დღის შემდეგ ციხეში ვალერიან გუნაას მიერ გამოგზავნილი 15 მანეთი მივიღე. თან მითვლიდა: „გული არ გაიტეხო, მალე განთავისუფლდები, პროკურორთან საქმე მოვაგვარო“.

დაკითხვის დროს ეატყობდი, რომ ეს პროკურორი ჩემდამი მტრულად არ იყო განწყობილი, ჩვენება ოქმში თავისებურად შეიტანა და ამით სასამართლოს სასჯელი შეამსუბუქებინა...“⁹. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოხსენიებული პროკურორის გადასაბირებლად ტუსად სანდროს კეთილმოსურნეებს გარკვეული თანხის გაღება დასჭირდებოდათ, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი დასაჯერებელია, რომ მეფისდროინდელი სასამართლოს ოფიციალურ სახელმწიფო ბრალმძებელს „ვილაყ“ შანშიაშვილის გულისათვის უანგაროდ შეეწუხებინოს თავი.

1908 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ს. შანშიაშვილის საქმის გამოძიება დასასრულს მიუახლოვდა და მარტის დამდეგს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა ა. სკულსკიმ პატიმარ სანდროს წარუდგინა საბრალდებო აქტი, რომელშიც შემდეგნაირად იყო ფორმულირებული ახალგაზრდა, დამწყები შემოქმედისა და რევოლუციონერის „დანაშაულებრივი“ მოღვაწეობა: „1907 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისში, ანდრეევის ქუჩაზე მდებარე № 73 სახლში, პოლიციის წარმომადგენლებმა გაჩხრიკეს ამიერკავკასიის რკინიგზის მატერიალური სამსახურის მოანგარიშის მიხეილ დარჩიევის ბინა, თანაც ოთახში, რომელიც ეკავა დარჩიევის მდგმურს, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლეს ალექსანდრე ილარიონის ძე შანშიევს, აღმოჩენილი იქნა: 4 ეგზემპლარი ქართულ ენაზე ნაბეჭდი ბროშურისა, სათაურით „საქართველოს სოციალ-ფედერაციული რევოლუციური პარტიის პროგრამა და წესდება“ და ხელნაწერები იმავე ენაზე, სათაურით: „მიწა და თავისუფლება“ და „ა. შანშიაშვილის ლექსები. 1906—1907 წწ.“.

ამ საქმის გამო აღძრულმა კვლევა-ძიებამ, აღნიშნული მასალების გასინჯვა-დათვალიერების შედეგად, დაადგინა:

„1. „საქართველოს სოციალ-ფედერაციული რევოლუციური პარტიის პროგრამა და წესდება“, როგორც ბროშურის ყდაზე არსებული შენიშვნიდან ჩანს, დამტკიცებულია მესამე (დამფუძნებელი) პარტიული ყრილობის მიერ (1907 წლის 2—7 ოქტომბერს)...

2. ხელნაწერი: „მიწა და თავისუფლება“, განკუთვნილი, როგორც ჩანს მასზე გაკეთებული წარწერიდან, მოსწავლეთა არალეგალურ ჟურნალ: „მოწაფის ჩანაგის“ ფელეტონში დასაბეჭდად, გადმოცემს საქართველოს სოციალ-ფედერაციული პარტიის შეხედულებას მიწით გლეხობის უზრუნველყოფის საკითხზე...

⁹ ს. შანშიაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. V, თბ., 1970, გვ. 356.

3. ხელნაწერი, სათაურით: „ა. შანშიაშვილის ლექსები“ შეიცავს, სხვათა შორის, ლექსს: „მტარვალს“, რომელშიც ავტორი ამბობს: „ჰეი, მტარვალო! დადგა დღე შენი აღსასრულისა და ძალიან მალე მოგსპობს და ალგვის პირისაგან მიწისა გაზაფხულის ნიაღვარი... მტარვალო! ხალხი არ დაგინდობს შენ, გაგანადგურებს შენ, გაქცევს ფერფლად და ამის შემდეგ დამშვიდდება“.

„... პასუხისგებაში მიცემულმა ბრალდებულმა როგორც უმაღლესი ხელისუფლების უპატივცემულობის გაკადნიერებულად გამოძახებული ნაწარმოებების შექმნაში, აგრეთვე სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობის მქადაგებელი თხზულებების შედგენასა და შენახვაში, ... ალექსანდრე ილარიონის ძე შანშიევმა არ ცნო თავი დამნაშავედ და განაცხადა: რომ ბროშურა — „საქართველოს სოციალ-ფედერაციული პარტიის პროგრამა და წესდება“ და ხელნაწერები — „მიწა და თავისუფლება“ და „ა. შანშიაშვილის ლექსები“ მას ეკუთვნის, და რომელთაგან ბროშურა და ხელნაწერი „მიწა და თავისუფლება“ მან ქუჩაში იპოვა, ლექსები კი, თავმოყრილი რვეულში, დაწერილია მის მიერ, მაგრამ არაფერს საძრახისს, მისი აზრით, ეს ლექსები არ შეიცავენ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, თბილისის გუბერნიის აზნაურს ალექსანდრე ილარიონის ძე შანშიევს, 18 წლისას, ბრალი ედება იმაში, რომ:

1. 1907 წელს, ქალაქ თბილისში, თავის ოთახში, ანდრეევის ქუჩაზე მდებარე № 73 სახლში, გავრცელების მიზნით ინახავდა, თუმცა ეს ვერ მოახერხა, ნაბეჭდი ბროშურის, სათაურით „საქართველოს სოციალ-ფედერაციული პარტიის პროგრამა და წესდება“, ოთხ ეგზემპლარს, რომელიც, შეიცავდა რა სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობის მოწოდებას, ამასთან ერთად, მოუხმობდა ქართველ ხალხს თვითმპყრობელური მთავრობისა და შეძლებული კლასების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისა და დემოკრატიული ფედერაციის დამყარებისაკენ.

2. იმაში, რომ იმავე წელს პრესის საშუალებით გავრცელების მიზნით ...შეადგინა სტატია: სათაურით „მიწა და თავისუფლება“, რომელიც ქადაგებს სახელმწიფოში საზოგადოებრივი წყობილების დამხობას, პროლეტარიატისა და გლეხობის „ძალთა გაერთიანების“ გზით, მიწის მოპოვებისა და თავისუფლების მისაღწევად.

3. იმაში, რომ 1906 ან 1907 წელს გასავრცელებლად დაწერა ლექსი, სათაურით — „მტარვალს“, რომელშიც გამოხატულია გაკადნიერებული უპატივცემულობა უმაღლესი ხელისუფლებისადმი, ვითარცა მტარვალისადმი, რომლის არსებობაც უნდა იქნეს „მოსპობილი“, „განადგურებული“ და „ფერფლად ქცეული“ აჯანყებული ხალხის ხელით.

ეს დანაშაულებრიობანი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 132 მუხლის 1 და 2 პ. 3. ამის შედეგად და 1032 მუხლის 1 პ. გვ. 44-ის საფუძველზე ალექსანდრე ილარიონის ძე შანშიევი უნდა წარდგეს თბილისის სასამართლო პალატის სამსჯავროს წინაშე.

შედგენილია 1908 წლის 18 თებერვალს თბილისში...“¹⁰.

¹⁰ საქართველოს სსრ ცსსა, ფ. 115. აღწ. 4. საქ. 80, ფურც. 15—16; ფ. 114, აღწ. 2, საქ. 1316, ფურც. 5—5¹. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი „საბრალდებო აქტის“ ერთი პირი დატულია გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (იხ. ხელნაწერი № 6618, ფურც. 1—2) და იგი იმით არის ღიხსნისანიშნავი, რომ მასზედ გარკვევით მოჩანს ფან-

და აი, 1908 წლის 17 მარტს ალექსანდრე ილიას ძე შანშიაშვილი წარდაცობილისის სასამართლო პალატის წინაშე და ამ პროცესზე მისი დაცვა ითავა ცნობილმა ქართველმა იურისტმა იოსებ ბარათაშვილმა, რომლის გამჭვრავობამ და უდიდესმა პროფესიულმა ადლომ ახალგაზრდა სანდრო აშკარად იხსნა საკმაოდ დიდი სასჯელისაგან.¹¹ აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ს. შანშიაშვილის უფროსი მეგობრების ვალერიან გუნიასა და სამსონ ფირცხალავას ქველმოქმედებაც. ამის თაობაზე უმოკბესია თავად „ბრალდებულს“ მოუესმინოთ: „1907 წელს, — იხსენებს მწერალი ერთ-ერთ მოგონებაში, — ჟანდარმერიამ გამჩხრიკა, მიპოვნა არალეგალური ლიტერატურა, მათ შორის, ჩემი რედაქტორობით გამოსული მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალი „ჩანგი“, ცარიზმის საწინააღმდეგო ჩემი ლექსი „მტარვალს“ და მეტეხის ციხეში ამომაყოფინეს თავი. ჩემს გასათავისუფლებლად სამსონ ფირცხალავამ ვალერიან გუნიასთან ერთად ენერგიული ზომები მიიღო. სახელოვან ვეჟილს ოსიკო (იოსებ. — გ. გ.) ბარათაშვილს ჩემი დაცვის საქმე დაევალა.

ოსიკო ბარათაშვილი სასამართლო პროცესზე ძალზე მოხერხებულად გამოვიდა. მოსამართლეებს მიმართა: ვის ასამართლებთ? ამ არასრულწლოვანს... ქართული რომ გესმოდეთ და მისი ლექსი „მტარვალს“ წაიკითხოთ, სიცილად არ გეყოფათ, რადგან მასში არაფერია ნათქვამი არსებული რეჟიმის საწინააღმდეგოდ! სრულიად გაუგებარია და ბავშვურია. ვერ გაიგებთ, „მტარვალში“ ვის გულისხმობს, შაჰ-აბასს, ჩინგისხანს თუ ალა-შაჰმად-ხანს? ამის გამო გინდათ პატიმრობა მიუსაჯოთ? პატიმრობისას ეს ყმაწვილი ციხეში ნამდვილ სოციალისტებს შეხვდება, ისინი გარდაქმნიან მის გონებას და თქვენ ამაში ხელს უწყობთ. დიდი სასჯელი მელოდა, მაგრამ გადავჩრი. ერთი თვის პატიმრობა მომისაჯეს. ორი თვე კი გამოძიება წარმოებდა.

პატიმრობის დროს სამსონ ფირცხალავა და ვალერიან გუნია ხშირად მკითხავდნენ ხოლმე...¹²

ამრიგად, თუ მივყვებით ს. შანშიაშვილის მოგონებებს, დავინახავთ, რომ თბილისის სასამართლო პალატას მისთვის მიუსჯია სამი თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ „მართლმსაჯულებას“ მიუღია მხედველობაში ის გარემოება, რომ ბრალდებული წინასწარი გამოძიების დროს, ორი თვის განმავლობაში მეტეხის ციხეში გამომწყვდეული, „კეთილსინდისიერად“ ელოდა თავის ხვედრს, და ეს დრო მსჯავრდადებულისათვის „გამოუქვითია“ საერთო მოსახდელი სასჯელისაგან. ამდენად, ჭაბუკ სანდროს განაჩენის გამოტანის შემდეგ მხოლოდ ერთი თვეა მოუწია ტუსადად ყოფნა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჟერად იგი მეტეხის საპრობილის ნაცვლად თბილისის საგუბერნიო (ორთაქალის) ციხეში გაამწყვდეს და „მათი უდიდებულესობის მიერ მისთვის ცოდვების მოსანანიებლად ნაბოძები“ სასჯელის დანარჩენი ვადა იქ აღასრულებინეს. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას პირუთვნელად ადასტურებს ჩვენ მიერ მიკვლეული

ქრით წაწერილი შემდეგი რემარკა: „საქმე გაიჩა და გადაიწერა სამი თვით ციხე. სამი თვეც წინასწარ იყოვე“. ალბათ მეტადვე გადაიწვეტდნენ, მაგრამ ძალიან დამეხმარა ერთი ჟანდარმთა ოფიცერი, რომელმაც რაღაც მიზეზით წყალობის თვალთ შერომბედა თავიდანვე. სანდრო“.

¹¹ ი. ბარათაშვილს თავის „კლიენტის“ დაცვა, ნაწილობრივ, იმიტომაც გაუადვილდა, რომ ა. შანშიაშვილი იმხანად ჭერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი (გ. ი. 21 წლის).

¹² სანდრო შანშიაშვილი, თქვენც რომ გახსოვდეთ ახალგაზრდებო, თბ., 1977, გვ. 39—40.

ოფიციალური საარქივო დოკუმენტი: 1909 წლის დასასრულს თბილისის ენდარმერის შეფი, პოდპოლკოვნიკი ბაშინსკი „დაინტერესებულა“ ს. შანშიაშვილის ბედით და 15 დეკემბერს თხოვნით მიუმართავს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორისათვის — ეცნობებინა მისთვის მოიხადა თუ არა კუთვნილი სასჯელი „ძნელად აღსაზრდელმა“ გიმნაზიელმა ალექსანდრე შანშიევმა. და აი, 21 დეკემბერს ბაშინსკი პროკურორისაგან ღებულობს ფრიად საიდუმლო მოხსენებით ბარათს, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ: „...თბილისის სასამართლო პალატის 1908 წლის 17 მარტის განაჩენით, ალექსანდრე შანშიევს სისხლის სამართლის კოდექსის 132 მუხლის 1 და 2 პ. პ. გათვალისწინებული დანაშაულისათვის, მიესაჯა ერთი თვით ციხეში პატიმრობა, რაც მან მოიხადა კიდევ“¹³.

ს. შანშიაშვილი მართალს ბრძანებს, როდესაც იგი წერს, რომ თბილისის სასამართლო პალატამ „დანაშაულებრივი“ საქმიანობისათვის მას სამი თვის პატიმრობა მიუსაჯა, რაც მან „უზენაესთა ნებით“ მოიხადა კიდევ. სწორედ ასევე მიუთითებენ მონოგრაფიულ გამოკვლევებსა თუ ცალკეულ საეურნალო-სავაჭეთო სტატიებში (სამწუხაროდ, ზოგჯერ აშკარად შეცდომით, რომ გიმნაზიელი სანდრო არალეგალური ხელნაწერი ეურნალის გამოცემისათვის, თითქოსდა, 1909 წელს გაერიცხოთ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიიდან)¹⁴ გამოჩენილი ქართველი მწერლის ბიოგრაფებიც, რომლებიც ღვაწლმოსილი შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილ ამა თუ იმ ნაშრომში მისი ახალგაზრდობის წლების განხილვისას, ოფიციალურ საარქივო საბუთებს მოკლებულნი, თითქმის მთლიანად ემყარებიან მსკოვანი მამულიშვილის პირად მოგონებებს. მაგრამ საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში მსჯავრდადებულ ს. შანშიაშვილზე დაცული და დღემდე ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალები სრულ წარმოდგენას გვაძლევენ ჰაბუკ სანდროს მიერ თბილისის სატუსალოებში გატარებული პატიმრობის უმთავრესი პერიპეტეიების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მოვისხენით თი საარქივო დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირ არის მინიშნებული, რომ თბილისის სასამართლო პალატის 1908 წლის 17 მარტის დადგენილებით, ს. შანშიაშვილი მიჩნეულ იქნა რა პოლიტიკურ დამნაშავედ და „მართლმსაჯულებამ“ საბოლოო განაჩენის გამოტანისას მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის „სასარგებლოდ მოძიებული სასჯელის შემამსუბუქებელი ზოგიერთი ფაქტორი“ (კერძოდ ის, რომ სანდრო იმხანად ჭერ კიდევ არ ითვლებოდა სრულწლოვანად და, გარდა ამისა, იგი წინასწარი გამოძიების დროს ორი თვით გამომწყვდეული იყო მეტეხის ციხეში) სასამართლომ სასჯელის ზომად მას შეუფარდა მხოლოდ ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა და გადაუწყვიტა ამ განაჩენის აღსრულება 1908 წლის 29 აპრილიდან თბილისის ერთ-ერთ სატუსალოში¹⁵. როგორც ვხედავთ, ბურუსი, თითქოსდა, გაითფანტა და გასარკვე-

¹³ საქართველოს სსრ ცსსა, ფ. 153, აღწ. 1, საქ. 1059, ფურც. 20.

¹⁴ ა. შანშიაშვილი თავის „ავტობიოგრაფიაში“ რელიეფურად მიუთითებს, რომ: „...მეექვსე თუ მეშვიდე კლასში გამოვეცა არალეგალური ეურნალი... სამი თობი ნომრის შემდეგ ამხანაგს დაბეზლებოა ერთ ღამეს ეანდარმერისა დამესხა თავს. მამონ მე ეცხოვრობდი მ. დარჩიაშვილის სახლში და იქვე იყოთველობდა მისი ძმა ლალო დარჩიაშვილიც. მეც დამიპოიეს და ჩემი მიზნებით ლალო დარჩიაშვილიც. ის გადაასახლეს და მე სამი თვე ციხე მომიასაჯეს. ეს იყო 1907 წ.“ (იხ. გ. ლეონიძის სახ. სსლმ, ხელნაწერი № 22439-ბ, ფურც. 2).

¹⁵ საქართველოს სსრ ცსსა, ფ. 114, აღწ. 2, საქ. 1316, ფურც. 51.

ვიც აღარაფერია, მაგრამ, ყველაფერი ცხადი მაინც არაა. საქმე ისაა, რომ ს. შანშიაშვილი 29 აპრილიდან, რატომღაც, არ „შესდგომია“ მისჯილი პატიმრობის ოფიციალურად მოხდას, მხოლოდ რა იყო ამის მიზეზი ეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაუდგენელია. სამაგიეროდ, ჩვენ მიერ მიკვლეული მეფისდროინდელი სასამართლო ორგანოების საქმეებში ჩაქვრებული ერთი პატარა აქტი ზუსტად გვაუწყებს, თუ სად და როდის „მოინანია ქვეყნისა და ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე ჩადენილი თავისი დანაშაული“ ახალგაზრდა სანდრომ. აი, რას გვაცნობს თბილისის სამხარეო სასამართლოს ერთ-ერთი მაღალი რანგის მოხელე-ჩინოვნიკის მიერ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორისადმი 1908 წლის 11 აგვისტოს გაგზავნილი შემდეგი საიდუმლო წარდგინება: „1908 წლის 2 მაისის მომართვა — № 1096-ის გამო, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ალექსანდრე შანშიევი, თბილისის სასამართლო პალატის მიერ 1908 წლის 17 მარტს მისჯილი განაჩენის აღსასრულებლად, 1908 წლის 28 ივლისიდან დამწყვედულია თბილისის საგუბერნიო ციხეში“¹⁶. რაც შეეხება ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების განკარგულებით 1908 წლის 18 სექტემბერს გაცემულ, ს. შანშიაშვილის ტუსადად ყოფნის დამამტკიცებელ ერთ-ერთ უკანასკნელ საბუთს, მასში ვკითხულობთ, რომ: „...ალექსანდრე ილარიონის ძე შანშიევი, სასჯელის მოხდის შემდეგ, განთავისუფლებულია პატიმრობიდან 1908 წლის 28 აგვისტოს“¹⁷, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ გიმნაზიელ სანდროს „უზუნაესთა“ ნებით მისთვის მისჯილი ერთი თვის პატიმრობა „პირნათლად გაუტარებია“ თბილისის საგუბერნიო ციხეში. ასე რომ, დღეისათვის დასაზუსტებელი რჩება მხოლოდ ის, თუ სად იმყოფებოდა ს. შანშიაშვილი 1908 წლის 17 მარტიდან — 28 ივლისამდე (ე. ი. სასამართლო პალატის წინაშე მისი წარდგომიდან უშუალოდ „ოფიციალურ“ დაპატიმრებამდე), თუმცა, მიუხედავად სარწმუნო წყაროების უქონლობისა, ყოველივე ზემოთქმულის ობიექტურად და საღად გააზრების საფუძველზე, მაინც შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ტირანი ხელისუფლება აღნიშნულ პერიოდში ნამდვილად არ მისცემდა „საეჭვო იდეური მიმართულების“ ახალგაზრდა ქვეშევრდომს თავისუფლად ყოფნის საშუალებას და, ამდენად, სანდრო შანშიაშვილი 1908 წლის ხსენებულ მონაკვეთში ისევ და ისევ უნდა „ვეჭიოთ“ მეტეხის ციხის ტუსადთა შორის.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ს. შანშიაშვილის პირადი მოგონებებისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ეანდარმერისა და სასამართლო ორგანოების მასალებში დაცული, ჩვენი კვლევა-ძიებით დადგენილ-დაზუსტებული და წინამდებარე პუბლიკაციაში უკვე მოყვანილი დოკუმენტები საშუალებას გვაძლევენ კონკრეტულად განვსაზღვროთ თბილისის სატუსაღოებში ალექსანდრე შანშიაშვილის მიერ გატარებული პატიმრობის ხანგრძლივობა და ქრონოლოგიური ჩარჩოები. დავიწყეთ იმით, რომ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფე, 19 წლის სანდრო დააკავეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, 1907 წლის 13 დეკემბერს, ხოლო საბრალდებო აქტი მას წარუდგინეს 1908 წლის მარტის დამდეგს. მთელი ამ დროის (ე. ი. წინასწარი გამოძიების) მანძილზე ქაბუჯი „ბუნტოეშიკი“, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ რამდენ-

¹⁶ იქვე. ფურც. 6. 7.

¹⁷ იქვე. ფურც. 8.

ნიმე დღის (ჩვენი ვარაუდით — 9-10 დღის) გამოკლებით, გამომწყვდეული იყო მეტეხის საპყრობილეში (სხვათა შორის, ამ ვერსიას, ნაწილობრივ, ადასტურებს ყურნალ „ნიშადურის“ ფურცლებზე (რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუზია) იმხანად ა. შ-ლის ხელმოწერით დაბეჭდილი ს. შანშიაშვილის რამდენიმე ლექსი, რომელთაც ქვეშ გაკეთებული აქვთ ასეთი შენიშვნა — „მეტეხის ციხე“¹⁸. აქვე, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის იმის შეხსენებაც, რომ მარტო დასახელებულ ორგანოში ტუსალ სანდროს რამდენიმე ათეული მხატვრული ნაწარმოები გამოქვეყნდა¹⁹, რაც თვალნათლივ მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ აქტიურ ცხოვრებას დროებით მოწყვეტილი, დაუდგარი ბუნების ს. შანშიაშვილი მაინც ქმედით მონაწილეობას იღებდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში). 1908 წლის მარტის პირველი რიცხვებიდან 17 მარტამდე (ე. ი. თბილისის სასამართლო პალატის მიერ ბრალდებულისათვის სასჯელის ოფიციალურად გამოცხადების დღემდე) „მართლმსაჯულებას“ დროებითაც რომ გაენთავისუფლებინოს პატიმრობიდან ახალგაზრდა ქართველი კაცი — ნაკლებად სავარაუდოა, და ამდენად, 17 მარტამდე სანდრო შანშიაშვილი კვლავ უნდა ვიგულოთ მეტეხის ციხის „სტუმრად“. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამთვითი პატიმრობიდან „დარჩენილ“ ერთ თვეს, იგი მსჯავრდადებულს, როგორც ამას ჩვენ მიერ მოყვანილი საარქივო დოკუმენტები გვიდასტურებენ, ნამდვილად გაუტარებია (1908 წლის 28 ივლისიდან 28 აგვისტომდე) თბილისის საგუბერნიო (ორთაქალის) სატუსალოში, ხოლო თუ ლოგიკურად შევაჯერებთ ყოველივე ზემოთქმულს, არგუმენტირებულად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გომნაზიელ ალექსანდრე (სანდრო) ილიას ძე შანშიაშვილს 1907 წლის 13 დეკემბრიდან 1908 წლის 28 აგვისტომდე პატიმრობაში დაუყვია არა სამი თვე, როგორც ამას მწერალი თავადვე მიუთითებს საკუთარ მოგონებებში, არამედ გაცილებით მეტი — დაახლოებით 8 თვე და ეს მონაცემი ცხადად მტკიცდება XX საუკუნის პირველ ათწლეულში ყანდარმერიის მიერ შედგენილი ოფიციალური საბუთებით, რომელთა უმრავლესობაც, ჩვენი ღრმა რწმენით, უდავოდ დასაჯერებელი და სარწმუნოა.

სასურველი იქნება, თუ ს. შანშიაშვილის ხანგრძლივი ცხოვრებისა და მისი მდიდარი შემოქმედებით დაინტერესებული მკვლევრები მომავალში, შეძლებისამებრ, გაითვალისწინებენ ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის ახალგაზრდობის წლების ზემოაღწერილ ეპიზოდებს, მით უმეტეს, რომ მწერლის ადრეული, შეიძლება ითქვას, სიყრმის პერიოდის ლექსების ერთი ნაწილი ხომ სწორედ მეტეხისა და თბილისის საგუბერნიო (ორთაქალის) ციხის ცივ საკნებში მისი პატიმრობის ხანას განეკუთვნება და ქართული საბჭოთა მწერლობის ამ ბერძენის დღეგრძელი ბიოგრაფიის ერთ-ერთ საწყისს, გაუხუნარ ფურცლებს წარმოადგენენ.

¹⁸ „ნიშადური“ № 20, 1908 წლის 1 იანვარი, გვ. 10—12; № 21, 1908 წლის 6 იანვარი, გვ. 2.

¹⁹ იხ. „ნიშადური“ № 20, 21, 28, 32, 34—36, 39—43, 48—58, 1908 წელი.

Г. Ш. ГАБУНИЯ

САНДРО ШАНШИАШВИЛИ — УЗНИК МЕТЕХСКОГО ЗАМКА

Резюме

На основании новых архивных материалов делается попытка уточнить хронологические даты одного эпизода из жизни видного грузинского писателя, поэта, драматурга и общественного деятеля Александра (Сандро) Ильича Шаншиашвили (1888—1979). Следует заметить, что, не располагая официальными документами, все биографы А. Шаншиашвили ссылаются в основном на воспоминания самого писателя и отмечают, что задержанный жандармерией за антиправительственную деятельность в конце 1907 года гимназист Сандро в тифлисских тюрьмах провел в общей сложности три месяца. Но добытые автором настоящей публикации достоверные архивные источники, часть из которых впервые вводится в научный оборот, доказывают, что в действительности же будущий писатель в стенах Метехского замка и тифлисской губернской (орточальной) тюрьмы просидел около восьми месяцев. Это обстоятельство, по нашему мнению, вносит определенные коррективы в изучение начального этапа жизни А. Шаншиашвили.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
წარმოადგინა ი. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა

Э. Я. ПЕРЕЛЬМАН

ХАРАКТЕРА НАРОДНОГО ЧЕРТЫ

Известность Федору Gladкову принес роман «Цемент». Хотя писать он начал давно, с 1900 года, а «Цемент» появился в печати в 1925 году. Тогда на книжных полках уже собирались первые экземпляры новой, советской литературы. Уже был написан «Железный поток» Серафимовича, мальчишки зачитывались «Чапаевым» Д. Фурманова, шли споры вокруг героя «Недели» Либединского, начал свое движение в жизнь «Бронепоезд 14—69» Вс. Иванова. В перечисленных произведениях описывались события первой мировой и гражданской войны. И вдруг «Цемент» — роман не о войне, а о современности, о злобе дня начала 20-х годов. «Цемент» я писал, — вспоминает Ф. Gladков. — в первые годы нэпа, это была переломная эпоха, очень характерная для развития нашей страны. Пережившие бурю гражданской войны, закаленные в боях, люди железной воли и сильных страстей, еще в военном обмундировании, еще не остывшие от волнений трехлетней напряженной борьбы, перешли на хозяйственные фронты. Это были яркие характеры, вполне сложившиеся типы времен военного коммунизма¹.

В основу романа легла работа Федора Gladкова на восстановлении Новороссийского цементного завода. Кто же стал героем романа? Глеб Чумалов — фигура незаурядная, колоритная. Это был крупный, веселый, жизнерадостный, временами суровый борец-красноармеец, беззаветный большевик. Именно он, Глеб Чумалов, возглавил рабочий коллектив и повел его в бой за восстановление завода.

В результате многих перепитий, столкновений, радостей и огорчений битва завершается победой. Цементный завод восстановлен!

Наконец-то Глеб, отдавший так много сил большому общественному делу, может вернуться к семье, к жене Даше. Но, оказывается, у него нет семьи, нет любимой жены. Революция, поднимавшая и переродившая женщину, отняла у Глеба прежде покорную жену. В образе Даши писатель хотел сконцентрировать черты настоящей женщины, «завоевавшей своей жизнью право быть в первых рядах рабочего класса».

Итак, завод восстановлен, а Глебу некуда идти.

Естественно, такой конец книги у многих читателей вызвал недоумение, разочарование по поводу того, что герой остался «у разбитого корыта». Что делать? Ведь в своей суровой правдивости роман Ф. Gladкова не скрывает «неизбежности личных потерь» и в мирных битвах, он предостерегает против мещанской самоуспокоенности, зовет к стойкости и упорству». Вместе с тем, герой романа вызывает и большую симпатию, и глубокое сочувствие. Жизненные «уступы» и «преграды» не сломили Глеба Чумалова, они побудили его к новой борьбе, новому труду. Именно преодолевая серьезные конфликты, часто не-

¹ Ф. Gladков, В творческой лаборатории, из кн. «О литературе Статьи, речи, воспоминания», М., 1955, с. 23.

ожиданные преграды, растет Глеб как борец и создатель. С уверенностью можно сказать, что роман «Цемент» принес не только популярность писателю, он вызвал большой интерес к жизненному пути и творческим поискам Ф. Гладкова. Знакомясь с его биографией, поражаешься богатству и разнообразию пережитого им. Писатель много видел, много пережил, начиная со своего раннего детства и кончая периодом расцвета сил.

Выходец из бедной крестьянской семьи (патриархальной, старообрядческой) Ф. Гладков пережил всю боль обид, всю горечь «свинцовых мерзостей» старого, эксплуататорского общества. Выгнанные малоземельем из деревни, родители его скитались по рыболовным промыслам Каспия, заводам Кавказа, а вместе с ними и их маленький сын Федя.

На рыбных промыслах Каспия маленький Федор впервые увидел, «что такое безысходное рабство». Он рвался к учению, к свету, а злая доля бросала его «в люди», где он испытал и лобок, и голод, и бессонные ночи в грязном углу.

Постоянное ощущение обреченности, рабства, жизнь безрадостная, без надежды на лучшее будущее, мысли о жизни, полной жестокости, приносящей только страдание, приводили молодого Федора в отчаяние. Его переживания искали выхода, и он начал выражать их на бумаге. Свои первые рассказы и стихи Федор никому не показывал, но в них, по словам писателя, он «изливал и скорбь, и озлобление, и жалобы, и мечты». Раздумья и чувства искали выхода, и юноше становилось легче, когда он выкладывал на бумагу все, что накопилось в душе. И не удивительно, что с молодых лет Ф. Гладков связывает свою судьбу с революционным движением, с Грузией. Об этом периоде Ф. Гладков в автобиографии пишет: «В 1905 году я уехал в Тифлис учиться в учительском институте. Революцию встретил в Грузии. Еще за год до этого я связался с читинскими большевиками и выполнил их поручения по распространению прокламаций и нелегальной литературы.

В Тифлисе я вошел в социал-демократический кружок учительского института и близко сошелся с известным на Кавказе большевиком Ильей Санжуром, с которым весной 1906 года уехал в Ейск на партийную работу»². Осенью 1906 года Федор был арестован царскими жандармами и отправлен в иркутскую тюрьму. Писатель вспоминает: «Пребывание в этой тюрьме, через которую прошли Чернышевский, поэт Михайлов, Короленко, было для меня настоящим университетом». И это не было просто фразой. Такова была жестокая действительность, когда светлые умы, незаурядные личности проходили свои университеты не за партами, а участь у самой жизни. Все эти мытарства, горести, скитания давали в результате такой человеческий сплав, который не поддавался размягчению при самой высокой температуре. «Я не учился ни в гимназии, ни в университете, — пишет о себе Ф. Гладков, — моим вузом была сама действительность, люди, тюрьма, книги. Мне пришлось завоевывать право на жизнь своим горбом. И я знал, какой дорогой ценой достигается счастье познания...».

Такой жизненный путь не мог не отразиться на личности, на характере писателя, не мог не найти отражения в его творчестве. Правда, к теме своего детства Гладков вернулся спустя много лет, в результате чего появились известные автобиографические книги: «Повесть о детстве», «Вольница», «Лихая година». Но на то были свои причины.

² Ф. Гладков, Собр. соч., ГИХЛ, М., 1958, т. I, стр. 12.

Известно, что многие писатели пишут о своем детстве. «Интерес к детству, — по словам Конст. Федины, — это интерес к истории, пропущенной через личность писателя». В зрелом возрасте известный советский писатель Федор Гладков последние годы своего творческого бытия «посвятил ретроспекции, т. е. поискам настоящего в прошлом». Он вернулся к этой теме, чтобы осмыслить свое детство с позиций зрелости, опыта и своего таланта.

Цикл автобиографических повестей Ф. Гладкова — это эпопея о судьбах народа. Они являются достижением советской литературы. Недаром за «Повесть о детстве» в 1950 году и за «Вольницу» в 1951 году автор был удостоен самой высокой премии Советского Союза.

Писатель Федор Васильевич Гладков был сложным человеком. «Это был человек очень своеобразный, очень горячий, очень вспыльчивый, страшно реактивный, что сделало его писательскую жизнь сложной и житейски» (Конст. Федина)³. «Он всегда жил, как говорят, на обожженных нервах. Любую в его представлении ошибку, фальшь, несправедливость в литературной и общественной жизни он переживал не только умом и сердцем, но буквально всем нутром. Он вступал в бой с подлостью забралом, когда угодно и с кем угодно, невзирая на лица»⁴.

И в то же время: «Это был очень скромный человек и в быту, и в жизни, и в литературе. В его московской квартире со старомодной мебелью в чехлах из сурового полотна не было лишних вещей. Все спокойно, ясно, просто. И походка у него была мягкая, неслышная, будто ходил он в деревенских валенках...» (В. Брайнина)⁵. «Писательскую жизнь прожил он трудную, временами мучительную, но достойную; а успех, пришедший к нему, не увел его в сторону самообольщения, а заставил только еще острее задуматься над своей писательской задачей» (Вл. Лидин)⁶.

Спустя 10 лет после выхода в свет романа «Цемент», принесшего автору славу и популярность, он напишет в частном письме выпускнице Ленинградского историко-филологического института: «...Ничего, кроме страданий, писательство мне не приносило!». Что это? Позерство? Рисовка? Брюзжание? Нет! Это проявление постоянной неудовлетворенности собой, постоянных сомнений, это необычная требовательность к себе и глубочайшая ответственность за свое писательское дело. «Несмотря на «славу» (черт бы ее побрал, подлую!), — воскликнет он в том же письме, — я ни на секунду не верил себе и мне казалось смешным, что люди волнуются по поводу «Цемент»... Но бросить писать уже не могу. Я привязан к литературе цепями»⁷.

Как было сказано, Федор Гладков относился к себе и своему творчеству строго, в высшей степени требовательно. Об этом, в частности, свидетельствует и такой факт. Известно, что А. М. Горький, воюя за простой и точный язык литературных произведений, сердито критиковал в свое время стиль Ф. В. Гладкова (статья А. М. Горького «О прозе»)⁸, особенно в романе «Энергия»⁹. В частности, М. Горький писал, обращаясь к писателям, на книгах которых училась литературная мо-

³ Воспоминания о Ф. Гладкове. М., «Сов. писатель», 1978, с. 5.

⁴ Там же, с. 211.

⁵ Там же, с. 212.

⁶ Там же, с. 81.

⁷ Там же, с. 87.

⁸ М. Горький. Собр. соч., М., 1953, т. 26, с. 387.

⁹ Второй после «Цемент» крупный роман Ф. Гладкова.

лодежь: «...учиться никогда не поздно и что нам необходимо учиться больше, чем людям иного мастерства, ибо мы, выступая в качестве изобретателей новой действительности, тем самым выступаем как учителя жизни» (т. 26, с. 402). Эта критика подействовала. Гладков стал писать тщательнее, проще, не раз возвращался к своим ранее написанным произведениям.

И что характерно: работа над стилем сопровождалась у писателя упорным и, главное, любовным изучением родного языка, всех его особенностей, законов и правил, в результате чего Федор Васильевич стал одним из самоотверженных борцов за чистоту и красоту родной речи, а его автобиографические повести явили собой образец «кристаллической прозы» (К. Федин).

Над своими текстами Ф. Гладков работал непрерывно: от черновика до последнего издания. О своей манере письма он говорил: «Я не принадлежу к тем людям, которые успокаиваются на первой или второй редакции рукописи; у меня процесс работы сначала идет бурно, а потом начинается самонистязание». Вопрос культуры речи, бережного отношения к языку волновал писателя на протяжении всего его творчества. «Мы, писатели и языковеды, — читаем в статье «Культура речи», — обязаны охранять основные законы русской грамматики и орфоэпии и бороться за чистоту, ясность, точность и выразительность языка».

«Для нас, писателей, язык — это живая жизнь, это человек в его деяниях, в его душевных бурях и глубоких раздумьях, — писал он в статье «О правильном и точном словоупотреблении в литературной речи». — Поэтому и слово у художника должно быть емким, точным, выразительным, эстетически оправданным». Эти мысли писателя, высказанные им в 50-х годах, не потеряли своей актуальности, своего значения и в наши дни, ибо культура языка — это зеркало культурного развития народа.

Нужно упомянуть еще об одном штрихе к облику писателя. Речь идет об отношении Федора Гладкова к молодым литераторам, вообще к молодому поколению. Он ценил в молодых целеустремленность, трудолюбие, любознательность. Любил людей деятельных, как он говорил, «веселых». «Веселый» означало не только жизнерадостный и обладающий чувством юмора, но и отзывчивый, чуткий, деятельный. Выхлях, инфантильных молодых людей он называл «ранними стариками», «ошибкой природы» и относился к ним с резко открытой неприязнью.

Воспитанием молодого поколения литераторов Ф. Гладков занимался вплотную в послевоенные годы, когда он возглавлял литературный институт им. М. Горького. Он постоянно переживал, заботился о том, чтобы молодежь не теряла интереса к вчерашнему дню, к прошлому своего народа. Ф. Гладков говорил: «...без глубокого знания вчерашнего дня нельзя понять и оценить день сегодняшний! Многие ошибки нашей молодежи как раз и происходят от того, что молодые товарищи, в сущности, плохо представляют себе минувшие годы. Разве рядом с нашими великолепными достижениями у нас не проявляется порой дикость, не уступающая виденной мною в юности? Разве не нужно показать, что она присуща только старой жизни и нетерпима в новой? Часто говорим — «пережитки прошлого», но для молодого поколения это понятие бывает как бы лишено смысла, чистая абстракция...».

Трудная, насыщенная, достойная жизнь писателя — лучший пример, образец для подражания нашей молодежи. Его жизнь учит стой-

кости, трудолюбию, патриотизму, верности идеям, скромности и высокой личной ответственности за доверенное Родиной дело.

Имя писателя Федора Гладкова навсегда вошло в историю советской литературы. Его книги выдержали испытание временем. 100-летие со дня рождения писателя торжественно отметила вся наша страна. Заслуги Ф. Гладкова перед советской литературой не померкнут от времени. Его произведения, переведенные почти на все языки мира, читаются и будут читаться грядущими поколениями, раскрывая перед читателями истоки рождения нового социалистического мира, нового человека-труженика и создателя.

Использованная литература

1. Федор Гладков. Собрание соч. в 8-и томах, М., 1956, тт. I—II.
2. Федор Гладков. О литературе. Статьи, речи, воспоминания, М., 1955.
3. М. Горький, О прозе, в кн.: Собр. соч. в 30-ти томах, т. 26, Статьи, речи, приветствия, с. 387—408.
4. М. Горький, Письма, телеграммы, надписи. (письма Ф. Гладкову: лето 1916 г., от 23 августа 1925 г., 3 апреля, 3 октября и 20 ноября 1926 года). Собр. соч., т. 29.
5. Б. Я. Брайнина. Талант и труд, М., 1977.
6. Б. Я. Брайнина. Ф. В. Гладков, М., 1958.
7. Воспоминания о Ф. Гладкове, М., 1978.
8. А. П. Воложенец, Ф. Гладков Жизнь и творчество, М., 1959.

Кафедра русского языка Тбилисского государственного педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

Представил академик АН Грузинской ССР Г. Н. Джибладзе

М. Г. ГИГОЛОВ

ТИПЫ РАССКАЗЧИКОВ В ПОВЕСТЯХ Ф. М. ДОСТОЕВСКОГО «СИБИРСКОГО» ПЕРИОДА

Творчество Ф. М. Достоевского — целый несобъятный мир. Образно, ярко сказал о нем выдающийся грузинский писатель — академик Демна Шенгелая, назвавший великого русского писателя «бездошным морем, океаном человеческого гения, того сердца, которое горело сочувствием к людям»¹.

არ გვგონია აქ ნაგულისხმევი იყოს ფალაური ნაწარმოები (მაგალითად „ხოჯა-ი ნაშა“ — „მეფეთა წიგნი“, რომელიც 756 წელს არაბულად გადაითარგმნა, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია არც ორიგინალს, არც თარგმანს). ამას გვაფიქრებინებს ის, რომ X—XI სს. ქართველი მწერლები ახალსპარსულს ავრცელებენ სასანურ ირანზეც. ეს. ჩვენი აზრით, საკმაოდ ძლიერი არგუმენტი უნდა იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველ მწიგნობრებს არ უნდა ესარგებლათ ფალაური ტექსტით. ამიტომ „სპარსთა ცხოვრება“ ჩვენ არაბულ-სპარსულ ისტორიოგრაფიულ წრეში უნდა ვეძიოთ.

IX—X საუკუნეებში არაბულ ენაზე შეიქმნა არაერთი საისტორიო ნაწარმოები (ბალაზორი, ალ-ვაკიდი, იაკუბი, ალ-დინავარი, ტაბარი და სხვ.). განსაკუთრებით ფართო გავრცელება პოვა ტაბარის მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაშრომმა, რომელსაც საფუძვლად დაედო სასანური ირანიდან მომდინარე ნაწარმოებებიც. გვიანდელმა (IX—X სს.) არაბულენოვანმა საისტორიო თხზულებებმა ფაქტობრივად შემოინახეს მეტად საინტერესო ცნობები სასანური ირანის ისტორიის შესახებ. ამდენადვე ისინი წარმოადგენენ სასანური ირანის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირველწყაროებს. ამავე დროს, საკუთრივ არაბულენოვანი საისტორიო თხზულებები, სპარსეთის ძველი ისტორიის გადმოცემისას, დამოკიდებული არიან ფალაურ საისტორიო თხზულებებზე. მათში შემონახული აღმოჩნდა სპარსული თხზულებების ვრცელი ფრაგმენტები და ციტატები. გასათვალისწინებელია აგრეთვე სპარსული ისტორიოგრაფიის აშკარა გავლენაც. სპარსულ ისტორიოგრაფიას უკავშირდება ისლამის ქვეყნების საისტორიო ნაწარმოებთა ფორმის თავისებურება, კომპოზიცია და თხრობის წესი.

ასე, რომ XI ს-ის ქართველი ისტორიკოსები ფაქტობრივად სარგებლობდნენ ძველი სპარსეთის ისტორიის სპარსულ-არაბული ვერსიებით.

აქედან უნდა იყოს გადმოღებული სპარსეთის ისტორიის ფაქტები და მოვლენები. ოღონდ სპარსეთის ისტორია („სპარსთა ცხოვრება“) გარეგნულად არაბულენოვან გარსში ჩანს გამოხვეული.

X—XI საუკუნეების ქართველ ისტორიკოსებს („ქართლის მოქცევის“ ავტორი, ლეონტი მროველი, ჭუანშერი...) კარგად უნდა ცნობდნოდათ მსგავსი ნაწარ-

¹⁹ ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 13.

²⁰ იქვე, გვ. 14, 59.

²¹ ჭუანშერი, გვ. 220.

პოეზები. მით უმეტეს, რომ XI ს-ის შუაწლებამდე ორიგინალური საისტორიო თხზულება ახალ სპარსულ ენაზე არ არსებობდა²². X ს-ში პროზაული ნაწარმოები ახალ სპარსულ ენაზე ის-ის იყო იქმნებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საეკვოა ლეონტი მროველი და ჭუანშერი — სპარსთა ცხოვრებაში“ ორიგინალურ ფალაურ ტექსტს გულსხმობდნენ („ხო-და-ი ნამაკს“, ან რომელიმე სხვა ფალაურ თხზულებას), ანდა, რაც ქრონოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო მოსალოდნელია, „შაჰ-ნამაკს“.

„სპარსთა ცხოვრებად“ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო არაბულად დაწერილი თხზულებაც, თუკი იქ დიდი ადგილი დაეთმობოდა სპარსეთის ისტორიას.

თავისთავად „სპარსთა ცხოვრების“ დასახელება, ცხადია, ნიშნავს სპარსეთის ისტორიის ცოდნას, სპარსულ ლიტერატურულ-ისტორიოგრაფიულ სამუშაოსთან ურთიერთობას.

საყურადღებოა, რომ ყველგან, ლეონტი მროველის და ჭუანშერის თხზულებებში, „სპარსთა ცხოვრებიდან“ ძველი ირანის ისტორიის ფაქტები და მოვლენებია მოხმობილ-აღწერილი.

ასე, მაგალითად, ლეონტი მროველმა კარგად იცის, რომ აღექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შემდეგ ირანში მეფობა მოისპო და კვლავ აღდგა არშაკუნიანთა დინასტიის მეთაურობით.

ლეონტი მროველი მოგვიხსრობს: „ხოლო მასვე ადერკის მეფობასა გამოჩნდა კულად მეფობა სპარსეთსა. რამეთუ რათგან შესრულ იყო აღექსანდრე და განერყუნა სპარსეთი, იქ უამამდე არლარა დაჯდომილ იყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილთა და ადგილთა იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა. მაშინ შეკრბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აელალან ბრძენი. მაშინ სომეხნი და ქართველნი იყვნეს მორჩილ აელალანისი სპარსთა მეფისა. და ვიდრე ადერკის მეფობამდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფედ, რაზომცა მრავალნი იყვნეს შვილნი მეფეთანი“²³. ქართველ ისტორიკოსს მხედველობაში აქვს, ცხადია, ე. წ. Interregnum-ი უმეფობის პერიოდი სპარსეთის ისტორიაში, რაც დიდი ხნის შემდეგ არშაკუნიანთა გაბატონებით დამთავრდა. ფაქტობრივად ესაა „სპარსთა ცხოვრება“, მიუხედავად იმისა დაწერილია თუ არა ის არაბულად თუ სპარსულად.

არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს იმანაც, თუ როგორ უკავშირებს ერთმანეთს XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი ძველი საქართველოს და სპარსეთის ისტორიის ფაქტებს.

მას ამ შემთხვევაში თანაბრად სჭირდებოდა როგორც აღმოსავლური, ისე ქართული მასალები — „სპარსთა ცხოვრებაც“ და „ქართველთა ცხოვრებაც“.

ქართველ ისტორიკოსს მეტად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია ისიც, რომ არშაკუნიანთა ბატონობას ირანში ბოლო მოუღეს სასანელებმა: „და ამის-ზე

²² შეიძლება დაუშვათ, რომ არსებობდა „სპარსეთის ისტორია“ უკვე X საუკუნეში, მაგრამ მან ჩვენამდე ვერ მოაღწია. ანონიმური ავტორის უკოგრაფიული თხზულება „პედუდ ალაღამ“ ხომ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა და დიდი ხანი არაა რაც მეცნიერულ მიმოქცევაში შემოვიდა (ბარტოლოდი, მინორსკი). „პედუდ ალაღამ“ კი უფრო ადრინდელია (982), ვიდრე ფირდოუსის „შაჰ-ნამაკი“ (994 წ.). V. Minorsky, A Persian geographer of A. D. 982 on the orography of Asia, Iranica, 1964, გვ. 31.

²³ ლეონტი მროველი, გვ. 43.

იქმნა სპარსეთს ქასრე ანუ შირვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აელა-
ლანიანი, რომელ იცნობების არდაბირობითა, ვითარცა წერილ არს ცხოვრება-
სა სპარსთასა²⁴.

„სპარსთა ცხოვრების“ მიხედვითაა გადმოცემული სასანიური ირანის ის-
ტორიის ფაქტები ჟუანშერის თხზულებაშიც.

ჟუანშერი მოგვითხრობს: „მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი რომელ-
სა ერქვა ბარამ ჩუბინი. ესე ეწყო თურქთა, სპარსეთს შემოსრულთა, ვითარცა
წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა, მოკლა საბა, თურქთა
მეფე, და აოტა ბანაკი მათი“²⁵.

საიდან აქვთ გამოტანილი ქართველ ისტორიკოსებს ამგვარი ცნობები?
რომელი თხზულებაა ნაგულისხმევი „სპარსთა ცხოვრებაში“?

თუ არაბულენოვანი ისტორიოგრაფიის ნიშანდობლივ თავისებურებებს,
მისი განვითარების ძირითად ეტაპებს გაეითვალისწინებთ (მოჰამედის ცხოვ-
რება და მოღვაწეობა, არაბთა დაპყრობითი ომები, დაპყრობილი პროვინციე-
ბისა და ქალაქების ისტორია და, ბოლოს, შემაქამებელი ხასიათის მსოფლიო
ისტორია დასაბამიდან ავტორის დრომდე), ასეთად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ
და მხოლოდ მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოები. ამითგან განსაკუთრე-
ბით გამოირჩევა ტაბარის (838—923) თხზულება, რომელშიაც საკმაოდ ვრცე-
ლი ადგილი ეთმობა მსოფლიო ისტორიას (ბიბლიური პერიოდი, რომისა და
ბიზანტიის კეისრების ისტორია, სასანიური ირანი...). რა თქმა უნდა, ტაბარი ამ
მხრივ გამოწაკლის სრულიადაც არ წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, აღ-დი-
ნაეარის (გარდ. 895 წ.) თხზულებაშიც („გრძელ გადმოცემთა წიგნი“ —
„ქითაბ ალ-ახბარ ათ-თივალ“) მოკემულია მსოფლიო ისტორიის ნაწილები. მაგ-
რამ ირანის ისტორიას მასში ძირითადად ყურადღება ეთმობა კადისის ბრძო-
ლის (637 წ.) დროიდან მოყოლებული.

არავის, IX—X ს. არც ერთ არაბულენოვან ისტორიკოსს, ისე ვრცლად
არ გადმოუცია და აღუწერია სასანიური ირანის ისტორია, როგორადაც გად-
მოსცა და აღწერა ტაბარიმ.

ამრიგად, თითქოს საფუძველი გვაქვს, ლეონტი მროველისა და ჟუანშერის
„სპარსთა ცხოვრება“ დაუუკავშიროთ ტაბარის საისტორიო თხზულებას, მის
მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოების სრულიად გარკვეულ ნაწილებს.

ჩვენ ერთხელ უკვე მივაქციეთ ყურადღება ლეონტი მროველისა და ტაბა-
რის შესაძლებელ ურთიერთობას, ქართველი ისტორიკოსის არაბულენოვან ის-
ტორიკოსზე დამოკიდებულების შესაძლებლობას. ჩვენ ვწერდით: «არავითარ
ეჭვს არ უნდა იწვევდეს ლეონტი მროველის ტაბარის საისტორიო თხზულე-
ბაზე დამოკიდებულება (ორიგინალსა თუ მის ახალ სპარსულ თარგმანზე),
სახელდახლოდ შეიძლება დავასახლოთ ყველაზე დამახასიათებელი დამთხ-
ვევა: ლეონტი მროველის თხზულებაში დამოწმებული არშაკუნიანთა დინას-
ტიის სახელწოდება იგივეა, რაც ტაბარის „მულუქ ალ-აქლანუნ“, „იბნ-აშლა-

²⁴ იქვე, გვ. 59. არდაბირო, რა თქმა უნდა, არღმირი იგულისხმება. ლეონტი მროველის
ანდერძ-მინაწერებში ნათქვამია: „აწ ვახსენოთ ცხოვრება შირიანისი, ძისა ქასრე არღმირ სასანი-
ანისა“ (იქვე, გვ. 64). ზოგიერთი შეუსაბამოა (მაგ., VI ს-ის ქასრე ანუ შირვან სასანიანის დაკავ-
შირება III ს-ის არღმირთან) შეიძლება ხელნაწერთა მდგომარეობით და გადამწერთა შეც-
დომებით აგვეხსნა, მაგრამ ამგვარივე შეცდომები გვხვდება IX—X სს. სპარსულ-არაბულ ვერსიებშიც
ამდენად, „სპარსთა ცხოვრება“, ამ შემთხვევაშიც, სპარსულ-არაბულ წერეში არის საძიებელი.

²⁵ ჟუანშერი, გვ. 220.

ნან“, „ალ-აშლანანან“²⁶. „აშლანან“ ან „აელალან“ (საიდანაც ქართულად ნაწარმოებია „აელალან“ და „აელალანიან“) აშკარად სპარსული ფორმითაა წარმოდგენილი. სპარსულ-არაბული ვერსიები არშაკუნიანთა დინასტიის იცნობენ „აშქანიანების“ და „აშლანიანების“ ფორმით²⁷. „აშქანიანების“ ფორმით იცნობს მას „შაჰ-ნამეც“. სპარსულ ტაბარიში გვხვდება როგორც „აშქანიანები“ (اشکانیان), ისე „აშლანიანები“ (اشلانیان)²⁸. „აელალანიანის“ სპარსული ფორმა თითქოს იმის თქმის უფლებას იძლევა, რომ ქართველი ისტორიკოსები სარგებლობდნენ „სპარსეთის ისტორიის“ არაბულ-სპარსული ვერსიებით.

დამატებით შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მოსაზრებანიც.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქართული და არაბულენოვანი სათაურების ერთგვარი მსგავსება.

ლეონტი მროველის თხზულებას ეწოდება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესაეთა“, ტაბარის თხზულებას: „ისტორია მოციქულთა და მეფეთა“ („თარიხ არ-რუსულ ვ-ლ-მულუქ“). არაბულადვე ერთ-ერთი დამახასიათებელი სათაურთაგანი იყო „სიარ ალ-მულუქ“ („მეფეთა ცხოვრება“). მაგრამ არაბულში ეს სახელწოდება სპარსული ისტორიოგრაფიიდან ჩანს გადმოღებულ-შეთვისებული, „მეფეთა ცხოვრებაში“ კი აშკარად ისლამამდელ ხელმწიფეთა (არშაკუნიანთა, სასანიანთა...) ისტორია იგულისხმება.

მოგვეყავს სხვა მაგალითიც.

ტაბარის მოკლედ აქვს გადმოცემული ბიბლიური პერიოდის ისტორიული ვითარება (იუდეველთა და ქრისტიანთა გადმოცემების მიხედვით), რომისა და ბიზანტიის კეისრების ისტორია. ძველი ირანის ისტორია კი წარმოადგენს „ხოდა-ი ნამაის“ არაბული თარგმანის გადამუშავებას. ორიენტალისტი-ისტორიკოსები მას სრულიად დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებენ²⁹. ფაქტობრივად ესაა სასანიანთა დროინდელი „სპარსთა ცხოვრება“.

ტაბარის თხზულება ცნობილი იყო ორი რედაქციით — არსებობდა მისი ვრცელი და მოკლე რედაქციები. ვრცელ რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია. მის მოცულობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ის, რომ თვით მოკლე რედაქცია (გამოცემულია დე გუეს მიერ ლეიდენში) 13 ტომისაგან შედგება, ორი ტომი კი განკუთვნილი აქვს გლოსარსა და საძიებლებს.

963 წელს ტაბარის საისტორიო თხზულება ახალსპარსულ ენაზე გადართარგმნა სამანიანთა სახელმწიფოს ევზირმა მოჰამედ ბალამიმ (გარდ. 974 წ.)³⁰.

²⁶ ე. გ. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართული საისტორიო წარმოების ფურცლებზე, XII საუკუნის საქართველოს ისტორია: საკითხები, ოსლ-ს შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, თბ., 1968, გვ. 283.

²⁷ ტაბარი, I, გვ. 706 და სხვ.

²⁸ სპარს. ტაბარი, I, გვ. 725, 731.

²⁹ სასანიანთა პერიოდის ისტორიის გერმანული თარგმანი კომენტარებითურთ გამოაქვეყნა თეოდორ ნელდეკემ: Th. Nideke, Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden..., Leiden, 1879.

³⁰ ბალამის თარგმანი დღი ხანი არაა რაც გამოქვეყნდა თიერანში. სპარსული ტექსტის ფრანგული თარგმანი გამოცა კ. ზოტენბერგმა: Chronique Tabari traduite selon la version persane de Balami, Ed. par H. Zotenberg, vol. I—IV, Paris, 1867—1874.

ბალამის ნაშრომი წარმოადგენს არა უბრალო თარგმანს, არამედ ტაბარის „ისტორიის“ გადამუშავებას³¹. მართალია, ბალამიმ ძალიან შეამოკლა ის, მაგრამ, ამავე დროს, სარგებლობდა არა მოკლე, არამედ ვრცელი რედაქციით. ვრცელ რედაქციას, როგორც ვთქვით, ჩვენამდე არ მოუღწევია. ამდენადვე ტაბარის ნაშრომის სპარსული თარგმანის ზოგადი მნიშვნელობა საესებით ცხადი უნდა იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბალამი იყენებდა ზოგიერთ ისეთ ცნობას, რომელიც აღებული იყო სხვა პირველ წყაროებიდან³². ამიტომ ბალამის მიერ შესრულებულ თარგმანს დამოუკიდებელი წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. შემთხვევით არაა, რომ ბალამის თარგმანს „სპარსულ ტაბარის“ უწოდებენ.

ამრიგად, X საუკუნეში ტაბარის „ისტორია“ არსებობდა როგორც არაბულად, ისე სპარსულად. ორსავე შემთხვევაში მისი გარკვეული ნაწილი ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ „სპარსთა ცხოვრებად“.

ქართულ ისტორიკოსებს თავისუფლად შეეძლოთ ესარგებლათ ამ საისტორიო თხზულების არაბული და სპარსული ტექსტებით. ქართული კულტურის იმდროინდელ მოღვაწეებს ხელი მიუწვდებოდათ არაბულზეც და სპარსულზეც³³.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში აღნიშნულია რომ ლეონტი მროველის თხზულების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა „ხვატა-ი ნამაკ“ — „საუფლო წიგნი“ (პ. ინგოროყვა). მაგრამ ამ ფალაური თხზულების არავითარი კვალი არ ჩანს IX—XI სს. ქართველ ისტორიკოსთა ნაწარმოებებში.

„ხვატა-ი ნამაკის“ გამოყენების ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც თავისი შინაარსით მხოლოდ და მხოლოდ არაბთა ბატონობის ხანას უკავშირდება.

მხედველობაში გვაქვს X—XI სს. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში ბლდადის მოხსენიება ბლდადის დაარსებამდე (762 წ.) კარგა ხნით ადრე და მისი სასაანური ირანის სატახტო ქალაქად გამოცხადება.

ბლდადს სასაანური ირანის ისტორიის მოვლენების გადმოცემისას ყველა ქართველი ისტორიკოსი ასახელებს („მოქცევაჲ ქართლისაის“ ავტორი. ლეონტი მროველი, ჭუნაშერი, სუმბატ დავითის ძე...)³⁴. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი რამ არ უნდა ყოფილიყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო „ხვატა-ი ნამაკში“. ბლდადის ამგვარად დასახელება უნდა გაჩენილიყო, რა თქმა უნდა, ბლდადის დაარსების შემდეგ და მის მომდევნო პერიოდში. მაშასადამე, თავისთავად იგულისხმება, რომ X—XI სს. ქართველი ისტორიკოსები სარგებლობდნენ არა ფალაური „სპარსთა ცხოვრებით“, არამედ არაბთა ბატონობის დროინდელი არაბული და სპარსული ნაშრომებით.

თავის დროზე ივ. ჭავჭავაძის მიერ გამოთქვამდა ქართულ საისტორიო თხზულებებში ბლდადის დაარსებამდე ბლდადის დასახელების გამო და

³¹ История Ирана с древнейших времен до конца 18 века. გვ. 80.

³² იქვე.

³³ X—XI სს. საქართველოში ენციკლოპედიურად განათლებული მწიგნობრები მოღვაწეობდნენ. ისინი თარგმნიდნენ არაბულიდან, ბერძნულიდან, სირიულიდან, სომხურიდან. ფლობდნენ მრავალ ენას. შატბერდულ ხელნაწერებში გვხვდება არა მარტო ახალსპარსული, არამედ სირიული ფრაზაც. შატბერდის კრებული, გვ. 120.

³⁴ წყაროები და ლიტერატურა ბლდადის დაარსებამდე ბლდადის დასახელების გამო მოყვანილი იქნება ჩვენს ნაშრომებში: „საქართველო და აღმოსავლეთი (VI—X სს.)“ და „ბლდადი“ X—XI სს. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების მიხედვით.

ამას X—XI სს. ქართველ ისტორიკოსებს შეცდომად უთვლიდა³⁵. მაგრამ „შეცდომას“ უშვებენ არა ქართველი ისტორიკოსები, არამედ ის აღმოსავლური წყაროები, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ.

სწორედ ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს მივაგნოთ იმ აღმოსავლურ წყაროებს, სადაც ბაღდადი ხშირად და არა ეპიზოდურად სასანურ ირანს უკავშირდება.

ბაღდადს სასანური ირანის ისტორიის თხრობისას ასახელებენ არა მარტო ქართველი ისტორიკოსები, არამედ აღმოსავლელი მწერლებიც და ისტორიკოსებიც.

ასევეა ბაღდადი დასახელებული გურგანის „ვის ო რამინში“. ამ ნაწარმოების გმირთა მოქმედების სარბიელი კი, როგორც ცნობილია, პართიის სახელმწიფოა. ამრიგად, აღმოსავლელი მწერლები ბაღდადს ასახელებენ არა მარტო სასანური ირანის, არამედ პართიის ამბების გადმოცემის დროსაც. ამის გამო გამოჩენილი ირანისტი ვ. მინორსკი ისევე იყო გაოცებული, როგორც ივ. ჭავჭავიძე. მას ეს მოაჩნდა შეცდომად და ანაქრონიზმად³⁶. მართლაც, არაერთი ბაღდადი არ შეიძლება არსებულყოფიერად 762 წლამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამავე სახელწოდების სოფელსა და ბაზარს კტეზიფონის მახლობლად. ბაღდადი დედაქალაქად დასახელებულია როგორც ტაბარის არაბულ³⁷, ისე სპარსულ ტექსტში³⁸. უფრო ხშირად ეს ამ უკანასკნელისათვის არის დამახასიათებელი. ბაღდადი ზოგჯერ მხოლოდ ტაბარის სპარსულ თარგმანში გვხვდება. გამომცემლებს აღნიშნული აქვთ, რომ ბალამის სპარსულ ტექსტში დასახელებული ბაღდადი არ მოიპოვება არაბულ ტექსტში³⁹.

რატომ ასახელებენ აღმოსავლელი და ქართველი მწერლები ბაღდადს რამდენიმე საუკუნით ადრე? რატომ უკავშირებენ მას სასანური ირანის და თვით პართიის სახელმწიფოს არსებობის პერიოდს?

ეს საკითხი სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს. ახლა აქ სახელდახელოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ბაღდადში, ჩვენი აზრით, ნაგულისხმეია შუამდინარეთის (ერაყის, ბაბილონეთის) ის რეგიონი, სადაც შემდეგ ხალიფა აღმანსურის ქალაქი გაშენდა (ამას მოწმობს სპარსული ტაბარის შემდეგი განმარტება: „იმ დროს ბაღდადი არ არსებობდა“)⁴⁰. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ეს კი არ არის მთავარი. არამედ ის, რომ ქართველი ისტორიკოსები სარგებლობენ იმ არაბული და სპარსული წყაროებით. სადაც ბაღდადი სასანური ირანის დე-

³⁵ „მოქცევაჲ ქართლისაჲჲ მატანანს მიერ ბაღდადის სასანელთა მეფეების დედაქალაქად დასახელების გამო ივ. ჭავჭავიძე წერდა: „რომ იქ მსხვილი ქრონოლოგიური შეცდომა მოიპოვება“ (და აღნიშნავდა: „ბაღდადი იმ დროს ჯერ არ არსებობდა, რათგან მას აგებას მხოლოდ 762 წელს შეუდგინენ“. ივ. ჭავჭავიძე ილია, აველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—VIII სს.), თბ., 1945, გვ. 105, 107

³⁶ Vis o Rāmin, Iranica, გვ. 161, 175.

³⁷ ტაბარი, I, გვ. 2872 (ცოტრიებული აქვს ვ. მინორსკის).

³⁸ სპარს. ტაბარი, I, გვ. 726, 758, 824, 873, 924 და სხვ.

³⁹ იქვე, გვ. 873, შენ. 1.

⁴⁰ საინტერესოა, რომ თვით მეცნიერულ გამოკვლევებში, ჩანს წყაროების გაუგებრობით, ბაღდადი სასანურ ირანთანაა დაკავშირებული. იხ. А. И. Колесников, Завоевание Ирана арабами, М. 1982, გვ. 67, 77, 135, 167, 211. მხოლოდ ერთგან განმარტებულია, რომ სპარსული სარღლები ზარმირა და რუბუბი გამოვიდნენ «Из района нынешнего Багдада» (იქვე, გვ. 57) სხვაგან კი პირდაპირ არის ნათქვამი: «Шаханшах со свитой и небольшой частью войска выступил из Багдада» (იქვე, გვ. 135.)

დაქალაქად არის დასახელებული. მაშასადამე, ამას წინ აღარაფერი უდგას, ქართველი ისტორიკოსები სარგებლობენ იმ აღმოსავლური წყაროებით, სადაც ბაღდადი ამგვარადაა წარმოდგენილ-გააზრებული. ქართული საისტორიო თხზულებების აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) ნაშრომებზე დამოკიდებულება სავსებით აშკარაა და, ვფიქრობთ, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, ქართველი ინტელექტუალური წრეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ბალაშია ნამუშავევიც. ტაბარის „ისტორიის“ სპარსული თარგმანი უკვე X ს-ის მეორე ნახევარში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელს წინა აზიაში.

სპარსულის ცოდნა X ს-ის საქართველოში მრავალნაირი ფაქტით დასტურდება. ამიტომ ქართველი მწიგნობრებისათვის, როგორც უკვე ვთქვით, ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო როგორც ტაბარის არაბული ტექსტი, ისე ბალამის სპარსული ტექსტი. მაგრამ უპირატესობას, უნდა ვიფიქროთ, ბალამის სპარსულ თარგმანს ანიჭებდნენ. ალბათ სწორედ ამიტომ ისინი თავიანთ ერთ-ერთ წყაროდ „სპარსთა ცხოვრებას“ ასახელებდნენ.

საზოგადოდ საქართველოში სპარსული უფრო ჩანს გავრცელებული, ვიდრე არაბული. ამას უნდა გვიდასტურებდეს უწინარეს ყოვლისა ის, რომ X—XI სს. ქართულ მწერლობაში ახალსპარსული ლექსიკა გაცილებით დიდი რაოდენობით არის დამოწმებული, ვიდრე არაბული. ამავე დროს, როგორც ცნობილია, თვით არაბული ლექსიკა ჩვენში სპარსულის მეშვეობითაც ვრცელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქართველი ისტორიკოსების ხელთ არაბული ტაბარი იყო თუ სპარსული. მთავარი ისაა, რომ ისინი ირანის ისტორიის ფაქტების და მოვლენების გადმოცემისას ტაბარის თხზულებით და მის მიერ გამოყენებული წყაროებით სარგებლობდნენ. ამ წყაროებს შორის „ხოდა-ი ნამაიცი“ იყო. „სპარსთა ცხოვრება“ მათ „ხოდა-ი ნამაიცი“ იმ ნაწილებისათვის უნდა ეწოდებინათ, რომელიც ტაბარის მიერ იყო გადამუშავებული.

სპარსული კულტურის წარმატება X საუკუნესა და XI საუკუნის პირველ ნახევარში მეტად თვალსაჩინოა იყო.

პერიოდს, რომელიც არაბებსა და თურქებს შორის თავსდება, ვ. მინორსკიმ ირანული ინტერმეცო უწოდა. ირანული ინტერმეცოს გამოძახილი, როგორც ვნახეთ, ქართულ სინამდვილეშიც იკვლევს გზას.

X ს-ის საქართველოში სპარსულ კულტურულ სამყაროსთან კონტაქტებს გვიდასტურებს ახალი სპარსული ლექსიკის სიუხვე ქართულ წერილობითს ძეგლებში, რის გამოც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. კიდევ უფრო ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ახალი სპარსულის კონტექსტი „ნინოს ცხოვრებაში“ და „სპარსთა ცხოვრების“ დასახელება-დამოწმება ლეონტი მროველის და ჭუანშერის საისტორიო თხზულებებში.

თავის მხრივ სპარსელებიც კარგად იცნობდნენ ქართველებს და საქართველოს.

ეს ჩანს იქიდან, რომ X ს-ის სპარსული გეოგრაფიული თხზულების ანონიმური ავტორი შავ ზღვას „ქართველთა ზღვას“ უწოდებს.

X—XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში არაერთგან არიან დასახელებული და დახასიათებული ქართველები (პულუდ ალ-ალამ. ნასირ-ი ხოსროუ, გურგანი, ნიზამ ულ-მულქი...). ყოველივე ეს უშუალოდ უკავშირდება ქარ-

თულ-სპარსულ პოლიტიკურ-კულტურულ კონტაქტებს, რომელიც თავის სათავეს განახლებულ სპარსეთში პოულობს და სულ უფრო და უფრო ძლიერდება XI—XII საუკუნეებში.

В. Н. ГАБАШВИЛИ

ГРУЗИНО-ПЕРСИДСКИЕ КУЛЬТУРНЫЕ СВЯЗИ (X в.)

Резюме

В X в. персидская культура развилась на основе новоперсидского языка, а последний возник и распространился в Иране в IX—X вв.

Экономические, социальные и культурные достижения Ирана (точнее, иранских независимых феодальных политических единиц) в X в. были весьма значительны.

Период, хронологически охватывающий промежуток между арабским и тюркским господством в Иране (X — первая половина XI в.), называют иранским интермеццо. Его отзвук, несомненно, доходит и до Грузии. Это подтверждается наличием большого количества слов новоперсидской лексики в грузинских письменных памятниках IX—X вв. А в «Шатбердском сборнике», переписанном в 70-х гг. X в., засвидетельствована даже целая фраза на новоперсидском языке с ее грузинским переводом.

Грузинские историки X—XI вв. упоминают «Историю персов» (бук. «Жизнь персов»), которую, по нашему мнению, надо искать в арабской и персидской историографии. Таковой мы считаем «Историю» Табари и ее персидский перевод, выполненный Балами в 963 г.

Это подтверждается и тем, что город Багдад еще за несколько веков до его основания упоминается как в арабском и персидском текстах Табари, так и в сочинениях грузинских историков X—XI вв. («Мокцевай Картлисай» анонимного автора, Леонти Мровели, Джуаншери, Сумбат Давитсидзе).

Само собой разумеется, что такую «ошибку» и «анахронизм» грузинские историки должны были допустить в результате использования ими исторических сочинений арабских и персидских авторов.

დავარ ოშიაძე

მებრძოლი ქალის არაბ ზანგი || არაბზანგინის რამდენიმე
პარალელი ფოლკლორულ და ლიტერატურულ

არაბზანგინს (არაზანდას) ქართულ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი არის ენერგიით აღაყვებულ მებრძოლი ქალი, რომელიც გარკვეული გამოცდის შემდეგ (შეჭიდება ხმლით ბრძოლა) ზღაპრის გმირის ერთგული დამხმარე და თანამგზავი ხდება და შემდეგში ფაქტიურად მის მოქმედებაზეა დამყარებული ზღაპრის გმირის წარმატებები. უნდა ითქვას, რომ არაბზანგინი (არაზანდა) არ არის ქართული ხალხური ზღაპრების პოპულარული პერსონაჟი. იგი ქართულ ფოლკლორში აღმოსავლურ (კერძოდ, ირანულ) სიუჟეტთან ერთად შემოსული სახეა, რომელიც ჭერ კიდევ არ გამოყოფია მას და დამოუკიდებელი განვითარების გზას არ დასდგომია. იგი დაცულია ზღაპრებში „ზღაპარი არაბზანგინისა“¹ (b) და „შახმეილი“² (c), რომლებიც ერთი სიუჟეტის განსხვავებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. ანალოგიური სიუჟეტი მოიპოვება სპარსულ ფოლკლორში. ქუჩი ქერმანის ზღაპრების კრებულში „თოთხმეტი ირანული გლეხური ზღაპარი“ შეტანილია ზღაპარი შაჰზადე ისმაილსა და არაბ ზანგიზე³ (a), რომელიც სიუჟეტური აღნაგობით და მოქმედების განვითარებით საგმირო-საფალავნო დასთანია ხალხურ ვარიანტსა წარმოადგენს და თავისთავად დიდად ემსგავსება ზენოთ აღნიშნულ ქართულ ზღაპრებს⁴.

სპარსული ზღაპრის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია რაინდი ქალი არაბ ზანგი. იგი არის თავისუფლებისმოყვარე, ძლიერი და გულადი პიროვნება. როგორც ცნობილია, ხალხურ ზღაპარში დაცულია ეთნოგრაფიული სიძველე — ქალთა დიდი სახლი და მის გარემოში ყალიბდება მებრძოლ ქალთა სახეები⁵. არაბ ზანგიც ზოგიერთი სხვა ზღაპრის პერსონაჟივით თავისი მხლებლებით ერთ განმარტოებულად ცხოვრობს გორაკზე ციხე-სიმაგრეში, მაგრამ იგი არ არის დელარაჟივით ბოროტი და გულღრმობი, საქინესავით მოქნილი და მოხერხებულ⁶. მისი გამარჯვება დიდი ფიზიკური ძალით არის განპირობებული. მებრძოლად არის დაბადებული და გაზრდილი და იარაღით ხელში თავგამოდებით ებრძვის მოწინააღმდეგეს. აი, რას უამბობს იგი შაჰზადე ისმაილს: „კაბუჯო, მე ქალიშვილი ვარ! ოცი წელია აქ დავთარეშობ. ღვთის წინაშე აღთქმა მაქვს დადებული. იმისი ცოლი გავხდე, ვინც ჩემს დამარცხებას შეძლებს. უკვე სამასი გულადი რაინდი ვძლიე“⁷. ვასაოცარია არაბ ზანგის ბრძოლა ხელმწიფის ჯართან. როდესაც იგი გააფთრებით იბრძვის პირადი პატიოსნების დასაცავად და შაჰის მიერ განწირული შაჰზადე ისმაილის შურის საძიებლად.

არაბ ზანგი თუმცა რაინდი ქალია, მაგრამ მას არც ქალური მომხიბვლელობა და სითბო აკლია. მიუხედავად სპარსულ ტექსტის: „მან (არაბ ზანგიმ) საკინძე შეიხსნა და (ისმაილს) მკერდი უჩვენა, შემდეგ ჩაფხუტი გადაიძრო და

წმირი ნაწნავეები წელამდე დაეფინა... ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს, სასახლე-ში ავიდნენ და ლხენას მიეცნენ⁸. შაჰზადე ისმაილი ბიბი ფერის და მას ცოლად ირთავს, ისმაილის მამა კი იხილავს რა მის სიმშვენიერეს, გადაწყვიტავს ცოლად შეირთოს იგი და მტრად გადაეკიდება შეილს.

არაბ ზანგის (a) ქართულ ვარიანტებში ზუსტი ორეულები ჰყავს არაბ-ზანგინისა (b) და არამზადას (c) სახით. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთი ეპიზოდი⁹.

a

1. ბიბი ფერის საძებნად წაულმა შაჰზადე ისმაილმა ერთ ველზე წყაროსთან შე- ისვენა, გორაკზე ციხე-სიმაგრე შენიშნა. არაბ ზანგიმ ციხე-სიმაგრედან დაინახა იგი.

2. არაბ ზანგიმ სამი მსახური გაგზავნა უცნობ ვაფთან: აქ მომგვარეთ, როგორ გაბედა მოსვლაო.

3. შაჰზადე ისმაილმა სიყრუე მოიგონა, მსახურები ახლოს მიიტყუა, ორი ერთმანეთს შეაღეწა შუბლით, მესამეს ყური მოჭრა და ისე გაგზავნა თავის ბატონთან.

4. არაბ ზანგი ცხენზე შექდა და ოცდაათი მხედრით წყაროსკენ დაეშვა. შაჰზადე ისმაილმა ხმალი იშვიშლა და მომხდურთ მიეგება, უთხრა: სათითაოდ ვებრძოლოთო. მსახურები დაამარცხა და ჭერი არაბ ზანგიზე მიდგა.

5. შაჰზადე ისმაილი და არაბ ზანგი შეიღ ღლეს იბრძოდნენ, მერვე ღლეს ვაჟმა ძირს დასცა არაბ ზანგი და თავი უნდა მოეკეთათ. შენიშნა, რომ მტერი ტირიდა, თურმე ქალი ყოფილიყო. მან საივინე შეიხსნა და ბროლით მკერდი გამოუჩინდა, ჩაფხუტიდან გრძეული ნაწნავეები ჩამოეშალა.

6. არაბ ზანგიმ შაჰზადე ისმაილს უთხრა: — პირობა მქონდა დადებული, ცოლად იმას ვაეყოლოდი, ვინც

b

გულზარის საძებნად წამოსული ხელშწიფის ვაჟი ერთ გაღაენში შევიდა, აუზთან დაისვენა. არაბზანგინმა სარკმლდან დაინახა იგი.

—

—

არაბზანგინმა ვაჟაკურად გადაიყვა, არაბის ტყავი მოიხურა, ვაჟს უთხრა: როგორ გაბედე აქ მოსვლაო.

ერთმანეთს შეეკიდნენ, ბევრი იბრძოლეს, ბოლოს ხელშწიფის ვაჟმა ერთი ისეთი სილა შემოკრა, რომ არაბზანგინი წაიქცა. თავი რომ უნდა მოეკეთათ, გადახდილი იგულის კალითდან¹⁰ მკერდი დაუნახა. თურმე მასთან მეომარი საოცრად ლამაზი ქალი ყოფილიყო.

არაბზანგინმა ვაჟს უთხრა: მე აღთქმა მქონდა დადებული, რომ ვინც მომერეოდ, მას უნდა წაეყოლოდი

c

მამასახლისის ქალის საძებნად წამოსული შახმეილი... ზღვის გაღმა გავიდა, ბაღს მიადგა და წყაროს მი- რას დაისვენა. არაზადამ ფანჯრიდან დაინახა იგი.

არაზადამ მოსამსახურე გაგზავნა ვაჟის გასაგდებად.

შახმეილმა სიყრუე მოიგონა, მოსამსახურე ახლოს მიიტყუა, სწედა, კბილები დაამრო, შუბლში ჩაუსხა და ისე გაისტუმრა.

არაზადა ცხენზე შექდა და შახმეილთან მივიდა.

ერთმანეთს ცხენდაცხენ შეეყახნენ და ხმლებით ბრძოლა დაიწყეს, შახმეილმა არაზადას ხმალი ყუ- ამდე ჩაუღო მხრებში. არაზადამ მკერდი გადაიხსნა, — ქალი აღმოჩნდა.

არაზადამ შახმეილს უთხრა: ამ მოკეცით თავეებს ხომ ხედავ, შენზე ძლიერი არავეინ შემხვედრია, მე

მძლედაო. სასახლეში ავიდ-
ნენ და განცხრობით ცხოვ-
რობდნენ ერთად.

ცოლაღო, ახლა მე შენი ვარ
და შენ — ჩემო.

ცოლი და შენ ქმარო.
სახლში წაიყვანა და პური
აქამა (ქამამლე კელაე გამო-
ცადა: წყლით საესე საარყე
ქვაბი ააწვეინა და შემდეგ—
წისქვილის ორი დოლაბი)
და გათენდა კიდეც.

7. არამდენიმე წლის შემ-
დეგ შამხაღე ისმაილს კელაე
დაესიზმრა ბიბი ფერი, ღი-
ლით ადგა, არაბ ზანგის გამო-
ეთხოვა და გასწია. თუმცა
ქალი ბუერს ევედრა, დარ-
ჩიო, მაგრამ არ დარაშალა, —
ღმერთი თუ ინებებს, კელაე
შევხედებით ერთმანეთსო.

ვაჟმა არაბზანგისს უთხ-
რა: ფიცს ვერ გავტეხავ,
უნდა წავიღე და წამოვიყვა-
ნო გულიზარო, ქალმა ვაჟი
ველარ დაითანხმა, საგზალი
და აბრეშუმის საკაბეები წა-
იღო და ვაჟს თან გაჰყვა.

შახმეიღმა არამზადას უთ-
ხრა: მე ერთი ქალი მიყვარს
და მისთვის ვარ წამოსუ-
ლიო. ქალმა უთხრა, წაი-
ღეთ, ჩვენ ვინ მოგვეჩვენო.
შესხდნენ ცხენებზე და წა-
ვიდნენ.

ვარიანტებში დაცულია შემდეგი საკუთარი სახელები (ზოგან საკუთარი
სახელის ნაცვლად გამოყენებულია წარმომავლობის ან წოდების აღმნიშვნე-
ლი სახელები):

a	b	c
არაბ ზანგი	არაბზანგინი	არამზაღა
შამხაღე ისმაილ	ხელმწიფის ვაჟი	შახმეილი
ბიბი ფერი	გულიზარი	მამასხლისის ქალი
—	—	დეეების და

ჩვენთვის საინტერესო პერსონაჟისა და მისი პარტნიორის სახელები სა-
მივე ვარიანტში მეტ-ნაკლებად დაცულია. პროფ. ა. გვახარია სიტყვა „არაბ-
ზანგისის“ შესახებ წერს, რომ „იგი შეიძლება დაუკავშირდეს „არაბ ზან-
გის“, რაც „შავ არაბს“ ნიშნავს, ან „არაბზანგისს“ — „არაბის ფერისა“¹⁰.
ჩვენი აზრით, საინტერესოა თვითონ ფორმა არაბზანგინი (b), რაც სპარსუ-
ლად ნიშნავს არაბ ზანგისა||შავი არაბისა¹¹. რაც შეეხება c ვარიანტში და-
ცულ საკუთარ სახელებს — „არამზაღა“, „შახმეილი“, ისინი მიღებული უნდა
იყოს გარკვეული ფონეტიკური და აზრობრივი ცვლილებების შედეგად სპარ-
სული სახელებიდან: არამზაღა (c) || არაბ ზანგი (a), შახმეილი (c) || შამ (ზა-
ღე) ისმაილი (a).

აღსანიშნავია, რომ სამივე ვარიანტის ფინალში ზღაპრის მთავარი გმირი
არაბ ზანგისზეც ქორწინდება, რაც უდავოდ ხალხური ზღაპრის სტრუქტუ-
რულ-შინაარსობრივი თავისებურებებით უნდა იყოს მოტივირებული. ნაწი-
ლობრივად ამას განაპირობებს მამადიანური თვალსაზრისით მრავალცოლია-
ნობის შესახებ. ისტორიულად კი არაბ ზანგი გმირის ინიციალის ხელმძღვანე-
ლია, წარმართავს ამ ღმერთს და შემდგომშიც ეხმარება მას არჩეული
სატრფოს მოპოვებაში¹².

არაბ ზანგის საინტერესო ტიპოლოგიური. ორეულები დაეძებნება ხალ-
ხურ შემოქმედებასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

ა) „ათას ერთი ღამის“ ზღაპართა კრებულში შედის „ამბავი ომარ ან
ნუმანისა და მისი შვილებისა: შარ ქანის და დავ ალ მაქანისა“¹³. ამ ზღაპრის

ეპიზოდური გმირია აბრიზა, რუმის მეფის პარდუბის ქალიშვილი. არ არსებობს არც ერთი დადებითი თვისება, რომელიც დედოფალ აბრიზას არ ამშვენებდეს. ის არის ლამაზი, ძლიერი, გულადი, შეუდარებელი მებრძოლი, განსწავლული და ჭკვიანი, თავმდაბალი, კეთილი, ამაყი, ზედმიწევნით პატიოსანი, ხელგაშლილი და სამართლიანი, სძულს უაზრო სისხლისღვრა, არის კარგი სტრატეგი. დედოფალ აბრიზას სახეში მრავალ ქალურ თვისებებთან შერწყმულია იშვიათი რაინდული თვისებები და შექმნილია მებრძოლი ქალის უნიკალური პორტრეტი.

დამასკოს მეფის ვაჟმა შარ ქანმა აბრიზა პირველად გაშლილ ველზე იხილა. როდესაც იგი მსახურებსა და დედაბერ ზათ აღ დაეპას ეჭიდავებოდა. შარ ქანმა ის-ის იყო ჭარი დააბანაკა და მარტოდმარტო სერირობდა თავისი ცხენით. მან აბრიზას და მისი მხლებლების ტყვედ შეპყრობა გადაწყვიტა. მაგრამ აბრიზა მდინარეს გადმოველო და შარ ქანი მიწაზე დაანარცხა. ქალს სიმშვენიერემ და სიძლიერემ მოხიბლა მეფის ვაჟი და სთხოვა, შენი სტუმარი ვიქნებო. აბრიზა დათანხმდა. შარ ქანი მდინარეს აუყუა და ხილით გადავიდა მეორე მხარეს. აბრიზამ იგი სასახლეში მიიწვია და გაუმასპინძლა მას და სხე.¹⁴

დედოფალ აბრიზას და არაბ ზანგის აქვთ ბევრი საერთო თვისება და, რაც მთავარია, მათი თავგადასავლის სიუქეტურ განვითარებაში არის იპდენი საერთო ელემენტი. რომ შესაძლებლად მიგვაჩინია მათი სათავე ერთი და იგივე თქმულება იყოს. მხოლოდ იგი ერთი მხრივ გადავიდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ხოლო მეორე მხრივ ლიტერატურული დამუშავება განიცადა და რეალისტური ზღაპრის საინტერესო ეპიზოდად იქცა.

ერთმანეთს ემსგავსება ან მოგვაგონებს შემდეგი ეპიზოდები: 1. შაჰზადე ისმაილის შეხვედრა არაბ ზანგისთან || შარ ქანის შეხვედრა აბრიზასთან; 2. შაჰზადე ისმაილის მამის გამიჯნობა არაბ ზანგისთან, მის მიერ ვაზირის რჩევით შაჰზადე ისმაილის დაღუპვა, არაბ ზანგის ბრძოლა ისმაილისა და პირადი პატიოსნების დაცვისთვის || შარ ქანის მამის გამიჯნობა აბრიზასთან, ვაზირ დანდანის რჩევით მისი მიზნის აღსრულება, აბრიზას თავდადება პატიოსნებისათვის; 3. ბრძოლის დროს ხელმწიფის ჭარის თვალის ასახვევად შაჰზადე ისმაილისა და არაბ ზანგის შებრძოლება || ფრანგულად გადაცმული აბრიზას და მისი ასი მხედრის შებრძოლება შარ ქანთან გამოცდის მიზნით.

აბრიზას სახე თავისი მითითური ბუნებით ზოროასტრიზმის პანთეონის ღმერთქალს მოგვაგონებს. სიძლიერე, იშვიათი სილამაზე, წყალზე თამამი დაუფლება არდვისურა ანაპიტასთან აახლოებს მას. ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებს არაბ ზანგის მონუმენტური სახე, მისი საცხოვრებელი გარემო, იშვიათი გარეგნობა. ნაწილობრივ — სამოსელი¹⁵, მისი საქმიანობა, რაც სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთს ფუნქციების იდენტურია¹⁶.

ბ) მებრძოლი ქალის ანალოგიური სახეა დაცული როსტომის ამბის ხალხურ ვარიანტებში. სისთანურ ლეგენდაში მეფის გულადი ასული გადაწყვიტავს ბრძოლაში გამოსცადოს გოლიათი რახშის პატრონი — რუსთამი. ორთა ბრძოლაში ვაჟურად გადაცმული მეფის ქალი დამარცხდება და საიდუმლო გამოაშქარავდება. რუსთამი ცოლად ირთავს მას... მეფის ასულის სმბრძოლო თავგადასავალი ამით არ შემოიფარგლება. იგი მთელი თქმულე-

ბის მანძილზე დომინირებს როგორც მებრძოლი პიროვნება. მამის საძებნად მიმავალ სუპრახს (თავის ვაჟს) იგი გზად დახვდება ვაჟურად გადაცმული, გამოცდის მიზნით შეებრძოლება მას, დაამარცხებს და სახლში დააბრუნებს, — ჭერ მამაშენის ოდენი ძალა არ გაქვსო. ერთი წლის შემდეგ სუპრახი თავისი რაზმით ისევ დაადგება გზას მამის საძებნად. ვაჟურად გადაცმული და პირზე ნილაბათარებული(!) დედა კვლავ დახვდება ვაჟს გზაში და შეებრძოლება. ამჭერად სუპრახი გაიმარჯვებს და დედაც გზას დაულოცავს მას. თქმულების ბოლოს მეფის ასული, გაიგებს თუ არა სუპრახის სიკვდილის ამბავს, საბრძოლო ამქარს გადაიცვამს, წელზე ხმალს შემოირტყამს და ქეიქაუსის ქალაქისაკენ გაეშურება...¹⁷

ქართულ „როსტომიანში“ ზურაბის დედაა ხურომანი¹⁸. იგი ჭერ წითელი არაბის ცოლი იყო, შემდეგ — შავი არაბისა. როსტომმა ღალატით მოკლა შავი არაბი და ხურომანი ძალით დაიმორჩილა. ხურომანი რაინდული სულის პატრონია, მან როსტომს ღალატი არ აპატიო, უთხრა: შენ რომ ისე მოგეკლა შავი არაბი, როგორც იმან წითელი მოკლა, ცოლად მაშინ გამოგყვებოდით — და გაექცა. მან საომარი საქურელის ხმარებაც კარგად იცის, — მამის (როსტომის) საძებნად მიმავალ ზურაბს გამოცდის მიზნით წინ გადმოუხტა და შეებრძოლა. მიემართოთ ტექსტს:

„შავი ტყიდან გამოვიდა
ვაფი კაცი გულოვანი;
ცხენსა ოქდა ნიაგ-ქარსა
აქროლებდა როგორც ზღვანი.
ცხენსა შუბი დავუტაკე,
ავიტაცე როგორც ქარი;
წყაზარეთი შეეკენა —
საყვარელი გიშრის თმანი.
იმის მეტი ვეღარა სთქვა:
მე ვარ შენი ხურომანი!“¹⁹

გ) ზღაპრული მებრძოლი ქალის ლიტერატურულად გადამუშავებულში სახე ფირდოუსის მიერ შექმნილი მებრძოლი ქალის გორდ აფერიდის სახე²⁰. გორდ აფერიდს ანასიათებს სიძლიერე, სიმამაცე და მოხერხებულობა. ყოველივე ამას ემატება პატრიოტიზმის დიდი გრძნობა, რითაც პოეტი სრულყოფს გმირი ქალის პორტრეტს.

სოპრატთან ორთა ბრძოლაში ჰაჯირის დამარცხების შემდეგ გორდაფერიდი გამოდის ციხე-სიმაგრედან და სოპრახს შეებრძოლება, რომელიც სძლევს მას და ცხენიდან ჩამოაგდებს. გაქცევის დროს გორდაფერიდს მუზარადი მოძერება და ნაწნავეები ჩამოეშლება. სოპრახი მოიხიბლება ქალის სილამაზითა და გულადობით და შეუყვარდება იგი. რაინდ ქალსაც მოეწონება სოპრახის გმირობა და სიმამაცე, მაგრამ იგი როგორც ქეშმარიტი პატრიოტი, არ იფიქვებს თავის უპირველეს მოვალეობას — სამშობლოს სიყვარულს, ატყუებს სოპრახს, მისი ქაზანდიდან თავს გაითავისუფლებს, ციხე-სიმაგრეში დაბრუნდება და შიგნიდან გადაეკეტავს კარს²¹.

სისთანური ლეგენდის მეფის ასულს, „როსტომიანის“ ხურომანს და „შაკ-ნამეს“ გორდაფერიდს ბევრი რამ აქვთ საერთო²². ცხადია, აღნიშნულმა სახემ ფირდოუსის მიერ მხატვრული გადამუშავების შედეგად მიიღო სამშობლოსათვის თავდადებული გმირი მებრძოლის ფუნქცია, მით უმეტეს, რომ დე-

დის სოკრატთან მებრძოლება გამოცდის მიზნით „შაჰ-ნამეში“ წარმოდგენილი არ არის (საზოგადოდ, თეჰმინეს სახე ძალზე განსხვავებულია თავისი ხალხური შესატყვისისაგან). ამასთანავე პოემაში გამოცალკევებული არ არის სოკრატის სამიჯნურო ეპიზოდი და ქორწინება, რაც სისტანურ ლეგენდაში კარგადაა წარმოდგენილი და რომელიც ლოგიკურად აგრძელებს დედის მიერ სუკრატის გამოცდის ეპიზოდს. საეპიკურად, რომ პოემაში ამ ორი ეპიზოდის თავისებური კონტრასტის ფონზე შეიქმნა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირი ქალის უნიკალური პორტრეტი.

არაბ ზანგი || არაბზანგინის სახის არსებობა ფოლკლორში განპირობებულია უძველესი რელიგიურ-ეთნოგრაფიული სინამდვილით. შემდეგ ეტაპზე იგი შეიჭრა ეპოსსა და მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც სათანადო გაფორმება პოვა.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. „ზლაპარი არაბზანგინისა“, რჩეული ხალხური ზღაპრები, ე. ვირსალაძის რედაქციით, შესავალი წერილით და შენიშვნებით, თბილისი, 1958, გვ. 342—349 (b).

აღნიშნულმა ზღაპარმა კარგა ხანია მკვლევართა ყურადღება მიიპყრო. ე. ვირსალაძემ აარსებულ ანდრეევის სისტემის საერთაშორისო კატალოგში შეიტანა იგი № 861*-ით (ვარსკვლავით ე. ვირსალაძე აღნიშნავდა ზღაპრების ახალ ნომრებს ან სიუჟეტების ორიგინალურ ქართულ ვარიანტებს, რომელთაც კატალოგში პარალელი არ მოეპოვებოდათ. იხ. დსახ. ნაშრომი, გვ. 430, 436). ამავე ზღაპარს მოკლედ განიხილავს ა. გვახარია ნაშრომში — „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან“ (თბილისი, 1973, გვ. 124, 152) და მას უცნობი სპარსული დასთანის შორეულ ორეულად მიიჩნევს.

2. „შახშეილი“, ქართული ხალხური ზღაპრები. ტ. II, რედ. მ. ჩიქოვანი, თბილისი, 1952, გვ. 66—75. (c)

3. قصه شاهزاده اسماعيل و عرب زنگي، چهارده اسفاه از اسفاه های روستائي
ایران، حسین کوهي کرمانی، تهران، ۱۳۳۳. (a)

4. ქვემოთ ზღაპრების საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ მათ შესაბამის აღნიშვნებს (a, b, c) (აქვე შევნიშნავთ, რომ მოცემული სპარსული ვარიანტი პირობითადაა მიღებული ძირითად ვარიანტად).

* იხ. В. Я. Пропп, Исторические корни волшебной сказки, Ленинград, 1946, стр. 108; Д. В. Омиадзе, Женские образы в персидских народных сказках, автореферат диссертации на соиск. уч. ст. кандидата филол. наук, Тбилиси, 1973, стр. 18—19.

6. Намунаҳои фольклори Эрон, «Мурғи саодат», «Сакиниаварда», Душанбе, 1963.

7. გვ. 66, ... چهارده اسفاه

8. იქვე.

9. სრული ტექსტი იხ. a, გვ. 66—67; b, გვ. 344—345; c, გვ. 69—70.

10. ა. გ. ვ. ა. რ. ი. ა., სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 124.

11. საყურადღებოა, რომ არაბ ზანგის ერთ-ერთი პროტოტიპი, ქართული „როსტომიანს“ პერსონაჟი ზრომანი შავი არაბის ცოლი იყო (იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 50). ამდენად დასაშვებია, რომ „არაბზანგინი“ (b) სახელის უფრო ძველი ფორმა იყოს, ვიდრე „არაბ ზანგი“, (a). უნდა შევნიშნოთ, რომ სახელი კვლავ განიცდის ცვლილებებს, b ვარიანტში რამდენიმეჯერ გვხვდება „არაბზანგინის“ (b) შეკვეცილი ფორმები — ზანგი || ზანგინი (იხ. b, გვ. 347, 348).

12. შტრ. ზღაპრებში „მწვენიკეუდიანი კაცი“, „ნარინჯი და თურინჯი“, „ცოლი ფორთოხალი და ბოროტი ზანგი“ გმირის ინიციალისა და საქორწილო ცერემონიაში მონაწილეობს ზანგი (შავი) მსახური ქალი (იხ. A. Christensen, Märchen aus Iran, Gernkappe, Jena, 1939; Намунаҳои фольклори Эрон, «Норин ва Туринҷ», Душанбе, 1963; Персидские народные сказки, пер. А. Ромаскевича, «Жена померанец и злая негрятинка», Л., 1934.

13. ათას ერთი ღამე, ტ. II, თარგმანი ნ. ფურცელაძისა, თბილისი, 1970.

14. შდრ. საილუსტრაციოდ მოყვანილი ეპიზოდი (გვ. 47).

15. ცნობები არაბ ზანგი ჩაქულაობის შესახებ დაეუღლა მხოლოდ ხ ვარიანტში, სადაც ვკითხულობთ: „არაბზანგინმა“ გადაიკვა ვაჟურად, მოიხურა არაბის ტყავი და ჩამოიდა ძირს“ (გვ. 344), „ამ არაბზანგინმა, ასე უძახოდნენ, რადგან არაბის ტყავი ეცემა, ისეთი ხმით შეპყვირა, რო ხელშიფენს გული შეუწუხდა და ცხენიდან გადმოვარდა“ (გვ. 347), „რო მივიდნენ, გადაიკვა არაბზანგინმა თავისი ტყავი“ (გვ. 347). დასაშვებია, რომ სიტყვა „არაბის“ ძველი ფორმა იყოს „ზარაბი“, რაც სპარსულად უნდა ნიშნავდეს: „წყლის ვირს“ (ზოროასტრულ პანთეონში სამფეხა ვირი ხარა დარაჟობს ვოურუჟაჟის მითითებებს. იგი კეთილი არსებებისათვის ნაყოფიერების მომტანია, ბოროტთათვის—მავნე და გამაბერწებელი). სავარაუდოა, რომ ზღაპრის გმირს მოსმული ჰქონდა „ზარაბის“ ტყავი (შდრ.: ერთ-ერთი პიმში ანაპიტას

მოსმული აქვს თავისი ბეწვი. თავი — სპარსულად آبی — წყლის ძალი. (იხ. E. Э. Бертелс, История персидско-таджикской литературы, М., 1960, (გვ. 38). შემოთქმულიდან გამოძინარე, არაბ ზანგი // არაბზანგინი // არამზალ-ის წინარე ფორმა შეიძლება ყოფილიყო ხარაბ-ზანგი // ხარაბზანგინი. ამდენად, ჩვენს ვარიანტებში არაბ ზანგი // არაბზანგინი ფაქტიურად წარმოადგენს წარმომავლობის აღნიშვნულ ზედმეტ სახელს და ზღაპრის გმირი ჯერ კიდევ ფუნქციონირებს სახელის შესაბამისად (შეენიშნათ, რომ ანალოგიურ ასურულ ზღაპარში სახელს დაკარგული აქვს თავისი შინაარსი და საკუთარ სახელადაა ქცეული: არაბ ზანგა კქეა ზღაპრის გმირის საძიებელ საცილეს (იხ. ასურული ზღაპრები, თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები ე. წერეთლისა, „არაბ ზანგა“, თბილისი, 1975, გვ. 83).

ჩვენს მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ ხარ/ხარა მრავლად გვხვდება კომპოზიტებსა და წარმოქმნილ სახელებში. ირანულ საკუთარ სახელებში ხარა-ს ხმარების შემთხვევები შესწავლილი აქვს თ. ჩხეიძეს. იგი წერს: „საადის უთქვამს, რომ სახედარი, რომელიც აღმდინანს ემსახურება, სკობს ლომს, რომელიც აღმდინანს გლეჯს“. ალბათ ასეთი დამოკიდებულება სახედრისადმი დამახასიათებელი იყო ძველი ირანელებისათვის, რადგანაც ხარა — სახედარი გვხვდება საკუთარ სახელებში. მკვლევარს წარმოდგენილი აქვს შემდეგი ნიმუშები: ძველი სპარსულიდან — *haxaka* < *hara* (სახედარი), *haxaica* (პატარა ვირი), *haxina* (იგივე), *haxarana* (სახედრის მღვეარი)—მუსლიმანურ ხანაში — *سخرسان*; სომეხლო სპარსულიდან—*haxona* — აპავეროსის კამერპერი; ახალი სპარსულიდან — *Xarfaš* (სახედრისებრი) — მაშუდ გურის მხედართმთავარი, *Xarfil* || *Xarmil* (სახედრის ალო) — პერაის მმართველი, *haxanak* < *haxnak* - *haxnak* *Farišeh* (სახედრის ყბა), *xarpost* (სახედრის ტყავი) — თავადი ლერში XII საუკუნის დამღვეს, *xarcat* (სახედრის თვალები) — ლახელი მხედართმთავარი. ცნობილი ყოფილა აგრეთვე *xay-*თუ შდრგენი ანთროპონომი პართულ ხანაში — *χαρανους* (ჟორი) — პართელი თავადი სელუკოს I დროს (ეისარგებლეთ თ. ჩხეიძის ხელნაწერთ).

არაბ ზანგი თავისი მითოლოგიური სახით და არსით მოგვაგონებს ქართული წარმართული რიტუალის „პერიკაობა-ყვენობის“ ერთ-ერთ პერსონაჟს — ყვენ-ყადს, რომელსაც დაქირებული აქვს ნაყოფიერებისა და გამრავლების მიზნით მისი ღვთაების ფუნქცია. ქვენების ქართულ სოფლებში ყვენს გადმობრუნებულ დიდ წამოსასხამ ტყავს აცქედდნენ... თავ-პარის სულ მთლად უშეაყებდნენ წყალში გახსნილი ბუხრის ნუჯის, ქვარტილი... შემდეგ ვირბე მესვამდნენ და ისე დაყავდათ კარდაკარ: (ხაზი ჩვენია) და სხვ. (მასალა ციტირებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ, ქართული ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 67 — 81).

უნდა შეინიშნოთ, რომ შეიძლება საკუთარი სახელი არაბ ზანგი // არაბზანგინი დაგვიკავშირებინა ზანგების აქანებთან (Эзиджма, или заиджма; называли темнокожих африканских рабов, привозимых морем работорогвицами из Западной Африки из Занзибара. იხ. История Ирана, М., 1977, стр. 134) და კერძოდ აქანების ბელადთან ალი იბნ მუჰამედ ირაბ-სილთან (იხ. ჟურნ. „Сиз“, გამოსვლა მე-3 წელი, № 1, გვ. 84 (A), მაგრამ აღნიშნული მოქმედი პირს მეკეთრად გამოხატული ფუნქციონირება ზღაპრებში, რომელიც სხვაგანაც შეინიშნება (იხ. შენიშვნა № 12) და ყოველზე შემოთქმული, ამის შესაძლებლობას გამოიცხადებს.

გოლიათი მებრძოლი ქალის შესახებ ქართულ ხალხურ პროზაში იხ. მ. ფარტენაძე, გოლიათი ქალის სახე ხალხურ პროზაში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, IV, თბილისი, 1978, გვ. 54—60).

16. საგულისხმოა, რომ იმავე ფუნქციით წარმოვიგებება ვენერა // ანაიდა ფსრქეა-ამუროს ლიუებერა.

17. Сказки и легенды Сисстана, Москва, 1981, გვ. 215—224.
18. ხალხური პოეზი. შილოგინა ალ. გომილაშვილმა და რ. გეგრაძემ, თბილისი, 1950, გვ. 450.
19. ნაწარმოებში მოქმედების ანეკდოტის კვალდაკვალ კარგად იკვეთება ხურომანის, როგორც ისტორიულად ვაჟთა ინიკიატის ერთ-ერთი მონაწილის სახე. ფიციხობობდა წითელ არაბთან, შემდეგ — შვე არაბთან, დასასრულ — როსტომთან. მოსალოდნელი იყო, რომ როსტომთან მას შეეძენა ოჯახი, მაგრამ თეთონვე უარყო ფიცი (იხ. იქვე, გვ. 450—453).
20. იხ. 188—189, 1972, «مسكو، آ، شاهنامه فردوسی»
21. იხ. М.-Н. О. Соснов. Фирдоуси. Жизнь и творчество, М., 1959, გვ. 142—143; П. С. Гиунашвили, Заметки о женских образах «Шах-наме», тсუ შჩომბი, ტ. 113, თბილისი, 1965, გვ. 185—186; D. M. O'Flagh. Die Frauen im Schahname, Freiburg, 1971, გვ. 52—54.
22. „შა-ნამეს“ ქართული ფოლკლორული ვერსიების ლიტერატურულ-ანთროპოლოგიური შესახებ იხ.: დ. კობიძე, „შა-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბილისი, 1959, გვ. 26—27.

Д. В. ОМИАДЗЕ

НЕСКОЛЬКО ПАРАЛЛЕЛЕЙ ВОИНСТВУЮЩЕЙ ЖЕНЩИНЫ АРАБ-ЗАНГИ//АРАБЗАНГИНИ В ФОЛЬКЛОРЕ И ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

Араб-Занги — одна из главных героинь персидской народной сказки о шахзаде Исмаиле и Араб-Занги. Она женщина-воительница, активно участвует в инициации главного героя сказки и помогает ему добиться невесты.

Грузинскими вариантами этой сказки являются «Сказка об Араб-зангине» и «Шахменли».

Араб-Занги//Арабзангини (Арамзада) своими действиями, внешностью и образом жизни напоминает богиню зороастрийского пантеона. По грузинским вариантам можно восстановить предполагаемую старую форму этого имени.

Интересные типологические двойники образа Араб-Занги представлены в произведениях народного творчества и художественной литературы (Абриза — из сборника «Тысяча и одна ночь», Хуроман — из грузинского «Ростомииани», царица — из систанской легенды «Рустам и Сухраб», Гордаферид — из «Шахнаме» Фирдоуси).

Существование образа Араб-Занги//Арабзангини определяется религиозно-этнографической реальностью. Этот образ вошел в эпос и художественную литературу, где получил соответствующее оформление.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფოლოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

რუსუდან ჩოლოყაშვილი

ცხოველთა ზღაპრის შესწავლის ისტორია საქართველოში

როდის მიიქცია ცხოველთა ზღაპარმა ქართული საზოგადოების ყურადღება, როგორც შესასწავლმა ობიექტმა? როდის ჩაიწერეს მისი პირველი ნიმუშები? და რა გავლენა მას შემდეგ ხალხური პროზის ამ საინტერესო ქანრის მიმართ?

მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ქართული ზღაპრული ეპოსის შესწავლას ადრე ჩაეყარა საფუძველი და მისი ისტორია იმ მომენტიდან იწყება, როცა ამ ქანრის ლიტერატურულ გადამუშავებას მიჰყვეს ხელი¹. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც ქართული ხალხური ზღაპრული ეპოსის ლიტერატურულ გადამუშავებას წარმოადგენს, და „ქილილა და დამანას“ — ინდურ იგავთა კრებულის „პანჩატატრას“ ქართული თარგმანი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე სომხურიდან ნათარგმნი „მელის წიგნი“ და ბერძნულიდან გადმოქართულებული ეზოპის იგავები.

რა პერიოდს ეკუთვნის ამ ბეგლთა გამოჩენა ქართულ სინამდვილეში?

ფილოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული იყო ვახტანგ VI-ის ვერსია, რომ ქართველებს ბველთაგანვე პქონდათ „ქილილა და დამანას“ თარგმანი, რომელიც გიორგი III-ის ეპოქას უკავშირდებოდა. მ. თოდუამ ახლებურად დააყენა ეს საკითხი². როგორც ვიცით, ვახტანგ VI-ს ამ ვერსიის საბუთს აძლევდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. იქ ის „ქილილა და დამანასეულ“ მხოლოდ ერთ იგავეზე უთითებდა. მოგვიანებით მ. ჭანაშვილმა ასეთ იგავთა რიცხვი ოთხამდე გაზარდა. მასალის ხელახალი გადასინჯვით მ. თოდუა ასკვნის, რომ მ. ჭანაშვილის მოსაზრება მცდარია და რომ „ვახტანგ VI მართალია, როცა მხოლოდ ერთ ქილილასეულ იგავეზე უთითებს და არა მეტზე. ჩვენ არ ვიცით, ისიც ქართულად გვექონია თუ რომელიმე არაქართული ვერსიიდან იცის „აზმანის“ ავტორმა“³ ეს იგავი. მით უმეტეს, რომ იგი „ყოველმხრივ განსწავლული კაცი ჩანს, რომელიც... აღმოსავლური და დასავლური განათლების ღრმა ცოდნას ამტკიცებს“⁴. ასევე შეიძლება შევხედოთ „ქილილა და დამანას“ ხსენების საკითხს „ქართლის ცხოვრებაშიც“⁵.

„ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმნა პირველად დაუწყია დავით კახთა მეფეს — ქეთევან წამებულის ქმარს და თეიმურაზ I-ის მამას (გარდაიცვალა 1602 წ.), მაგრამ დაბოლოება ვერ დასცალდა. ეს საქმე შემდეგ ანონიმმა ავტორებმა გააგრძელეს. როგორც ვიცით, ეს ნაწარმოები მარტო XVII—XVIII საუკუნეებში ხუთჯერ ითარგმნა. მის თარგმნას ღვაწლი დასდეს თვით ვახტანგ VI და ს.ს. ორბელიანმა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ „ქილილა და დამანასადმი“ ინტერესი ამ პერიოდში დიდი იყო.

ე. ი. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანი XVII საუკუნეზე ადრეული პერიოდისა არ არის. სულხან-საბა ორბელიანსაც თავისი „სიბრძნე სიცრუისა“ XVII საუკუნის ბოლოს შეუქმნია. კ. კეკელიძის აზრით, ეს ნაწარმოები უნდა დაწერილიყო სულხანის ბერად შედგომამდე, ე. ი. 1698 წლამდე⁶. გ. ლუონიძის ვარაუდით კი ეს უნდა იყოს 80-იანი წლები — მწერლის სიკვამლის ხანა⁷.

თუ რა სახის ცვლილებები განიცადა ფოლკლორის ნიმუშმა ლიტერატურის ამ ორ ძეგლში, ეს შემდგომი კვლევის საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მთელი რიგი საინტერესო გამოკვლევები არსებობს. მათ რომ ხალხური სიტყვიერება უღვევს საფუძვლად, ამის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება. ს.-ს. ორბელიანის შემოქმედების შესახებ კ. კეკელიძე წერს: „რაც შეეხება იგავ-არაკებს, არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულისაგან ამოღებული არ უნდა იყოს. ისინი ამოღებულია, მართლაც, ხალხის წიაღიდან“⁸. ალ. ბარამიძის აზრით, „ს.-ს. ორბელიანის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო ფოლკლორი“⁹. მ. ჩიქოვანი ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ „ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ წარმოდგენს ალორძინების ხანის ლირსშესანიშნავ ძეგლს, რომელშიც ქართულმა ზღაპრულმა ეპოსმა ბრწყინვალე გამობატულება პოვა. მწერალმა თავისი გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა ხალხური ფანტასტიკური მოთხრობები: ჯადოსნური, ნოველისტური და ცხოველთა ზღაპრები. „სიბრძნე სიცრუისა“ გამშვენიერებულია მოკლე ლექსებითა და ანექდოტებით, ანდაზებითა და აფორიზმებით, რომლებიც დღესაც ფართოდაა გავრცელებული ხალხში“¹⁰. ა. ცანავას დაკვირვებით: „ს.-ს. ორბელიანი, როგორც უაღრესად განსწავლული და მოაზროვნე ადამიანი, უდავოდ გრძნობდა ხალხური შემოქმედების მნიშვნელობასა და შესწავლის აუცილებლობას. როგორც ჩანს, იგი უშუალოდ იწერდა ხალხური გონებამახვილობის ნიმუშებს, თავისებურად ამუშავებდა და აძლევდა იგავ-არაკების კრებულებისათვის დამახასიათებელ სიტყვიერებურ და მხატვრულ გააზრებას“¹¹.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ეზოპის იგავ-არაკთა ქართული თარგმანიც, რომელიც უშუალოდ ბერძნულიდან არის შესრულებული. მისმა რამდენიმე ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. თითოეული მათგანი შეიცავს 40 არაკს. ამ არაკთა თარგმანს კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი და ს. იორდანიშვილი XVII—XVIII საუკუნეს მიაკუთვნებენ¹². ე. ბაკაშვილი აზუსტებს ამ თარიღს და თვლის, რომ თარგმანი შესრულებულია XVIII ს-ის I ნახევარში, არა უადრეს 1726 წლისა¹³. მაგრამ ქართველები ეზოპეს არაკს უფრო ადრე იცნობდნენ და შესაძლოა უფრო ძველი თარგმანი ჩვენამდე არ მოაღწეულა¹⁴.

იგავ-არაკული ენარის თხზულებას წარმოადგენს „მელის წიგნიც“, რომელიც XVII ს. ჩამოყალიბდა სომხურ ენაზე ვარდან აიგეკელის თხზულებათა საფუძველზე. „მელის წიგნის“ ქართული თარგმანი არ არის მაღალი დონის, ის ეკუთვნის იოანე პენტელაშვილს და შესრულებულია XVIII საუკუნის ბოლოს (1798 წ.). ს. ყუბანეიშვილის დაკვირვებით, ვარდანისეული არაკები ჩვენში გავრცელებული ყოფილა ზღაპრისა და ანდაზების სახით ქართულად გადმოთარგმანზე ადრე¹⁵.

ამ ნაწარმოებებზე ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, რომ მათში ცხოველთა ეპოსის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. თუ „ქილილა

და დამანას“ და ეზოპის იგავთა პირველი წყარო შორეული ქვეყნების ფოლკლორია, „მელის წიგნისა“ — მეზობელი სომეხი ხალხისა, „სიბრძნე სი-
ცრუისა“ პირდაპირ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებით იკვებება, ორ-
ბელიანისეული იმ 34 არაქის გარდა, რომლის პარალელებიც ა. ცანავამ ქარ-
თული ხალხური მახვილსიტყვიერების ნიმუშებში დაძებნა, რვა არაქა ეძებ-
ნება პირდაპირი პარალელი ცხოველთა ეპოსის ნიმუშებში. ესენია:

1. „ბერად შემდგარი მელა“ (გვ. 22)¹⁶ — ელ. ვირსალაძის მიერ შედგე-
ნილ ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელში, რომელიც შედგენილია
ზღაპრის საერთაშორისო საძიებლის მიხედვით, ამ სიუჟეტის შესატყვისი
ნომერია 61 I A¹⁷.

2. „სოფლის მაშენებელი“ (გვ. 25). — სიუჟ. № 61 III A.

3. „ენით დაკოდილი“ (გვ. 28) — სიუჟ. № 163. I.

4. „ნალბანდი მგელი“ (გვ. 43) — სიუჟ. № 122 A.

5. „აქლემი და ვირი“ (გვ. 51) — სიუჟ. № 217 I.

6. „კაცი და გველი“ (გვ. 112) — სიუჟ. № 154.

7. „მელი და წერო“ (გვ. 72) — სიუჟ. № 60.

8. „თხა და მელი“ (გვ. 131) — ფ. არქ. № 21113 „თხა და მელი“. (ეს სი-
უჟეტი საძიებელში არ არის შეტანილი).

სულხან საბა ორბელიანის იგავთაგან კიდევ ექვსი შექმნილია ცხოველ-
თა ზღაპრის მოტივებზე, ესენია:

1. „ზნელეთის პირს მსახლობელი და ქაჯი“ (გვ. 95) — სიუჟეტი № 222

C.

2. „უგუნური მცურავი“ (გვ. 10) — სიუჟეტთა საძიებელში ეს მოტივი
არ გვხვდება. ისევე როგორც ზღაპრისა „მელამ არ მოუცადა ღმერთს“
დაბეჭდილია კრებულში „ქართული (აქარული) ზღაპრები“, თბ., 1973, № 3.

3. „ცხრილიანი კაცი“ (გვ. 10) — სიუჟ. № 170 A.

4. „მელი და მწევარი“ (გვ. 135) — სიუჟ. № 61 I A.

5. „კატის გაზრდილი ღომი“ (გვ. 134) — სიუჟ. № 105.

6. „ყარყატთა სამართალი“ (გვ. 76) — სიუჟ. № 237 I.

ზევით ჩამოთვლილ არაქთა გარდა ორბელიანისეული კიდევ ოთხი არაქი
უნდა იღებდეს სათავეს ცხოველთა ზღაპრებიდან, მიუხედავად იმისა, რომ
მათი პარალელები ქართულ ზღაპრებში არ ჩანს. ეს არაქებია: „კუ და მორიე-
ლი“ (გვ. 65), „ქორი და იხვი“ (გვ. 148), „იხვი და მწევარი“ (გვ. 148) და
„ჩაღლი და მგელი“ (გვ. 145).

როგორც ვხედავთ, ყველა ეს ლიტერატურული ძეგლი XVII—XVIII ს.
განეუთვნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში თითოეული მათგან-
ის ოთხი-ხუთი თარგმანი შესრულებულა, დავინახავთ რა პოპულარობით
სარგებლობდა ჩვენში ამ დროისათვის იგავ-არაქული ჟანრი. ამ საერთო ინ-
ტერესის გათვალისწინებით, საკმაოდ ბუნებრივი ჩანს ქართული ზღაპრის
პირველი ჩანაწერების სწორედ ამ პერიოდში გამოჩენა. ყოველივე ზემო-
თქმული იმას არ ნიშნავს, თითქმის XVII საუკუნემდე ქართული მწერლობა
არ იცნობდა, ან არ იყენებდა იგავ-არაქს.

თორნიკე ჭყონია თავის ნაშრომში „იგავ-არაქული ჟანრის საწყისები
უძველეს ქართულ ლიტერატურაში“ აღნიშნავს, რომ იგავ-არაქები და იგავე-
ბი პირველად შემოვიდა ქართულ მწერლობიდან ძეგლებში ბიბლიის ქართული

თარგმანის შეშვეობით. ისინი გვხვდება აგრეთვე პაგიოგრაფიულ და პომილე-რიორ ძეგლებში, ზოგჯერ ეპისტოლეებშიც¹⁸.

არაერთი სასულიერო მწერალი იყენებდა თავისი აზრების დასასაბუ-თებლად წარმართული ჩანის თქმულებებს ან ძეგლებს. მაგალითად, ბასილ დიდს (IV ს.) ეზოპის ერთ-ერთი იგავ-არაკის ვრცელი შინაარსი აქვს გამოყე-ნებულო¹⁹. ადრეული პერიოდის კიდევ ორი იგავი, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები არიან, აქვს თ. ჭყონიას მიკვლეული და წერს, რომ: „XI საუ-ღუნოდან იგავ-არაკული ჟანრი თავს იჩენს საერთო მწერლობაში; მეთერთმე-ტე საუკუნის ისტორიკოსს ვახტანგ გორგასალის ისტორიაში შეუტანია ორი იგავი: „ყვავისა და ქორის“ და „თბუნელის“ შესახებ²⁰.

მართალია, ეს იგავნი ცხოველთა ზღაპრის ტიპურ ნიმუშებს არ წარმო-ადგენენ, მაგრამ მათი აღნუსხვა ინტერესს მოკლებული არ არის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგავ-არაკები, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები არიან, განსაკუთრებით პოპულარულნი XVII—XVIII ს-ში ყოფილან. ქართული მწერლობა მოგვიანებითაც იცნობს ცხოველთა ეპოსის ლიტერატურული გა-დამუშავების მშვენიერ ნიმუშებს. XIX ს-ში ბევრი ნაწარმოები შეიქმნა მათი გავლენით. მათ ვხვდებით ისეთ მწერალთა შემოქმედებაში, როგორებიც არი-ან: გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ცახელი, ია-კობ გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილმა გარდა იმისა, რომ შეკრიბა და ლიტერატურულად გა-დამუშავა ქართული ფოლკლორის ნიმუშები, აგრეთვე, როგორც „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შემდგენელმა დიდი ამაგი დასდო ქართული ზე-პირაიტყვიერების ნიმუშთა გამოქვეყნებაც საქმეს, რომელთაგან განსაკუთრე-ბული ადგილი ცხოველთა ზღაპრის ეკუთვნის. 1876 წ. „დედაენაში“ ქართუ-ლი ხალხური ცხოველთა ზღაპრის 23 ნიმუშია დაბეჭდილი. როგორც ვიცით ი. გოგებაშვილს ზოგჯერ მცირეოდენი შეისწორება შეჰქონდა ხალხურ ტექს-ტში. მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ გოგებაშვილისეული შესწორებით დაჰკვიდ-რდა შემდგომში „მოდო ვნახოთ ვენახი“ და „რწყილი და ჭიანჭველა“²¹. ამ უკანასკნელის ხალხური პერსონაჟი კუტკალია მხოლოდ ბებურის გამოცე-მაში გვხვდება²². გოგებაშვილი, ბავშვთა აღზრდის საქმეში ანიჭებდა რა იგავ-არაკს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, „დედაენაში“ მის საუკეთესო ლიტე-რატურულ ნიმუშებსაც აქვეყნებდა. ს.-ს. ორბელიანისა და XIX საუკუნის ქართველ პოეტთა გვერდით აქ ვხვდებით ეზოპისა და კრილოვის იგავებს. აქ-ვეა რუსული, გერმანული, ბერძნული ხალხური ცხოველთა ზღაპრის ნიმუ-შებიც.

როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის მკვლევარი თ. ჭიბლაძე აღნიშნავს, „XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით გაიზარდა საბავშვო იგავ-არაკთა რიცხვი. ქართულ საბავშვო პერიოდულ გამოცემებში თუ საყმაწვილო კრებულებში საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას იგავ-არაკთა ჟანრზე“²³, რაშიც მეცნიერი ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სი-ტარუისას“ გავლენას ხედავს. ამ პერიოდში სისტემატურად აქვეყნებდნენ ორი-გინალურ და ნათარგმნ იგავებს გ. სალარიძე (ახალციხელი), ალ. სარაჯიშვი-ლი, მ. ლელაშვილი, თ. ალხაიშვილი, ალ. მირიანაშვილი, ლ. აღნიაშვი-ლი, ან. თუმანიშვილი-წერეთლისა და სხვები. ზოგიერთი მათგანი საბავშვო იგავ-არაკებს ცალკე წიგნადაც სცემდა²⁴.

საერთოდ 50-იანი წლებიდან ფართოდ იყო გაჩაღებული ფოლკლორის შეკრება, რომელიც ქვეყნდებოდა ეურნალ-გაზეთებში. ქართული პრესის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ხალხური ლექსები, სიმღერები, გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები და ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები. მათ შორის ვხვდებით ცხოველთა ზღაპრებსაც. XIX საუკუნის ბოლოს რვა დასახელების ეურნალ-გაზეთში ამ უნარის სულ 25 ნიმუშია დასტამებული. ესენია: „მელიას ხრიკები“ — „ნობათი“, 1884, № 3; „ნელა და მგელი“ — „დროება“. 1869, № 36; „მელა და ერკემალი“ — „ჭეჭილი“, 1890, № 1; „მელა და გლეხი“ — „ჭეჭილი“, 1890, № 2; „მელია და კაკაბი“, — „ჭეჭილი“. 1899, № 3; „მელა და პატარძალი“ — „ივერია“, 1900, № 198, „იადონი და ბულბული“ — „აკაკის კრებული“, 1899, № IV, II და სხვა. ეს ზღაპრები ჩაწერილია თ. რაზიყაშვილის, ალ. მაჩაბლის, პ. მირიანაშვილის და სხვათა მიერ.

ცხოველთა ზღაპრას ასევე მოკრძალებული ადგილი უკავია თბილისში გამოცემულ ამ დროის რუსულ პერიოდიკაშიც. მართალია, აქ ქართული ტექსტი უმეტესად არა გვაქვს, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. СМОМПК (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа) — ცხოველთა ზღაპრის რამდენიმე ნიმუში გვხვდება. მაგალითად, 1903 წლის № 32, 11, დაბეჭდილია მ. ჯანაშვილის ჩაწერილი: „კოდალა, მელა და ყორანი“. „ლომი და კაცი“, „ბებერი მგელი“, „ციკნები და მგელი“, „ბელურა“, „მელას ოინები“.

მასალათა კრებულში აღნიშვნის ღირსია მ. გ. მაშურკოს ჩანაწერები²⁵. მას საგანგებოდ შეუგროვებია განსაკუთრებული ტიპის ზღაპრები, რომლებსაც დღეს ეთნოლოგიურს ვუწოდებთ და ცხოველთა შესახებ ზღაპრებს მიეკუთვნება. ამ ტიპის ზღაპართა თავისებურებაზე ფ. ზანდუქელმა შეაიჩრა ყურადღება და აღნიშნა, რომ იგი მნიშვნელოვნად ატარებს თქმულებათა იერს²⁶. ეს ზღაპრები გამოირჩევა სიძველით და ადამიანის ფანტაზიის გამოვლენის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მათში ახსნილია ამა თუ იმ არსებობისა თუ მოვლენის წარმოშობის მიზეზი. მ. მაშურკო იყო ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი. მასალების ნაწილი თვითონ ჩაუწერია, ნაწილი კი მისთვის მიუწოდებიათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებს. შესაბამისად ეს ნიმუშები ამ გუბერნიებშია შეგროვებული²⁷. „მასალათა კრებულში“ ამ ტიპის 16 ნიმუშია მოცემული.

XIX საუკუნის ბოლოს (1895 წ.) გამოვიდა ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფია ალ. ხახანაშვილის «Очерки по истории грузинской словесности». ამ ნაშრომში მოცემული იყო ზღაპართა კლასიფიკაცია, სადაც ისინი დაყოფილი იყო სამ კლასად. ესენია: 1. მითოლოგიური ზღაპრები, რომლებშიც ქარბობს ფანტასტიკური, სასწავლებრივი საწყისი; 2. საყოფაცხოვრებო ზღაპრები, რომლებშიაც მთავარი ადგილი ეკუთვნის ადამიანის ზნეობრივ ღირსებათა გამოსახვას; 3. ცხოველთა ზღაპარი ან ცხოველთა ეპოსი²⁸. ეს კლასიფიკაცია არ იყო ახალი. ის მომდინარეობდა 90-იანი წლების ფოლკლორისტების შეხედულებიდან.

ალ. ხახანაშვილი აქ შეეხო ცხოველთა ეპოსის წარმოშობის საკითხს. მეცნიერი თვლიდა, რომ ცხოველთა ეპოსი შეიქმნა იმ ეპოქაში, როცა პირველყოფილი კაცი ასულიერებდა მთელ ბუნებას, თავის მსგავსად თვლიდა იმ ცხოველებს, რომლებთანაც მას უწევდა ბრძოლა. ცხოველთა ყოფაზე ახლო

დაკვირვების შემდეგ ადამიანი ველარ გრძნობდა მათ მიმართ რელიგიურ შიშს, და ცხოველთა მითები გადავიდა ზღაპარში. ძველ ზღაპარში ცხოველები არ წარმოადგენენ ადამიანთა ალევორიულ სახეს. მოგვიანო იგავთა მსგავსად, პირიქით, ისინი ინარჩუნებენ მათი ბუნებისათვის დამახასიათებელ ინსტიქტებს, ადამიანურ თვისებებთან და მოქმედებებთან ერთად შერწყმულს²⁹.

მონოგრაფიაში მოყვანილ ცხოველთა ზღაპრის ნიმუშთაგან არც ერთი არ არის დღევანდელი გაგებით ამ ქვეყანარისა. ცხოველთა ზღაპრის დღეისათვის ასევე არატიპურ მაგალითს ასახელებს ცნობილი ქართველი მწერალი ვ. ბარნოვიც თავის ფოლკლორული ლექციების კურსში³⁰. მწერალი ამ ციკლის ზღაპრებს თავის კლასიფიკაციაში უწოდებს ზღაპრებს პირუტყვთა შესახებ და თვლის, რომ ისინი უძველეს დროში არის შექმნილი, როდესაც ხალხი ნადირობასა და საქონლის მოშენებას მისდევდა. ხშირი კონტაქტის წყალობით აკვირდებოდა ადამიანი ცხოველთა ცხოვრებასა და ხასიათს, რაც შემდეგ ზღაპარში აისახა. ეს ზღაპრები არ არის იგავ-არაკები, რომლებშიაც ნართული თქმა არის და პირუტყვთა სახით ადამიანები არიან გამოყვანილნი, არამედ პირდაპირა ხატავენ პირუტყვთა ცხოვრებას, სწორედ ისე, როგორც სჯეროდა მაშინ ხალხს³¹.

ქართულ ხალხურ ზღაპრებზე რევოლუციამდელი პერიოდის ამ გამოკვლევების გარდა საინტერესოა ერთი შრომაც, რომელსაც მ. ჩიქოვანმა ნ. მარს არჩივში³² ჰოიკვლია. „შენიშნად“ წოდებული ეს ნაშრომი წარმოადგენს თ. რაზიკაშვილის ქართული ტექსტების (1909 წლის გამოცემის) მოკლე განხილვას. თუმცა შრომა ხელმოუწერელია, მ. ჩიქოვანის წინასწარი ვარაუდით, ის თ. რაზიკაშვილს ეკუთვნის და შესრულებულია კრებულის გამოცემის პირველსავე ხანებში.

ნაშრომის ავტორი იძლევა კრებულში დასტამბულ ზღაპართა დაჯგუფება-კლასიფიკაციას. 107 ზღაპარი 5 ციკლად არის დაყოფილი: 1. საყოფაცხოვრებო, 2. ნითოლოგიური, 3. მხეცების, 4. საგმირო და 5. ბილინური ციკლები³³. ცხოველთა ეპოსის ანუ მხეცთა ციკლში 14 ზღაპარია შესული. ესენია: „დათვი და მელა“, „მგლის ბერად შედგომა“, „მელია, მამალი, ბატკანი და ზიტა“ და სხვა. ეს მოკუთვნება ეპეს არ იწვევს და დასახელებული ტექსტები პირითადად მ. ჩიქოვანმაც ამავე ჯგუფში შეიტანა — 1938 წ. და 1963 წ. გამოცემებში.

რევოლუციის შემდეგ, 1925 წ. გამოვიდა თ. ბეგიაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ სახელმძღვანელოს I ნაწილი, სადაც ქართული ხალხური სიტყვიერებაა განხილული. ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მეცნიერი მთლიანად იზიარებს ალ. ხახანაშვილის პოზიციას³⁴.

ზღაპრის ახლებურ კლასიფიკაციას, რომელიც არსებითად განსხვავდება ადრინდელისაგან, გვაძლევს მ. ჩიქოვანი. აქ ზღაპრის 6 ქვეჯგუფს ვხვდებით. ესენია: 1. ცხოველთა ეპოსი, 2. მისნური ანუ ჯადოსნური ზღაპარი, 3. საყოფიერო-ნოველისტური ზღაპარი, 4. საგმირო ზღაპარი, ანუ საგმირო ეპოსი, 5. ლეგენდები, 6. ანეკდოტები³⁵.

მეცნიერის აზრით. ცხოველთა ეპოსის წინა რიგში დაყენება ნაკარნახევია ჯანრის სიტყვიერობა. მართალია, ამ ქვეყანარის პირველადობას ყველა მკვლევარი არ იზიარებს³⁷, მაგრამ ის ეპიკურ ქანრთა შორის მართლაც ყველაზე ძველია. მისი სათავე ტოტემიზმსა და ანიმიზმში უნდა ვეძებოთ. პირ-

ველყოფილი ადამიანი თავის მახლობლად მყოფ ცხოველებს ადამიანურ თვისებებს მიაწერს და თავისდა ნათესავად მიიჩნევს. ადამიანი აკვირდება ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანებთან კავშირს და აღწერს მას. ასე იქმნება პირველი მარტივი ამბავი ცხოველთა მონაწილეობით, რომელიც მერე ნაირსახევედება და ამჟამად მას ცხოველთა ეპოსს ვუწოდებთ³⁸.

ამ სახის ნაწარმოებთა ფანტატიკა თავისებურია. მასში წარმოსახვის საშუალებით მოცემულია ცხოველის რეალური სახე, ნამდვილი ჩვევები და ყოფა³⁹. მ. ჩიქოვანი გვაძლევს ქართული ცხოველთა ზღაპრის პირველ მხატვრულ ანალიზს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს⁴⁰: ცხოველთა ზღაპარი ნაწარმოების აგების, მხატვრული კომპოზიციის თვალსაზრისით მარტივია. ეს გამოწვეულია ცხოველთა ზღაპარში ეპიზოდების რიცხვის, მოქმედი გმირების სიმცირით და მინიმუმამდე დაყვანილი წარმოსახვის საშუალებებით. მკვლევარი გვაძლევს ზღაპრის პერსონაჟთა დახასიათებასაც, რომელთა მიხედვითაც გამოყოფს ცხოველთა ზღაპრის ქვეჯგუფებს. ესენია: ამბები მელას შესახებ, სხვა გარეული ცხოველები, გარეული და შინაური ცხოველები, ადამიანი და გარეული ცხოველები, ადამიანი და შინაური ცხოველები, ფრინველები და სხვა⁴¹.

ქართული ხალხური ცხოველთა ეპოსის შესწავლის საქმეში უნდა აღინიშნოს ელ. ვირსალაძის დამსახურება. მან ეკუთვნის ცხოველების შესახებ ზღაპრების სიუჟეტური საძიებელის შედგენა აარნე-ანდრეევის მიხედვით. ამ საძიებლიდან ჩანს, რომ ქართულ ფოლკლორში ცხოველთა ზღაპრები საკმაოდ მდიდრად არის წარმოდგენილი. ფიქსირებულია სულ 80-მდე ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტი. ქართულ ფოლკლორში არსებულებიდან 30 სიუჟეტი აარნესა და ანდრეევის კატალოგებში არ არის ცნობილი; დაახლოებით ამდენივეა ცნობილი სიუჟეტების ორიგინალური ქართული ვარიაცია⁴². გარდა ამ საინტერესო შრომისა. ელ. ვირსალაძე ზოგადად ზღაპრისადმი მიძღვნილ გამოკვლევაშიც ეხება ცხოველთა შესახებ ზღაპრებს. ტრადიციისამებრ ელ. ვირსალაძეც მათ ზღაპრის ერთ-ერთ არქაულ სახეობად თვლის, რომელშიც სწორედ ეს საფეხური აღიბეჭდა ადამიანის ისტორიისა. მისი მთავარი პერსონაჟი ცხოველია და არა ადამიანი, რომელიც მათთან შედარებით სუსტია და პასიური⁴³. მეცნიერის აზრით, ამ ზღაპარში არ არის შეცნობილი კიდევ პრინციპული განსხვავება ადამიანსა და ბუნებას შორის და, თუ ცხოველები ემსგავსებიან ადამიანს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანებთან გაიგივებულები არიან⁴⁴.

საგანგებოდ ჩერდება ცხოველთა ეპოსზე ა. ცანავა. იხილავს რა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში სატირისა და იუმორის საკითხს, ქართულ ხალხურ პროზაში ცხოველთა ეპოსს ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებს მეცნიერი საკუთრივ სატირულ ზღაპართან ერთად. მათში სატირა და იუმორი ჩნდება იმ პერიოდიდან, როდესაც კლასობრივ საზოგადოებაში ცხოველზე შექმნილმა ზღაპარმა მიიღო ალეგორიული გავება, იგავ-არაყის სახე. სხვანაირად არც შეიძლება, რადგანაც როგორც მეცნიერი წერს: ადრე, როცა ადამიანი თავის თავს ცხოველისაგან არ გამოყოფდა, და განსაკუთრებით ცხოველთა ტოტემიზმის ფორმირების ეპოქაში, შეუძლებელია დაისვას საკითხი სატირისა და იუმორის შესახებ⁴⁵. იგავ-არაყს ა. ცანავა ცხოველთა ეპოსის მნიშვნელოვან სახედ თვლის, რომელსაც საფუძვლად უდევს მოწინააღმდე-

გი. გაპატონებული კლასის წარმომადგენელთა გაკიცხვის, დაცინვის შენიღბული, ალეგორიული ფორმა⁴⁸.

ცხოველთა ზღაპრის შესწავლას ეძღვნება ფ. ზანდუქელის ორი შრომა. მეცნიერი იხილავს რა საბავშვო ფოლკლორის საკითხებს, ჩერდება ცხოველთა ზღაპრებზე. მის გამოკვლევებში „ცხოველთა ზღაპრის სტრუქტურის საკითხები“⁴⁹ და „ცხოველთა ეპოსის სტილური თავისებურებანი“⁵⁰ ვრცლად არის განხილული ცხოველთა ზღაპრის სტრუქტურისა და სტილის საკითხი. მეკვლევარს ამ მხრივ სპეციალურად შეუსწავლია ზღაპარი და მიღებული დასკვნები ნათლად ფენენ როგორც ამ ეპოსის მთელ რიგ თავისებებს, ასევე ქართულ ცხოველთა ზღაპრისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ფ. ზანდუქელი, განიხილავს რა ამ ნაწარმოების სტრუქტურას, სპეციალურად ჩერდება: ზღაპრის სათაურებზე. პერსონაჟების სახელებზე, კომპოზიციურ ელემენტებზე, როგორებიც არის: ზღაპრის დასაწყისი, დასასრული, დიალოგი, ჩანართები. განმეორება. ცხოველთა შესახებ ზღაპრის პერსონაჟთა დახასიათებისას, მეცნიერი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს მოვლენებისა და ფაქტების გადამიანურებაზე, ან უფრო ზუსტად, სინამდვილის წარმოჩენისას ადამიანთა გრძნობებისა და განცდების განახვისებაზე⁵¹, რის გამოც მეცნიერი ასკვნის, რომ ამგვარ ნაწარმოებში ნამდვილი სუბიექტია არა ცხოველი, არამედ მთქმელი, მთხრობელი: ის ვინც ამბავს გადმოგვცემს. ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟთა ადამიანურ თავისებებს ფოლკლორისტები ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ პირველად ფ. ზანდუქელმა გვაჩვენა, რომ ქართული ცხოველთა ზღაპრის სტილურ თავისებურებათა მეტი ნაწილი აქედან გამდინარეობს.

როგორც უკვე ვნახეთ, ცხოველთა ზღაპრის ქართულ სინამდვილეში, სხვა ხალხთა ფოლკლორის მსგავსად, შედარებით მოკრძალებული, მაგრამ საპატიო ადგილი ეკუთვნის. მართალია, მისი ჩანაწერები შედარებით მცირეა, სიუჟეტური მრავალფეროვნებით და ვარიანტულობით სხვა ხალხის ზღაპრებს ჩამოუვარდება, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ცხოველთა ზღაპარი უძველესია პროზის სხვა ეპოსთა შორის და მისი აქტუალობაც თანდათან კლებულობს, რაც მის გავრცელებაზეც მეტყველებს. ზემოთ თქმულს მიუხედავად, ცხოველთა ზღაპარი დღესაც გვხვდება ქართველ მთქმელთა რეპერტუარში.

საერთოდ ცხოველთა ზღაპრის შეკრებაში XIX საუკუნიდან მოყოლებული მონაწილეობა მიუღია მეტ-ნაკლებად ყველას, ვისაც ქართული ხალხური სიტყვიერებისადმი ზრუნვის საქმეში მიუძღვის დამსახურება. ბოლოს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ცხოველთა ზღაპრის შეკრება-შესწავლა ფოლკლორის სხვა ეპოსთა პარალელურად ხდებოდა. მას იკვლევდნენ: როგორც ზღაპრის ერთ-ერთ სახესხვაობას ზღაპრის საერთო განხილვა-დახასიათებისას; როგორც ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში სატირისა და იუმორის გამოვლენის ერთ-ერთ სფეროს; როგორც საბავშვო ფოლკლორის შემადგენელ ნაწილს; ცხოველთა ზღაპარი განხილულია, აგრეთვე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშთა ერთ-ერთი პირველწყარო და, ბოლოს, ელ. ვირსალაძემ შეადგინა საკუთრივ ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. მ. ჩიქოვანი, შესავალი წერილი წიგნისა: ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის, რედაქციით და კომენტარებით, ტ. I, თბ., 1938, გვ. XXXII.
2. მ. თოდუა, ზოგიერთი ცნობა „ქილილა და დამანას“ წარმოშობის შესახებ, წიგნში: ქილილა და დამანა, მეფე ვახტანგ VI-ისა და ს.-ს. ორბელიანის თარგმნილი, ტექსტი დაადგინა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1975, გვ. 68—71.
3. იქვე, გვ. 70.
4. კ. კეკელიძე, შესავალი თარგმანის «История и восхваление венценосцев», თბ., 1954, გვ. 9—10.
5. მ. თოდუა, დასახ. შრომა, გვ. 71.
6. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 455.
7. გ. ლენიძე, ს.-ს. ორბელიანი და „სიბრძნე სიცრუისა“, ქ. წიგნში: ს.-ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1957, გვ. XLVI.
8. კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 456.
9. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 272.
10. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, გვ. XXVI.
11. ა. ცანავა, წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ და ქართული ხალხური მახვილსიტყვაობა, თბ., 1959, გვ. 95.
12. კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 481; სიმ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1950; ეზოპეს იფენი, ს. ორდანიშვილის გა-მოცემა, თბ., 1944, გვ. 3.
13. ე. ბაკაშვილი, ესოპეს არაკების ქართული თარგმანი. ლიტერატურული ძიებანი, XII, თბ., 1959, გვ. 223.
14. იქვე, გვ. 216.
15. ს. ყუბანეიშვილი, მელის წიგნის ქართული ვერსია, ლიტერატურული ძიებანი, V, თბ., 1949, გვ. 228.
16. იფენი-არაკების გვერდები მითითებულა: ს.-ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, გ. ლენიძის წინასიტყვაობით და ს. ორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1957.
17. ელ. ვისალაძე, ზღაპრის სიუჟეტური საძიებელი, ლიტერატურული ძიებანი, XIII, 1961 წ.
18. თ. კყონია, იფენი-არაკული ეპოსის საწყისები უძველეს ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, V, თბ., 1949, გვ. 269.
19. იქვე, გვ. 284.
20. იქვე, გვ. 288.
21. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975, გვ. 254—255.
22. Б. Б е б у р, Грузинские народные сказки, С—Пб., 1884, გვ. 25.
23. თ. ჭიბლაძე, სიბრძნე სიცრუისა XIX საუკუნის ქართულ საბავშვო ლიტერატურაში, წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 286.
24. უფრო უხსტად ამ საკითხზე იხილეთ: თ. ჭიბლაძე, დასახ. შრომა.
25. ე. არჭვანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია «СМОНПК»-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, თბ., 1971, გვ. 68.
26. ფ. ზანდუკელი, ცხოველთა ზღაპრის სტრუქტურის საკითხები, წიგნში: ფ. ზანდუკელი, ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები, თბ., 1977, გვ. 89—119.
27. М а ш у р к о М., Из области народной фантазии и быта, СМОНПК, 1894 № 18, განყ. III, გვ. 228—410.
28. А. С. Х а х а н о в а, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, Народный эпос и апокрифы, СПб., 1895, გვ. 76.
29. იქვე, გვ. 105.
30. ე. ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 10, თბ., 1964, გვ. 255.
31. იქვე, გვ. 246.
32. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, 800, № 638.
33. ეს შრომა განხილულია მ. ჩიქოვანის „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიის“ მიხედვით, თბ., 1975, გვ. 307.

34. თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1925, გვ. 112—128.
35. მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. ზღაპრები, გვ. XLIV.
36. მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 286.
37. ალ. ლლოტი, ქართული ხალხური ნოველები, სტალინობი, 1956, გვ. 29.
38. მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, გვ. 287.
39. იქვე, გვ. 288.
40. მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. ზღაპრები, გვ. XLV—L.
41. მ. ჩიქოვანი, ქართ. ფოლკლორი, გვ. 289.
42. ელ. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ., 1960, გვ. 384.
43. იქვე, გვ. 381.
44. იქვე, გვ. 383.
45. ა. ცანავეა, სატრია და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1960, გვ. 4.
46. იქვე.
47. წიგნში: ფ. ზანდუკელი, ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები, თბ., 1977, გვ. 89—119.
48. წიგნში: ფ. ზანდუკელი, წერილები, საბავშვო ფოლკლორზე, თბ., 1980, გვ. 34—53.
49. ფ. ზანდუკელი, ცხოველთა ზღაპრის სტრუქტურის საკითხები, გვ. 25—31.

Р. К. ЧОЛОКАШВИЛИ

ИСТОРИЯ ИЗУЧЕНИЯ СКАЗКИ О ЖИВОТНЫХ В ГРУЗИИ

Резюме

История изучения сказки о животных связана с изучением сказки вообще. По мнению проф. М. Чиковани, начало этому положили литературные обработки образцов народного творчества. Этот период относится не раньше, чем к XVII веку.

С тех пор, как началось научное изучение народной словесности, грузинские фольклористы рассматривают сказку о животных как: а) одну из жанровых разновидностей сказки, б) основу литературных памятников, в) сферу проявления народной сатиры и юмора, г) составную часть детского фольклора и д) как собственно сказку о животных. Составлен указатель сюжетов этого жанра.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

მ ზ ი ა ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

დაკვირვებები თანამედროვე სპარსული პროზის
მცირე ფორმის ჟანრებზე

თანამედროვე სპარსული ბელეტრისტიკის მცირე ფორმის ჟანრების კვლევისას გამოიყოფა მთელი რიგი მომენტები, რაც საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნული ლიტერატურის განვითარების ტენდენციებსა და მიმართულებებზე.

თემატური კავშირები, მასალის ხელახალი დამუშავება, ტიპოლოგიური სიუჟეტების გამოყენების შემთხვევები არაიშვიათი მოვლენაა XX ს. ირანელი ავტორების შემოქმედებაში (შდრ. ა. ჰალათის "გულმაფიწყი" და მ. სოჰაილია "გულმაფიწყობის მწვერვალი". დასახელებულ მოთხრობებში წამოჭრილი საკითხები ზნეობრივი პრობლემატიკის სფეროს განეკუთვნება. ერთ მათგანში თუ კონკრეტული ინდივიდის მაგალითზე ხდება თემის გაშლა, მეორეში მეტი ყურადღება ექცევა საზოგადოების მორალური პრინციპების გამოკვეთას).

ანალოგიას მორტივების, სცენებისა თუ ტიპების აღწერის თვალსაზრისით ყურადღება მიაქციეს ირანელმა ლიტერატურათმცოდნეებმაც (მაგ. რ. ბარაჰანი¹ მსგავსებას ხედავს ს. ჩუბაქის მოთხრობებს „ომარქოშანსა“ და „ფაჩეხი-ზაქან“ შორის. მისივე აზრით, ს. ჩუბაქის ნოველა „ემმტრედეს“ ექსპოზიციურ ნაწილს პარალელი ეძებნება ს. ჰედაიათის „დაშ აქოლის“ სათანადო სცენათან):

ა. დასთყები გამოყოფს ორ ხაზს ლ. საედის შემოქმედებაში (ქუჩას შეკედლებული ადამიანების ცხოვრებით დაინტერესება და პათოლოგიური სამყაროს ასახვა). საფიქრებელია, რომ ს. ჰედაიათის ზოგი გმირის მსგავსად უფროს მშასაც (ლ. საედის „ორი ძმა“) ახასიათებს სწრაფვა თვითმკვლელობისაკენ, რასაც დღითი დღე ამღიერებს ახალგაზრდა ქალის საყვედური და მოუშორებელი ნალველი². ლ. საედი ზოგი მხატვრული სურათის აღწერისას ცრცელ მოთხრობაში „იარალი“ ჰბაძავს ს. ჰედაიათის „ბრმა ბუს“ და ჭეღალ ალუ აჰმადის რიგ ნაწარმოებებს³.

ამჟამად, რომ მწერალთა შორის გენეტიკური კავშირის არსებობა მეტი თვალსაჩინოებით ელინდება ლიტერატურულ გმირთა სულიერი სამყაროს კვლევისას. პერსონაჟთა ფსიქიკური წყობა, უარყოფითი ემოციები, თვითმკვლელობის ცდუნება ლ. საედის შემოქმედებას აკავშირებს ბაჰრამ სადუყის ნოველებთან, ოღონდ ამ უკანასკნელთან შედარებით ლ. საედის რეალიზმი მეტი ობიექტურობით გამოირჩევა⁴.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა ირანელ შემოქმედთა ერთი

¹ რეზა ბარაჰანი, ყესენეისი, თეირანი, 1970, გვ. 635—636.

² ა. დასთყები, ნაყდე ასარე ლოლამოსეინ საედი, თეირანი, 1973, გვ. 12—25.

³ მ. ქიანუში, ბარესიოე ნასრე ფარსიოე მოასერ, თეირანი, 1972, გვ. 146—147.

⁴ ა. დასთყები, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ნაწილი თავისი ფესვებით ღრმად სწვდება წინაპართა მხატვრულ მემკვიდრეობას და ლიტერატურულ ძიებათა გზაზე უარს არ ამბობს მათგან ამა თუ იმ მხატვრული დეტალის სესხებაზე. მ. სეფანლუს აზრით, ჰ. გოლშირის მოთხრობებით დეტატიური ელემენტების გამოყენებით უახლოვდება ბ. საღევის ნაწარმოებებს⁵.

კონტაქტური კავშირები აშკარაა ჯამალ-ზადეს „ქორწინება ნაირ-ნაირიასა“ და ხ. შაჰანის „მარცხიანს“ შორის. მსგავსების გათვალისწინებით შესაძლებელია პირველი მოთხრობა მეორის ლიტერატურულ წყაროდაც იქნეს მიჩნეული (ლოკალური ამოცანის გადაწყვეტისას ემთხვევა მწერალთა თვალსაზრისი). სიტუაციათა სემანტიკური კავშირით იქცევს ყურადღებას ხ. შაჰანს „მეშლილი“ და თუთის „ფიზიონომისტი“ (მღრ. პროკურორისა და ფსიქიატრის დამოკიდებულება უღანაშუალო ადამიანების მიმართ)⁶. ჯ. დორის დაკვირვებით, ორი ქალის კოლორიტული საუბარი (ს. ჩუბაქის „ძოწისფერი კაბა“) საღანცღავე სიტყვათა მოხმობით მოგვაგონებს სცენებს ს. პედაიის „ალავე ხანუმიდან“⁷.

აჩანაკლებ საინტერესო სურათს იძლევა ირანელ ავტორთა ტიპოლოგიური შეხვედრები რუსული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლებთან, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ მნიშვნელობას, რაც რუსი მწერლებს (ა. პუშკინი, ლ. ტოლსტოი, ნ. გოგოლი, თ. დოსტოევსკი, ა. ჩეხოვი, მ. გორკი) შემოქმედებამ იქონია თანამედროვე სპარსული ლიტერატურის რეალისტური ტენდენციების განვითარების საქმეში.

ბ. ალავის კრებულში „წერილები საპყრობილიდან“ შეიძლება შევნიშნოთ თ. დოსტოევსკის თხზულების „მკვდარი სახლის ჩანაწერების“ გავლენა, თ. დოსტოევსკისა, რომელიც ბ. ალავის მოთხრობის „სიკვდილი! (ეკვის“ მთავარი გმირის (მორთაზა) და მოთხრობის ავტორის საყვარელი მწერალაა⁸. ა. გვახარია მსგავსება შენიშნა მეორე რუს კლასიკოსთან. მისი აზრით, ბ. ალავის

⁵ მ. სეფანლუ, თანამედროვე სპარსული ნოველის ანთოლოგია, თეირანი, 1973, გვ. 248.

⁶ ქორწინების ჩაშლის თავისებური ხერხია გამოყენებული იუმორისტულ მოთხრობებში „უცნაური შეხვედრა“ (ა. პალთო) და „ქოს ოქროს ორი ბოლო აქვს“ (მ. სოაილი). აქ გვახსენდება ირანელ ავტორთა მიერ მოხმობილი ერთი საინტერესო მოტივიც, როცა მოპირდაპირე ძალებზე განაწივებული პერსონაჟი ამბობხვას იწყებს საღეთიმეტყველო სათნოების წინააღმდეგ და შხად არის გადასაწონს თავისი მორალურ-ეთიკური შეხედულებანი (იხ. ს. ჩუბაქის „ხის ცხენი“, რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის აზრით, ადამიანმა მეგობრობასთან ერთად მტრობაც უნდა შეძლოს, ოღონდ მოყვასის სიყვარულით არ ეგვიბს არსებობა. ამდენად, იესო ქრისტეს დრო წარსულის კეთენილება. ამ პრობლემამ განვითარება პოვა ს. დანეშვარის რომანში „საუშუნ“. იხ. კონკრეტულ სიტუაციაში ზოპრას მიერ შეხედულებათა შეცვლა ბავშვთა აღზრდის საკითხში, რომ იუსუფის სიკვდილის მერე იგი შეილებს ვაზრდის ადამიანებისადმი სიძულვილით და ვაჟს შაშხანას თავად მისცემს ხელში. აქვეა წარმოდგენილი საპირისპირო თვალსაზრისიც, რამდენადაც ერთ-ერთი პერსონაჟი გარემოებათა გათვალისწინებით მოთმინების მოწოდებით გამოდის და წარმოთქვამს ცნობილ რელიგიურ სენტენციას: სისხლს სისხლი ვერ ჩამოხანს, საამისოდ წყალია საჭირო. მოცემულ შემთხვევაში, ნაწარმოების ლოგიკიდან გამომდინარე, ცხადია, უფრო აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ქადაგება უნდა ვივულისხმოთ, ვიდრე უბრალოდ მტრობა ადამიანებს შორის. იხ. იმავე „საუშუნში“ უცხოელი ჟურნალისტის კაცთმოყვარობის გამოხატული ოცნება ისეთი თვითმფრინავის ავებაზე, საიდანაც ქურვების მაგიერ გადმოყრიან ბავშვების სათამაშოებს, ან ლამაზ ზღაპრებს. ს. დანეშვარი, „საუშუნ“, თეირანი, 1971, გვ. 15).

⁷ Дж. Дорри, Сатра Садега Чубака, «Народы Азии и Африки», 1975, № 5. с. 107.

⁸ А. Розенфельд, Жанр новеллы в персидской литературе продолжает развиваться, сб. «Угуйй узле», М., 1968, გვ. 10. იხ. აგრეთვე, ქ. იფთიმის მოთხრობის „რევიზორის“ ნ. გოგოლის „რევიზორთან“ მიმართების შესახებ — ა. როზენფელდი, იქვე, გვ. 12.

დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით დაწერილი ნაწარმოები „სიკვდილის ცეკვა“ ერთგვარად ეხმაურება ლ. ტოლსტოის „კრეიციერის სონატას“⁹.

40—50-იანი წლების მცირე ხანის თხზულებათა მიმოხილვისას ზ. ოსმა-ნოვა შენიშნავს, რომ ზოგი სპარსელი მწერლის შემოქმედება შესაძლებელია მივაკუთვნოთ ე. წ. „ფაქტის ლიტერატურას“, როცა ავტორები სწორად და დეტალურად ასახავენ ცხოვრებიდან აღებულ შემთხვევებს, დაწვრილებით და ზოგჯერ ფსიქოლოგიურად დამარწმუნებლად ასაბუთებენ მომხდარ ამბავს, მაგრამ თავს არიდებენ ტიპიზაციასა და დასკვნებს. გმირები ბრმად ემორჩი-ლებიან ბედს, ცდილობენ არ ილაპარაკონ მათი ბედუქლმართობის გამომ-წვევ კონფლიქტებზე¹⁰.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა, რასაც ახლო წარსულში ჰქონდა ადგილი, დააჩქარა ლიტერატურულ-შემოქმედებითი პრო-ცესის ინტენსიფიკაცია. დღის წესრიგში დადგა ახალი გზების ძიებისა და ახა-ლი ასპექტების წინ წამოწევის აუცილებლობა. 60—70-იანი წლების სპარსული პროზა ყურადღებას იქცევს ფილოსოფიურ-ეთიკური პლანის აქტიური დამუ-შავებით, მეტაფორული სტილისადმი ინტერესით, ადამიანის ფსიქიკაზე გა-ძლიერებული დაკვირვებით, პარაბოლური ხასიათის თხზულებათა მომრავლე-ბით. მწერალთა შესწავლის სფეროში მოექცა მრავალი აქტუალური საკი-თხი (იხ. თონჯაბონის „თვალის ახელა“, ს. ბუჰანგის „პატარა შავი თევზი“. ი. გოლესთანის „მკვდარი თუთიყუში“), ავტორები დიდი მონდომებით იბრძვიან მწერლობაში საკუთარი სათქმელის, საკუთარი ხელწერის დამკვიდრებისათვის.

ისლამური რევოლუციის წინა პერიოდში პროზაში დიდ მნიშვნელობას იძენს უცხო ელემენტების გაბატონებული პოზიციების საპროტესტო-მამხილე-ბელი თემატიკა.

ზემოაღნიშნულ საკითხთა წრეში შემოდის იბრაჰიმ რაჰბარის მოთხრობა „წყენა“ (ინგლისელი პედაგოგი ავიწროებს და უსამართლოდ ექცევა ბანკის ახალგაზრდა მოხელეს. ამ უკანასკნელს არა აქვს არავითარი იმედი, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ბანკის ხელმძღვანელობა მის მხარეზე აღმოჩნდება. ირანელ ახალგაზრდას ეკარგება სამართლიანობისადმი, საკუთარი თავისადმი რწმენა. სამშობლოში მარტოდმარტოდ და გარიყულად გრძნობს თავს).

უცხო ქარის შენახვის პრობლემა იჩენს თავს ი. გოლესთანის მოთხრო-ბაში „ეს იყო დიდი ხნის წინათ“ (მდრ. ს. დანეშვარის რომანი „საუუშუნ“. იგივე მოქმედების დროც — მეორე მსოფლიო ომის პერიოდი). მოთხრობა აგებულია რეტროსპექციის პრინციპზე. მოზარდის სულის ისტორია, ეჭვი და სიზმარი ქმნის ნაწარმოების სიუჟეტურ კონსტრუქციას (ვინმე მოჰამედ ალი ხანი, მშ. მინისტრისა, უცხო ქარისათვის ჟანდარმთა დახმარებით ფარსის სო-ფლებში ხორბლის შეგროვებას ცდილობს. სოფელში კი შიშშილობამ იფეთქა — პურა კანაფის თესლისა და ნახერხისაგან აცხოხენ).

⁹ ა. გვახარია, თანამედროვე სპარსული მოთხრობა, კრებული „რად ბორჯადა ზღვა“, თბილისი, 1973, გვ. 6. ფ. თონჯაბონის ერთ-ერთმა მოთხრობამ ნ. ზოხლოვს ათქმევინა, რომ მის წარმოდგენა არა აქვს, იცნობს თუ არა ირანელი ნოველისტი გლბ უსპენსკის ნაწერებს, მაგრამ ცხოვ-რებისეული მოვლენებისადმი მისეული მიდგომით ახლოსაა გასული საუკუნის რუსეთის ყოფა-ცხოვრების აღმწერლის პოზიციასთან. Н. Хохлов, Нива персидской прозы, сб. «Феридун Тонкабони», Новеллы, М., 1979, гв. 6. ჩვენი წერილი დასაბუქლად იყო გადაცემული, როცა გამოქვეყნდა დ. კობისაროვის წიგნი «Пути развития новой и новейшей персидской литера-туры», М., 1982, ამდენად, მისი გათვალისწინება ნაშრომში ვერ შეუძლებო.

¹⁰ З. З. Османова, Предисловие, сб. «Плод несчастья», М., 1960, гв. 8.

შეი ანერეკლი სამხედრო პირის წინაშე გაცხადებულია ღ. საედის ნოველაში „დანდილი“ (ანერეკლმა თავისი საქციელით შეურაცხყო სოფელი, მაგრამ მის წინააღმდეგ ხმის ამოდებას ვერაინ ზედავს. დანდილელებმა იციან, რომ ამერიკელის განრისხებას სოფლის მოსპობა მოჰყვება. სოფლისა და ამერიკელის დაპირისპირებაში იკვეთება წყალქვეშა დინების შინაარსი, ეროვნული ინტერესების მოღალატედ გამოდის პრივილეგიური კლასი და ხალხის გულისწყრომაც, ცხადია, მისკენ უნდა იქნეს მიმართული)¹¹.

საბჭოთა ირანისტებს არ გამოჰპარვიათ იმის შემჩნევა, რომ სულიერ გაუცხოების, მარტოობის თემაზე შექმნილი თხზულებები სულ უფრო მტკიცედ იკედებს ფეხს თანამედროვე ირანელ ავტორთა შემოქმედებაში¹².

საზოგადოებისაგან გათიშული, გაუცხოებული ადამიანის სტრუქტურული სახე („რომელმაც დაკარგა ადგილი სამყაროში“) ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ს. ჰედაიათმა ვრცელ მოთხრობაში „ბრმა ბუ“.

„ბუფე ქურის“ (ბრმა ბუ) არ არის ჩვეულებრივი, რიგიანად მოწყობილი სოციალური არსება. იგი უიღბლო აუტსაიდერია, რომლის ოცნებები და იდეალები ძალიან ემსგავსება იმ გროტესკულ სინამდვილეს, რომელსაც მოცემულ სამყაროში აღმოაჩენს. მას სურს შეცვალოს თავისი ბედი, გაეჭიკოს მისსავე თავს. მაგრამ ყოველთვის ემწყვდევა საკუთარი პიროვნების ჩიხში. იგი უცნობია საკუთარი თავისთვისაც კი¹³. „ბუფე ქურის“ ფენომენის კვლევისას საბჭოთა მეცნიერების (დ. კომისაროვი, ა. როზენფელდი, თ. კეშელავა) ნაშრომებში აქცენტი ძირითადად გადატანილია სოციალურ მომენტზე¹⁴.

ირანელი ავტორები გაუცხოების თემის მათთვის საინტერესო კუთხით დამუშავებისას ცდილობენ რამდენადმე ღრმად ჩასწვდნენ ადამიანთა იზოლირების, ურთიერთგამიჯვნის საფუძვლებს და ანალიზის გარეშე არ დატოვონ მისგან გამომდინარე შედეგები (იხ. გაუცხოება მამასა და შვილს შორის ფ. თონჯაბონის მოთხრობაში „ტკიპა“. სრულიად სხვაა თავისი შედეგებით გაუცხოების პრობლემა ჯ. მირ სადევის რომანში „გრძელი ღამე“ და ი. გოლესთა-

¹¹ ეროვნული გრძობის გააქტიურებამ, ერთგვარა „აფეთქებამ“ თავი იჩინა მრავალი ავტორის შემოქმედებაში, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ხ. შაჰინის სატირული-იუმორისტული პროზა. უცხოელი მეცნიერი, რომელიც კულად ერკვევა ირანის ისტორიასა და კულტურის საკითხებში, თავისი ფსევდონიმით „აღმოჩენებით“ მრავალი გაუგებრობის წყარო ხდება (იხ. ხ. შაჰინი, „ჩვენი მშვენიერი რელიგია“. შტრ. მისივე იუმორისტული მოთხრობა „ეროვნული გრძობა“). საზღვარგარეთელი სტუმრების „თავისუფლება“ იქამდე მიდის, რომ ისინი კატეგორიულად უგულებელყოფენ მორალურ-ეთიკური კრიტერიუმების დაცვას. ნაწარმოების საერთო იდეის მიხედვით, ძირეული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა უცხოელთა გაბატონებული პოზიციების უკუპროპორციულია. აღსანიშნავია ავტორის ორაზროვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ ვნის უტოლინარობის გამო, ვერ მოხერხდა უცხოელებთან კონტაქტის დამყარება და ამან გამოიწვია მრავალი გაუგებრობა, ე. ი. ორ ერს შორის არასრულფასოვანმა „დილოგმა“ განაპირობა ურთიერთობის ის ფორმა, რასაც მიმართავენ უცხოელი პედაგოგი, მეცნიერი თუ სამხედრო მოსამსახურე (შტრ. ს. დანეშვარი, „საეუშენ“. იხ. პარალელისმის ხეობა ირანელი და ირანადილი ხალხების ზედის დაპირისპირებისას).

¹² В. Кляшторина, Предисловие, Сквозь пелену тумана, М., 1974, гл. 9—10, Шტრ. Р. Левковская, За нарядным фасадом. Современная иранская; новелла, М., 1980, гл. 10.

¹³ Н. Kamshad, Modern Persian Prose Literature, Cambridge, 1966, гл. 169.

¹⁴ Д. Комиссаров, А. Розенфельд, Предисловие, сб.; Садек Хедаят, Избранные произведения, М., 1969; ს. ჰედაიათის შემოქმედებაში ტენდენციური მიდგომის კრიტიკა იხ.: Д. Комиссаров, Садек Хедаят, М., 1967, гл. 134—143.

ნის ნოველაში „მკვდარი თუთიყუში“). ავტორთა მიერ მინიშნებულია ზოგი ფაქტობრივი, რამაც შეიძლება გააღრმავოს ადამიანთა შორის კომუნიკაციების მოშლა (საზოგადოებრივი, პიროვნული, ასაკობრივი ფაქტორი: რელიგიური ტრადიციები, ტელა და ახლის ბრძოლა).

ვ. კლიაშტორინა შენიშნავს, რომ ბევრი მწერლის ნაწარმოებში ზემოაღნიშნული თემა მკვლევანდება კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში (ჩ. შარაძე, ფ. თონქაბონი), რომ მოჩაღურა დაღუპვის. პიროვნების ქრონიკისტორია გაპირობებულია სულიერი უხალხოობით და მატერიალურ კეთილდღეობაზე დაფუძნებული მსუყე ცხოვრების ერთფეროვნებით¹⁵.

სპარსული ლიტერატურის ისეთ გამჭოლ თემას, როგორცაა მამისა და შვილის ურთიერთდაპირისმართებულების საკითხი (ტირანი მამის სახე) ფ. თონქაბონის შემოქმედებაში (მღრ. მოთხრობა „ტიკა“) ექებნება ანლებური დამუშავება. ავტორს აინტერესებს არა მარტო უგულობის ფაქტი, არამედ მისი შედეგიც — მამის აქციელმა გააუხეშა ყმაწვილის სული და ახლა იგი შურს იძიებს სრულიად უცხო ადამიანებზე.

რ. ლევკოვსკაიას მართებული დასკვნით. ირანელი ნოველისტების მიერ ხალხის სულიერი განცალკევების თემა მოცემულია ჰუმანისტური პოზიციებიდან. პიროვნების მართობა. გაუცხოება მათ მოთხრობებში წარმოდგება არა როგორც ადამიანისათვის ბუნებრივი, აბსოლუტურად დამახასიათებელი მდგომარეობა, რაც ხშირად ასე ორგანულია დანაკლებების გაუცხოების ლიტერატურისათვის, არამედ როგორც მისი ნამდვილი ბუნებისათვის რაღაც საპირისპირო და გმირები ყოველთვის ისწრაფვიან. თუმცაღა ხშირად წარუმატებლად. გაღალახონ გაუგებრობისა და გათიშულობის ზღუდე¹⁶.

ავტორთა ერთი ჯგუფისათვის დამახასიათებელია ზღაპრულ მოტივებზე სიუჟეტის აგება. აქცენტების გადატანა ალგორითულ თხრობაზე. ამ მიმართულებით მხიშვნელოვანია ცდები მოეპოვებათ ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან ს. ბეჰრანგი („პატარა შავი თევზი“), ფ. თონქაბონი („ძველი ზღაპარი ახალ ყაიდაზე“) და სხვ. (პირველ მათგანში ავტორი წამოჭრის ზოგად პრობლემურ საკითხს, არყვეს ცოცხალი არსების დანიშნულებას ქვეყნად, ამკვიდრებს ცხოვრებაში კეთილი კვალის დატოვების იდეას. ფ. თონქაბონის მოთხრობა „ზღაპარში მგლისა და თხის ბრძოლის მაგალითით დამარცხებულის

¹⁵ ვ. კლიაშტორინა, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

¹⁶ რ. ლევკოვსკაია, დასახ. ნაშრ., გვ. 11. აქტუალურ პრობლემათა რიგში ღვას ბუნებრივად ადამიანის მართობის საკითხი (მღრ. რ. რამბარტი, სიყვარულის მოლოდინში). ურბანისტულ გარემოში მართობისა და მოაწყვენი ერთფეროვნებისაგან შეწუხებულ გმირს რწმენით დაქვებს და კვლავ ცხოვრებასთან დაბრუნეს. განახლებულ ბუნებასთან კავშირი დამოულოდნელად გამჟღავნებული სიყვარული. თემატური რეკლის გაფართოებას ემსახურება ნ. იბრაჰიმის მოთხრობა „ვარუდები“. ნაწარმოები სპორტული თემათა და მასთან დაკავშირებული პიკებით იქვეყს ყურადღებას. ბიზნის ქვერის უბრალო მეწაღეს ველით წაღია სახელმძღვანელო სპორტსმენთან დახლოება, მაგრამ საკუთარი არასრულყოფილების კომპლექსი თრგუნავს მის არსებას. „პატარა ადამიანი“ მხოლოდ მამის ხელება ცნობილ წყნობის, როცა ექვეყნაწელი კარგავს ტიტულებს, დამარცხებული ბრუნება ოლიმპიადიდან. რ. გულსტინი მოთხრობაში „ეს იყო დღი ხნის წინათ“ არეკლითა ცამეტ-თოთხმეტი წლის მოზარდის ექსკიკაში და აღღვთის მწერლობის გავლენით მომხდარი ცვლილებები. გამაყნებელი ექსკიკიკისათვის მაგალითის მინიშნელობა აქვს არა მარტო ერთნული მწერლობის (ფრანკლანის „მანანა“) გმირთა სქეცელს, არამედ საზღვარგარეთული ლიტერატურის პერსონაჟთა მოქმედებასაც (მღრ. რ. ფარტუხი, წემი წოელი პატრო. ერთი მხრივ, 20-იანი წლების მიწერულში მცხოვრება მოსწავლის და, მეორე მხრივ, 40-იანი წლების ყმაწვილის პრობლემები, თვალათხედვა, მათი დამოკიდებულება ცხოვრებისეული მოვლენებისადმი).

როლში გამოდის სიმართლე და სამართლიანობა. ირონია მიმართულია პრესის წარმომადგენლებისადმი, რომლებიც დადებითად აფასებენ მგლის გამარჯვებას).

როგორც ითქვა, უახლესი სპარსული ლიტერატურა სულ უფრო მეტ ყურადღებას იჩენს ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვისადმი. ანგარიშგასაწევიანა ლ. საედის ცდები ფსიქოლოგიური ანალიზისას გამოიყენოს „ინტროსპექციის“ მეთოდი (იხ. „ორი ძმა“)¹⁷.

რამდენადმე ახალია ჭარისკაცთა ცხოვრების ამსახველი ის მასალა, რაც წარმოდგენილია აჰმად მასუდის ნოველაში „მუშაობა“ (თხრობის მანერით თითქოს ახლოსაა ე. პემინტუის თხზულებასთან „მშვიდობით, იარაღო!“). ყურადღებას იქცევს მგზავრი ქალების მოულოდნელი ჩართვა ჭარისკაცთა ყოფაში, ჩხუბი ერთრეალიანი მარკისათვის და სხვ. თავისებური როზინიანული ცდაა მათემატიკური სიდიდეების გატანა მოთხრობის სათაურად, სადაც კოდირებულია ნაწარმოების სიმბოლური აზრი, ავის მათუწყებელი რიცხვის შინაარსი (იხ. ნ. იბრაჰიმის მოთხრობა „12+1“. მასში აღწერილია 13 ფაქტორდინთან დაკავშირებული ცრურწმენის მსხვერვის ხანგრძლივი პროცესი). დროდადრო უცნაური ხილვები, ასოციაციური წარმოსახვები უერთდება კონკრეტულ-რეალურ ყოფიდან გამომდინარე მოვლენათა რიგს, ემპირიულ ფაქტებს და ხელს უწყობს ალუტური პაუზის გამოწვევას.

გამჭვირვალე პოლიტიკური ქვეტექსტის მქონეა ჰ. გოლშირის ნოველა „წითელქალსტუხიანი მამაკაცი“. აქ გამჟღავნებულია საიდუმლო აგენტის შიში წითელი ფერისადმი, რაც მასში „წითელი იღვების“ ასოციაციას იწვევს.

შესამჩნევია, რომ ირანელი ლიტერატურათმცოდნეები უფრო და უფრო მეტ ძონდომებას იჩენენ უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი წამყვანი მწერლის ლ. საედის შემოქმედების კვლევისადმი. მ. ქიანუში ლ. საედის რიგ ნაწარმოებებში ხედავს სიურრეალიზმისა და იმპრესიონიზმის ნიშნებს¹⁸.

ძოკამედ ალი სეფანლუს დაკვირვებით, ლ. საედის ფანტასტიკანარევი რეალიზმი განსხვავდება როგორც ე. ზოლასა და ა. ჩეხოვის მხატვრული წერის მეთოდისაგან, ისე ე. პოს ფანტასტიკისაგან. მკვლევარი პარალელს ავლებს ლ. საედისა და მიგელ ანხელ ასტურიასის ნაწარმოებში გამოვლენილ რეალიზმთან და აგრეთვე მოპასანის რიგ თხზულებებთან¹⁹.

აქვე შევნიშნავთ, რომ ბოლო დროის სპარსული პროზის დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ მაჩვენებლად გვესახება ის სიახლეები, რაც ასე თვალსაჩინოა მცირე ფორმის ჟანრების კომპოზიციის ძიების სფეროშიც.

უ. თონქაბონის მოთხრობა „შემთხვევა“, რომელსაც საფუძვლად უდევს სამთა ნამბობი (სამი ჰყვება ერთი ფაქტის შესახებ) კომპოზიციური გაფორმებით შოგვაგონებს იაპონელი მწერლის აკუტაგავას ნაწარმოებს „უსიერ ტყეში“. ფ. თონქაბონის ქმნილებაში ერთმანეთს ენაცვლება პირველი და მეორე მთხრობელი. მესამე მთხრობელი მაშინ იჩენს თავს, როცა საჭიროა დამატებითი ჰიპოთეზები, მასალები დაზარალებულის შესახებ. აღნიშნულ ნაწარმოებში,

¹⁷ Д. Э. Хазраткулов, Художественная проза Голамхосейна Саэди. А. К. Л., М., 1977, გვ. 10.

¹⁸ მ. ქიანუში, დასახ. ნაშრ., გვ. 141—142.

¹⁹ მოკამედ ალი სეფანლუს, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

აქტუაგავასაგან განსხვავებით, სამთა ნაამბობი შექამებულია საგაზეთო ქრონიკიდან ამონაწერი დანართით. ეპილოგის დასახელებული ფორმა (საგაზეთო მასალის ორიოდ სტრიქონის ციტირება ან ავტორისეული დასკვნითი ფრაზა, რაც ამბის საბოლოოდ „შეკვრას“ გულისხმობს) აქტიურად გამოიყენება რანელ პროზაიკოსთა შემოქმედებაში (მდრ. მ. სოპაილი „მარჯვე“, „ძუნწი“, ჯელალ ალე ამადი „მარზუნაბადის მახლობლად“, ფ. თონჯაბონი „შემთხვევა“)²⁰.

ნოველაში „ხეივანიდან გარეუბნამდე და უკან“ (ფ. თონჯაბონი) წარმოდგენილია დროით განსხვავებული ეპიზოდების გადაბმის საინტერესო ცდა. გაუმიჯნავია და ერთმანეთში გადახლართულია პერიოდები. დროით დაშორებულ სცენაში მოქმედი პერსონაჟი (ისმაილი) ერთი შეხედვით მკითხველს წინა სურათიდან „გადმოსული“ უცნობი მამაკაცი პგონია (ავტორის მისწრაფებას „წაშალოს“ საზღვრები დროებს შორის ისიც უწყობს ხელს. რომ წინა სცენას დამამთავრებელ და მომდევნო სურათის საწყის ფრაზებში გმირები არ მოიხსენიებიან კონკრეტული სახელებით. მსგავსი ფუნქცია აკისრიათ ნაცვალსახელებს. წინა სურათის მოქმედების ადგილი მანქანაა, ასევეა მომდევნო სცენაშიც).

სიუჟეტის შემადგენელი ნაწილების თავისებური განლაგებით იქცევა ყურადღებას აბა: ფაქლავანის ნოველა „ჩაქუჩის კაკუნი“. ცოლის შეკითხვის პასუხად ზდება რესტავირება დილოგისა, რაც წინ უსწრებდა ქმრის შინ დაბრუნების სცენას. ე. ი. მეზობლიდან წამოსული მაქიდის ეპიზოდი ერთმანეთისაგან წყვეტს, ანუ ორად ანაწევრებს დროით დაკავშირებულ მთლიან სურათს.

ზოგი ავტორი მიმართავს ე. წ. „ჩარეცხილ სიუჟეტს“, თხრობის კომპოზიციურ დანაწევრებას, თიშავს მოქმედებას დროის პარამეტრებით, ახდენს რეალურად მომხდარი ფაქტების გადაადგილებას. ღარტლის მოგონებათა ჩართვით²¹.

მოთხრობაში „მაქსი“ (ა. ფაქლავანი) სიუჟეტურ საფუძველს ქმნის აწმყოში გაქცევილი ფაქტებისა და მოგონებათა თანმიმდევრული მონაცვლეობა. ნაწარმოების კონსტრუქციაში ჩადგმულია მამაკაცის წარმოსახვაში მოცემული მოგონებათა პატარ-პატარა ფრაგმენტები.

სრულიად განსხვავებულ კომპოზიციას მიმართავს ნ. იბრაჰიმი მოთხრობაში „ჩვენი ბედნიერი მომავლის სახსოვრად“. სიუჟეტი მოწოდებულია ეპისტოლარული ფორმით. პედაგოგი ქალი ახლობელ ადამიანს წერილობით სთხოვს, რომ ნუ იზრუნებს მის გადაყვანაზე სხვა რაიონში სამუშაოდ, ნუ შეეცდება გზების მოძებნას „გაუღენიან“ პირებთან, ქალს სძულს ისინი გულქვაობის გამო. მასწავლებლის წერილს დამოუკიდებელ თხზულებებად ებმის მოსწავლეთა ნამუშევრები თემაზე „ჩემი ბიოგრაფია“ (მდრ. რ. ფარვიზის „გაკვეთილი თავისუფალ თემაზე“). თავისებური ხილები, ასოციაციური კავ-

²⁰ ხშირად გვხვ ადებულია ნაწარმოების ისეთი სიუჟეტური სისტემის შექმნისაკენ, სადაც ავტორი და მოთხრობელი მკვეთრად ემიჯნებიან ერთმანეთს. ზოგჯერ საწყის ფრაზაშივე განმარტებულია, რომ ავტორს „სხვამ“ უამბო ქვემოაღწერილი ამბავი, ან მცირე დილოგის შემდეგ გადმოცემულია სხვისი თავგადასავალი და ავტორი უბრალოდ მსმენელის როლს თამაშობს (მდრ. ქაშალ-ზადე, ქველმოქმედი; მ. სოპაილი, კეთილი დასასრული; ხ. შაჰანი, ეროვნული გრძნობა, საილუმო, მარცხიანი, ექსკუზაცია).

²¹ რ. ლევკოვსკაია. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

შორები შეინაშნება საერთო თემაზე დაწერილ ათ პატარა „თავგადასაველი“ შორის.

მოთხრობაში „ჩვენი ბედნიერი მომავლის სახსოვრად“, ლ. საედის „დანდილისაგან“ განსხვავებით, ნ. იბრაჰიმი უფრო „ღია ტექსტით“ ამსხვრევს ბურ-ეუაზიული სამყაროს „ოპტიმიზმს“²².

ბ. იბრაჰიმის ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში (ისევე, როგორც ს. ბეჰრანგის „პატარა შავ თევზში“, ან ფ. თონჩაბონის „შემთხვევაში“, ერთი შეხედვით განსხვავებულ კომპოზიციურ აღნაგობას რომ ავლენენ) ჩართულია ჩარჩოვანი თხრობის ელემენტები. ზ. ოსმანოვა ეანრის ევოლუციისა და თანამედროვე მწერალთა მიერ (აქ ლაპარაკია შუა აზიელ ავტორებზე) მისი გამოყენების შემთხვევების განხილვისას დასძენს, რომ სიმტიციე დასახელებულა ეანრისა სულაც არ აღასტერებ შემადგენელი ნიშნების, ან თავიებურებათა უძრობასა და ეანონიზაციას. „ჩარჩოვანი მოთხრობის“ ეანრი ჩვენს სინამდელიეშიც გაძლებებით განიცდიდა სახეეულიებას, იძენდა ახალ იდეურ-ესთეტიკურ ფუნქციებს, რაც ეხმარებოდა მწერლებს სულიერად მზარდი პიროვნების ახალი წახნაგების გახსნაში²³.

მ. ამირშაჰის ნაწარმოებში „ხეობის ნისლსა და გზის მტვერში“ არ არის მითითებული, რომ შესაბამისი პასაჟები ქალის ან მამაკაცის ფიქრს გადმოსცემს, ავტორისეულ ტექსტს მექანიკურად ებმის პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგები. თუმცა საამისოდ უკვე შემზადდა ნიადაგი (მაგ. ქალმა პირი იბრუნა თანამგზავრისაკენ და ახლა მის აღქმაში გვეძლევა მამაკაცის „ფიქრი“). დროის შედარებით აღრეულ მოსაკეეთზე არეკლილი შემთხვევები, პერსონაჟთა წინასიტორია ქალისა და მამაკაცის მოგონებაში პოულობს ასახვას. ავტორი იტოვებს მხოლოდ ექსტროსპექციის უფლებას. დროადრო ქალისა და მამაკაცის ფიქრი „იხლიჩება“ ავტორისეული ჩანართით (პეიზაჟს ავსებს ახალი დეტალი, იცვლება პერსონაჟთა პოზა). ქალის ცნობიერების ნაკადი (წვიმისა და ქარის ღონზე) საცნაურს ხდის ორ არსებას შორის გაჩენილი სულიერი ბზარის მიზეზს.

შეიძლება ორი მოთხრობის კონტამინაციად მივიჩნიოთ ჰ. გოლშირის თხზულება „როგორც ყოველთვის“ (იუჟეტების პარალელური განვითარება). მდგმურის „ჩანაწერები“ დროით უსწრებს ავტორის ტექსტს. ბავშვობის მოგონებით აყალიბებს მდგმური მოთხრობას, რეტროსპექტულად ხდება მის მიერ ამბის მოწოდება. მეორე „ნოველის“ სიუჟეტი ასოციაციურად უკავშირდება ძირითად მოთხრობას (სულ ექვს ერთეულად არის შესული ავტორისეულ თხრობაში მდგმურის „ტექსტი“).

ჰ. გოლშირი აღნიშნულ მოთხრობაში სესხულობს დეტალს ა. კასონას პიესიდან „ხეები ზეზეულად კვდებიან“ (იხ. დალუპული ვაჟის მაგიერ დედის წერილებს წერს მამა და ცდილობს, რომ მას ცოცხლად წარმოუდგინოს შეილი). დედაბერი წერილებით „იგებს“, რომ ვაჟი საზღვარგარეთ გაემგზავრა, დაქორწინდა. ა. კასონას პერსონაჟსაგან განსხვავებით, ჰ. გოლშირი: გმირი ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლას ეწირება. შევნიშნავთ, რომ „წერილების“

²² რ. ლევკოვსკაია, დასხ. ნაშრ. გვ. 8.

²³ ჰ. ოსმანოვა, *Обрамленная повесть в современной прозе*, сб. *Живое единство*, М., 1974, გვ. 140—160.

დეტალი აქ მეორეხარისხოვანია და არ ენიჭება ის აუცილებელი ფუნქცია შორს შიშავალი შედეგებით, როგორც ეს ა. კასონას პიესაში გვხვდება.

შწერალთა თემატური და კომპოზიციური ძიებები სახავენ ახალ გზებს. თანამედროვე სპარსული პროზის შემდგომი განვითარებისათვის.

М. Н. ИВАНИШВИЛИ

НАБЛЮДЕНИЯ НАД ЖАНРАМИ МАЛЫХ ФОРМ В СОВРЕМЕННОЙ ПЕРСИДСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

Статья содержит наблюдения над поисками современных иранских авторов (Г. Саэди, Ф. Тонкабони, Н. Эбрахими и др.) в области новых, независимых путей в литературе, в сфере тематики и композиции.

Очень интересным и важным является факт типологических встреч персидских авторов с представителями русской классической и западноевропейских литератур. Следует учесть их огромное значение в деле развития реалистических тенденций в современной персидской литературе.

Тематические и композиционные поиски писателей намечают новые пути в дальнейшем развитии современной персидской прозы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.
გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა დ. კობიძემ.

გიული ალასანია

ჰაგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის შედარებითი
შესწავლისათვის

ქართული მწერლობა შემოქმედებითი პრინციპების სიმდიდრით გამოირჩევა, თუმცა ზოგჯერ ერთი ეპოქისა და ლიტერატურული წრისადმი კუთვნილება გარკვეულ წილად აახლოებს მათ, რაც, თავის მხრივ, აძნელებს წყაროთა კლასიფიკაციას. ქართულ კარჩაკეტილობასთან ერთად განსხვავებული სტილისა და სახეების ურთიერთტოლვა და ურთიერთგამდინდრება არსებობის მთელ სიგრძეზე ლიტერატურის წინსვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მიჯნებს დარგებსა და ჟანრებს შორის ასეთი გავლენები ვერ შლის და ყველა ძეგლის ძირითადი ფუნქციები ხელუხლებელი რჩება. ვინაიდან ლიტერატურული ძეგლი, ესთეტიკურ-შემეცნებითი დანიშნულების გარდა, სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია, მისი გენეზისი, ტრანსფორმაცია ან გაქრობა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რაც ბევრად სცილდება ჟანრებს შორის მარტივ ურთიერთგავლენას.

უახლესი გამოკვლევების შუქზე ქართული კულტურა, კერძოდ, მწერლობის ისტორია წარმოდგება როგორც ერთიანი, განუყოფელი მოვლენა, მასში მოქმედი საერთო კანონზომიერებებით: გაღრმავებულია აზრი სასულიერო და საერო ლიტერატურის სიახლოვის შესახებ, ნაჩვენებია ამ ორი დარგის საერთო იდეურ-თეორიული წინამძღვრები და შეხების წერტილები. საკმაოდ ბევრი დაიწერა საისტორიო მწერლობისა და ჰაგიოგრაფიის ურთიერთმიმართების შესახებ. საისტორიო მწერლობასთან დასაპირისპირებლად მკვლევართა უმრავლესობა ჰაგიოგრაფიას შხატვრულ ლიტერატურას, ბელეტრისტიკას მიაკუთვნებს. თუმცა ჰაგიოგრაფიის საისტორიო მწერლობად შეფასებამ დღევანდელი ლიტერატურული ნორმების თანახმად, მართლაც, შეიძლება კამათი გამოიწვიოს, ჩვენ ამჟამად არ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია საწყის ეტაპზე მოგვიანო კატეგორიებისა და დიფერენციაციების გავრცელება და შევხებით ამ ორი დარგის ურთიერთობის რამდენიმე მომენტს, რაც რეტროსპექტიულად ზოგიერთი ადრეული ტენდენციის ვარაუდის საშუალებას იძლევა.

პირველ ქართველ ისტორიკოსად „ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ კ. კეკელიძე მიიჩნევს „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოხსენიებულ გრიგოლ დიაკონს, თუმცა, მკვლევრის აზრით, არც მისი თხზულება იქნებოდა ნამდვილი ისტორია, რადგან ფორმით იგი „მოქცევაჲს“ ანალოგიური უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება „მოქცევაჲს“ დარგობრივი კუთვნილების საკითხს, ი. ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, რომლის აზრით „მოქცევაჲ ქართლისა“ სამოქალაქო-საისტორიო ნაწარმოებია¹, კ. კეკელიძე მას საეკლესიო ლიტერატურას აკუთვნებს და აღნი-

¹ ი. ჭავჭავაძის მიხედვით, მოქცევაჲ ქართლისაჲს მატანე, წიგნში: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, VIII, თბ., 1977, გვ. 112.

„შნულ მოსაზრებას“ შემდეგ არგუმენტს უპირისპირებს: „თხზულება, რომელსაც ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისა“, სამოქალაქო-საისტორიო ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება, თუგინდ იმაში წარმართი მეფეების და ღმერთების ნუსხაც იყოს წარმოდგენილი... აქ მოყვანილი ფაქტების უმრავლესი ნაწილი ლეგენდურ-აპოკრიფული ხასიათისაა. ამდენად, ეს ძეგლი უფრო ლიტერატურული ნაწარმოებია, ვიდრე წმინდა ისტორიული“², ე. ი. თუ ერთ შემთხვევაში სათაურს ენიჭება უპირატესობა შინაარსის საპირისპიროდ, შემდეგ გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ შინაარსს ეძლევა. სადავო შეიძლება გახდეს სათაურის უპირატესობაც. შუა საუკუნეების ლიტერატურა არაერთ მაგალითს იძლევა, როდესაც ერთსა და იმავე სათაურს სრულიად განსხვავებული ქანრხსა და შინაარსის თხზულებები იღებენ: „ცხოვრება“, „ქება“, „გაბაასება“, „ანდერძი“ და სხვ. „მოქცევაჲ ქართლისა“, ისევე როგორც მრავალი სხვა ძეგლის, არქიტექტონიკა და დანიშნულება კვლავაც არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი, მაგრამ წინამდებარე ნაშრომი არ ისახავს მიზნად ქართულ წერილობით წყაროთა კლასიფიკაციის პრობლემებზე შეჩვენებას. მოყვანილი მაგალითი მხოლოდ იმის ილუსტრაციაა, თუ როგორი წინააღმდეგობრივია ხშირად მსჯელობა თავისთავად რთულ თეორიულ საკითხებზე. ხარვეზი თეორიული პრობლემატიკის დამუშავებაში კონკრეტული მასალის არასაკმარისი შესწავლის მაჩვენებელია, რაც ისევე და ისევე მოითხოვს ქართულ წერილობით ძეგლთა სხვადასხვა კუთხით განხილვას მათ განვითარებაში, თითოეული მათგანის დროის შესაბამისი ფუნქციების გათვალისწინებით.

საისტორიო მწერლობის რაობის გარკვევა უკანასკნელ დროს უფრო ხშირად ჰაგიოგრაფიასთან მიმართებით ხდება და კვლავ მხატვრული ლიტერატურის პოზიციებიდან³. ჰაგიოგრაფიის საისტორიო მწერლობად მიჩნევამ ვერ პოვა მხარდაჭერა, მაგრამ საისტორიო მწერლობის ფუნქციისა და მოცულობის საკითხი მაინც დასაზუსტებელი რჩება. საერთო აზრის მიღწევას აფერხებს ის გარემოება, რომ განსაზღვრული არ არის წერილობით წყაროთა კლასიფიკაციის საფუძველი, დადგენილი არ არის ტერმინოლოგია. არ არის გაცემული პასუხი შეკითხვებზე, ლიტერატურის განვითარების რომელ საფეხურზე ჩნდება საისტორიო მწერლობის სხვა დარგებიდან გამოყოფის აუცილებლობა? რა სხვაობაა ისტორიულ წყაროსა და საისტორიო მწერლობას შორის⁴. პირველის შინაარსი გაცილებით ფართოა, იწყება ჯერ კიდევ დამწერლობამდე და მოიცავს, ზოგიერთი მეცნიერის რწმენით, გეოგრაფიულ გარემოსაც კი⁵. ე. ი. მარტივად, საისტორიო წყარო შეიძლება იყოს ყველაფერი ის, რასაც ისტორიკოსი იყენებს წარსულს სურათის აღსადგენად. რაც შეეხება საკუთრივ საისტორიო მწერლო-

² ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 127, 526.

³ რ. სირაძე, ეპოქალმწერლობა და მხატვრული ლიტერატურა, „ციხეჯი“, 1974, № 4 (მკვლევარი შენიშვნა—აგიოგრაფიის ისტორიული მხარე კარგადაა შესწავლილი, მაგრამ თითქმის არაფერია გაკეთებული ქართულ მატრიანებში მხატვრული ელემენტების გამოთავისებობა“ გვ. 138). დ. მენაბდის საკანდიდატო დისერტაციაც—ქართული აგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი (თბ., 1981)—შეღარებით ნაკლებად ეხება ამ საკითხებს.

⁴ ფოლკლორისტიკაში, რომლის გამოცდილება ამ შემთხვევაში მწერლობისათვის არ გამოადგება, პრობლემა შემდეგნაირად არის გადაჭრული: „ისტორიულ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები, რა გონდა ფანტასტიკურად და ლეგენდარულად არ უნდა იყოს მათში ასახული ეს ფაქტები, მაინც საისტორიო ნაწარმოებებია“ (ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, ტექსტების მომზადება, რედ. ქცია, შესავალი და შენიშვნები ქ. სიხარულიძის, თბ., 1961, გვ. 9).

⁵ Л. Н. Пушкарев, Географическая среда и исторический источник, в кн.: Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975, гв. 74—86.

ბას, მისი აღმოცენება ლიტერატურის სტრუქტურის გარკვეულ სირთულეს, მის დიფერენციაციას გულისხმობს. აქ ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი ისტორიულ წყაროსა და ისტორიოგრაფიული ძეგლის ურთიერთმიმართების შესახებ⁸.

ქართული მწერლობის პირველი ნიმუშები სინკრეტული ბუნებისაა. ჰაგიოგრაფიის თემატური და ფუნქციური მრავალფეროვნებით აიხსნება ქანრის სიოცობისუნარიანობა (V ს.-დან — XVIII ს. ჩათვლით). ჰაგიოგრაფიის სინკრეტულობა არ გამოირიცხავს მის პარალელურად სხვა ქანრების არსებობას. მრავალი მოგვიანო ძეგლი ასევე მრავალფუნქციურია. მაგრამ ქართული ისტორიოგრაფიის საწყისის ქრისტიანულ ლიტერატურაზე აღრეულ ხანაში გადატანა ან საკმარისად არ არის დასაბუთებული, ან სპორადული ხასიათის იმ პირველ ცდებს უკავშირდება, რომლებიც არ გამოირიცხავენ ქრონიკალური ჩანაწერებისა და წარსულის შესახებ სხვადასხვა ვადმოცემის არსებობას, მაგრამ საისტორიო მწერლობა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული დამოუკიდებელ დარგად თავისი საგნობრივი სფეროთი (საზოგადოების სტრუქტურის განვითარება დროში და ამ პროცესის ანალიზი).

როგორც აღნიშნულია, ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდიდან არც ერთი, არც ორიგინალური და არც თარგმნილი საისტორიო ხასიათის ნაშე რომი არ შემორჩენილა⁹. ყოველი ახალი მოვლენა ძველში ჩაისახება, ითვისებს მისგან დადებითს და მასთანვე დაპირისპირების შედეგად მკვიდრდება. ამის გარეშე პროგრესი წარმოდგენილია. ქართულმა საისტორიო მწერლობამ შეთვისა და გაითავისა ლიტერატურის აღრეული დარგების მიღწევები და თავისებურად გარდაქმნა, რათა შემდგომში შევსებული და სრულყოფილი უკან დაებრუნებინა. მართლაც, თუ აღრეულ საფეხურზე ჰაგიოგრაფია წამყვანი, მოგვიანებით ისტორიოგრაფია არაერთხელ ხდება მწერლობის სხვა დარგებისათვის ბიძგის მიმცემი. ჰაგიოგრაფიამ ყველა თავისი შემოქმედებითი მონაპოვარი საერო-მხატვრულ და საისტორიო მწერლობას გადასცა და XI ს-ის გასულიდან (როგორც მიჩნეულია) „თვისობრივად, პრინციპულად ახალი... აღარა მოუცია რა“¹⁰. სოციალური ფუნქციებიდან თითქმის მთლიანად დაცილილ XVIII ს-ის ჰაგიოგრაფიას, რომელსაც საკუთარი მხოლოდ სამოსელია შემორჩა, წერილობითი ისტორიოგრაფიის ამკარა გავლენა ატყვია და თავისი არსით სწორედ ამ უკანასკნელს უახლოვდება¹¹. თუმცა ძველი ქართული მწერლობისათვის უცხოა ქანრების ისეთი მკვეთრი ურთიერთდაპირისპირება, რომელიც მათ ურთიერთობაში ზოგიერთმა მკვლევარმა დაინახა¹², ჰაგიოგრაფიასა და ისტორიოგრაფიას შორის

⁸ იქვე. გვ. 65—74.

⁹ თუმცა ასეთა არსებობას ვარაუდობენ, იხ. ჰავლითად, Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, Введение; გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, წიგნი: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, 48; რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, თბ., 1971.

¹⁰ რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 86. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მითოლოგიის განვითარება შეწყდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ხოლო მისი მრავალი ელემენტი ათეისა ქრისტიანულმა მწერლობამ (ე. ვირსალაძე, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, თბ., 1960, გვ. № 349).

¹¹ იხ. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, VI, თბ., 1980, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და სამიუბლები დაურთეს ე. გაბიაშვილმა და მ. ქავთარიამ.

¹² ჯ. ინგოროვეს მიაჩნია, რომ ქრისტიანულ სასულიერო ლიტერატურას არასოდეს შეუქმნია საუფშველი საერო მწერლობის წარმოშობისათვის (პ. ინგოროვეა, რუსთაველს ეპო-

ორმხრივი კავშირი მხოლოდ გარკვეული ხანიდან იბშება. პავიოგრაფიის თავდაპირველი უპირატესობის აშკარა დადასტურებაა „ქართლის ცხოვრებაში“ პავიოგრაფიული სიუჟეტების მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა. მაშინ როდესაც საპირისპირო შემთხვევები ქართულ სინამდვილეში ნაკლებად შეიმჩნევა მეტაფრასტიკის საფეხურზეც კი, როცა, ეფრემ მცირის მითითების თანახმად, წყაროდ კიმენთან ერთად ხდებოდა „საეკლესიო თხრობათა და ხრონოლოგათა“¹¹ გამოყენება¹², ხოლო „ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული ვერსია პირველად XII ს. დასასრულისა და XIII ს. პავიოგრაფებმა გამოიყენეს წყაროდ¹³.

პავიოგრაფიის სახლოვეზე საისტორიო მწერლობასთან მიუთითებს გარდამავალი ან შერეული ფორმების არსებობაც. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ზემოხსენებული „მოქცევაჲ ქართლისა“ მისი რთული კომპოზიციის მიხედვით და აგრეთვე აბუსერისძე ტბელის აბუსერისძეთა ორნაწილიანი საგვარეულო მატიანე (დაიწერა 1233 წ.), რომელთაგან პირველი — პავიოგრაფიაა, ხოლო მეორე — საგვარეულო სულთა მატიანეს წარმოდგენს¹⁴. გარდამავალი ფორმები არ არის მხოლოდ გარკვეული ეპოქის ფენომენი. მსგავსი ძეგლები დამახასიათებელია მოგვიანო პერიოდებისათვისაც. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ „აღორძინების“ ხანის ძეგლი, რომელმაც სათავე დაუდო საერო საისტორიო პოემათა ენარს, თეიმურაზ I-ის „ქეთევან დედოფლის წამება“ პავიოგრაფიის ჩარჩოებშია მოქცეული¹⁵.

მწერლობის პირველ ნიმუშებში მთავარი ყურადღება გადატანილია ერთ პიროვნებაზე, რომლის ბედი დროში უწყვეტი თანმიმდევრობით გადმოიცემა. ყველაფერი დანარჩენი ძირითადი ფაბულის მკრთალი ფონია. ძეგლის კომპოზიცია პირველად რთულდება ახლადჩასახულ „ცხოვრების“ ენარში¹⁶. აქვე პირ-

ქის ლიტერატურული მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული, თბ., 1937, გვ. 27). ანალოგიური აზრი გატარებულია მ. გიგინიშვილის ნაშრომშიც, სადაც შენიშნულია, რომ საერო ლიტერატურა განვითარდა საფაროზე სრულიად განსხვავებული ალქმის, განსხვავებულ ესთეტიკურ-მსოფლმხედველობით პრინციპებზე (M. I. გიგინიშვილი, К вопросу о жанровой квалификации «Мученичество Шушаник», Тбилиси, 1978, გვ. 14).

¹¹ ეფრემ მცირე, მოსაკუნებელ მცირე სემონისთვის ლოლოვებისა და თხრობაა მონებთა ანთ საკითხათა თარგმანითა, კ. ეკეელიძე, ეტიოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 224.

¹² ასე მაგ., „ნინოს ცხოვრების“ გამეტაფრასებისას არსენი ერთ-ერთ წყაროდ XI ს. II ნახ. მოდუნის ეფრემ მცირეს კელეფთ-ისტორიულ ხანათის ნაშრომს იყენებს (ეფრემ მცირე, უწყება: მიზეზსა ქართულთა მოქცევისას, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკუნების, ტექსტი გამოცა, შესავალი და ლექსიონ-სამძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959, გვ. 17).

¹³ საინტერესოა მაგალითად, ის ფაქტი, რომ არსენი „ნინოს ცხოვრებისათვის“ ლეონტიისეულ ვერსიას არ ეყრდნობა და მიმართავს უშუალოდ პირველწყაროს (ე. ქუციანიძე, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რელაქციის წყაროს საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XLVI, № 1, 1967, გვ. 269—275; M. C. Чхарტიшвили, Источниковедческие проблемы христианизации восточной Грузии, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1982, გვ. 24).

¹⁴ აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბაილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წელი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941; ტბელი აბუსერისძე, ცხოვრება ქეთხოზროსა ბასილისა, გამოსცა ი. სიხარულიძემ, ბათუმი, 1981.

¹⁵ გ. იმედაშვილი, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“ და მარტვილოლოგიური ენარი, კრებ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, თბ., 1964; მ. ს. ივ. ივ., ძველი ქართული მხატვრული ენისა და სტილის მიქნებზე, — კრებ.: „ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები“, (V—XVII სს.), თბ., 1965.

¹⁶ რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 66.

ველად ჩნდება ამ საიხლის დამახასიათებელი ფრაზები: „აწ კუალად პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“, „აწ კუალად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ“. მეტაფრასტიკაში მრავალპლანიანობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ შემთხვევაში თავს იჩენს კანონზომიერება: ახალი ეპირი განსაკუთრებით თვითმყოფადია სწორედ მისი აღმოცენების პირველ ეტაპზე წინასაგან გასამიჯნად. მრავალპლანიანობა, რომელიც ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ორგანული თვისებაა, პაგიოგრაფიაში მხოლოდ გარკვეული დროიდან მკვიდრდება. ამ საიხლესთან ერთად ქართულ მწერლობაში შეინიშნება განზოგადებისა და მონუმენტურობისაკენ სწრაფვა, საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან დაკავშირების ცდები. პირველი ვლინდება იმ სტერეოტიპულ ფრაზებში, რომლებიც გარკვეული დროიდან თითქმის ყველა წერილობითი ძეგლის აუცილებელ კომპონენტად იქცევა და გამოცდილებასა და ტრადიციულობაზე მიუთითებს. მონუმენტურობისაკენ მიდრეკილება სხვადასხვა სახის კრებულების შექმნაშიც შეიძლება დაეინახოთ (პაგიოგრაფიული კრებულები, პიმნოგრაფიული კრებულები, „პატერიკები“, „ლიმონარი“ და სხვ.), რომელთა განვითარება აგრეთვე მარტივიდან რთულისაკენ მიდის¹⁷. ერთიანი პრინციპით შექმნილ ასეთ კრებულებს X ს-დან ენციკლოპედიის ტიპის ნუსხები ემატება¹⁸. კულტურული და პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესის სინქრონული ეს კრებულები ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების სიმბოლოდ მოჩანს. ასეთ ვითარებაში „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შექმნა, რომელმაც ხელი შეუწყო უძველესი ქართული საისტორიო ძეგლების როგორც გადარჩენას, ასევე მოსპობას¹⁹, მოსალოდნელი და კანონზომიერია. ასევე ბუნებრივია მასში შემავალი თხზულებების დამოუკიდებელი სახით არსებობა ეივარაუდოთ კრებულში შეტანამდე, როგორც ეს ყველა სხვა შემთხვევაში ხდებოდა. გამოთქმული ვარაუდი ზოგიერთი მათგანის სპეციალურად „ქართლის ცხოვრებისათვის“ დაწერის შესახებ (დავითის ისტორიკოსის ან ქამთაღამწერლის თხზულებები²⁰) კრებულის ჩამოყალიბების შემდგომ მისი თანდათან შეესების პერიოდს უკავშირდება. გვხვდება გარდამავალი ფორმებიც — კრებულის შექმნის ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ „მოქცევაჲ ქართლისა“, რომლის სხვადასხვა ნაწილი, „ქართლის ცხოვრების“ მაგავსად, განსხვავებული სტილითაა დაწერილი და სხვადასხვა დროს შეესებულის შთაბეჭდილებას ტოვებს²¹.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში საქართველოს ისტორია დასაბამიდან იწყება და ყოველი მომდევნო თხზულება წინას აგრძელებს. მასში შემავალი ნა-

¹⁷ პ. ჩ. გ. როყვა, გორგი მერჩულე, ნაწ. II, ძველი ქართული პოეზია, V—X სს., ტ. III, თბ., 1965, გვ. 200, სქოლო. მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965, გვ. 45.

¹⁸ იხ. მაგ., შატერლის კრებული X საუკუნისა, გამოსცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გუნაშვილმა, თბ., 1979; იოანე ზოსიმეს კალენდარი (ქ. ქეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 242) და სხვ.

¹⁹ ი. ჭავჭავაძე, ქართლის ცხოვრება, წიგნში: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 310.

²⁰ P. K. Kiknadze, Очерки по источниковедению истории Грузии, Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба», Тбилиси, 1980, გვ. 37—39; რ. ქიქნაძე, ქართლის ცხოვრების შესწავლის ისტორიიდან, წიგნში: საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობის საკითხები, თბ., 1982, გვ. 25, 27.

²¹ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, თბ., 1890, გვ. XIII—XIV; გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, გვ. 47, 48; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 27—28.

წარმოებები სხვადასხვაა როგორც მოცულობით, ასევე სიზუსტისა და სტილის თვალსაზრისით. ზოგიერთი მონაკვეთი მოვლენათა თანამედროვეების მიერ არის აღწერილი, დიდი ნაწილი კი კომპილაციას წარმოადგენს. რამდენიმე თხზულება მხოლოდ ერთი მეფის მოღვაწეობას აშუქებს, ზოგი გადმოგვცემს ერთი გვარის თავგადასავალს (საგვარეულო მატანე — სუმბატის ქრონიკა), რომელიმე ერთი კუთხისას გარკვეულ პერიოდში, ან მთელი საქართველოს ისტორიას და ა. შ. „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ავტორები ზოგჯერ ერთ-მანეთის მასალას იყენებენ, რაც ტრადიციული, სტერეოტიპული ფრაზებით შეზავებულთან ერთად კრებულს მოჩვენებითი ერთგვაროვნების იერს აძლევს. ასე მაგალითად, „მატიანე ქართლისა“ სუმბატის ქრონიკასა და ლეონტის თხზულებას, დავითის ისტორიკოსი „მატიანე ქართლისას“, ჟამთააღმწერელი დავითის ისტორიასა და თამარის პირველ ისტორიას, შევსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრება“ „სწავლულ კაცთა“ ნაშრომს და სხვ. იმის მიხედვით, თუ როდის ან როგორი სტილით არის დაწერილი ესა თუ ის თხზულება, კრებულის სხვადასხვა მონაკვეთებში სჭარბობს ზეპირსიტყვიერების, ან წერილობითი ტრადიციის გავლენა. ლეგენდებით, თქმულებებით, სიმღერებით ზოგჯერ ინიღბება ფაქტობრივი მასალის სიმცირე. თხზულებების არაიშვიათი კომპონენტია სიხშირე (პაგიოგრაფიაში — ჩვენება, ხილვა, გამოცხადება), რომელიც „აღორძინების“ ხანის ზოგიერთ ძეგლშიც გადაღის („სწავლულ კაცთა“ ნაშრომი, შევსებულ-გადაკეთებული ქც ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება). სიხშირე ძირითადად წინასწარმეტყველურია და მას, როგორც წესი, ზღაპრულ-მითოლოგიური სიუჟეტები ედება საფუძვლად²². საყოველთაოდ გატარებულია ქც-ში ფოლკლორის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — ანონიმურობა (გაცილებით მკაცრად, ვიდრე ქართულ პაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელთა ავტორები ძირითადად ცნობილია)²³. თარიღების ნაკლებობაში დანახულია „დროის მითოლოგიზაციის კვალი“²⁴. რაც უფრო შორეულ ამბავს გადმოგვცემს ავტორი, მით უფრო ფანტასტიკური ელფერი აქვს მის თხრობას²⁵. ატრიბუციის მიზნის შესაბამისად დასკვნა შეიძლება შებრუნდეს: რაც უფრო ფანტასტიკური ელფერი აქვს თხზულებას მთლიანად, ან მის რომელიმე მონაკვეთს, მით უფრო ნაკლებ სავარაუდებელია, რომ ის თანამედროვე ავტორის მიერ იყოს დაწერილი.

ქც თვის დამახასიათებელი სტილისტური სიჭრელე დიდი ხანია იქცევის მეცნიერთა ყურადღებას. შენიშნულია ქც — პირველი ავტორის ლეონტი მროველის თხზულების ცალკეულ მონაკვეთთა ქანრობრივი თავისებურებები.

²² ფარნავაზის სიხშირისა და განძ. ს პოენის ეპიზოდი ერთიანი ლეგენდის სახით სხვა ხალხურ-თანაც დასტურდება და ჩვენ დროშიც ცოცხალია (იხ. დაწერილებით — Г. Г. Аласания, Параллель легенды о Тимур-Ленге в сочинении Иоанна Багратони, в сб.: «Письменные памятники Востока», М., 1982.

²³ აღნიშნულ საკითხებს უკანასკნელ ხანებში შეეხო ჟ. აფთაური (Д. В. Аптиаური, *Художественное отображение идеальной борьбы в грузинской агиографии (V—XI вв.)*, автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук, Тбилиси, 1982, გვ. 32). ავტორობის საკითხისადმი დამოკიდებულება ელენდება ბერძნული ირმოლოგიონების ქართულ თარგმანებშიც, სადაც ორიგინალისაგან განსხვავებით არსად არ არიან მითითებული ავტორები (ქლისპირნი და ღმრთისშობობისანი, გამოსა და გამოკვლევა, დაურთო ე. მეტრეველი, თბ., 1971, გვ. 021—022).

²⁴ რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 52.

²⁵ ასეთივე კანონზომიერება შეიმჩნევა ფოლკლორში (ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, თბ., 1961, ტექსტების მოშაღება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქ. სიხარულიძის, გვ. 9).

კერძოდ, გამოყოფენ ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას, რომელშიც რაინდული რომანის ჩანასახებს ხედავენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ასეთ ისტორიულ-ეპიურ თხზულებებს განსაკუთრებული პოპულარობა ჰქონდათ მოპოვებული და მეტი ავტორიტეტით სარგებლობდნენ“²⁶, რადგან „მხატვრული გააზრება დასაბუთებისა და დარწმუნების საშუალებაა“... „სწორედაც საისტორიო თხზულებებში რო არის დარწმუნების საშუალება, თორემ ისე განა როდის მოკლებია მნიშვნელობა თუ ღირსება, ღირსება დარწმუნებისა“²⁷. ლეონტი მროველის ნაშრომის საერთო სტილისაგან გამოარჩევს რ. ბარამიძე „ცხოვრებას ფარნავაზის“, რომელსაც, მისი აზრით, წერილობითი ფორმით არსებული ადრეული მოთხრობა დაედო საფუძვლად²⁸. ე. წ. „მატიანე ქართლისას“ ატრიბუციის საკითხებზე მსჯელობისას კ. გრიგოლია კვლავ ლეონტი მროველის თხზულების სტილისტურ თავისებურებებს გახაზავს. «„ნინოს ცხოვრება“ და „არჩილის წამება“ უანრობრივად პავლოვიჩის ხასიათის ძეგლებია, მაშინ, როდესაც „მეფეთა ცხოვრება“ უდავოდ საერო ხასიათის ძეგლია, ასე რომ, მათი ფორმისა და შინაარსის იგივეობაზე საუბარი, ეფიქრობთ, ცოტა სახიფათოა“²⁹.

ამდენად, ქუც-ის სტილს ეპოქის გარდა მრავალი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს (ავტორთა ინდივიდუალობა, ლიტერატურული გავლენები, მიზანი). მიუხედავად ამისა, კრებულში ვლინდება გარკვეული კანონზომიერებანი, გამომდინარე ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურული თავისებურებებიდან და განვითარების საერთო დონიდან, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთება მომიჯნავე დარგებთან შედარებისას.

საისტორიო მწერლობის პირველი ძეგლები სწორხაზოვანია. ლეონტი მროველთან ზოგჯერ გვხვდება შენიშვნა: „რომელნი ზემოთ დამიწერიან“, მაგრამ მისი თემა ერთია, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცულია და ძირითადი თემიდან გადახვევა მის ნაშრომს არ ახასიათებს. თემის ერთიანობის მოთხოვნას უპასუხებს ისეთი თხზულებები, როგორც არის დავითის და თამარის მატიაწეები, რომლებიც ძირითადად განსაზღვრულ ხანას და ერთ საისტორიო პირს ეძღვნება. ამდენად, ქუც თხზულებები, შექმნილი ლიტერატურის განვითარების ისეთ სტადიაზე, როდესაც პავლოვიჩის მრავალპლანიანობა მტკიცედ დამკვიდრებულია, აღნიშნულ პრინციპს იმთავითვე არ გაიზიარებს. პირველი თხზულება, სადაც დასტურდება ფრაზა: „და ჩუენ პირველსავე სიტყუასა წარუძღუეთ“ (ქუც, II, გვ. 115) — თამარის მეორე ისტორიკოსს ეუთუნის³⁰. თუ მასთან ასეთი ერთადერთი შემთხვევა შეინიშნება, რომელიც თითქმის არაერთარ — არც კომპოზიციურ და არც ესთეტიკურ ფუნქციას არ ასრულებს და

²⁶ პ. ინგოროვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10—11, გვ. 211.

²⁷ ო. ჩხეიძე, ნოველ ქართლის ცხოვრებისა, „ლიტერატურული საქართველო“, № 9, აპრილი, 1982.

²⁸ რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, II, თბ., 1971, თავი—უძველესი ქართული მოთხრობა („ცხოვრება ფარნავაზის“).

²⁹ კ. გრიგოლია, „მატიანე ქართლისას“ და მისი დასათარგმნების საკითხისათვის, ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1967, გვ. 230.

³⁰ ფრჩხილებში ქართლის ცხოვრებისა (ქუც) და პავლოვიჩის ძეგლების გვერდები მოთითებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, II, თბ., 1956, 1959; ძველი ქართული პავლოვიჩის ძეგლები I—IV, VI, თბ., 1964, 1967, 1971, 1968, 1980.

მხოლოდ ჰაგიოგრაფიისაკენ გადებული ერთგვარი ხილია, ეპითაღმწერელთან ძირითადი თემა უკვე საკმაოდ ხშირად ირღვევა. ამ გარემოებამ აზრიც კი წარმოშვა, თითქოს თხზულება შევსებულია მოგვიანო ინტერპოლაციებით³¹, ხოლო ფრაზები — „ხოლო ჩუენ პირველივე სიტყუა მოვიქსნეთ“ (II, 225), „ხოლო ჩუენ დაშთომილისა სიტყუსა მიმართ აღვიდეთ“ (II, 198), „ხოლო ჩუენ გზისა მცირედ გარდამამბიჯებელნი კუალად მოგზაურ ვიქმნეთ“ (II, 256) და სხვა, ასე ორგანულ-ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობისათვის, არაერთგვაროვანი ტექსტების უკეთ შერწყმას ემსახურება. აღრეული დარგების მხატვრული სტრუქტურისა და ელემენტების თანდათან ათვისება ისტორიოგრაფიის ბუნებრივი განვითარების შედეგია. ძირითადი თემიდან გადახვევა დამახასიათებელია აღორძინების ხანის, კერძოდ XVIII ს., ზოგიერთი ავტორის შემოქმედებისათვის (ვახუშტი ბაგრატიონი, პაპუნა ორბელიანი).

ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ პირველ ნიმუშებში — ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, განსაკუთრებით ძლიერია ზეპირსიტყვიერების გავლენა და მისი ავტორიტეტი. აღრეული ხანის ქართული ქრისტიანულ-სასულიერო მწერლობის წამყვანი დარგები — ჰაგიოგრაფია (ცნობილია, რომ მოწამეთა შესახებ ჩანაწერები ეკლესიაში წასაკითხად იქმნებოდა³²), ჰიმნოგრაფია ლიტურგიკული დანიშნულებისათვის წარმოიქმნა და მთელი არსებობის მანძილზე ზეპირსიტყვიერებასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა. გზას ზეპირსიტყვიერებიდან წერილობით ფორმამდე გადიოდნენ საორატორო ხელოვნების დარგები — ქადაგებები, სწავლებანი, ეპიტაფიები და სხვა³³. ლიტურგიკული დანიშნულებისა იყო, როგორც მიიჩნევენ, გრიგოლ დიაკონის შრომაც — მცხეთის ჭერის დღესასწაულის საკითხავი³⁴. აღნიშნულ ძეგლთა წერილობით წყაროდ გადაქცევა მეორადი მოვლენაა. ზეპირსიტყვიერების საფეხურზე აღმოცენდა ის კომპოზიციურ-მხატვრული თავისებურებანი, ზნეობრივი იდეალები, რომლებიც არსებობას განაგრძობდა და შემდგომ სრულყოფას პოულობდა მწერლობაში³⁵.

ზეპირსიტყვიერების უპირატესობა მწიგნობრულ ტრადიციასთან შედარებით განსაკუთრებით პირველ პერიოდში იგრძნობა. ამაზე მიუთითებს პირდაპირი შეტყვევების, დიალოგების, ლეგენდა-ზღაპრებისა და ზეპირი ეპისტოლეების³⁶ სიუხვე ამ ხანის ძეგლებში. ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ავტორები (გარ-

³¹ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, კრიტიკული გარჩევა ქც მეორე ნაწილისა (ეპითაღმწერელის თხზულების განხილვა), ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 566.

³² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბ., 1968, გამოსაცემად მოამზადა და გამოიკვლევა დაურთო ე. გამბიაშვილმა, გვ. 9.

³³ ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1961, 2. ვ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, XVII—XVIII საუკუნეთა ქართული პოეზიის მცირე ფორმები, I, ეპიტაფა, გვ. 201—208; „ძველ ქართული მწერლობის საკითხები“, III, თბ., 1968; რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, იოანე ბონენლი, თბ., 1962.

³⁴ ე. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 128.

³⁵ რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თავი: ფოლკლორული ელემენტები აღრეულ ქართულ პროზაში, თბ., 1971, გვ. 10.

³⁶ ზეპირი ეპიტოლეები, შეთვლის სახით, შენიშნულია „შუმანიის წამებაში“, მაშინ, როდესაც აღრეულ ბიზანტიურ ლიტერატურაში, რომელიც გახდა ნიმუში აღნიშნული ძეგლისათვის, მსგავს შემთხვევებში ეპიტოლეებს წერილობითი ფორმა აქვს (ე. ხ ი ნ თ ი მ ი ძ ე, ქართული-ბიზანტიური ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 155—162. წერილების ტექსტების ზუსტად გამოცემა არც მოგვიანო თხზულებებისათვის არის აუცილებელი, რითაც აიხსნება სხვაობა, მაგ. რუქნ აღ-დინის წერილის ტექსტში, რომელიც სხვადასხვა რედაქციებს ახასიათებს (Г. Г. А л а с а н и а, Из эпистолярного наследия сельджукидов Малой Азии, в с :

კვეულ პერიოდამდე) მხოლოდ ზეპირ წყაროებს იმოწმებენ. ასეთი ვითარება შეიძლება და ნაქარნახევი ყოფილიყო როგორც თხზულებათა პოპულარიზაციის მიზნით, რადგან წერილობითი ძეგლები მხოლოდ მოსახლეობის ვიწრო წრისათვის იქნებოდა მისაწვდომი, ასევე, და აქედან გამომდინარე, ამ ხანის თეორიული ლიტერატურულ პრინციპებითაც, რომელთა თანახმად, თვითმხილველის ჩვენება პირველწყარო იყო და მეტი ნდობით სარგებლობდა, ვიდრე მეორადი, ე. ი. წერალობითი წყარო. თხზულებები წარმოადგენს დიალოგს მთქმელსა და მსმენელს შორის, ხოლო „სიტყვის“ ტევადი სემანტიკა შექმნილ ვითარებას ასახავს³⁷. აღნიშნული პრინციპი ხაზგასმულია ფსევდოეპიგრაფიული ძეგლის „ნიონოს ცხოვრების“ მაგალითზეც, რომელიც სახარების ტრაფარეტის მისადაგებით წარმოდგენილია თითქოსდა თვითმხილველთა მონათხრობის ფორმით. წერილობითი წყაროს დამოწმება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ („ვითარცა ეწერა მცირესა მას წიგნსა ქართლისა მოქცევასა“) ამ ნიშნითაც გამოარჩევს უკანასკნელს ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებათაგან. გარკვეული დროიდან მწერლობისადმი დამოკიდებულების შეცვლის მანიშნებელია ფრაზები: „რომელნი არა დაწერალ არიან წიგნსა ამას“, „წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან“, „ყოველი ვერ დაიწერა წიგნს ამას“, „ხოლო მე აწ შთავეწერე წიგნსა ამას შინა მოწერილი ე-ე“ და სხვ. მიუხედავად ერთგვარი ევოლუციისა, მეტაფრასტიკის საფეხურზეც კი, როდესაც ავტორები, როგორც ითქვა, კიზენის გარდა (რომელიც, ჩვეულებრივ დამოწმებულია) „საეკლესიო თხრობათა და ქრონოლოგიების“ იყენებდნენ. ძირითად წყაროდ კვლავ თვითმხილველები და საღვთისმეტყველო ლიტერატურა დასახელებული.

იმ დროს, როდესაც ჰაგიოგრაფიის ძირითადი წყარო პირადი დაკვირვება ან ზეპირი გადმოცემებია, ქც-ის პირველსავე თხზულებაში³⁸ თვალში საცემია წერილობითი ტრადიციის სიმყარე: „ვითა დამიწერია“, „აქამომდის დავწერეთ“ და სხვ. პარალელურად ცოცხალია სასაუბრო ფორმა, რომელიც განსაკუთრებით იჩენს თავს თავისი ხასიათით ჰაგიოგრაფიასთან ახლოს მდგომ მონაკვეთებში. ამავე ავტორის „ნიონოს ცხოვრება“ საგრძნობლად ემიჯნება ამ მხრივ დანარჩენ მონაკვეთებს („პირველად ვაქსენოთ“, „აწ ვიწყო და მოგიტხრა“, „თქმული“. „ყურითა ჩემითა ვისმინე“, „სმენით უწყოდეთ“ და ა. შ.). სასაუბრო ფორმების სიჭარბე შეიმჩნევა „მატიანე ქართლისაჲში“, რომელსაც ჰაგიოგრაფიის აშკარა გავლენა ატყვიან. მსგავსი ფორმები ჰაგიოგრაფიიდან შემოსულ ფრაზებში დასტურდება („უკეთუ ვინმე ინებოს თუთოულად წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, მოუძღურდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედი წარმოვთქუთ ჟამთა სიგრძისაგან არა-დავიწყებისათჳს“ (ქც, I, 282), „ვითარ ვთქუ“. „ვითარ ვთქუ პირველვე“, „ვთქუა ესეცა“ და სხვ.) დავითის ისტორიაში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერებულია და ჩვეულებრივ მოვლენად არის ქტეული („რათა არა განვაგრძოთ სიტყუა“, „ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულა“, „ვითარცა ზემო ვთქუთ, „ესე მრავლისაგან ყოლად მცირედი და კინი

«История и филология Турции». Тезисы докладов и сообщений, М., 1976. გვ. 6). ასევე არ იყო აუცილებელი სხვისი სიტყვების ზუსტად გამეორებაც.

³⁷ რ. სირაძე, ქართული ეთნოგრაფიის აზრის ისტორიიდან, გვ. 117; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, V—X სს., გვ. 15.

³⁸ ქც-ის პირველი თხზულების შესახებ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმად ტრადიციულად ქანაშერის თხზულებად მიჩნეული მონაკვეთიც ლეონტი მროველს ეკუთვნის (ა. ბოგვერაძე, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატრიანე და მისი ავტორი, „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968).

„წარმოვქეთ“. „ვითარცა აწ ითქუას“, „ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად“, „გენდოლა თქმად“. „გარნა ისმინეთ ისევითართა მათ პირველად ესე“, „ხოლო ვთქუა მეორე მიზეზი“). ასევეა თამარის ისტორიებსა და ლაშა გიორგის დროინდელ მატეანეში. აქ წერილობითი ძეგლების დამოწმებაც ზეპირი წყაროების მსგავსად ხდება, ხოლო ფრაზა „თქმულ არს ესეცა“ უფრო ხშირად წერილობით წყაროს გულისხმობს. ამ ხანის საისტორიო მწერლობაში პავიოგრაფიასთან მიმართებაში ხშირია არა მარტო კომპოზიციური ან სტილისტური, არამედ აზრობრივი და მსოფლმხედველობითი შეხვედრები. თამარის პირველი ისტორიკოსის — „გონება იშობელი სიტყუსა“ (11, 45) პერიფრაზია იოანე ზედაზნელის მეტაფრასული ვარიანტის ავტორის არსენ კათალიკოზის აზრისა: „მიზეზნი არიან აღმძრველ სიტყუსა და სიტყუაჲ არს მომთხრობელ მიზეზთა“ (1, 191).

აღნიშნული ვითარება გრძელდება XIV ს. ანონიმის თხზულებამდე, რომელთანაც მთლიანად შენარჩუნებულია ტრადიციული სასაუბრო ფორმა, ხოლო მის გეერდით მწერლობისა და წერილობითი წყაროების ავტორიტეტის აღდგენა ისტორიოგრაფიის გარკვეულ ტენდენციას გამოჰკვეთს, („არცა ძუელთა წიგნთა შინა სადამე იპოების“), რომელიც ალორძინების ხანის ზოგიერთი მოღვაწის შემოქმედებაში უფრო მაღალ საფეხურზეა აყვანილი (ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში. „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში, შვეს-გადაკ. „ქართლის ცხოვრებაში“, ვახუშტი ბაგრატიონთან. მოკლებული ვართ ამ თვალსაზრისით რაიმე აზრის გამოთქმის საშუალებას არასრული სახით მოღწეული ვ. წ. „პარიზის ქრონიკის“ შესახებ, ხოლო რაც შეეხება სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ბერხეულიძის თხზულებებს, ისინი კვლავ ადრეულ კლიტერატურულ პრინციპებს უბრუნდებიან და წყაროებად მხოლოდ თვითმხილველთა ცნობებს ასახელებენ, რაც სულაც არ გამოირიქხავს წერილობითი მასალებით სარგებლობის შესაძლებლობას). ეპოთაღმწერლისათვის წერილობითი წყაროების დამოწმება ისეთივე ბუნებრივია³⁹, როგორც ზეპირი მასალებისა. გვხვდება მასთან შერეული ფორმებიც: „არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენალ არს“ (II, 176). „ეპოთაღმწერლობა ქეშმარიტის მეტყუელიება არს“... (II, 199) და სხვ.

„ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ნაწილი მშრალი ქრონიკებია, თავისუფალი ყოველგვარი რეზონერობისაგან, მაგ., სუმბატის ნაშრომი, ლეონტი მროველის ზოგიერთი მონაკვეთი⁴⁰. ასეთივეა „მოქცევაჲ ქართლისას“ საისტორიო ნაწილი. მემატეანე აქ ფაქტების თავშეკაეებული აღმნუსხველია, რომლის იშვიათი ჩარევა თხრობაში იზღუდება მხოლოდ ზოგადი სტერეოტიპული ფრაზებით, რაც უფრო მეტად საერთო ლიტერატურული კავშირების ამსახველია, ვიდრე მოვლენათა ანალიზი. ლაკონიური სტილი ადრეულ ძეგლებში ქრონოლოგიური ჩანაწერების ტრადიციის არსებობაზე გარკვეულად მიგვანიშნებს.⁴¹ ამა თუ იმ ფაქტის აღმნუსხველი საინფორმაციო ხასიათის ჩანაწერები, მოკლებული ყო-

³⁹ თუმცა არაა აუცილებელი. საისტორიო ძეგლებში წერილობითი წყაროების დამოწმება აუცილებლობად არასდროს ქცეულა. ასეთი რამ სტიქიურ ხასიათს ატარებს, ან ისეთ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც მემატეანე ტოვებს ან ამოკლებს ძირითადი წყაროს მონაცემებს. ასეთი თვისება შეიძლება ლეონტი მროველთან (მ. ჩხარტიშვილი, წყაროების დამოწმების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1982, № 2). ვახუშტი ბაგრატიონთან.

⁴⁰ ლეონტი მროველის თხზულების ამ თავისებურებას ყურადღებას აქცევს — რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, გვ. 86.

⁴¹ გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის საკითხები, აგრეთვე — Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 28.

ველგავარ მხატვრულ ღირებულებას, ჩანს, ის საფუძველია, რომლის შერწყმის შედეგად ლიტერატურის სხვა დარგებთან მოგვიანებით საისტორიო მწერლობა აღმოცენდება. ეს უკანასკნელი ფართო მკითხველს ითვალისწინებს და არა მარტო თანამედროვეობის, არამედ შთამომავლობისადმი მიმართული: „რათა არა ტყუილი ვისმე ეგონოს და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ესე მომავალთა ეამთა“ (II, 128). „საქუთელ მიჩნს მომავალთაგან შემდგომად არა დარწმუნებად“ (II, 123), — წერს თამარის მეორე ისტორიკოსი. ქრონიკათა გავრცობა-გამხატვრულებსაყენ მიღრეკილება მწერლობის გვიან საფეხურზეც შეიძინევა. მაგ., ერთ-ერთი ქრონიკის სადა, მოკლე ფრაზები სამცხის ათაბაგთა სახლის წევრების მხოლოდ სახელებისა და გარდაცვალების თარიღების აღნიშვნით შემდგომში შეფერადებულია და შევსებული პიროვნებათა დასახასიათებლად შექმნილი სტანდარტული ფრაზებით ამდაგვარად — ოცდაერთი წლის ბაადურ: „მხნე, ახოვანი და ღეთის მოყუარე“⁴².

პავლოვსკის მსგავსად, საისტორიო მწერლობის განვითარება „ხედვითი სიტყუისა“ და „სახისმეტყველების“ გზით მიმდინარეობს, „რიტორებრივთა მათ განგრძობათა და ფილოსოფოსებრივთა მათ შემკობილებათაჲსა“⁴³, რადგან მხატვრულ თხზულებებს „განსაკუთრებული პოპულარობა ჰქონდათ მოპოვებული და მეტის ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ვიდრე ძველი საისტორიო ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოს წარსულის შესახებ მარტივს და შეუფერადებელს მოთხრობას შეიცავდნენ“⁴⁴. ამ გზაზე, საისტორიო მწერლობას, ბუნებრივია, ფოლკლორთან ერთად მიემართა პირველ რიგში პავლოვსკის მხატვრული არსენალისათვის და მისი შემკვიდრე გამხდარიყო. გავრცობა-გარდაცვალების ტენდენცია უკვე ლეონტი მროველის თხზულებას ატყვია, რომლის ზოგიერთი მონაკვეთი პავლოვსკის ფორმით არის დაწერილი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მონაკვეთებში ჩნდება პირველად აუცილებელი შემდგომი ხანისათვის შორისდებული ზ, ში, რომელიც არ შეინიშნება პირველ პავლოვსკის თხზულებებში და უცხოა აგრეთვე პირველი საისტორიო ძეგლებისათვისაც (ლეონტი მროველის დიდი ნაწილი, სუმბატის თხზულება, „მოქცეჲსა“ ისტორიული ნაწილი). ამავე მონაკვეთში გვხვდება ლეონტი მროველის პირველი და ერთადერთი თარიღი, რომელიც ნინოს გარდაცვალებას უკავშირდება. თარიღის ზედმიწევნილობა, წლის, თვისა და რიცხვის მითითებით, აგრეთვე პავლოვსკის გავლენაზე მიგვანიშნებს. „მატიანე ქართლისას“ სულ რამდენიმე თარიღიდან ძირითადი ნაწილი კვლავ ამა თუ იმ პირის, ამ შემთხვევაში მეფის (პიროვნების იდეალის განვითარების გზა სახალხო გმირი — წმინდანი — მეფე) გარდაცვალებას აღნიშნავს, ასევე წლის, თვისა და რიცხვის ჩვენებით. „მატიანე ქართლისაში“ შორისდებული ავტორისეულ ტექსტშია („შ, დიდი საკვრველება და მოწყალება ღმრთისა“ I, 290). ასეთი ავტორისეული შეძახილები დამახასიათებელია მეტაფორასტიკისათვის, ხოლო ეს მოძრაობა, როგორც ჩანს, ირიბად საისტორიო მწერლობასაც შეეხო. დავითის ისტორიკოსის ნაშრომი „ველოვნებათა რიტორობისათა“ განვრცობილი და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მაგალითებით გამდიდრებული კიდევ უფრო ახლოს მიდის პავლოვსკისათან. მასში

⁴² ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), გამოკლევა და ტექსტები, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 199—200.

⁴³ ეფრემ მცირე, მოსაყენებელი, გვ. 224.

⁴⁴ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

მეტაფრასტიკაათვის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობა შეინიშნება. ისტორიკოსი ხშირად თხზულებაში ერევა და მკითხველს თავს ახვევს სუბიექტურ განცდებსა და შეფასებებს. თხზულებაში ასახულია ის ანალოგიური პროცესი ისტორიულ მწერლობაში, რასაც ჰაგიოგრაფიაში კიმენურ და მეტაფრასულ რედაქციათა ურთიერთობაში ჰქონდა ადგილი: ავტორი ადრეულ მთხრობელთა ფაქტების განზოგადების საფუძველზე თავისებურ, ზოგჯერ თხზულების საერთო ხასიათიდან გამომდინარე გაზვიადებულ დასკვნებს აკეთებს⁴⁵. ასეა, მაგალითად, როდესაც იგი ადრეულ წყაროებში მოწოდებული მასალის მიხედვით პირველად მიაქცევს ყურადღებას ქართველთა ეთნოფსიქოლოგიურ თვისებებს. „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თსთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ. განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგუზხრობს ძველი მატიაენ ქართლისა...“ (1,359). სტილთან ერთად მემპტიანენი ჰაგიოგრაფიიდან კვლავ აზრსაც ითვისებენ: მაგალითად, ჟამთააღმწერლის — „ში, შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და სურად მომწყუდეული ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყლველი“. (II, 170)— ეხმაურება იოანე ზედაზნელის — „ჰ, მოშურნეო, განეყენე შურსა, შური აკუფილი არს, ევლტოდე მისგან, რაათა არა მოკუდე... ნუ შურობ, რაათა განერო მცირედ საბრკესა მტერისასა“ (1, 216). შური ხშირად იგმობა „ისტორიანი და აზმანშიც“.

როგორც ჩანს, ჰაგიოგრაფიიდან მიიღო მემკვიდრეობით საისტორიო მწერლობამ ე. წ. „ცხოველთა მოტივი“, რომელიც პირველში გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება. იმ ცხოველთაგან, ჰაგიოგრაფიაში რომ იხსენებია, ისტორიოგრაფიაში, რომელიც ძირითადად მეფეთა ცხოვრებას ეძღვნება, ზოგჯერტი გამონაკლისის გარდა მხოლოდ ლომი შემოდის: „კმა ვახტანგისი, ვითარცა კმა ლომისა“. დავითის ისტორიკოსის ფრაზას — „ბრკალთაგან ლომსა და ფესუსაგან მცირისა ყუაველისასა ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ ყოფად ემეცადინობთ“ (1, 346) — გამარტივებულად თამარის მეორე ისტორიკოსი იმეორებს: „გარნა ლომი ბრკალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“ (II, 123). „ვითა ლომი შეუზახებდა“ (დავითის ისტორიკოსთან) — „აბალა ნოინი მსგავსი ლომისა“ (XIV ს. ანონიმი). მეტაფორებსა და ალეგორიებთან ერთად საისტორიო მწერლობა ჰაგიოგრაფიიდან სიუჟეტებსაც სესხულობს. ლომის ბოკვერის ეპიზოდი თამარის პირველ ისტორიკოსთან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მეფის წლიერების სიმბოლური გამოხატვა, იოანე ზედაზნელის მეტაფრასული ცხოვრებიდან შემოდის (1, 214), რასაც, თავის მხრივ, ბიზანტიურ მწერლობასთან მიყვავართ⁴⁶. შედარება ცოცხალია აღორძინების ხანის მწერლობაშიც: „თუცა ლომი ეგრე იბრძვისო“ (პაპუნა ორბელიანი).

შემჩნეულია, რომ ლიტერატურული ძეგლის ამა თუ იმ ეპიზოდში კეთვნილების განმსაზღვრელია განსხვავებული დამოკიდებულება რეალური სინამდვილისადმი, რეალობის განზოგადების განსხვავებული ხარისხი⁴⁷. ამ მხრივ ყველაზე მალალი მოთხოვნილება საისტორიო მწერლობას წაყვანება. ძველი მემპტიანენი ამ ფაქტს არაერთხელ უსვამენ ხაზს, როდესაც ჟამთააღმწერლო-

⁴⁵ რ. სირაძე, მეტაფრასტიკის თეორია და ისტორიის საკითხები, წიგნი: ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 140-დან.

⁴⁶ ქ. აქეელიძე, ცხოველთა მოტივი აგიოგრაფიულ მწერლობაში (ზონიფის მარტილობა), ეტოლები, III, თბ., 1955.

⁴⁷ Д. С. Лихачев, Развитие русской литературы X—XVII вв., Л., 1973, გვ. 67.

ბის ანტონიმაღ ზღაპრობას მიიჩნევენ და მათ შორის მკაცრ მიჯნას ავლებენ. „რათა არა ტყუილი ვისმე ეგონოს და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ესე მომავალთა ეამთა“ (თამარის მეორე ისტორიკოსი, II, 128) — „რომელთა გუარისა საქმენი განსაკრებელ არიან ვითა ზღაპარი და არიანცა ზღაპარ და ცუდ. ამისთვის უჯერო არს აწ თქმაღ“ (ეამთაღმწერელი, II, 161).

როგორ შესაბამისობაშია ამ მხრივ ფაქტობრივი ვითარება ავტორთა თეორიულ შეხედულებებთან, ხოლო ეს უკანასკნელი როგორ ფორმალურ გამოხატულებას იღებს? ამ ნიშნით ქც-ის თხზულებები რამდენიმე ნაწილად ჩგუფდება. ერთ მხარეზე თავსდება ლეონტი მროველის თხზულება, სუმბატის ქრონიკა, „მატიანე ქართლისა“, ე. ი. ყველა ადრეული ძეგლი, რომელთა ავტორები ფორმალურად არანაირ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებენ აღნიშნული საკითხისადმი. მაგრამ სწორედ ასეთი დუმილი ისტორიოგრაფიის თავისებურების ყველაზე მკვერამეტყველური მოწმობაა. ობიექტური სინამდვილის ასახვა ისტორიოგრაფიის თანდაყოლილი თვისებაა. მასში გენეტიკურად საგულევებელი, ამიტომ არ მოითხოვს ზედმეტად ხაზის გასმას⁴⁸.

შესაძლებელია დამკვეთის, სამუელ ქართლის კათალიკოსის თხოვნის პასუხად („ველ-ყავ გამოთქუმად სრულიად ქეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თუ უწყი“. 1, 47), ან იქნებ იმ მიზეზით, რომ თხზულება „შემოკრებულ“ მასალას ემყარება („შევისწავლეთ მარტივობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა“ 1, 63). აბოს წამების ავტორი განსაკუთრებულ მახვილს აკეთებს შემდეგ შენიშვნაზე: „აღწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტივობაჲ ქეშმარიტი და უტყუელი“ (1, 48). გაფრთხილება პავლოვიჩის ერთ-ერთ ტრადიციად იქცევა და ფორმულის სახეს იღებს. ტრადიციაში ერთგვარი კანონზომიერება შეიმჩნევა: რაც უფრო მოსალოდნელია არაზუსტი ფაქტები ან მთქმელის სუბიექტურობა, მით უფრო ხშირია თხზულების სანდობობა და უტყუარობაში რწმუნება. გრივოლ ხანძელის ცხოვრებას მისი აღმწერელი აგრეთვე „მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან“ იცნობს. ამიტომ იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მისი ნაშრომი არის „ქეშმარიტად თხრობილი“. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი მკითხველის დარწმუნებას განსაკუთრებით მაშინ ცდილობს, როდესაც იგი თვითმხილველი არ არის და სადაც საუბარი წმინდანის მიერ ნამოქმედად სასწაულებს ეხება. „ესეცა სიტყუაჲ ქეშმარიტად არს მოწვენიული ჩუენდა“ (1, 328). — აღნიშნავს ავტორი, რასაც, სხვათა შორის, მოსდევს სრულიად ფანტასტიკური გადმოცემა ანგელოზის გამოცხადების შესახებ. „ვიინა[მ]ცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკანა[მ]სკენელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუველმან“ (1, 340)“, „შეუძლებელ არს წარმოთქმა[მ] ყოველთა მათ სასწაულთა[მ], რომელნი იგი სარწმუნოთა კაცთა ფიცით მოგვთხრნეს ჩუენ“ (1, 343), — შენიშნავს იგივე ავტორი.

აღნიშნული ფორმულა ქც იმ ნაშრომებში გამოჩნდება, რომლებიც ამა თუ იმ მეფის ქება-ხობებს ისახავენ მიზნად. ასეთი თხზულებები, ჩვეულებრივ, გაზვიადებული, ამაღლებული სტილითაა წარმოდგენილი და ავტორი მსგავსი

⁴⁸ საყურადღებო ტენდენციაა შემჩნეული საისტორიო სიტყვიერებაში, რომლისთვისაც უცხოა ზღაპრებისათვის დამახასიათებელი შესავალი და დასასრული ფორმულები, „საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელს მომხდარი ფაქტების სინამდვილით გადმოცემის პრეტენზია აქვთ და არც სჭირდება ასეთი ტრადიციული ფორმულები“ (ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ზღაპრის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 259).

შენიშვნებით მკითხველში ჰიპერბოლის მოლოდინით აღძრული ექვის გაქარწყლებას ცდილობს. შენიშვნა იმის შესახებ, რომ მის თხზულებაში „არა-რა იყოს ტყუილი“, პირველად დავითის ისტორიკოსთან გვხვდება ჰაგიოგრაფიაში დამაჩვენებლობისათვის გამოყენებული სხვა აქსესუარებით: „რამათა მოკლედ ვთქუა“, „ჩუენ მკირედითა და ყოვლად კინითა სიტყუთა წარმოგვჩენიან დიდთა მათ და მ-თხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან“. „ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედამიწევით“ (I, 341). ამავე თხზულებაში პირველად ქუკრებულში თავს იჩენს ჰაგიოგრაფიის მეორე მოთხოვნისებაც, რაც, თავის მხრივ, ზეპირსიტყვიერებიდან მიღებული მემკვიდრეობაა: ავტორი აღწერილი ფაქტების თვითმხილველი უნდა იყოს, ან, სასურველია, ამბის მონაწილე: „ესე ყოველი მოიწია და თუალითა ჩუენითა ვახილეთ“ (I, 322). „აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასშიან, გარდავსე ისტორიასა და ვასილოლორათსა, რომელ არს „მითხრობა მეფეთა“ (II, 12). ამ შემთხვევაშიც ავტორს თავისი თავი თვითმხილველად გამოჰყავს, ისევე როგორც თამარის მეორე ისტორიკოსს (II, 146): „ვითარცა თუთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყუსაებრ ბრძნისა“, რაც, თუმცა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს მართლაც ასეა (გაუხსენოთ იგივე „ნინოს ცხოვრება“). ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე აგრეთვე სიტყვა „ქებასთან“ კონტექსტში მიმართავს მკითხველს გიორგი IV-სთან დაკავშირებით: „ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყოდეთ, არცა გურცხუენოდის“ (I, 370).

ამდენად ზღაპრულ-ფანტასტიკური ეპიკის ინდივიდუალური თვისება განზოგადების შედეგად რაღაც პერიოდიდან ისტორიოგრაფიის ატრიბუტადაც იქცევა, და არა მარტო პანეგირიკებში, არამედ პოლემიკური ეპიკის ძეგლებშიც დასტურდება, სადაც აგრეთვე იყო საშიშროება, რომ ავტორი მიეკრძობას გამოიჩინდა. ასეთ დროს ავტორი მკითხველის დასაწმენებლად კვლავ ტრადიციულ ფორმებს მიმართავს: „განყოფიდა სომეხთა ქართლისაგან უეჭუელად აღწვირე წიგნსა ამას შინა“, — გვაპყნობს არსენი საფარელი⁴⁹.

საისტორიო მწერლობის შემდგომი საფეხურია ეპითალმწერლის ნაშრომი, რომლის ავტორი არსად მთელი თხზულების მანძილზე თავის თავს თვითმხილველს არ უწოდებს (სიგვლებთან დაკავშირებული ერთი შემთხვევის გარდა, რომელიც არ არის აუცილებელი პრინციპის დონემდე). საგანგებოდ არ გახაზავს ფაქტების სარწმუნოებას და ხშირად იმოწმებს წერილობით წყაროებს. ამავე დროს იგი პირველად განაზოგადებს, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც, ისტორიოგრაფიის ძირეულ მოთხოვნას: „ეპითალმწერელობა ქეშმარიტის მეტყუელება არს და არა თუალ-აქმა ვისთესმე (II, 199). თუმცა ამ თვალსაზრისით ავტორი ბოლომდე თანმიმდევრული არ არის: ზეპირსიტყვიერების ტრადიცია იმდენად ძლიერია, რომ ვერც ის აღწევს თავს ფანტასტიკურ-ზღაპრულ ელემენტებს.

ქუკრის თხზულებებში ათვისებულია აღრეული ლიტერატურის კიდევ ერთი ნიშანი: „ბრავლისაგან მკირეს“ გადმოცემა, რაც თავის მხრივ, განზოგადების გარკვეულ საფეხურს უკავშირდება და, ბუნებრივია, პირველად მრავალპლა-

⁴⁹ არსენი საფარელი, განყოფილთა ქართელთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკლეა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 78. აღსანიშნავია, რომ ამირანდარეჯანის ავტორიც ირწმუნება: „თუალთა ჩემთა ნახული და ზოგი ნასმენი მომიქნენება“ (ამირანდარეჯანი, მოსე ხონელისა, თბ., 1939, გვ. 179).

ნიანობის საფეხურზე აღმოცენდება. აღნიშნული ელემენტი, ჰიპერბოლის ერთ-ერთი ხერხია, რომელიც აუცილებლად თან სდევს პავიოგრაფიულ თხზულებებს; გამოიყენება დამაჭერებლობისა და მსმენელთა დარწმუნებისათვის, რასაც ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ („რამათა არა იყოს ნამეტნავ სმენელსა მსმენელთასა“, „თითოეულად წარმოთქმა შეუძლებელ არს, უკეთუ თუ ვინ შეუძლოს და ვერამე მსმენელნიცა ურწმუნოებად მიდრკენ, რამეთუ გონებისაგან კაცთასა, ვითარცა უზუშთაეს არს“, „რათა არა სიმრავლე წერილთა შემოვილოთ ანუ ურწმუნოთ ვისმე აღუჩნდეთ“).

მსგავსი ფრაზები პირველად „მატიანე ქართლისაში“ გვხვდება („უკეთუ ვინმე ინებოს თუთეულად წარმოთქმა ყოველთა განგებულებათა მათათა, მოუძღურდეს ძალა მისი, რომელმან მცირედი წარმოვთქუ ეამთა სიგრძისაგან არა დაეიწყებინათეს“ (I, 282) და შემდეგ ყველა მომდევნო თხზულების ორნამენტად იქცევა („ხოლო აწ ესევითარნი რა ენამან, ანუ რა გონებამან თუთეულისა ველ ყო მოთხრობად, საწყენ სამე იქმნას აღწერილი განგრძობითა სათქმელთათა“ (II, 16) „ხოლო მე მორიდეს განგრძობასა წყინობისასა მცონის დავდებად ღუაწლი ომთა და მარჯუბათა უქანასკნელთა უმჯობესთა პირველისათა“. II, 59). თხზულებებში ჩვეულებრივი ხდება ფრაზა: „რალა გრძელ სიტყუა საქმარ არს“.

ქართველ ავტორთათვის კარგად ცნობილი პრინციპი — „ბრინად მეტყუელებად ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო ღუმელი ოქროჲ რჩეული“, (I, 248) აიძულებს თითქმის ყველა პავიოგრაფს თხზულება თავის მართლებით დაიწყოს: „კუაღლად ნეშინის მე დაღუმებად... აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენა დაეყენოს ჩემთსცა მოღუაწებაჲ მეოხებისა შენისაჲ ქრისტეს მიმართ“ (I, 77), „რამათა არა სიღრმესა შინა დაფარულ იყენენ სათნოებანი წმიდისა მის მამისა და მოძღურისანი“ (I, 192), „რამათა არა დაეიწყებულ იქნას მომავალთაგან...“ (II, 103), „ესე დიდი ზღვევაჲ არს ყოველთა მორწმუნეთათს და უფროსად ჩუენ ქართველთა სასწაულთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა დაეიწყებასა მიცემეჲ“ (II, 51).

ასევე იქცევა „ისტორიათა და აზმათა“ ავტორიც, რომელიც პავიოგრაფების ტრადიციულ ფრაზას იმეორებს: „ვინათგან საქმეთა დიდთა კეთილთა დაეიწყებად შეიქნა, არა ჭერ ვიჩინე დაღუმებად, რომელნი ზესთა ძალისა არიან არა ჩემთსოდენ, არამედ ვგონებ პირველთა სიტყუს-მოქმედთა“ (II, 78).

ამდენად, ქრისტიანული თხზულებას ბევრი ნიშანი აახლოებს პავიოგრაფიასთან⁸⁰. განსაკუთრებით ეს ეხება რომელიმე ერთი პიროვნებისადმი მიძღვნილ მონაცემებს — ნინოს ცხოვრება, ვახტანგის ცხოვრება, დავითისა და თამარის ისტორიები. ყველა ეს თხზულება პავიოგრაფიის ერთ-ერთი მოთხოვნის თანახმად, ამ პიროვნებათა წარმოშობის, მშობლების დახასიათებითა და მთავარი მოქმედი პირის ბავშვობის წლების გადმოცემით იწყება⁸¹.

„სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი... უფრო ყოველთა მეფეთა ქართლისათა...“ — ამბობს მემატიანე ვახტანგ გორგასლის შესახებ. შემდეგ იგივე ვახტანგი წმინდა ადგილებს მოივლის, რაც აგრეთვე პავიოგრაფიის ეტი-

⁸⁰ ი. კეკელიძე, შემოქმედებითი პროცესი ძველ-ქართულ ლიტერატურაში. იდუილოგორი ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 210—211.

⁸¹ თუმცა დავითის ისტორიის თხზულების ტრადიციული დასაწყისი, ა. ბოგვერძის ვარაუდით, „მატიანე ქართლისა“ ეკუთვნის (იხ. მისი — „ქართლის ცხოვრებას“ პირველი მატრიანე და მისი ავტორი, გვ. 37).

კეტის თანახმად. წმინდანს მოეთხოვება. „წმინდა ადგილები მოინახეს ყოველნი ადგილნი წმიდანნი და შევედრნეს წმიდასა აღდგომას შეწირეს შესასწირავი“... ეს თხზულებები, დაწერილი როგორც ქება-შესხმა, ერთგვარი ჰიპერბოლიზაციით ხასიათდება („ალარ დაებადა ღმერთსა სწორი ამისი, არცა მგონეს თუ დაბადებდა არს“. „შეიქნა მშვიდობა... რომელი არასოდეს სადა ვის უხილავს“. „ესევეთარი იქნა გალაშქრება, რომელი არასოდეს ვისგან ქმნილ იყო ბაგრატიან-საგან“. „რომელ არავის ექნა, არცა პირველ, არცა შემდგომ“). მწუხარების გამოსახატავად, ჩვეულებრივ, მეფის გარდაცვალების გამო, ერთმანეთის გვერდით ხშირად იკითხება „ტირილი“, „გლოვა“, „გოდება“ და „ტყება“. ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარე გოდების ტრადიცია მწერლობაში თხზულებების ფორმის შესაბამისად სხვადასხვა სახით აისახა. ჰაგიოგრაფიასთან ახლო მდგომ ძეგლებში შედარებით ვრცელი ნიმუშები დასტურდება (მაგ., თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში).

„ისტორიათა და აზმათა“ საგრძნობი კავშირი იოანე ზედაზნელის მეტაფრასულ ცხოვრებასთან შესაძლოა უთარილობაშიც დაინახოთ, რაც, თავის მხრივ, ალბათ გავლენას ახდენს ქამთაღმწერელზე.

ლეონტი მროველის თხზულება და „მატიანე ქართლისა“, როგორც ვარაუდობენ, თითქმის ერთდროულად არის შედგენილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის საგრძნობი თვისობრივი სხვაობა ჩნდება, რისი წყაროც არაიშვიათად ჰაგიოგრაფიული მწერლობაა. ის, რისიც მხოლოდ ჩანასახები გვხვდება ლეონტისთან, ისტორიოგრაფიის წარმმართველი ხდება. აქვს თუ არა ასეთ თვისობრივ დაცილებებს დამატარილებელი მნიშვნელობა, თუ მთლიანად ავტორთა ინდივიდუალობას უნდა მიეწეროს? ცხადია, მეთოდოლოგიურად არ იქნება გამართლებული ამ მნიშვნელობის აბსოლუტიზაცია, თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიოგრაფია მუდამ აღმავალი გზით არ ვითარდებოდა (ამის მაჩვენებელია ის ფაქტები, რომ ზოგიერთ მოგვიანო ძეგლში, მაგალითად, „ისტორიანი და აზმანიში“ და „ასწლოვან მატიანეში“, საერთოდ არ გვხვდება თარიღები, ანდა „აღორძინების“ ხანის რამდენიმე ავტორი მხოლოდ ზეპირ წყაროებს იმოწმებს), თითქოსდა უკვე დამკვიდრებული ზოგიერთი ზოგადი თვისება შემდეგ არაერთხელ ირღვეოდა, მაგრამ „მატიანე ქართლისაში“ გამოვლენილი ზოგიერთი ტენდენცია, რომელიც მთელ შემდგომ ლიტერატურას გასდევს და არ არის ბუნებრივი მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებისათვის⁵², ადრეული მწერლობის ხასიათზე უდავოდ მეტყველებს, ხოლო ჰაგიოგრაფიის მიღწევების თანდათან ათვისებაში (და არა მარტო ჰაგიოგრაფიის) ისტორიოგრაფიის შინაგანი მოთხოვნილებანი, მისი სტრუქტურის თანდათანობითი გართულება მქალაქდება.

განზოგადებისაკენ მიდრეკილება გამოიხატა ჭერ კიდევ მითოლოგიის სა-

⁵² გამოთქმულია მოსაზრება „მატიანე ქართლისა“ ლეონტი მროველისადმი კუთვნილების შესახებ (ე. გ. რიგოლია, „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათულების საკითხისათვის“, ი. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1967, გვ. 218—232). აღნიშნული მოსაზრების მთავარი არგუმენტი—დავითის ისტორიკოსისა და XIV ს. ანონიმის მიერ წყაროთა დამოწმება სამართლიანად დააყენა ექვსი კვეთი გ. წულაია (Летописи Грузии, перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982, 22—27). ქართულ წყაროებში ძველ საშწერლობო ტერმინებზე დაკვირვების შედეგად, ვფიქრობთ, იქნებ როგორც დავითის ისტორიკოსის „ძველი მატიანე ქართლისა“ (ე. კეკელიძე, ეხტანჯე გორგასლის ისტორიკოსი და მისი ავტორი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 191, სქოლიო), XIV ს. ანონიმის „წიგნი მეფეთა ბაღუმისთა და ნათესავთა მისთა“ ზოგადი მნიშვნელობისა და არ გულისხმობს თხზულებათა სათაურებს.

ფეხურზე პიროვნების იდეალის შექმნაშიც, რაც ზნეობრივი კოდექსის ცვლასთან ერთად სხვადასხვა სახეს იღებს. ჩნდება ახალი ეპითეტები, რომელთა თანმიმდევრობა ერთგვარად სულიერი მოძრაობის გამომხატველიცაა. საუკუნეების მანძილზე გამოძერწილი იდეალური სახე მატერიალურისა და სულიერის პარამონიაა, ხოლო თუ საჭიროა რომელიმეს უპირატესობის ხაზის გასმა, ეს მუდამ ზნეობრივ-სულიერი სფეროს სასარგებლოდ წყდება. ნაკლებ სტანდარტულია თანამედროვეთა დახასიათებები. აქედან გამომდინარე, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, რომელთა ავტორები ძირითადად მთავარი გმირის თანამედროვენი იყვნენ და უპირატესად მხოლოდ ერთი პიროვნებით იყვნენ დაინტერესებული, იშვიათად შეიმჩნევა შაბლონური დახასიათებები (თუმცა არის გამონაკლისები, მაგალითად: „ნეტარმან გრიგოლ. მდაბალმან გულითა და გლახკმან სულითა. მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა... იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხელ. პასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“. I. 250).

სტანდარტიზაცია ახასიათებს მოგვიანო ავტორებს, რომლებიც თხზულებებს ძველ მასალაზე დაყრდნობით აგებენ (მაგ., დავით და კონსტანტინეს წამების მეტაფრასულ ვარიანტში: „იყვნეს წმიდანი ესე ქალწულ კორცითა და მეციხერ ძველისა და ახლისა სჯულსა. ჰეშმარიტი მორწმუნენი და გამოკდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა, რამეთუ იყო დავით უხუცე დლითა, ჰაეროვან და სპეტაკ კორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და კშირ წუერითა, ხოლო კოსტანტი შუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერ გამო. და ორნივე საესე სულითა წმიდითა“. III, 25) ამავე დროს უკვე ჰაგიოგრაფიაში მეფის დახასიათება გარკვეულ ყალიბს იღებს (მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის (I, 307), ან მირიან მეფის (III, 46) დახასიათებები), რომელიც უფრო რთულდება და იხვეწება ქც-ის თხზულებებში.

პიროვნებათა დახასიათებისას განზოგადებისა და სტანდარტიზაციისაკენ სწრაფვა, ერთისა და იმავე წინადადებების გამეორება სხვადასხვა თხზულებაში აშკარად შეიმჩნევა ჰაგიოგრაფიაში, (ასე მაგალითად, გიორგი მცირე გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილ თხზულებაში ზუსტად იმასვე იმეორებს, რასაც თვითონ გიორგი მთაწმინდელი ამბობს იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში: „ეგვეთარი თარგმანი თვნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა სხვაი არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვკგონებ თუ არცა გამოჩინებად არს. II, 145).

რევე, როგორც დავითის მემკვიდრე, თამარის პირველი ისტორიკოსიც არ იძლევა მეფის ტრაფარეტულ დახასიათებას. თამარის დახასიათება, ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მსგავსად, მთელ თხზულებაშია გაბნეული. მის მიმართ გამოიყენება ეპითეტები: „ჰეშმარიტი იყო და მტკიცე სჯულსა ზედა“ (II, 37). „უმეტეს შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კანძასა და შენებასა, ობოლთა და ქურცთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა“ (II, 99) და სხვ. ე. ი. წინ წამოწეულია ყველა ის თვისება, რომელიც წმინდანს მოეთხოვება. დავითისა და თამარის წმინდანებად გააზრებით კიდევ ერთხელ ხაზი ესმება თხზულებათა ტიპოლოგიურ სიახლოვეს ჰაგიოგრაფიულ მწერლობასთან. მაგრამ დავით სოსლანის მიმართ, რომელიც თხზულების მთავარი მოქმედი პირი არ არის, კვლავ ტრაფარეტული დახასიათება გამოიყენება: „კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა საღმრთოთა და საყაცობოთა, შესახედავად განშუენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მკნე გულოვანთაგანი, უხვ და მდაბალი და სიკეთე აღმატებული“ (II, 100).

რაც უფრო დიდ პერიოდსა და მასალას მოიცავს მემატრიანე, მით უფრო მიისწრაფვის იგი უნიფიკაციისაკენ. ლეონტი მროველის თხზულების პირველ ნაწილში არეკლილია ზეპირსიტყვიერების ის ადრეული შრე, რომელიც შემდეგ მხატვრულ ლიტერატურაშიც მოიკიდებს ფეხს — გმირის ფიზიკური ძალის წინაშე ქედის მოხრას⁵³, რითაც თუმცა სრულიად არ იჩრდილება მისი სულიერი თვისებები („ესე ადრეკი... იყო კაცი ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი. მრავალჯერ გამოცდილ იყო ბრძოლასა...“ (I, 33); „ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მკვდარი, შემმართებელი და მონადირე კელოვანი“ (I, 21). ასეთი ვითარებაა ქრისტიანობისამდებ, რომელიც პიროვნების სრულიად ახალ იდეალს ქმნის. ხოლო მანამდე ერთგვარი გარდამავალი ფორმა გვხვდება: „ესე რეე მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჰირვეულთა“ (I, 58). ამიერიდან, ისტორიოგრაფის თვალთ, იდეალურ ქართლის მეფეს სარწმუნოების დაცვა მოეთხოვება, ხოლო ყოველი მეფის საქმიანობა იმის მიხედვით ფასდება დადებითად ან უარყოფითად, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენს იგი ქრისტიანობისადმი და უწყევს თუ არა მფარველობას სასულიერო ფენას. ეს ნიშანი ედება საფუძვლად ამ ხანის ლიტერატურული აზროვნებისათვის დამახასიათებელ პიროვნებისადმი ცალმხრივ დამოკიდებულებას⁵⁴ (თუ, ერთი მხრით, „ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნობასა შინა აღასრულა და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებლად“ (I, 131), ვარაზ ბაქარ, პირიქით, „მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა... არა სადა აღაშენა ეკლესია (I, 135 — 136); „მორდატ იყო მორწმუნე და ღმრთის მსახური“ (ეს ნიშანი უსათუოდ პირველ ადგილზეა, ხოლო ის, რაც მას მოსდევს, ყველა შემთხვევაში არ შეინიშნება), „ქუელი და შემმართებელი, ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი აღასრულა სარწმუნობასა შინა სამებისა წმიდისასა. ეკლესიათა შენგბასა და ყოველსა ქართლსა შინა განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი და მსახურნი ეკლესიათანი“ (I, 142).

ეპითეტების თანმიმდევრობა იცვლება „მატიანე ქართლისაში“. პირველ პლანზე კვლავ სხვა თვისებები წამოიწვეს („მიიღო სრულობით მეფობა აფხაზთა გიორგი მეფემან. იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმკნითა და ახოვნებითა“. (იხ. რაც ადრე განმსაზღვრელი იყო, მეორე ადგილზე გადაინაცვლებს). „ღმრთის-მოყუარე იყო. უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვ და მდბალი და ყოვლითა კეთილითა და სათნოებითა სრული“ (I, 265). ასევეა ამ თხზულების სხვა მონაკვეთებშიც.

XIV ს. ანონიმთან ღვთისმოსავობა პიროვნებათა დახასიათებისას აუცილებელ თვისებად აღარ არის მიჩნეული. ამავე დროს მასთან ხაზი ესმება ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა „მართლმსაჯული“, „სამართლიანი“; მასთანვე პირველად რთულდება პიროვნება, რომელშიც დადებითი და უარყოფითი თვისებები იწყებენ თანარსებობას.

შესაბამისად იცვლება „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში მეფისა და ღმერთის ურთიერთდამოკიდებულება. თუ ვახტანგ გორგასალს ძალა მთლიანად უფლავაგან აქვს მინიჭებული, XII — XIII სს. მეფის გაღმერთების პროცესი თავის აპოგეას აღწევს, რაც თამარის IV ჰიპოსტაზობის იდეაში პოვებს ასახვას⁵⁵.

⁵³ რ. ს ი რ ა ძ ე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 29.

⁵⁴ Д. С. Лихачев, Человек в литературе Древней Руси, М., 1970.

⁵⁵ რ. ს ი რ ა ძ ე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 167—192.

ამავე დროს ეს მოვლენა უკუპროცესის დასაბამიცაა. ამერიდან მეფის პარალელურად⁵⁶ ღვთის ცნების „ღველავეციაც“ შეიმჩნევა. რაც XVIII ს-თვის სრულიად მყარ განწყობილებად გაფორმდება⁵⁷ („არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“. — თეიმურაზი, ანდა „საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყლოდა და უბუდობით“. — არჩილი).

უნდა აღინიშნოს, რომ ჰაგიოგრაფებ-საგან განსხვავებით, ქართველი ისტორიკოსები სარწმუნოებრივი მოწინააღმდეგეების მიმართ (გარკვეული პერიოდდან) შემწყნარებლობას იჩენენ. მათთვის მთავარია მოწინააღმდეგეთა არა სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკური მრწამსი. დავითის ისტორიკოსი ერთ-ერთ თურქ დიდებულს შემდეგ ატესტაციას აძლევს: „ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი“, ანდა „იყო კაცი იგი მაღიქ-შა ვითარცა სიდიდითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომელნი მრავალ არნ და სხუანიცა ურიცხუნი. საცნაურებანი. მართლმსაჯულობანი, მოწყალებანი, ქრისტიანეთა სიყუარულნი და რათა არა განეგარძოთ სიტყუა, ყოველად უბოროტო რამე გონება ყოველით კერძო აქუნდა“ (I, 321). XIV ს. ანონიმი საკმაოდ დადებითად ახასიათებს მონღოლებს.

ამდენად, ქც-ის თხზულებებში საკმაოდ ნათლად აისახა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, მისი თანდათან დახვეწა და სრულყოფა. ეს პროცესი, ისეთივე რთული და წინააღმდეგობრივი, როგორც საზოგადოების განვითარება, მუდამ აღმავალი არ იყო. მაგრამ ძეგლთა კომპლექსურ-ენობრივი და სტრუქტურულ-შინაარსობრივი ანალიზით საერთო ლიტერატურული პროცესების შუქზე შესაძლებელი ხდება. ერთი მხრივ. მათი უფრო ზუსტი დათარიღება, ხოლო, მეორე მხრივ, მწერლობისა და მასზე დაყრდნობით საზოგადოების ისტორიის უფრო ღრმად ჩაწვდომა.

Г. Г. АЛАСАНИА

К СРАВНИТЕЛЬНОМУ ИЗУЧЕНИЮ ГРУЗИНСКОЙ АГИОГРАФИИ И ИСТОРИЧЕСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ

За основу сравнительного изучения агнографической и исторической литературы в статье взяты следующие параметры: 1. переход от одноплановой структуры изложения к многоплановой и связанные с данным явлением формально-художественные аксессуары; 2. подход к действительности, степень обобщения, стереотипность; 3. соотношение устной и письменной традиции и его связь с определением классификационных особенностей письменных источников; 4. взгляды на авторство; 5. отношение к датам; 6. к т. н. «мотиву животных». В труде прослеживается развитие идеала личности.

⁵⁶ მ. კარბელაშვილი, მეფის ღმრთისწობობის იდეის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, „მაცნე“, ვნისა და ლიტ. სერია, 1971, №2. „ამთაღმწერელი, ისევე როგორც ძველი ერისთავთა“ შემდეგნაღ, მეფის ტრადიციულ დახასიათებას ერისთავებას და დიდებულებზე ავრცელებს, რაც წინა თხზულებებში იშვიათად გვხვდება.

⁵⁷ რ. ბარამიძე, სარწმუნოებრივი ინდიფერენტისმის გამოძახილი XVIII საუკუნის კონფლექტებში, „იველი ქართული ლიტერატურა“ (XI—XVIII), თბ., 1977.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილება

წარმოადგინა ი. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა

ნიმუ ქავსია

ბასილი დიდის ერთი თხზულების ქართული თარგმანი

ბასილი კესარიელის თხზულებათა მრავალრიცხოვან ქართულ თარგმანებში გამოიყოფა რამდენიმე უსათაურო სწავლა, რომელთაც სხვადასხვა ხელნაწერებში მისსავე მეორე ეპისტოლის მეზობლობაში ვხვდებით. ესენია:

მბ. სწავლანი — „კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი...“¹ (83r—88r).

მგ. მისივე, სწავლანი ლოცვისათვის და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათვის საცხორებელად სულისა — „ლოცვაჲ უბნობაჲ არს გონებისაჲ...“ (88r—108v).

მგ. [I] სინანულისათვის — „ძმანო, ნუჟუჟე რომელი დაეცის...“ (108v—110v).

მდ. სწავლა — „რომელსა ჭეშმარიტად სუროდის...“ (110v—119v).

მე. სწავლა — „სახარებასა შინა წერილ არს...“ (119v—130r).

მე. სწავლა — „საყუარელნო, უჟუეთუ მცირესა ამას ეამსა...“ (130v—132v).

მზ. სწავლა — „რაჲამს შჭდე სენაკსა შენსა...“ (132r—134r).

მთ. უსათაურო — „თქუა წმიდამან ბასილი, რაჲამს ებრძოდის გულის სიტყუა-სა რომლისამე ცოდვისა მიმართ...“ (137v—140r).

ეს თავები ძირითადად კომილექტიურ ხელნაწერებში დამკვიდრდა. ისინი შესულია ბასილის სწავლის ერთ-ერთ უძველეს კრებულში Jer 14 (1055 წ.) და „ითიკის“ ხელნაწერებში: A 927 (XII ს.), A 100 (1713 წ.), S 376 (1798 წ.) A 181 (1816 წ.), A 394 (XVIII ს.), H 2350 (XVIII ს.), S 3661 (XVIII ს.).

მათი შემკველი დანარჩენი ნუსხებიდან A 1101 (1047 წ.), ქუთ. 431 (1789 წ.), H 2853 (XVIII ს.) ასკეტური ხასიათის ხელნაწერებს წარმოადგენენ. ხოლო შედგენილობით ერთმანეთის მსგავსი A 548 (1862 წ.) და A 404 (1807 წ.) კანონიკური კრებულებია.

„ითიკის“ ნუსხებში მტკიცედ დამკვიდრებული ეს რამდენიმე თხზულება კ. კეკელიძემ ბასილის სხვა „სწავლანთან“ ერთად მისსავე კომილექტიურ შემკვიდრებას მიაკუთვნა. ეს აზრი საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულ მეცნიერებაში, განსაკუთრებით კი ზელნაწერთა აღწერილობებში².

აღნიშნული „სწავლანი“ ბასილის ასკეტური ტექსტების სპეციალისტის ე. გრიბომონის კვლევის სფეროშიც მოხვდა. თავის შრომაში მეცნიერმა მთელი თავი მიუძღვნა „ასკეტიკონის“ ქართულ რედაქციებს, ხოლო ამ სწავლათა ერთობლიობა მიიჩნია ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ერთ-ერთ მესამე, ექვთიმე ათონელისეულ (C) რედაქციად იფრემ მცირისა (A) და პროკოპი მღვდლის (B) თარგმანების შემდეგ. მან პირველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „სწავლა“ დასაწყისით „კაცთ-

¹ თავებს ეუთოთებთ უძველესი ხელნაწერის A 1101-ის მიხედვით (იხ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერების (A კოლექცია), ტ. IV, შეადგინა ქ. შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 66—76.

² კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, თბ., 1927, გვ. 109—110; მისივე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტრუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 17—18.

მოყუარე ღმერთი ჩუენი...“ წარმოადგენდეს ბასილის მე-3 და მე-4 ასკეტური პროლოგების შეერთებას, ანუ პროლოგ 34-ს. ჩვენ მიერ ზემოჩამოთვლილ უსათაურო თხზულებებს მეცნიერი სამართლიანად უწოდებს „არაიდენტიფიცირებულებს“ და აღნიშნავს, რომ მათი დასაწყისები გარდა ერთისა (პროლოგი 34) „ასკეტკონში“ არ იძებნება.³

„ითიკის“ კუთვნილებად მიიჩნია ეს თავები ე. ხინთიბიძემ და ე. გრიბომონის შრომაზე დაყრდნობით, წმინდა ასკეტურ თხზულებად გამოაცხადა „სწავლა“ დასაწყისით „კაცთ-მოყუარე ღმერთი ჩუენი...“ (პროლოგი 34)⁴.

ბასილის ჰომილიათა კრებულის, Jer. 14-ის კვლევისას ამ თავების შესახებ ჩვენი ვარაუდი ანეთი იყო: ექვთიმე ათონელმა ბასილის, ან, შესაძლოა, სხვა ავტორთა თხზულებებიდან მონასტრის მოღვაწეთათვის შეარჩია რამდენიმე ასკეტური შინაარსის თხზულება და თარგმნა. ეს სწავლანი Jer 14-სა და „ითიკის“ ხელნაწერებში დამკვიდრდნენ არა როგორც მისი განუყოფელი და კანონიერი ნაწილი, არამედ როგორც ექვთიმეს მიერ თარგმნილი ბასილის თხზულებანი. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს ასკეტური ხასიათის კრებული A 1101. რომელიც უძველესია ამ თავების შემკველ ხელნაწერთა შორის⁵.

ჩვენი ცდა, დაგვეძებნა ამ უსათაურო თავების ნამდვილი ადგილი ბასილის შემოქმედებაში თითქმის უშედეგოდ დამთავრდა, ეს განაპირობა იმანაც, რომ კვლევის სფეროდან საერთოდ ამოვიღეთ ბასილი დიდის „ასკეტკონი“⁶.

ამჟამად ჩვენ შევეჩხებით აღნიშნული თხზულებებიდან ერთ-ერთს. ეს არის სწავლა „თქმული წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისი სინანულისათჳს“ დასაწყისით „მძაო, ნუუუეუ რომელი დაეცის, არა აღდგისა?...“ (A 1101, 108v—110v). კვლევამ ცხადყო, რომ ეს თარგმანი წარმოადგენს ბასილის 46-ე ეპისტოლის (Πρὸς ἀσκητικὸν ἐκπεμπόμενον — დაცემულ ქალწულს, PG 32, 369—381) იმ ფრაგმენტის ქართულ თარგმანს, რომელსაც რედაქტორის დამუშავების შემდეგ დამოუკიდებელი ასკეტური ნაწარმოების სახე მიუღია. 46-ე ეპისტოლის პირველი ნაწილი კერძო ხასიათისაა (აღწერილია დაცემული ქალის სახე). ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი კი ამ ეპისტოლის ბოლო ნაწილს მოიცავს და შედარებით ზოგადი ხასიათისაა. ამის გამო მიიპყრო მან ინტერპოლატორ-რედაქტორთა ყურადღება და ცალკე საკითხავად იქნა გამოყოფილი.

³ J. Gribomont. Histoire du texte des Ascetiques de s. Basile, Louvain, 1953, გვ. 80.

⁴ ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968, გვ. 68—69.

⁵ ნ. ცოფურაშვილი, „ითიკის“ შედგენილობისათვის, „შაკე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, გვ. 80.

⁶ პართალა, ამ თავების დასაწყისები, გარდა ერთისა (პროლოგი 34), „ასკეტკონში“ არ იძებნება, მაგრამ ერთ-ერთ „სწავლაში“ (დასაწყისით „რომელსა ქეშპარტიად სურდის...“ A 1101, 110v—119v) ჩვენ მაინც მივაკლავთ ბასილი დიდის XI ასკეტური სიტყვის (Sermo, XI, PG 31, 625—648) ფრაგმენტის თარგმანს. ეს ფრაგმენტი ასე იწყება: „მოყავ უუეუ ყური შენი, მშაო, რომელსა ეგვ ვსურს მოქალაქობა...“ (117r-119v). დღემდე ცნობილი იყო ამ სიტყვის მხოლოდ ეფრემ მცირისეული თარგმანი.

ჩვენს ზემოდასახელებულ გამოკვლევაში (გვ. 80) ბასილის „სწავლა“ დასაწ. „სახარებასა შინა წერილ არს...“ (Jer 14, 323r—337v) მივიჩნით ფსევდობასილის თხზულებების — „ისაია წინასწარმეტყველის განმარტების“ — წინასიტყვაობად (Enarratio in prophetam Isaiam, PG 30, 117—668), მაგრამ, როგორც ვაირკვა, ეს სწავლა წარმოადგენს ამ ბოლიანი თხზულების გამოყრებულ თარგმანს. მასალის შერჩევის პრინციპი ჩვენ ვერ ავხსენით.

ტექსტის გადაკეთება-შემოკლება რომ ქართულ ნიადაგზე არ მომხდარა, ამას შემდეგი გარემოებაც მოწმობს: ამ ეპისტოლის თითქმის იგივე ნაწილი დასაწყისით: *Ἀδὲ τοῖς υἱοῖς ἐξ ἔθνοισιν ἣν ἐσχητέον...* (PG 32, 1304) სციმონ მეტაფრასტმა შეიტანა ბასილის თხზულებებიდან ამოკრებილ თავის ერთ-ერთ, XIV სიტყვაში *De future judicio* (PG, 32, 1297—1303⁷), რომელიც ჩვენთვის საინტერესო ტექსტის გარდა შეიცავს ფრაგმენტებს ბასილის სხვა თხზულებებიდან. მის ბოლო ნაწილს წარმოადგენს სწორედ ამ ეპისტოლის ნაწყვეტი.

ამ „სწავლისა“ და სციმონის მიერ დამუშავებული ფრაგმენტის შედარება მათ შორის არსებულ სხვაობას მოწმობს და მთლიანად გამორიცხავს ერთი-საგან მეორის წარმომავლობას. ქართული თარგმანი შეიცავს აღნიშნული ეპისტოლის უფრო ვრცელ ნაწილს, ვიდრე სციმონ მეტაფრასტის XIV სიტყვა. ორივე რედაქტორი ამოკლებს ერთსა და იმავე ვრცელ ბიბლიურ ციტატას (დან. 9—10), მაგრამ სხვადასხვა ნაწილში.

მართალია, სციმონის მიერ დამუშავებული ნაწყვეტი არ წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო ეპისტოლის ფრაგმენტის ბერძნულ დედანს, მაგრამ მისი არსებობა უკვე თავისთავად გულისხმობს ქართული თარგმანის ბერძნული დედნის არსებობასაც.

ეპისტოლის ტექსტის როგორც ექვთიმესეულ. ისე სციმონის მონაკვეთშიც უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც მოჩანს ადრესატის სახე. ამაზე უზრუნია ორივე ბერძნული ტექსტის რედაქტორებს და „საეჭვო“ ადგილები გადაუშუშავენიათ. მაგ., დედნისეულ წინადადებას *Ἀδὲ τοῖς ἀπέστρεψεν ἢ παρμῆναις ἀπιστορῶν ἄναθεῖ** — „რატომ მიიქცა ქალწული ასე უსირცხვილოდ?“ — ექვთიმეს თარგმანში ცვლის: „ამისთვის რად უსასო იქმნების შეცოდებული იგი და დაცემული და არლარა ჰნებას აღდგომაჲ?“ (A 1101, 108v). რადგან ეს ადგილი სციმონის რედაქციაში სულ არ არის შეტანილი, მისთვის ამ ადგილის გადაკეთების საჭიროება არ არსებობს. სამაგიეროდ ეპისტოლის ბოლო წინადადებაში მოხსენიებული ასული — *„...შე ანე ἢ მუყატერჱ მოს νεკრჱ ἦν καὶ ἀνέκτησε, καὶ ἀπολαύεα καὶ ἐνρῆθη“*⁸... (რამეთუ ა ს უ ლ ი ჩემი მკვდარი იყო და აღდგა, წარწყმედული იყო და იპოვა) — ექვთიმეს თარგმანში შეცვლილია ძით: „...რამეთუ ძმ ჩემი წარწყმედული იყო და იპოვა, მომკუდარ იყო და აღდგა...“ (A 1101, 110v). იგივეს ვხვდებით სციმონის მიერ დამუშავებულ ფრაგმენტშიც. შდრ.: *...ἦ: ὁντος ἂ Ἰσὶς μοσ νεκρῶς ἦν, καὶ ἀνέκτησε, καὶ ἀπολαύσας, καὶ ἐνρῆθη“* (PG 32, 1305).

აღსანიშნავია, აგრეთვე, როგორც ქართული ტექსტის დასაწყისი მიმართვა ძ მ ა ნ ო, ისე ორივე ტექსტში ჩართული მიმართვის ფორმები: „მოიკსენე უკუე, ზ კ ა ც ო, უკანაასქნელი იგი დღმ...“ (A 1101, 109r); „მზა არს, ზ, კ ა ც ო, შეცოდებულა, დიდი იგი სულთა მკურნალი...“ (A 1101, 110r); *„Ἀδὲ τοῖς υἱοῖς ἐξ ἔθνοισιν ἣν ἐσχητέον ἢ ἡμέρας, ἢ ἡμέρας...“* (PG 32, 1304).

აქვე უნდა მივუთითოთ ორივე ტექსტში შეტანილ ტრადიციულ დაბოლოებაზე, რომელსაც, ბუნებრივია, არ შეიცავს ეპისტოლე: „რამეთუ მისი არს დიდება სახიერისაჲ მისი და კაცთმოყუარისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის

⁷ სწორედ ამიტომ ჩვენ აღნიშნული ტექსტი შედგომოთ სციმონ მეტაფრასტს მივაკუთვნეთ („ოთის“ შედგენილობისათვის, გვ. 80).

⁸ ეპისტოლის ტექსტს ყველაზე ენოქმებთ მისი კრიტიკული გამოცემის მიხედვით: Saint Basile, *Lettres, Texte établi et traduit par Y. Courtonne*, t. 1, Paris, 1957, გვ. 122.

* იქვე, გვ. 125.

და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“. (A 1101, 110v). შდრ. სვიმეონის მიერ დამუშავებულ ფრაგმენტს: „Αὐτὰρ ἢ θὲν ἄ εἰς τὸν; ἀἰῶνας τῶν ἀἰῶνων. Ἀμήν“ (PG 32, 1305).

ამგვარად, ორივე შემთხვევაში ბასილის ეპისტოლის ამ ფრაგმენტის დამუშავება ძირითადად მის შემოკლება-გადაკეთებაში მდგომარეობს. რედაქტორების ამგვარმა ჩარევამ (ჩასაც სვიმეონ მეტაფრასტამდეც მიმართავენ მწიგნობარი მამები), პირვანდელი სახე დაუკარგა ამ ფრაგმენტს და შესაძლებელი გახდა მისი სრულიად სხვა, ასკეტური დანიშნულებით გამოყენება¹⁰.

Н. Я. КАДЖАИ

ГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД ОДНОГО ПРОИЗВЕДЕНИЯ ВАСИЛИЯ ВЕЛИКОГО

Резюме

В грузинских переводах творений Василия Великого выделяется ряд неозаглавленных поучений, которые встречаются в аскетических и гомилетических сборниках вместе со вторым письмом того же автора.

Одно из них — «Почтение о покаянии» (A 1101, 108v—110v) — представляет собой фрагмент текста XLVI письма Василия Великого.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

წარმოდგინა ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

¹⁰ ხელნაწერ H 2853-ის აღწერილობის მიხედვით „ითიკის“ ფრაგმენტად მიჩნეული ეს თხზულება, აღწერილს საძიებელში თემატურად ასკეტიკის განყოფილებაში აქვს გატანილი, იხ.: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. VI, შედგენილია და დასაბუქდად მოზაღდებელი ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძის და ქ. შარაშიძის მიერ, თბ., 1953, გვ. 523.

მ. მაისურაძე, მ. მაშულაშვილი, თ. ჩუბინიძე

იოვანე ოქროპირის ერთი საკითხავის კართული თარგმანი

იოვანე ოქროპირის სახელით ცნობილი ამალღების ჰომილია, რომლის შესახებაც წინამდებარე ნაშრომში გვექნება საუბარი, შემოგვეინახა ორმა მრავალთავემა — ათონურმა (XI ს.) და კლარჯულმა (X ს.).

ჰომილიას ათონის მრავალთავეში უკავია გვ. 134^r—137^r. იგი რიგით 42-ე საკითხავია. კლარჯულ მრავალთავეში აღნიშნული თხზულება დაცულია 26-ე ნომრით (გვ. 100^r—103^v), ოღონდ თავნაკლულია და უსათაურო. იგი აქ სხვა რედაქციისაა.

კლარჯული მრავალთავეის 25-ე საკითხავს ასეთი სათაური აქვს: საკითხავნი ამალღებისანი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ (გვ. 97^r). A 42-ს¹ კი ასეთი: საკითხავნი ამალღებისანი, თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ ამალღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა (გვ. 134^r). მაშასადამე, ამ საკითხავთაგან იგულისხმება ამალღების ჰომილიათა ციკლის დაწყება. მართლაც, k 25 და k 27 ამალღების საკითხავებია, რომელთა ავტორი იოვანე ოქროპირია. A 42 და მისი მომდევნო საკითხავებიც ანალოგიური ხასიათისაა. ასე რომ, K 26-ის თავნაკლულობის მიუხედავად, იგი იოვანე ოქროპირის ამალღების საკითხავთა რიგში დგება. მაგრამ, თუ ათონის მრავალთავეში A 42-ით იწყება იოვანე ოქროპირის ამალღების საკითხავთა ციკლი, კლარჯულში ეგევე ჰომილია ამ ციკლის შუაშია მოქცეული.

ამალღების ეს საკითხავი შემონახულია ბერძნულ, სომხურ და სირიულ ენებზე.

ბერძნული ხელნაწერები იოვანე ოქროპირის გარდა ამ თხზულების ავტორად კიდევ რამდენიმე სხვა პირს ასახელებენ, ესენია: კირილე ალექსანდრიელი, ვესევი ალექსანდრიელი. გრიგოლ ალექსანდრიელი, ლეონტი². ბერძნული მოდელი გამოკვეყნებულია P. G.-ს 64-ე ტომში³. ეს ტექსტი XI ს-ისაა, მიჩნეულია ფსევდო-ოქროპირისეულად⁴. აღნიშნული ჰომილია იოვანე ოქროპირის სახელით გამოცემული აქვთ აგრეთვე გ. ტეილორს⁵ და ბ. დე მონფოკონს⁶. 1935 წ. კი — ქრ. პაპადოპულოსს. მან საკითხავი კირილე ალექსანდრიელის სახელით გამოაკვეყნა⁷.

¹ ათონურ ტექსტს აღვნიშნავთ A ლიტერით, კლარჯულს K-თი.

² G. Lafontaine, La version arménienne du sermon sur l'Ascension d'Eusebe d'Alexandrie, 1976, გვ. 523.

³ P. G., 64, Paris, 1858—60, გვ. 46—48.

⁴ M. Van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, Louvain, 1975, გვ. 90.

⁵ E. M. Buytaert, L'héritage littéraire d'Eusebe d'Emese, —étude critique et historique, Textes, Louvain, 1949, გვ. 244.

⁶ J. M. Sauget, La version syriaque de l'homélie sur l'Ascension de Notre-Seigneur d'Eusebe d'Alexandrie, — Augustinianum, Roma, 1980, გვ. 301—302. G. Lafontaine, დასახ. ნაშრ., გვ. 523.

⁷ M. Van Esbroeck, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

ამას გარდა, გ. ლაფონტენი მიუთითებს ბერძნული ვერსიის მეორე რედაქციაზე, რომელიც P. G.-ს ტექსტთან შედარებით უფრო ვრცელია. ეს რედაქცია IX—X სს-ის 14 ხელნაწერმა შემოგვინახა⁸. ვრცელი რედაქცია მოკლესაგან იმით განსხვავდება, რომ მას რამდენიმე ჩანაშატი აქვს. ესაა ე. წ. არქაული ეპიზოდები, რომელთაც ქვემოთ შევხებით.

სომხურ ენაზე ამალღების ეს ჰომილია XII—XIX სს-ის რამდენიმე ხელნაწერმა შემოგვინახა. თხზულების ავტორად აქაც სხვადასხვა პირნი ჩანან — ევსევი ემესელი, ევსევი კესარიელი და ევსევი ალექსანდრიელი⁹. 1949 წელს ე. ბიუტარმა გამოაქვეყნა საკითხავის სომხური კრიტიკული ტექსტი¹⁰. 1976 წელს კი გ. ლაფონტენმა ბიუტარის მიერ გამოცემულ ტექსტს დაუმატა სხვა სომხურ ხელნაწერთა მონაცემები და ხელახლა გამოსცა ეს საკითხავი¹¹. გ. ლაფონტენი სომხურ ვერსიას ორ ჯგუფად ჰყოფს — მოკლედ და ვრცლად. მოკლე რედაქცია, მისი აზრით, ბერძნული ვრცელი რედაქციის იდენტურია (ეს სომხური ტექსტი ე. ბიუტარის მიერაა გამოცემული), ვრცელში იგი გამოყოფს კიდევ ორ ქვეჯგუფს: 1. ტექსტი, რომელსაც დასასრულში 29 სტრიქონიანი ჩანაშატი აქვს; ეს ჩანაშატი ბიუტარის მიერ გამოქვეყნებულა ტექსტის სქოლიოში, 2. პირველი ქვეჯგუფის ჩანაშატის ანალოგიური ტექსტი, ოღონდ უფრო ვრცელი¹².

სირიული ტექსტი გამოცემული აქვს ე. სოყეს¹³ ვატიკანის ბიბლიოთეკის № 369 (VII—IX სს.) ხელნაწერის მიხედვით¹⁴. როგორც გამოცემელი აღნიშნავს, Vat. Syr. 369 ერთადერთი ხელნაწერია, რომელმაც ეს ჰომილია სირიულ ენაზე შემოგვინახა¹⁵. სირიული ვერსია უსათუბროა და ავტორი არ ჩანს. ე. სოყე მიიჩნევს, რომ ამალღების ამ ჰომილიის ავტორი ევსევი ალექსანდრიელია¹⁶.

საკითხავის შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული მ. ვან ესბროკს, რომელიც თვლის, რომ ქართული ვერსია ბერძნულიდან სიტყვასიტყვით ნათარგმნი სომხური ტექსტიდან მომდინარეობს¹⁷.

ჩვენი მიზანია საკითხავის ქართულ-ბერძნულ-სომხურ-სირიულ ვერსიათა შედარების საფუძველზე მათი ურთიერთმიმართებისა და ასევე წყაროს დადგენასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გარკვევა.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ქართული ტექსტი გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ყველა ზემოაღნიშნულ ვერსიასთან, მაგრამ მისი წარმომავლობა მაინც ბერძნულს უნდა დაუეკავშიროთ. შევეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება: შინაარსის მხრივ ქართული ძალიან ჰგავს ბერ-

⁸ G. Lafontaine, დასახ. ნაშრ., გვ. 524.

⁹ E. M. Buytaert, დასახ. ნაშრ., გვ. 132—134; G. Lafontaine, დასახ. ნაშრ., გვ. 526—528.

¹⁰ E. M. Buytaert, დასახ. ნაშრ., გვ. 171*—185*.

¹¹ G. Lafontaine, დასახ. ნაშრ., გვ. 533—564.

¹² G. Lafontaine, დასახ. ნაშრ., გვ. 529.

¹³ J. M. Sauget, La version syriaque de l'homélie sur l'Ascension de Notre-Seigneur d'Eusebe d'Alexandrie, Augustinianum, Roma, 1980, გვ. 306—317.

¹⁴ J. M. Sauget, Deux Homélieux Syriaque de la Bibliothèque Vaticane, OCP 27, 1961, გვ. 395; მისივე, La version..., გვ. 300.

¹⁵ J. M. Sauget, La version..., გვ. 302.

¹⁶ J. M. Sauget, La version..., გვ. 302.

¹⁷ M. Van Esbroeck, დასახ. ნაშრ., გვ. 251—252.

ძნულს. იგი მას აწრობრივად ფაქტიურად არსად არ ეწინააღმდეგება. გვაქვს მხოლოდ შემდეგი ხასიათის ცვლილებანი¹⁸:

ა) კლება.

1. ათონ.: და გამოვიყვანო სული შენი უბრწყინვალესი შვისა (136^რ).

ბერძნ.: *καὶ παραίτησθαι σὺν αὐτῷ φραγῶ αὐτῷ λαμπροτέρων τοῦ ἡλίου καὶ φωταειστέραν αὐτῷ σελήνης.* (64, 46).

და გამოვიყვანო სული შენი უბრწყინვალესი შვისა და უნათლესი მთვარისა.

სირ. (312—52,3—4) მისდევს ბერძნულს, სომხ. (181) — ქართულს (A)

2. ათონ.: მოგიღონო თქვენ ნუგეშინისმცემელი სული წმიდა (136^ვ).

ბერძნ.: *καὶ μετὰ ἡμέρας δέκα πέμπτα τὸν Παράκλητον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον καὶ ζῶπαιον* (64, 47)

მოგიღონო თქვენ ნუგეშინისმცემელი სული წმიდა და შემქმნელი სოცოცხლისა.

სირ. (314—61, 1—2)-ბერძნ.; სომხ. (182)-A.

ბ) შატება. ქართულში ბერძნულისაგან განსხვავებით დასტურდება ტექსტის შატების შემთხვევები:

1. ათონ: შე დანეღ პირისაგან ლოშთაასა ვიკსენ და ამბაკუშის მიერ საზრდელი შიუძღუანე (135^ვ).

ბერძნ.: *ἐγὼ τὸν Δαυὶδ ἐκ στομάτων λέοντος ἐξεῖλδμην* (64, 46)

შე დანეღ პირისაგან ლოშთაასა ვიკსენ.

სირ. (310—31,1),-ბერძნ.; სომხ. (177)-A.

2. ათონ: ნუ შწუხარე ხართ, რამეთუ აღუღ მამისა ჩემისა. არა და გიტევნე თქვენ ოზღალ, არამედ მოგიღონო ნუგეშინისმცემელი (136^რ)

ბერძნ.: *Μὴ οὖν λυπῆσθε, δῖοι, Ἐναβείων πατρὸς τὸν Πατέρα μου.* (64, 47)

ნუ შწუხარე ხართ, რამეთუ აღუღ მამისა ჩემისა

სირ. (314—58,1) — სომხ. (180) ბერძნ. და ა. შ.

ქართულ ტექსტში გვაქვს სამი მონაკვეთი. რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტში არ დასტურდება. ესაა ე. წ. არქაული ეპიზოდები—სამი ცის გადაკვეთის შესახებ (136^ვ), მსჯელობა მონათვლის უნივერსალობის შესახებ (134^ვ) და ლეღვის ხის წყევის შესახებ (135^ვ)¹⁹. ეს ეპიზოდები აკლია სირიულ ვერსიასაც. ქართულთან ერთად აღნიშნული პასაჟები შემოგვიწინა სომხურმაც. მაგრამ ეს მსგავსება საკმარისი საბუთი არ უნდა იყოს იმისათვის, რომ ქართული ვერსია სომხურიდან მომდინარედ ჩათვალოს. საეარაუდოა, ქართველ მთარგმნელს ესარგებლა ბერძნული ტექსტის ვრცელი რედაქციით, რომლის შესახებაც მიუთითებს გ. ლაფონტენი²⁰.

გ) შინაარსობრივი ხასიათის სხვაობანი. ქართულ-ბერძნულ ტექსტებს შორის შინაარსობრივი სხვაობა იმ ხასიათისაა, რომ იგი თავისუფალი თარგმანის შესაძლებლობას გვაძლავს დებინებს. მაგ.:

ათონ.: და მურიტგან: ვთარცა მას უნდა, აღედა, აღარულა ყოველი (136^ვ).

ბერძნ.: *Καὶ ἀνελάμψατος αὐτοῦ ἐν τοῖς ὀφθαλμοῖς, πᾶσαι αἱ δυνάμεις προσεκύνησαν αὐτῷ* (64, 48).

და აღედა რა ცაზე, ყოველნი ძალნი თაყვანს სცემდნენ მას.

¹⁸ ვერსიების ურთიერთმიმართებათა კვლევისას ბერძნულ ტექსტის ჩვენებებს ეძლევიტ P.G.-ს ტექსტის მიხედვით, სომხურისას კი — ბიუტარის გამოცემის მიხედვით.

¹⁹ ამ ეპიზოდების შესახებ თავიანთი მოსაზრება აქვთ გამოთქმული მ. ვან ესბროკს და თ. შვალბლიმიჯის, ამიტომ მათ შესახებ დაწერილებით აღარ ვისაუბრებთ. იხ.: M. Van Esbroeck, დასახ. ნაშრ., გვ. 263, 282; თ. შვალბლიმიჯი, ერთი ფსევდოპოპირიისეული ჯომილის წყაროს საკითხი (ხელნაწერი).

²⁰ G. Lafontaine, დასახ. ნაშრ., გვ. 525, 530.

სირიული და სომხური ტექსტები ქართულთან შედარებით შემდეგ შინაარსობრივ ცვლილებებს გვიჩვენებენ:

1. ათონ.: „მე სამთა ყრმათა თანა ვიქყოღაჲ დაჲ შემსმენელნი მათნი ცეცხლსა მივცენ“ (135^ვ)

სირ.: wbynt tlt tly' bgw 'twn' q'm hwyt wmn yqdn' dnwr' šwzbt 'nwn wlsn'' dylhwn 'wqdt (310—31, 1—3)

მე სამ ყრმას შორის თორენში ვიღებ და ცეცხლისაგან ვიხსენ და მოწინააღმდეგენი მათნი ცეცხლს მივეც.

2. ათონ.: და იგინი მიმოშავალნი თავთა მათთა ყრილეს ჩემ ზელა (134 ^ვ).

სირ.: whwn ršy' 'bryn hww wmnodyn ryšyhwn wmc̄hyn ly (308—10,2)

და ისინი ბოროტნი მიმოლიან, თავთა თვისთა არხვეენ და მკიცხვენ მე.

3. ათონ.: მოგეც თქუენ კუერთხო, მივსცე წარმართთა ჭლარი (136^რ).

სომხ.: ხათი ჰხვ ფფასაფან, ირ ტაღიყვას ჰ რსიყიყ აყაფაჩხხაფ (179)

მოგეც თქუენ კუერთხო, რომელიც აყვავდა და კაკალი მოისხა.

4. ათონ.: არა დაგიტეო შენ, დელო და ქალწულო (136^რ).

სომხ.: იჯ ჭიიქიყ ჯღხიყ ისიქიყ ამხნაჯნ აჯჩაარჩი (180)

არა დაგიტეო შენ, ოქროვ ყოველი ქუეენისაო.

როგორც ცნობილია, საკუთარ სახელთა მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტოლოგიურ მიმართებათა კვლევისას. ქართულ-ბერძნულ ტექსტებში დასტურდება ერთი და იგივე საკუთარი სახელის ერთნაირი ფორმით ხმარების შემთხვევები. მაგ.: 1. საქ. სახ. იოვანე: ბერძნ. 'Ιωάννης'; სომხ. *Յոհաննէս* — იოჰანე; სირ. ywħn — იოხანე; 2. ისუ ნავე, ბერძ. — 'Ιησὺς τοῦ Νεαυῆ — ისუ ნავე; სირ. yšw' br nwn — ისუ ბარ ნუნ; სომხ. *Յեսու որդի նասևա* ისუ ძე ნავესი.

ქართულ ტექსტში იძებნება ერთი ისეთი მაგალითი, რომელიც, ვფიქრობთ, ბერძნულზე უნდა მიგვანიშნებდეს:

ათონ.: მე ელისეს ხალენი მივეც (135 ^ვ).

ბერძ.: ἐγὼ εἶμι 'Ἐλισσαίφ θελειη ἰχσρηγῆσ (64, 45),

მე ელისეს ორმაგად მაღლი მივეც

სიტყვა *ἰχσρη* ἢ „მაღლი“ მთარგმნელის მიერ გაგებულა როგორც „ხალენი“.

სირიულში ეს ებოზოდი არ გვაქვს. რაც შეეხება სომხურს, იგი ბერძნული ტექსტის ჩვენებას იმეორებს (გვ. 177).

როგორც დაეინახეთ, ქართულ-ბერძნულ ტექსტებს ახასიათებთ შინაარსობრივი მსგავსება, თხრობის თანმიმდევრობის ერთიანობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართულ ტექსტში დასტურდება ბერძნულის უშუალო გავლენის მაჩვენებელი — ბერძნულის მაგალითი. ყოველივე აღნიშნული გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჰომილიის ქართული ვერსიის წყაროდ ბერძნული მივიჩნიოთ.

ცალკე გვინდა ვისაუბროთ ბერძნულ-სომხურ-სირიულ ვერსიათა ურთიერთობაზე საკითხავის კლარჯულ რედაქციასთან. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ათონური ტექსტი სხვაობს აღნიშნულ ვერსიათაგან მაშინ, როცა ეს ვერსიები, თავის მხრივ, თანხვლებიან შესაბამის კლარჯულ ტექსტს, ან კიდევ

ბერძნული ტექსტი ათონურს მისდევს, სირიულ-სომხური კი — კლარჯულს და ა. შ. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ათონ.: პირველად საქმით ვყავ და მერმე თქვენ თანა განვაგე და ვთქე (135 r).

კლარჯ.: და ამისთვის ვიწყე წინადათვე აღსრულებად ჰუმარიტებისა ამის და აწ გობრძანებთქვენ საქმედ (100 v).

ბერძ.: *πρῶτον ἰρξάμην εὐθὺς ἐρῶν εἰς ἐπιχειροῦν, καὶ εὐθὺς ἄμην παρούσων ποιῶσαι. Βλῆον (64, 45) - A.*

სირ. *mšr' hwył dym qdm'yt d'šdywhly lsw'm' whydyn qgdhwył lkwn d'p 'ntwn t'hdwn (308—16, 2—4)=K*

სომხ. *նախ սկսայ առնել զճարտութիւն դործով (174)=k-s I ნაწ.*

2. ათონ.: მე წარვიღე და მოვიღონო თქვენ ნუგეშინისმცემელი (136 v).

კლარჯ.: მე წარვიღე შემდგომად ათი ღლსა მოვიღონო ნუგეშინისმცემელი (103r).

ბერძ.: *ἐγὼ ἀνάγα, καὶ μετὰ ἰουδέου ἰθάκι πέποιθα εὐθὺς Παιδικητοῦ (64, 47) - K.*

სირ.: 'n' 'z' 'r' wmn 'sr' ywmyyn mšdr 'n' lh lkrqlyt' (314—61,1—2)=k

სომხ.: *յետ տասն աւար առաքելցից զսխիթարիչ (182)=k და ა. შ.*

რით იხსნება ბერძნულ-სომხურ-სირიულ ვერსიათა ასეთი არასისტემური თანხვედრილობა ხან ათონურ და ხან კლარჯულ რედაქციებთან და რა ტექსტი უნდა ვივარაუდოთ ამ შემთხვევაში ყველა ზემოდასახელებულ ვერსიათა წყაროდ?

როგორც სირიულ-ბერძნული ტექსტების ურთიერთშედარებამ ცხადყო, ისინი აგებულების მხრივ ერთმანეთს მსგავსნი არიან. იმ შემთხვევებში კი, როდესაც სირიული ტექსტი სხვაობს ქართულისაგან, ბერძნული ძირითადად იმავე ჩვენებას იძლევა, რასაც სირიული. ეს ეხება კლება-მატების, თუ შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებებს. დასტურდება რამდენიმე მაგალითი, როცა საკითხავის გარკვეულ მონაკვეთებში სირიულ-ბერძნული ტექსტები სხვაობენ ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს განსხვავებანი იმდენად არაარსებულია, რომ შესაძლებელია სირიელი მთარგმნელის თავისუფალი თარგმნის სურვილით ახსნათ.

სირიულ ტექსტზე ბერძნულს უშუალო გავლენის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ბერძინოზმის მაგალითს, რომელიც დასტურდება საკითხავის სირიულ ვერსიაში. ჰომილიის ქართულ-ბერძნულ-სომხურ ვერსიებში გვაქვს.

მე მოსე კელთავან მეგვპტელთაჲსა განვარინე (135 v).

სირ.: *lmwš' mn 'r' dmrçyn 'n' šwzbt (310—30,1)*

მე მოსე ქვეყნდან მეგვპტელთაჲსა განვარინე

სხვაობას ტექსტებს შორის იძლევა ის, რომ სირიულში „ქელის“ ნაცვლად გვაქვს „ქვეყანა“, რაც *χελος* ზ — „ხელი“ და *χώρα* ზ — „ქვეყანა“ ურთიერთაღრევის შედეგად უნდა იყოს გამოწვეული. ზ *χελος* — ნათ. მრ.-ში *ἄν χελος*, ზოლო ზ *χώρα* — *ἄν χώρας*. როგორც ვხედავთ, ეს ორი სიტყვა ძალზე მსგავსია ელვრადობით და მთარგმნელის შეუდობა სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული. ამგვარად, აშკარაა, რომ სირიული ვერსია ბერძნულ წყაროს უკავშირდება.

რაც შეეხება სომხურ ვერსიას, იგი შინაარსობრივად ბერძნულის მსგავსია. ამასთან ერთად, სომხურ ტექსტში საქმე გვაქვს ზოგიერთ ისეთ მოვლენასთან, რომელიც ბერძნულთან სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს. სომხურ თარგმანში ასეთი ადგილია: *էղիսէქ կრქն շնորս բաշխցի* (177) — „მე ელისეს ორმაგად მაღლი მივეც“. ქართულში კი ვკითხულობთ: „მე ელისეს ხალენი მივეც“ (135⁷). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ხალენი“ ბერძინოზე უნდა მიგვაჩინებდეს. მაშასადამე, სომეხ მთარგმნელსაც ბერძნული ტექსტი უნდა სდებოდა წინ. მან მშობლიურ ენაზე გადმოიტანა ამ სიტყვის მნიშვნელობა, ქართველმა კი ო *ჟღისიზ* და *ჟ ჟაჟი* ლექსემათა გრაფიკული აღრევის გამო არასწორად თარგმნა ეს სიტყვა.

ამგვარად, როგორც ირკვევა, ქართულ, სომხურ და სირიულ ვერსიათა წყაროდ ბერძნული ტექსტი უნდა ვივარაუდოთ. მაგრამ შეიძლება, თუ არა ყველა ამ დასახელებულ ვერსიათათვის ერთი და იგივე ბერძნული ტექსტი მივიჩნიოთ? ვფიქრობთ, რომ — არა. იმ შემთხვევაში, თუ ამ ჰომილიათათვის ერთი რომელიმე ბერძნული ტექსტის თარგმანს ვივარაუდებთ, ძნელია აიხსნას ის ფაქტი, თუ შემოგახილული ბერძნულ-სომხურ-სირიული ტექსტები რატომ უძერწენ მხარს ხან ათონურ და ხან კლარჯულ რედაქციებს.

ჩვენი აზრით, იმთავითვე არსებობდა საკითხავის ვრცელი ბერძნული ტექსტის ორი განსხვავებული რედაქცია. ქართულად ისინი ცალ-ცალკე ითარგმნა. იმავე ბერძნულ რედაქციათა საფუძველზე შეიქმნა როგორც ბერძნული ტექსტის მოკლე რედაქცია. ასევე სირიული და სომხური თარგმანები. ამ ტექსტებში მეტ-ნაკლები სისრულით აისახა ორივე ბერძნული რედაქციის მონაცემები. სწორედ ამ გარემოებით იხსნება, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ საკითხავის მოკლე ბერძნულ, სირიულ და სომხურ ვერსიებში დასტურდება როგორც ათონურ, ისე კლარჯულ ტექსტთა ჩვენებები. მაგრამ, თუ ორი ქართული რედაქცია სომხურ თარგმანთან ერთად ჰომილიის უძველეს სურათს ასახავს მათში შემონახული სამი არქაული ეპიზოდის გამო, მოკლე ბერძნული და სირიული ტექსტები ამ ეპიზოდთა არარსებობის გამო უფრო ახალი ჩანს.

М. Д. МАЙСУРАДЗЕ, М. Р. МАМУЛАШВИЛИ, Т. В. ЧУБИНИДЗЕ

ГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД ОДНОЙ ГОМИЛИИ ИОАННА ЗЛАТОУСТА

Известная под именем Иоанна Златоуста гомилия о Вознесении включена в состав двух древнейших грузинских Многочлаво́в — афонского (XI в.) и кларджетского (X в.). Тексты данной гомилии отличаются друг от друга редакционно.

Указанное сочинение сохранилось также на греческом, армянском и сирийском языках.

Согласно мнению бельгийского ученого М. Ван Эсброка, грузинский текст восходит к армянскому, дословно переведенному с греческого.

Сличение грузинских текстов с вышеуказанными версиями показало, что они переведены с греческого; с последним связаны также армянский и сирийский переводы.

В основу всех этих версий легли два греческих текста различных редакций.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ეველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

ბადრი ცხადაძე

მასდარისა და აბსტრაქტულ სახელთა ურთიერთმიმართებისათვის
ქართულში

მასდარი და აბსტრაქტული სახელი ფუნქციისა და საწარმოებელ აფიქსთა თვალსაზრისით ერთმანეთთან ახლოს დგას. ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მასდარულ ფორმებს чтение, писание (შდრ. читать, писать) существительные отвлеченные resp. существительные абстрактные, отглагольное существительное-თი აღნიშნავენ [1, გვ. 121], [2, გვ. 465], [3, გვ. 114], [4], ხოლო „არაბული ენის“ ავტორი ალ. ლეკიაშვილი ზმნასთან საერთო ფუძის მქონე მასდარსაბსტრაქტულსახელს უწოდებს [5, გვ. 117].

მასდარისა და აბსტრაქტული სახელების საწარმოებელ აფიქსთა მხრივ საინტერესო ჩვენებას იძლევა სვანური ენა: სვან. მა-ლატ „სიყვარული“, die Liebe ბზ. ლი-ლატ-ჟ, ქვ. სვ. ეტრ. ლილატ „სიყვარება“, lieben, მა-ხალ „ცოდნა“, das Wissen, ბზ. ლი-ხალ-ჟ, ბქვ. სვ. ლიხა/ალ „ცოდნა“ wissen [6, გვ. 212].

ამ მაგალითებში მა- თავსართიან სიტყვებს აბსტრაქტული სახელების გაგება აქვთ, ლი- თავსართიანებს — მასდარისა, თუმცა ორივე პრეფიქსი (მა-, ლი-) მასდარის საწარმოებელი ნიშანი ჩანს.

მსგავსი ვითარება დასტურდება ქართულშიც. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში სი- — -ილ სიბორგილ, სიორძილ, სიძულილ ფორმების პარალელურად იხმარება სი- — -ე||სი-ი-ლ-ე აფიქსებიანი მასდარული ფორმები სი-ბორგილ-ე, სი-ორძილ-ე, სი-ორძ-ე, სი-ძულ-ე.

მოვიყვანთ მაგალითებს:

სიბორგ-ილ-ი: და განაქიქა... სიბორგილი მათი (ანტ. 7, 40, 22—23); დააყენეს სიბორგილი კერპომსახურებისა (ქეი. 191, 25—26; იხ. ასევე: საკ. წ. 11, 66, 17--18); შდრ. სიბორგილ-ე: და ვერ შემოვიდეს სიბორგილ-ე მტერისა შენ ზედა (ბალ. C 120, 25—26): და დააყენე... კერპომსახურებისა სიბორგილ-ე (ეტ. VI, 158, 36—38; იხ. ასევე: კიმ. 1, 324, 9-10, Опис. 175. 30—31; მომთრე. A 155, 43—44; ჰაბო 71, 21-22; ეტ. III, 301, 8-12; ძლისპ. 120, 4; ზღაპრ. 13-14.2; ახ. პეტრე 42, 19—25; ანტიოქ. 101, 15—18; ანდრ. და ანატ. 199, 20—23);

სი-ორძილ-ი: მიიღებს სიორძილსა (კიმ. I. 185. 37—38): ორძის სიორძილსა მას ღმრთისასა (პავლენი AB 306, 19); ნაყოფთა მისცემს სიორძილსა (ექუს. 60, 25); შდრ. სი-ორძილ-ე: იგი მიიღებს სიორძილესა კორცთასა (კიმ. I. 82, 22); სი-ორძ-ე: წერილ არს ეამად-ეამად სიორძედ ქებად მის თანა (ეფთ. სტიქ. 23);

სი-ძულილ-ი: და შესძინეს მერმე სიძულილი (დაბ. 37, 8); სი-ძულილი წარდევნა (სინ. 146, 31—32). შდრ. სი-ძულ-ე: სიძულითა სიტყუათაითა თქუა (თარგმ. ეკლ. 22, 7—8).

რას წარმოადგენს სი-ბ-ორ-გი-ლ-ე, სი-ორ-ძი-ლ-ე, სი-ორ-ძ-ე ფორ-მებში ხე-ე აფიქსები? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სი-ე აფიქსები იმავე აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებელი ნიშნებია: მავ; სიცოცხლე, სიმშვიდე, სი-მალლე, სიგრძე ([7, გვ. 237], [8, გვ. 237]).

ზემოთ მოყვანილ სი-ორ-ძ-ე, სი-ძ-ლ-ე ფორმებში გამოირჩეული არაა ანალოგიატ. ჩანს, „სახელის ფუძეცა და ზმნის ფუძეც ერთსა და იმავე საწარმოებელ აფიქსებს იყენებს. ამის მიზეზი ზ მ ნ უ რ ი და ს ა ხ ე ლ უ რ ი ფ უ ძ ი ს გ ა უ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ ლ ო ბ ა ა. მსგავსი ვითარებაა აფხაზურ-შიც, სადაც აფხაზური -არგვკ-რა „სი-ლარიბ-ე“ იმავე პრეფიქს-სუფიქსს გამოაქვს, რასაც მასდარის ა-თუხ-რა „ამოლება“ ფორმა [8, გვ. 239].

როგორც ჩანს, სი-ე მაწარმოებლები საერთოა მასდარისა და აბსტრაქტული სახელებისათვის.

ხე-ე აფიქსებს მასდარულ ფორმებში ძველსავე ქართულში ხშირად ენაც-ვლება -ე-ბ-ა მასდარული დაბოლოება. მოვიყვანთ მაგალითებს:

ბორგილ-ე-ბ-ა-მ: თანამზრახველი იყენეს... ბორგილებითა მათითა (მამ. ცხ. 251, 9—10);

ალორძინ-ე-ბ-ა-მ: იქმნებიან... შემდგომად ალორძინებისათვისა (ექუს. 50, 3—4); ვისა ჟერ-არს ალორძინებად (ტბეთი 3, 30).

საყურადღებოა, რომ ზოგი ძველი, სახელთა წარმოქმნის თვალსაზრისით. -ება დაბოლოების ნაცვლად -ობას ხმარობს: კელისუფლობამ, ღირსობამ, მეცნიერობამ, მსახურობამ ([9, გვ. 48]).

ე-ბ-ა-მ სუფიქსების მონაცვლეობა ძველი ქართულის ზმნის პირიელ და მასდარულ ფორმებშიც შეიმჩნევა, მაგ.

ცუნდრუკ-ე-ბ-ა-მ: ზმნის პირ. ფორმა: ჩემთვის ცუნდრუკ-ე-ბ-დ-ე სოველნი მტერნი და ჩემდამო ზრახვიდეს ბოროტსა (ფსალმ. 104 ტ. 8); მასდარი: და ბილწი იგი ცუნდრუკ-ე-ბ-ა-მ ბოროტისა მის, ნესტორისა იოტეს და სრულიად ავოცეს (მც. სჯულ. 17, 32—33; იხ. ასევე: ეტ. VI, 177, 14—18; პავლენი AB 9, 29—30); შდრ. ცუნდრუკობამ: და მძენვარეთა გუემათა მიეცე შენ ცუნდრუკობითა სიტყუათა შენთათა (თარგმ. ეკლ. 155, 18—19);

მონაზონ-ე-ბ-ა-მ: აწმყო: ... სიტყვთ ვმონაზონებ ხსაქმით გნგარისხებ... (A—1115, 39r, 32a); მასდარი: ბრალი ანუ ცოდვა იყენებს მონაზონებად და სინწლად (S—143, 47 v, 3; იხ. ასევე: S—143, 442, 6—7; A—1115, 8r, 4b; S—143, 186r, 3; A—95, 542, 11a; S—384, 511, 34a; S—384, 605, 31 a; A—1115, 76r, 27b; A—1347, 104 v, 7; S—384, 511, 19b; H—1661, 36v, 20; H—1661, 65r, 17—18; A—1347, 21; A—1115, 45 r, 2a; A—1101, 2 v, 17; A—1103; 2 v, 27 a; H—1661, 49v, 15; H—1661, 64 r, 3; S—1696, 358 b, 2—3); შდრ. მონაზონ-ობ-ა-მ ... კრთხება მოწესეობისა და ანუ მონაზონობისა და არა აქუნდეს... (S—143, 57 v, 17);

შურ-ე-ბ-ა-მ: ... აწმყო: ნუ ვის ეშურებო (A—1101, 75 v, 28; იხ. ასევე: A—1115, 84 r, 26 b; A—1347, 65v, 3); უწყვეტელი: ხმტერი ეშურებო და არა დასცხებოდა (A—95, 684, 4 b; იხ. ასევე: S—384, 421, 14 a; S—384, 491, 20 a; H—1661, 94 v, 28); შდრ. შურ-ობ-ა-მ: რწლსა აქუნდეს სიყრწლი არა შურობს, არა ჰქედების, არცა ეშურების (A—1115, 163 r, 7a);

ზ ი ა რ-ე ბ ა-ა: და კურთხევა — ზ ი ა რ ე ბ ა ს ა შინა სიტყუათა მისთა-სა (სიბრძნ. შ 218, 18); შდრ. ზიარ-ობ-ა-ა: და რჩეულკეთილობის ზ ი ა რ ო ბ ა-ს ა სიტყუცა მისისა (სიბრძნ. ტ 218, 18);

შ ე-მ ო ქ მ ე დ ე ბ ა-ა: ნამყო უსრული: ჯელოვნების მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ რ ა-ვალ-სახელ... (ჭეი. 181, 17); მ ა ს დ ა რ ი: მისი არს საეკრველთ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა ესე (შ. და ე. 4 223, 32); იხ. ასევე: ანტ. 737, 27; სიბრძნ. შ, 212, 17; ჭეი. 127, 10); ...რომელმან მოგუმაღლე ჩუენ ნებაჲ ქველის მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა შენისაჲ (აპოკრ. მოც. 12, 29—30; იხ. ასევე: თარგმ. ეკლ. 6, 14—16; წამ. ფსალმ. 453, 31; ეხ. იოან. დამასკ. 164, 18—19; პავლენი AB, 498, 2); ხოლო თვსთა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი-თ ა გამობრწყინდა წეითარცა ვარსკულავი განთიადისაჲ (ასურ. 4, 52, 6—8; იხ. ასევე: ჭეი. 90, 14—15; სინ. 43, 6—7; აპოკრ. მოც. 10, 6—8; სას. პ. მტბეე. VI, 123-125; ზედ. 4, 213, 18); შდრ. მ ო ქ მ ე დ-ო ბ ა-ა: მ ო ქ მ ე დ-ო-ბ ა ა იგი ხუროთაჲ დალევნულ არს (სწავლ. 222, 8; იხ. ასევე: თარგმ. ეკლ. 18, 30);

ქ ე ნ ე ბ ა-ა: და ვე ქ ე ნ ე ბ ო დ ე ცოლსა ჩემსა (იობ. 19, 17); მ ა ს-დ ა რ ი: და ქ ე ნ ე ბ ა ნ ი ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა (ათონ. 10, 2; იხ. ასევე: წარტყ. იზ, 6; საე. წ. II, 49, 19; სინ. 117, 30; იობ. 19, 17; გ. მთ. 117, 21—23; იოვ. და ეფთ. 18, 16. 3; შუშ. 25, 31); შდრ. ქ ე ნ-ო ბ ა-ა: მი-უგებდა ერთიერთსა ქ ე ნ ო ბ ი თ (სინ. 106, 13);

ფ უ ზ ე ბ ა-ა | ფ ი ც ე ბ ა-ა: ა წ მ ყ ო: გ ე ფ უ ც ე ბ ი შენსა ლ-თეასა (კრ. I, 46, 14; იხ. კიმ. I, 45, 36; 44, 20), გ ა ფ უ ც ე ბ შენ. ყრპაო, სახელსა (წარტყ. მგ. 22; იხ. ასევე: რავახ. 83, 28, კიმ. I, 47, 25); ნ ა მ ყ ო უ ს რ უ-ლ ო: ოთხოვდა შენდობასა პირველისა მისთეს კადნიერებისა და აფუცებდა (ილ. ქ. 20, 27); ფ ი ც ე ბ ა-ა: და ვიწყე მე ფ ი ც ე ბ ა დ (ეტ. II. 59, 2; იხ. ლიმ. 69, 24); გულ-ყრობილ იქმნენს ფ ი ც ე ბ ი ს ა გ ა ნ (ხანცთ. 279, 7); იხ. ასე-ვე: კიმ. I, 241, 28; სწავლ. 121, 29—30); შდრ. ფ ი ც-ო ბ ა-ა: რავდენნი კაც-თაგანნი იყუნეს მპარაენი და ავაზაენი და ჩუეულ ცრუ ფ ი ც ო ბ ა-ს ა ლ ა ტყ უ-ილსა (სწავლ. 37, 2—3);

უ ზ მ ე ბ ა-ა-ა: და საცხოვართა ბუნებაჲცა დამორჩილებულ ი უ ზ მ ე-ბ ო დ ე ს (სინ. 107, 37); მ ა ს დ ა რ ი: და ფრიადი უ ზ მ ე ბ ა ა იყო (საქმე ტ 200, 21); შდრ. უ ზ მ-ო ბ-ა-ა-ა: და ფრიადი უ ზ მ ო ბ ა ა იყო (საქმე 7 201, 21; იხ. ასევე: საე. წ. II, 116, 8—10);

ე ბ-ა | ო ბ ა მონაცვლობა გვაქვს აღორძინების ხანის ოგლებშიც: მაგ., გ ა მ ო ჩ ე ე ნ-ე ბ-ა-ა: მათ გაათავეს... ლხინი და გ ა მ ო ჩ ე ე ნ ე ბ ა (შე. მთ. 908, 1; იხ. ასევე: შედარ. გაზ. და შუგ. 61, 1; თანიაშე. ამირ დარეც. 1836, 2; არჩ. I, ვისრ. 95, 2; რუს. 110, 29, ყ. 454, 13); შდრ. გ ა მ ო ჩ ე ე ნ-ო ბ ა-ა: მუნ იყვის ბედაურთ ცხენთა შეკაზმა, გ ა მ ო ჩ ე ე ნ ო ბ ა... (ვაბ. თ-და რ. 333, 1; იხ. ასევე: ბარამგ. (ქართ. მწერლ. რუსეთ.) 191, 3; ვაბ. თ. და რ. 31, 3)¹.

ასეთივე სურათი გვაქვს აბსტრაქტულ სახელებშიც. კერძოდ, აბსტრაქ-ტულ სახელთა წარმოების ტიპებს შორის, როგორც სპეციალურ ლიტერატურ-რამია აღნიშნული, მტკიცე ზღვარი არ არის დადებული: „ე ბ ა, -ო ბ ა სუ-ფიქსები და ს-ე აფიქსები აბსტრაქტულ სახელებს ერთნაირად აწარმოებენ ზედსართავთაგან და არსებით სახელთაგან. -ე ბ ა და -ო ბ ა სუფიქსებო ასევე

¹ აღორძინების ხანის ძეგლებიდან მოხმობილ მაგალიტებს აქაც და ქვემოთაც ვიძინებთ „ეფეხისტაჲთის“- ტექსტის დამდგენი სახელმწიფო კომისიის სალექსიკონო ფონდიდან.

თანაბრად იხმარება აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად ენებითი და საშუალო გვიარის მიმღეობათაგან“ [7. გვ. 124].

მოვიყვანო მაგალითებს:

სი-ჯელოვნი-ე-მ: მოიპოვიან მათ ღონენი და უმანქენსი სიკელოვნი (ხრონ. 33, 30—31); შდრ. კელოვნი-ე-მ: და ვენენი გავნი და კელოვნი-ე-მ (ხრონ. 93, 9; იხ. ასევე: დ. სჯულ. 194, 24);

სი-ანგაპრ-ე-მ: ... სათნო ეყენეს უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რსადა უღთობა და სიანგაპრე მუნ ყლი ბილწება და საქმე არაწმიდა... (კომ. 1, 58—59, 38—2); შდრ. ანგაპრ-ე-მ-ა: მოდრიყე გული ჩემი წამებათა შენთა და ანგაპრ-ე-მ-ათ... (ფსალმ. 333 C, 36);

სი-ლირს-მ: რომელთა ღირსად დაიცვან სილირს-მ, ღირსად ღირს იყენენ (სიბრძნ. C 207, 11); მ-შია ღირსება: რამეთუ რომელმან დაიცვას ღირსებათ ღირსება, ღირს იქმნეს (სიბრძნ. მ 207, 11);

ღირს-ობა-ე: შაპვის მოყუარე და ღირსობის მოყუარე (ეტლთა, 33, 27—28);

სი-მძაფრ-მ: სულთა სიმძაფრ-მ და გულის ზრახვანი კაცთანი (სიბრძნ. C 212, 20; იხ. ხრონ. 27, 24); შდრ. მძაფრ-ე-მ-ა ქართა მძაფრ-ე-მ-ა: ქართა მძაფრება და გულსიტყვანი კაცთანი (საბრძნ. მ 212, 20);

სი-მყრალ-მ: ანუ სიმყრალე გაშოტენილთა კუამლთა (სიბრძნ. მ 229, 18); შდრ. მყრალ-ობა-ე: ანუ მყრალობა და განზნეული კუამლისა (სიბრძნ. C 229, 18);

სი-გლახაკ-ე-მ: განეყენეს მონაგებთაგან და შეუდგეს სიგლახაკესა (ბალ. 4 72, 35—36); შდრ. გლახაკ-ობა-ე: ქირითა და გლახაკობითა განაქრთენეს გულნი კაცთაგანი (ბალ. 4 73, 25—26);

სი-შუენიერ-ე-მ: და სიშუენიერე ხატისა და ბრწყინვალეობა სამოსელთა ჩუენთა და ესრევე სახედ შერაცხილ არს წინაშე მათსა (ბალ. C 51, 10—12; იხ. ასევე: ბალ. C 70, 18); შდრ. შუენიერ-ე-მ-ა: იხილა სასუფეველსა შინა-შუენიერება და საშუებელთა უხილავთა (ბალ. C 127, 26—27);

სი-ბრწყინვალ-ე-მ: ნუჯუე სიბრწყინვალე მან მისმან მისტაცოს ნათელი თუალთა შენთა (ბალ. C 29, 7—8); შდრ. ბრწყინვალ-ე-მ-ა: და განათლდა სახლი იგი ბრწყინვალეებითა მით თუალებისათა (ბალ. C 34, 11—12);

-ე-მ-ა, -ობა მასდარულ ფორმათა დაბოლოების მსგავსად -ემა //ობა მონაცვლეობა გვაქვს აბსტრაქტულ სახელებშიც:

წადიერება-ე: ... სიშარჯუე მრავალი მოიპოვა წადიერებითა დიდითა და ვერ შეუძლო ცთენებად (A-95, 761 a, 18; იხ. ასევე: A-95, 970 b, 21); შდრ. წადიერ-ობა-ე: ... მხოლოდ შნ წადიერობდ აღთქმათა შნთა აღსრულებასა (S—417, 116, 14—15); ... იხილე რლსა წადიერობდეს ხილვად მამანი ჩნნი... (S—417, 109, 19);

წესიერება-ე: თუ ვიეთნი არიან მოყუასნი საეკლესიოსა წესიერებისანი (დ. სჯულ. 134, 17);

შდრ. წესიერ-ობა-ე: მშდობა წესიერობისაგნ იშეების.. (A-1101, 67v, 18).

იოანე პეტრიწი აბსტრაქტულ სახელთა უმეტესობას -ოზა სუფიქსით აწარმოებს. იგი ამ სუფიქსს ურთავს ყოველგვარ ძირს, თუკი ამას ცნების სწორად გამოხატვის საჭიროება მოითხოვს. ეს სუფიქსი უმრავლეს შემთხვევაში დაერთვის სასუბიექტო მიმღობას და გამოხატავს განზოგადებულ მოქმედებას. ასე იქმნება რიგი ტერმინი substantiva abstracta actionis, რაც მოქმედების ზოგადობას გამოხატავს, მაგ. მდგომარეობა, მხედვარეობა, მხედველობა, შემოქმედობა და სხვ. [10, გვ. 74]; მაშასადამე, იოანე პეტრიწის ნაწერებში -ო ბ ა დაბოლოებაა გაბატონებული (მოსალოდნელი იყო -ე ბ ა'ც).

ე ბ ა--/-ო ბ ა მონაცვლეობა აბსტრაქტულ სახელებში დასტურდება აღორძინების ხანის ძეგლებშიც. მაგ.,

გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა -ა: თუმცა ჰევიანმა და მცოდინარემან ესეთი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა თავსა თვისსა წინადაუღვას (საბა II₂, 82, 13; იხ. ასევე: ახ. ქართ. ცხ. (II ტექსტი) 461, 22; კალმ. I, 248, 27—28; კალმ. II, 18, 16); გ ა მ ო ც დ ი ლ -ო ბ ა-ა:... ჩემი შვილია ბაამან, გაქვს ეამად გ ა მ ო ც დ ი ლ ო ბ ა... (შაჰ-ნ. 5543, 2; იხ. ასევე: შაჰნავაზ. 236, 4; საბა II₁, 145, 13; ბერი ეგნ. (ქართ. ცხ. II) 425, 21; ბარ. გულ. (ქ. მწ. რუსეთ.), 629, 3; დ. სააკ. (ქ. მწ. რუსეთ.) 284, 58; გურ. 35, 573; ცხ. და მოქ. მართ. 49. 9; ომან. 408, 1);

-ე ბ ა დაბოლოება მასდარული წარმოშობის რთული სუფიქსია [10, გვ. 60], სადაც -ე ბ თემის ნიშანია, ხოლო ა მასდარის საწარმოებელი ბოლოსართი. მაგრამ დღეს, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, თითქოს არც კი აქვს კავშირი მასდართანაო; მაგ., ცხოვრ-ე ბ ა, ბედნიერ-ე ბ ა, ქვეყნიერ-ე ბ ა, ბიწიერ-ე ბ ა და მისთ. [10, გვ. 60].

-ო ბ ა სუფიქსიც მასდარული წარმოშობისაა და რთულია: -ო ბ ა [11, გვ. 59], სადაც ო ბ თემის ნიშნისეულია, ხოლო ა მასდარის საწარმოებელი ნიშანი. „აწარმოებს განყენებულ ცნებათ. მაგ., კაც-ობა, მხეც-ობა, მონ-ობა... ზოგჯერ ამ სუფიქსით ნაწარმოებმა აბსტრაქტულმა ცნებამ შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობა მოიპოვოს კრებითი (კოლექტიური) სახელის საწარმოებლად. მაგ., „სტუდენტობა“ ორი მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ. მაგ., „ამ ყმაწვილს სტუდენტობა (ე. ი. სტუდენტად ყოფნა) ძალიან მოუხდა“ და „დღეს სტუდენტობა (ე. ი. სტუდენტები) უნივერსიტეტის ეზოში შეგროვდა [11, გვ. 59]... მსგავსი ვითარება გვაქვს ქართული ენის დიალექტებშიც. მაგ., მენ მე ზ ო ბ ლ ო ბ ა ს ვიყავ (კაიშ. მთიულ. 83, 12), ნიშნავს, რომ მე მეზობლებში ვიყავი. კახურშიც, კრებითობის -ო ბ ა სუფიქსი, მთიულურის მსგავსად, იხმარება მრავლობითის გამოსახატავად. მაგ., ბ ა ლ ლ ო ბ ა სახში ტირიან, ვიწყოფებოდი კ ა მ ე ჩ ო ბ ა შ ი, დაუძახა მე ზ ო ბ ლ ო ბ ა ს. ანალოგიური ვითარება დასტურდება სხვა კილოშიც (მაგ., ჭავჭავურსა და სხვ. [12, გვ. 75]). კახურში -ე ბ ა შედარებით იშვიათად გვევლინება -ო ბ ა დაბოლოების გვერდით: ცოდოება, ღირსება... შდრ. ჭიაობა, ჰობობა, ჭაჭობა, ნიშნობა, კარგობა, ცუდობა, მამნეობა, სახლობა (-მეუღლე) [12, გვ. 118]. მეტიც, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ო ბ ა -ე ბ ა დაბოლოებასთან შედარებით უფრო ხშირად იხმარება და იგრძნობა -ო ბ ა სუფიქსის ვაბატონების ტენდენცია [7, გვ. 125], თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის ზოგ დიალექტში მოსალოდნელი ება|ობა დაბოლოებიანი სიტყვის ნაცვლად ს ი-ე წარმოებაც გვაქვს. მაგ.,... გასწყვიტა რალაც გადამდებმა ს ი ს ნ ე უ ლ ე მ (კაიშ. მთიულ. 101, 5).

ა. შანიძის აზრით, -ო ბ ა'ს სინონიმია ს ი-ე, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ -ო ბ ა განყენებულ (აბსტრაქტულ) ცნებათ აწარმოებს ესეთი სახელებისაგან, რომლებიც რაიმე საგანს აღნიშნავენ, ხოლო ს ი-ე აწარმოებს ისეთებისაგან, რომლებიც საგანთა თვისებას, ან ნიშანს გამოხატავენ. მაგ., არ ითქმის სიკაცე, არამედ კაცობა (რადგანაც კაც-ი საგანია), სამაგიეროდ არ ითქმის „თეთრ-ობა“, არამედ „სი-თეთრ-ე“ (რადგანაც თეთრ-ი საგნის ნიშანია) [11, გვ. 60]. ვფიქრობთ, ამ წესის უგამონაკლისოდ მიღება გაჭირდება, რადგან ქალწულმ'ც საგანია, მაგრამ მისგან ქალწულობა'ც გვაქვს (ასევე ქალწულება'ც) და სიქალწულე'ც. მაგ.,

ს ი-ქ ა ლ წ უ ლ-ე: და ნუ მისცემ მარგალიტსა ამას ს ი ქ ა ლ წ უ ლ ი ს ა-ს ა... (რიფსიმე 164, 41): შდრ. ქ ა ლ წ უ ლ-ე ბ ა-ე: და შეიყუარე წმიდა ქ ა ლ წ უ ლ ე ბ ა-ე (ჰიმნ. 206, 25; იხ. ასევე: ხანცთ. 284, 17; აპოკრ. მოც. 11, 23; დაბ. 34, 3; წარტყ. კე, 7—8; კდ. 1—2; კგ. 28—29; იზ, 19—20; მამ. ცხ. 138, 30; ანტ. 76, 36, ანტ. 74, 47, 22; პაულენი AB 118, 38; სას. 3. ნტბევ. V. 287—289; დასდ. ქრისტ. შობ. 45—46; დასდ. ყოვ. წმიდ. 89—90, თარგმ. 82, 7—9; კიმ. I. 181, 1); შდრ. ქ ა ლ წ უ ლ-ო ბ ა-ე: ა ლ უ ნ და რ ა დაადგრეს ქ ა ლ წ უ ლ ო ბ ი თ (კიმ. I, 216, 25; იხ. ასევე: კიმ. I, 217, 1—2; 183, 28);

ამ რიგისაა სხვა მაგალითებიც: ჰ ა ბ უ კ ი — აქედან ჰ ა ბ უ კ ო ბ ა, ს ი-ჰ ა ბ უ კ ე; ყ მ ა წ ვ ი ლ ი — ყ მ ა წ ვ ი ლ ო ბ ა, ს ი ყ მ ა წ ვ ი ლ ე; ბ ა ვ-შ ვ ი — ბ ა ვ შ ვ ო ბ ა, ს ი ბ ა ვ შ ვ ე; თ ე თ რ ი — თ ე თ რ ო ბ ა, ს ი თ ე თ რ ე. თ ე თ რ ო ბ ა — გურულში სითეთრის, თეთრი ფერის აღსანიშნავად იხმარება [13, გვ. 98]. იმერულში -ე ბ ა, -ო ბ ა, ს ი-ე მაწარმოებლები ერთმანეთს ენაცვლება. მოვიყვანთ მაგალითებს:

-ე ბ ა დაბოლოების ნაცვლად იხმარება -ო ბ ა: არ მ ა ქ გ ა მ ო ც თ ი ლ ო-ბ ა... ჩ ვ ე უ ლ ო ბ ა ა რ ა ბ ა [14, გვ. 25] მსგავსი მაგალითები სხვადასხვა გვაქვს: ბ ე დ ნ ი ე რ ო ბ ა, შ ე ხ ე დ უ ლ ო ბ ა, ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ო ბ ა, მ ო-თ ხ ო ვ ნ ი ლ ო ბ ა, ლ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ა, წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა, თ ა ვ ი ს უ ფ-ლ ო ბ ა, მ ო ქ მ ე დ ო ბ ა [14, გვ. 58].

-ო ბ ა სუფიქსიანი წარმოების ნაცვლად გამოყენებულია ს ი-ე აფიქსებიანი წარმოება: ამდონი ს ი და ლ ლ ი ლ ე არ შემხვეთერია ჩემ სიკოცხლესი [14, გვ. 25]; მსგავსი მაგალითებია: ს ი ნ ა ხ ს ო ვ რ ე, ს ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა-ვე, ს ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე, ს ი ბ ო ლ შ ე [14, გვ. 215];

-ე ბ ა სუფიქსს ზოგჯერ ს ი-ე ცვლის: ს ი მ ძ უ ლ ა რ ე [14, გვ. 215].

ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მასდარი და აბსტრაქტული სახელი ფუნქციისა და საწარმოებელ აფიქსთა თვალსაზრისით ერთმანეთთან ახლოს დგას. -ე ბ-ა, -ო ბ-ა მასდარული დაბოლოებები და -ე ბ ა, ო ბ ა სუფიქსები საერთო წარმომავლობისანი არიან. -ე ბ-ა, -ო ბ-ა მასდარის დაბოლოებასა და -ე ბ ა, -ო ბ ა აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლისეული -ე ბ და -ო ბ ელემენტები წარმოშობით თემის ნიშნებია და ზმნის (პირიანი) ფორმებიდან მომდინარეობენ, ხოლო ა ბ ო ლ ო ს ა რ თ ი საერთო ოდენობაა აბსტრაქტული და მასდარული ფორმებისათვის, -ე ბ-ა, -ო ბ-ა, -ე ბ ა, -ო ბ ა მაწარმოებლები, ს ი-ე პრეფიქსურ-სუფიქსურ წარმოებასთან შედარებით, ახალი წარმონაქმნი ჩანს. ს ი ო რ ძ ე, ს ი ძ უ ლ ე, ერთი მხრივ, და ს ი ო რ ძ ი-ლ ე, ს ი ო რ ძ ი ლ ი, ს ი ძ უ ლ ი ლ ი ფორმები, მეორე მხრივ, სახელის ფუნქციისა და ზმნის ფუნქციის გაუდიფერენცირებლობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რაც უცხო არაა იბერიულ-კავკასიურ ენათათვის (სევანური, აფხაზური), ს ი-ე

აფიქსები ზმნის განყენებულობის (resp. აბსტრაქტულობის), მოქმედების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ქართული ენის ადრეულ საფეხურზე.

ლიტერატურა

1. Современный русский язык, морфология, под редакцией В.В. Виноградова, М., 1952.
2. О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, М., 1966.
3. Д. Э. Розенталь, М. А. Теленкова, Справочник лингвистических терминов, М., 1972.
4. Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, М., 1960.
5. აღ. ლეკიაშვილი, არაბული ენა, თბილისი, 1977.
6. ვ. თოფურია, სვანური ენა, შრომები, I, თბილისი, 1967.
7. ა. მარტიროსოვი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იყ. ტ. IX—X, თბილისი, 1958.
8. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
9. ა. შანიძე, ეტლთა და შუღთა მნათობათაჲს, ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა, თბილ.ი, 1975.
10. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილ.ი, 1975.
11. ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისი, 1930.
12. ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.
13. პ. ჭაჭანიძე, გურული დიალექტი, I, ტექსტები, ლექსიკონის მასალები, თბილისი, 1977.
14. ქ. ძოწენიძე, ზემოებრული კლოკაჲ, თბილ.ი, 1973.

შემოკლებანი

- ათონ. — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაბეზთ, თბილისი, 1901.
- ანდრ. და ანატ. — წამება წმინდა მოწამეთა ანდრიანსი და კოლისა მისისა ანატოლსი და მათ თანა მოწამეთა, რომელნი ნიკომოდა ქალაქსა იწამნენ, გამოსცა ი. აბულაძემ: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965.
- ანტ. — ცხოვრება წმინდა ანტონისი, გამოსცა ე. იმნაიშვილმა, თბილისი, 1970.
- ანტიოქ. — ტომთუ ანტიოქიელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, კ. კეკელიძის გამოცემა, ენიშნის მოამბე, ტ. VII, თბილისი, 1940.
- აპოკრ. მოც. — ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა ე. ქურციკიძემ, თბილისი, 1959.
- ასურ. — ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებია წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1955.
- ახ. პეტრე — წმინდა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამსკეღისა სიტყუაჲ ცხოვრებისა და ლეწლთა ყოვლად ბლისა პეტრე მღვდელმწამისა კაპეტოლელთა ქალაქსა შინა წამებულისათა, გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბილისი, 1961.
- ბალ. — ბალეარისის ქართული რედაქციები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1957.
- ბზ. — ბალსზემოური.
- ბქე. სე. — ბალსქვემოური სეანური.
- გ. მთე. — ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა: ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის შეგლეები, წიგნი II (XI—XV სს.), დასაბუქლად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ და სხე. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967.
- დაბ. — დაბადება (ბიბლია), ნაწილი მეორე, ტფილისი, 1884.

- დ. სჯულ. — დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაჭიძემ, გ. წინუამ, თბილისი, 1975.
- ევთ. სტიქ. — ევთალეს სტიქოპეტრიის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა კ. დანელიამ: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბილისი, 1977.
- ეძ. — კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, III, 1955; VI, 1960.
- ეტლთა — ეტლთა და შვლთა მნათობათეს. ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1975.
- ექუს. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II (25), თბილისი, 1947.
- ეცრ. — ეცერული.
- ზედ. — ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედამწესისაჲ: ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბილისი, 1963.
- ზღაპრ. — „ელინთა ზღაპრობანი“, გამოსცა ი. აბულაძემ, ენიშვის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1970.
- თარგმ. — ანდრია კესარია-კაბადუციელი, თარგმანება იოვანეს გამოსცხადებისაჲ, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961.
- თარგმ. ეკლ. — თარგმანებაჲ ეკლესიასტრიაჲ, მიტროფანე ზებრნულ მიტროპოლიტისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, ტფილისი, 1920.
- ილ. ქ. — ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ: ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს), თბილისი, 1967.
- იობ. — წიგნი მეცხრამე იობისი: წიგნი ძუელისა აღთქმისანი, 1, ნაკვ. 1, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947.
- იოვ. და ევთ. — ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ევთემესი, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1946.
- კაიშ. მთიულ. — ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბილისი, 1978.
- კიბ. I. — კიმენი, ქართული პაგოგრაფიული ძეგლები, I, გამოსცა კ. კეკელიძემ, ტფილისი, 1918.
- ლიმ. — იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1960.
- მამ. ცხ. — მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.
- მომთრე. — სწავლაჲ ნუ, ლოცვათეს და მარხვისათეს და მომთრეალეთათეს: თ. ჰუნია, ძველი სწავლანი მომთრეალეთათეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბილისი, 1962.
- მც. სჯულ. — მცირე სჯულისკანონი, გამოსცა ე. გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.
- Опис. — Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940.
- პაელენი — პაელეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ, თბილისი, 1974.
- რავახს. — ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა ანტონი რავახისი, გამოსცა ი. ყიფშიძემ, XV, ტ. II, მხარ. I, СПб, 1913.
- რიფსიძე — წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოუყვასთა მისთაჲ, გამოსცა ი. აბულაძემ: ავთანეგლოსის „რიფსიმეანთა მარტიკლობის“ ძველი ქართული თარგმანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1960.
- საქ. წ. II — საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966.
- სას. პ. — ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, I, გამოსცა პ. ინგოროყვამ, ტფილისი, 1913.
- საქმე — საქმე მოციქულთა, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1949.
- სვან. — სვანური.
- სიბრძნ. — სიბრძნე სოლომონისი: ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები. I, გამოსცა ე. ქურციკიძემ, თბილისი, 1970.
- სინ. — სინური მრავალთავი 1864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.
- სწავლ. — მამათა სწავლანი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1955.

- ტბეთი — ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი, სახარებად ოპანეს თავისაჲ, გამოკლევა და ტექსტი: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბილისი, 1977.
- ფსალმ. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მ. შანიძემ, თბილისი, 1960. ქე. სე. — ქვემო სვანური.
- შ. და ე. — ცხორება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოხისა და ევაგრუსი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბილისი, 1963.
- ცხ. ოან. დამასკ. — ცხორებად ოანე დამასკელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, XB, 7. III, 1914.
- ქლისპ. — ქლისპირნი და ღმრთისშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1971.
- წამ. ფსალმ. — წამებათათჳს ფსალმუნთაჲსა: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მ. შანიძემ, თბილისი, 1960.
- წარტყ. — წარტყუნევაჲ იერუსალიმისაჲ, თქუმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისაჲ, გამოსცა ნ. მარბა, TP. IX, СПб., 1909.
- ჭეი. — ქოლერატის იადგარი, გამოსაკემად მოაშაღეს ა. მარტიროსოვმა და ა. ჭიშიაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1977.
- ხანტო. — შრომა და მოღუაწება ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანტოსისა და შატბერდის აღმაშენებელისაჲ, და მის თანა კსენეზა მამათა ნეტართაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბილისი, 1963.
- ხრონ. — ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1920.
- ჰაბო — წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოასი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, კელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე რისა. საბანისი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბილისი, 1963.
- ჰიმნ. — ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათჳს X საუკუნეში (ტექსტები და გამოკლევა), ა. ს. კუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, თბილისი, 1952.
- ხელნაწერები: A ფონდის: A—95; A—1101; A—1103; A—1115; A—1347; H ფონდის: H—1661; S ფონდის: S—143; S—417; S—384; S—1696.

Б. А. ЦХАДАДЗЕ

О ВЗАИМОТНОШЕНИИ МАСДАРА С АБСТРАКТНЫМИ ИМЕНАМИ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Масдар и абстрактные имена близки не только по своей функции. Они образуются одними и теми же аффиксами. Масдарные окончания ებ-ა, ობ-ა, также встречаются и в абстрактных именах ება, ობა. В этих суффиксах элементы ებ, ობ являются тематическими показателями и происходят от личных глагольных форм, суффикс -ა является общим для масдара и абстрактных имен. Происхождение аффиксов ებ-ა, ობ-ა и ება, ობა является более новым, чем სი-ე. Формы სიორძე «возвращение», ხიძულე «ненависть» с одной стороны, и формы სიორძილი/სიორძილე «возвращение», სიძულილი «ненависть», с другой, — древнего происхождения; их возникновение относится к эпохе, когда еще не было дифференциации между именными и глагольными основами. Это явление общекавказское и наблюдается в других кавказских языках (сванском, абхазском...).

Нами установлено, что аффиксы სი-ე указывали на отвлеченную значимость глагола на древнем этапе развития самого древнегрузинского языка.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმომადგენელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ვახტანგ მაღრაძე

ინდიკატორები კასპის რაიონის ტოპონიმიაში

სტატიაში განხილული ტოპონიმიური მასალა მოპოვებულია შიდა ქართლის ერთი რეგიონის — დღევანდელი კასპის რაიონის 60-მდე სოფელში (შესწავლილია რაიონული ცენტრიდან ყველაზე დაშორებული პუნქტები). ამ რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებია: აღმოსავლეთიდან — მცხეთის რაიონი, დასავლეთიდან — გორისა, ჩრდილოეთიდან — დუშეთის რაიონი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო სამხრეთიდან — თრიალეთის ქედი.

საანალიზო რეგიონის ზოგიერთი სოფელი (მაგ.: სამთავისი, ნოსტე, ახალქალაქი, ცხირეთი, ყარაღაჯი...) თავისი არსებობის რამდენიმე საუკუნეს ითვლის¹, ზოგი კი სულ რაღაც ნახევარი საუკუნის თუ ცოტა მეტი ხნისაა (მაგ.: ნიგოზა, ქვემო რენე, ყარაფილა, საჩიბარი...). არაერთგვაროვანია მოსახლეობაც. ძირითადი მოსახლეობა ქართველობაა: მკვიდრ ქართლებთან ერთად სახლობენ ხევსურებიც (სოფ. ჩობალაური). ისტორიული ზემო ქართლიდან — დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან — გადმოსულ ქართველებთან ერთად სახლობენ ოსებიც (მაგ.: სოფ. ბოყამსა და სამთავისში). ამ რეგიონში ცხოვრობენ აგრეთვე აზერბაიჯანელები, სომხები და რუსები. მაგრამ ეს უკანასკნელნი მკირერიცხოვანნი არიან, შერეულ მოსახლეობას ეკუთვნის; საკუთარი სოფელი, ისეთი, როგორც ქართველთაგან ხევსურებს, ანდა ოსებს აქვთ, მათ არ გააჩნიათ.

მიუხედავად მოსახლეობის ამგვარი სიჭრელისა, ურთიერთობისას ენობრივი ბარიერის პრობლემა არ დგას: ამ სოფლების არაქართველი მოსახლეობაც თავისუფლად ფლობს და იყენებს ქართულ ენას. ბავშვებიც ქართულ სკოლებში სწავლობენ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თანაფარდობა ტოპონიმიაშიც სათანადოდ არის ასახული. ძირითადი ფენა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულია, დიალექტურად — ქართლური.

წინამდებარე წერილში განხილულია კასპის რაიონის მიკროტოპონიმიაში დადასტურებული განმეორებადი ლექსემები — ე. წ. ინდიკატორები და მათი შემცველი ძირითადი მოდელები (გაანალიზებულია დაახლოებით 3600-მდე ტოპონიმიური ერთეული).

ჩვეულებრივ, „ინდიკატორი წარმოადგენს გეოგრაფიულ ტერმინს, რომელიც მიუთითებს, თუ რომელ ტოპონიმიურ ტიპს მიეკუთვნება ტოპონიმი“².

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 122, 12, 409, 12: 386, 10: 438, 27...

² Н. В. Подольская, Словарь русской ономастической терминологии, М., 1978, გვ. 133.

„გეოგრაფიული ტერმინები — საზოგადოებრივი მოვლენა. ის არ არის დასახელებული ობიექტის ნაწილი.

მოჩვენებითად გეოგრაფიული მიზეზი სინამდვილეში აღმოჩნდება წმინდა ისტორიული. ასეთია ყველა სახელწოდება. ობიექტში არც ერთი არ არის თავიანთავად ჩადებული“³.

ინდიკატორები გვხვდება როგორც დამოუკიდებლად (მარტივი, ნაწარმოები და რთული ანუ კომპოზიტი), ისე შესიტყვებაში.

მარტივ ინდიკატორებად გვხვდება: ხე ვ-ი, მთა, წყარო, ზე არ-ი, ქედ-ი, მორე ვ-ი, კანქახ-ი...

უაფიქსო — მარტივი ტოპონიმები კასპის რაიონში ყველაზე მეტად რაოდენობით გვხვდება.

შედარებით ხშირია: ა) იმავე ფუძის შემცველი აფიქსური წარმოების გეოგრაფიული სახელები, როგორცაა, მაგალითად, — სუფიქსით ნაწარმოები სახელები: ქედ-ა, ხრიოკ-ა, აგრეთვე, მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი მარტივი ტოპონიმები: მლაშე-ებ-ი, ვაკე-ებ-ი და სხვ.

ბ) რთული სახელები ანუ კომპოზიტები: გრძელ ვე-ლებ-ი, დუქნი მიწ-ებ-ი...

როგორც ჩანს, საანალიზო რეგიონის ტოპონიმიაშიც აფიქსაცია ყველაზე უფრო გავრცელებული საშუალებაა. აფიქსების გამოყენებით იწარმოება როგორც მარტივი, ასევე თხზული ტოპონიმები.

შესწავლილ რეგიონში ტოპონიმთა საწარმოებლად გამოიყენება მრავალგვარი მაწარმოებელი:

-ა: ქედ-ა, ფერ-ა... მრავლობითის ფორმით: ქედ-ებ-ი...

-ობ: ფერ-ლობ-ი, ჭყანტ-ობ-ი... მრ. რ. ფერ-ლობ-ებ-ი...

-ოვან: ტყემლოვანი-ი, იგივე ფუძე ნაწარმოებია სხვა სუფიქსით: ტყემლოანი-ი.

-იან: ფიჭვიანი-ი, ნაძვიანი-ი, ძეძვიანი-ი. აქაც გვხვდება მეორე სუფიქსი: -ნარ: ფიჭვიანარი-ი, ძეძვიანარი-ი...

სადერიაციო მაწარმოებელთაგან შეხამებულ ინდიკატორებთან ყველაზე გავრცელებულია — სუფიქსი. ხშირია აგრეთვე მრავლობითის — ებ სუფიქსი.

— სუფიქსს, როგორც სადერიაციო ფორმანტს, სახელებში სხვადასხვაგვარი ფუნქციის შესრულება უხდება. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა ტოპონიმთა წარმოება.

გეოგრაფიულ სახელებში — სუფიქსის დანიშნულების შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება.

ს. ჭანაშია — სუფიქსს ტოპონიმების მასუბსტანტივებელ ხმოვნად თვლიდა⁴.

ფ. მაკალათიას მოსაზრებით, — სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში ზედსართავ სახელთა გასუბსტანტივების გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. მაგ.: მოკვეთილი მამული — მოკვეთილა მამული — მოკვეთილან⁵.

³ В. А. Никонов, Введение в топонимику, М., 1965, გვ. 24.

⁴ ს. ჭანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 218.

⁵ ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმია, კრ. „ტოპონიმია“, ტ. I, თბ., 1976, გვ. 34.

მართლაც, თუ შევადარებთ — სუფიქსიან და უსუფიქსო წყვილს — ფერდ-ა — ფერდი, გორაჟ-ა — გორაკი, ნიგოზ-ა — ნიგოზი, ნათელი გახდებდა, რომ წყვილთა პირველი ცალეები გეოგრაფიული სახელებია, ხოლო მეორე ცალეები შეიძლება იყოს როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელი.

— ა სუფიქსი დაერთვის როგორც მარტივფუძიან სახელებს, ისე ნაწარმოებს. მაგალითად: ა) მარტივფუძიანს: ფიციარ-ა, კეარ-ა, ხიდა-ველ-ა, გვერდ-ა, ხრიაჟ-ა...

ბ) ნაწარმოებს: კავთ-ურ-ა, ლეხ-ურ-ა, ოძ-ურ-ა, ნა-ცხვარ-ა-ლ-ა...

გ) თხზულს: ლამისყან-ა, ახალშენ-ა, კენჭიყარ-ა, ხმელიფერდ-ა, ობოლფურცელ-ა...

სხვა ფორმანტებს შორის ყველაზე გავრცელებულია მრავლობითის — ებ სუფიქსი: მიწ-ები, ვენახ-ები, ბაღ-ები, კაკლ-ები, ჭაობ-ები, წყარო-ები, ფერდობ-ები, ვაკე-ები, ყან-ები ბენის-ები, სერ-ები, გორაკ-ები...

თ. ზურაბიშვილის აზრით, — ებ-იანი მრავლობითის ფორმები თავს იჩენს შედარებით გვიანდელი ხანის ტოპონიმიაში. ძველ ქართულს კი საერთოდ თითქმის არ ახასიათებს ამ სახის წარმოება⁶.

აჭარის რეგიონის ტოპონიმიაში დადასტურებული — ებ სუფიქსი, ი. სიხარულიძეს შედარებით ახალ წარმოქმნილად მიაჩნია⁷. აქვამად კი იგი ამ რეგიონის ტოპონიმიაში ფართოდ გავრცელებულ სუფიქსად ითვლება. ასეთივე ვითარებაა ერწო-თიანეთის ტოპონიმიაშიც⁸.

ფ. მაკალათისა აზრით, — ებ სუფიქსი საშუალებას იძლევა გამოიჩინოს მკარო- და მკაროტოპონიმები. ამასთანავე, იკვეთება წმინდა ტოპონიმოქურ მოდელებთან ანტიკვივისული ტოპონიმების გათანაბრების საშუალებაც⁹.

როგორც ა. შანიძე შენიშნავს, „ზოგიერთი სახელი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია აღარ აქვს... განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახელებში“¹⁰...

ეს ვითარება კასპის რაიონის ტოპონიმოქურ მაგალითებზედაც დასტურდება: ქეაყრილ-ები, დაჭრილ-ები, შავწყლ-ები, გრძელ-ები, დიდგორ-ე-ები...

მართალია, — ებ სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები ერთგვარადაა ნაწარმოები, მაგრამ ვარკვეული თავისებურება მაინც იჩენს თავს. მათი ერთად მოქცევა, ერთ ქვეყანაში გავრთიანება მიზანშეუწონელია. ისეთი ტოპონიმები, როგორცაა: ხოდაბუნები, ფილაქნები, ფონები, ნახნავები, თეთრობები, კაკლები, ჭაობები, ვენახები, ბაღები და მისთ., თანხმოდანფუძიანი სახელებისაგან არის შილებული — ებ სუფიქსის დართვით; გრძელეები, ოხერეები, წკანწყარეები, ნამგალეები, შურდულეები. სამგორეები, შიმშილე-

⁶ თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბ., 1961, გვ. 144.

⁷ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 36.

⁸ გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 30.

⁹ ფ. მაკალათია, მრავლობითის — ებ, — ნ სუფიქსთა მატოპონიმოქური ფუნქცია, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 4.

¹⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 137.

ბი, კირკიტები, ვარცლები... თავიდან - ა ფორმანტი უნდა ყოფილიყო გაფორმებული, შემდეგ - ბ-ის დართვის შედეგად აე>ე-ასე მივიღეთ ზემოთ დასახელებული ფორმები. აღნიშნული ფონეტიკური პროცესი ადვილი აღსადგენია. ესეც არ იყოს, ამოსავალი ტომონიმიკური ფორმები ზოგ შემთხვევაში დადასტურებულია კიდეც. მაგ., გრძელა-, ოხერა-ა-სხევი, ნამგალა-ამიწები, ციხიაგორა-, ვარცლა-მიწა, ვარცლა-ხევი.

თუკი - ა ფუძისეულია (მარტივ სახელებში ან კომპოზიტებში), მაშინ - ა, ჩვეულებრივ, იკვეცება - უბ სუფიქსის დართვის შედეგად (მიწები, ჰალები, ბაგები, ხევთაშუები...).

ახლა განვიხილოთ ორფუძიან ტომონიმებში გამოყენებული ინდიკატორები.

როგორც კომპოზიტებში, ისე ორფუძიან ტომონიმებში ინდიკატორები, ჩვეულებრივ, მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა წარმოდგენილი¹¹. გვხვდება როგორც მართული მსაზღვრელი, ასევე ატირბუტული. პროდუქტიულობით პირველი აშკარად სპარბობს მეორეს. მსაზღვრელი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა (ჭვარდაბალი, ჭვარიპატიოსანი, ხეხმელა, გზაგაწვეტილები...), პრეპოზიციურია.

მართული მსაზღვრელის მაგალითებია: აბაზასწყარო, ბალისწყარო, ბარდულისწყალი, ახოებისტყე, ახმადისტყე, აბანოსხევი, აბრეულასხევი, ავაზნისგზა, ავეკეთისმიწები, ამოსაწვევისმიწები, ალიზისბოგირი, აშურიანისმთები, ახალშენასწისქვილი...

ამგვარ შეხამებაში ძირითადი მოდელები ასეთია: ანთროპონიმი+ინდიკატორი, ტომონიმი+ინდიკატორი, მიმღეობა+ინდიკატორი.

ზოგიერთი ინდიკატორი დიდი მოქნილობით გამოირჩევა, გვხვდება როგორც საზღვრულად, ისე მსაზღვრელად.

ინდიკატორი საზღვრულია: პანტიხევი, სამკლეხევი, ქვათახევი, წვრილთახევი, ძებიახევი, დათიახევი, გაგნიახევი, ოლაჩიახევი, ნამგალახევი, აგარახევი: სასამღვთოვექედი, კოკოლაქედი, შუაქედი, ელიასქედი, უზნაქედი, არსენიანთქედი, კიკოლანთქედი, გადმოსახედიქედი, გვერდისქედი, გაყინაქედი, შვინდავაქე, სოსიასვაქე, მთიულთბნისვაქე: დიდფერდა, კორომიფერდა, ცხავერისფერდა, ბრილისისფერდა: შუაგზა, ლომიანთგზა, ჰალიგზა, საკურიგზა; წმინდაწყარო, მლაშეწყარო, მუხათწყარო...

ინდიკატორი მსაზღვრელია: ხევთაშუა, ხევთაშუები, ხევსბოლო, ხევსბოლოსბალები, ხევსბოლოსწყარო, ხევსპირი, ხევსწყალი, ხევსწყარო, ხევსპირაბოსტანი; ქედისბალი, ქედისუბანი; ვაკისგზა, ვაკისწყალი, ვაკისხევი...

ორივე შემთხვევაში ინდიკატორი დაახლოებით ერთნაირი სინშირით გვხვდება სიტყვათშეხამების ორივე კომპონენტად (მსაზღვრელად და საზღვრულად). ამასთანავე, ინდიკატორი ეხამება როგორც ანთროპონიმს, ისე აპელატივს (საზოგადო სახელს).

¹¹ დაპირისპირებული მაგალითები თუ ყველა ერთი სოფლისა არ არის, ერთი სასოფლო საბჭოს მასალაში მაინცაა (სასოფლო საბჭოში გაერთიანებული არამდენიმე სოფელი, რომელთაც ზიარი ბალები, მინდვრები და ტყეები აქვთ).

მსაზღვრელებად გამოყენებულია ანტონიმური ზედსართავეები: დ ი დ ი მთა — პ ა ტ ა რ ა მთა, ზ ე მ ო უ ბ ა ნ ი — ქ ე ე მ ო უ ბ ა ნ ი, ზ ე მ ო ა რ ხ ი — ქ ე ე მ ო ა რ ხ ი...

მსაზღვრელები, ჩვეულებრივ, შეხამებულია საზღვრულ ტოპონიმებთან. მაგალითად: ზ ე მ ო რ ე ნ ე — ქ ე ე მ ო რ ე ნ ე, ზ ე მ ო ხ ა ნ დ ა კ ი — ქ ე ე მ ო ხ ა ნ დ ა კ ი... მსაზღვრელები აპელატივებთანაც გვხვდება: ქ ე ე მ ო ჰ ა ლ ა, რ გ ვ ა ლ ი — ჰ ა ლ ა (ჩამოთვლილი ტოპონიმები სოფლების სახელწოდებებია), მაგრამ მათ შესაბამისი ანტონიმები არ მოეპოვებათ. პირველ შემთხვევაში (ქ ე ე მ ო ჰ ა ლ ა) აპროორულად მოსალოდნელი იყო * ზ ე მ ო ჰ ა ლ ი ს არ ს ე ბ ო ბ ა, მეორეში კი (რ გ ვ ა ლ ი ჰ ა ლ ა), საპირისპირო ფორმა არც იეარაუდებოდა. ანტონიმური მსაზღვრელი სახელები უკავშირდება საზოგადო სახელებსაც: დ ი დ ი მ თ ა — პ ა ტ ა რ ა მ თ ა...

მაგრამ ასეთ მსაზღვრელთაგან ყველას არ მოეპოვება ანტონიმი. მაგ.: დ ი დ ი ყ ა ნ ე ბ ი, დ ი დ ი ხ ე ვ ი, დ ი დ ი ო რ ლ ო ბ ე, დ ი დ ე ლ ა, დ ი დ — ჰ ა ო ბ ი, დ ი დ ფ ე რ დ ა, ა ხ ა ლ უ ბ ა ნ ი. ამ ტოპონიმებში დაპირისპირებული მსაზღვრელები არა გვაქვს. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვიდით, რომ ანტონიმების მაგივრობას ნულოვანმსაზღვრელიანი დამოუკიდებელი ტოპონიმები ასრულებენ: ყ ა ნ ე ბ ი, ხ ე ვ ი, ფ ე რ დ ა...

თუ ერთმანეთს დაუპირისპირებთ განხილულ ტოპონიმებს, მივიღებთ ასეთ ანტონიმურ წყვილებს: დ ი დ ჰ ა ო ბ ი — ჰ ა ო ბ ი, დ ი დ ი ყ ა ნ ე ბ ი — ყ ა ნ ე ბ ი, დ ი დ ი ხ ე ვ ი — ხ ე ვ ი, დ ი დ ფ ე რ დ ა — ფ ე რ დ ა...

შეხამების თვალსაზრისით დიფერენცირებულია ისეთი ატრიბუტული მსაზღვრელები, რომლებიც ეხამება ტოპონიმებს (ზ ე მ ო ხ ა ნ დ ა კ ი — ქ ე ე მ ო ხ ა ნ დ ა კ ი, ზ ე მ ო რ ე ნ ე — ქ ე ე მ ო რ ე ნ ე...); ან აპელატივებს (დ ი დ ი მთა, დ ი დ — ჰ ა ო ბ ი, ვ ა დ მ ა უ ბ ა ნ ი, ვ ა მ ო ლ მ ა უ ბ ა ნ ი, ზ ე რ ა ვ ე ლ ა...), და ისეთები, რომლებიც მხოლოდ აპელატივებთან ქმნის შესიტყვებებს (მ შ რ ა ლ ი ხ ე ვ ი, მ ლ ა შ ე წ ყ ა ლ ი, დ ა მ პ ა ლ წ ყ ა რ ო, გ რ ძ ე ლ ი მიწები...).

კასპის რაიონის ტოპონიმოში ყველაზე გავრცელებული ერთეულებია:

№	ინდიკატორები	დამოუკრებული	ორფუძიანი		სულ
			ატრიბ. მს.	მართ. მს.	
1	უბანი	—	49	185	234
2	გზა	—	32	188	220
3	წყარო	4	9	206	219
4	მიწები	—	55	142	197
5	ხევი	6	40	101	147
6	ტყე	—	32	77	109
7	წყალი	—	7	69	76
8	ქედი	2	7	43	52
9	მიწა	—	9	30	39
10	გორა	—	9	24	33
11	მთა	—	7	25	32
12	ვენახები	—	5	23	28
13	ბალები	1	5	16	22
14	რუ	1	10	9	20
15	ხეობა	1	—	18	19
16	ბაღი	—	5	12	17
17	ვენახი	—	6	11	17
18	ველი	—	6	8	14
19	ველები	—	6	8	14
20	ფერდა	1	2	11	14

როგორც ვხედავთ, ინდიკატორთა დამოუკიდებლად გამოყენების ერთეული შემთხვევები გვაქვს. აბსოლუტური უმრავლესობა ორფუძიან ტოპონიმებზე მოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ატრიბუტულ და მართულ მსაზღვრელთაგან ინდიკატორებ-უპირატესად მართულ მსაზღვრელებს ეხაზება (ხ ე ვ ი ს-წყარო, ლ ო მ ი ა ა ნ თგზა...). თუ გეოგრაფიულ ტერმინს მართული მსაზღვრელი ახლავს, უმეტეს შემთხვევაში ეს პირის სახელი ან გვარია (თ უ თ უ ა ა ნ თ-მიწები, ო ხ ე რ ა ს ხ ე ვ ი — ტიპისა...).

სტატიაში განხილული მოდელები ზოგადად მთელი საქართველოს ტოპონიმიაში დასტურდება. მაგრამ არეალური კვლევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ მოცემულ არეალში შედარებით გავრცელებული და პროდუქტიული ინდიკატორების გამოვლენაა.

სწორედ ამ მიზნით ერთმანეთს შევედარეთ სანი სხვადასხვა, არცთუ მეტისმეტად დამორბეული რეგიონის — ერწო-თიანეთის¹², არაგვის ხეობის ფშავის¹³ და კასპის რაიონის ტოპონიმიაში გავრცელებული პირველი თხუთმეტი ინდიკატორი, რომლებიც დალაგდა კლებადი სიხშირის მიხედვით.

ერწო-თიანეთის, არაგვის ხეობის ფშავის და კასპის რაიონის ინდიკატორ-ტოპონიმთა შეპირისპირებითი ცხრილი¹⁴:

№	1 ერწო-თიანეთი	2 არაგვის ხეობ. ფშ.	3 კასპი
1	გორი (გორა) — 226	გორი — 148	უბანი — 234
2	წყარო — 207	ქალა — 44	გზა — 220
3	ახო — 198	ახო — 39	წყარო — 219
4	ხევი (ხევა) — 31	შთა — 30	შიწები — 197
5	ველი — 105	ვაე — 29	ხევი — 147
6	თავი — 59	ტაფი — 19	ტაე — 109
7	მამულები — 58	მეღანი — 18	წყალი — 76
8	უბანი — 54	წყარო — 18	ქელი — 52
9	წყალი (წყალა) — 37	ღელე — 17	შიწა — 39
10	ტაფი (ტაფე) — 36	ველი — 14	შთა — 33
11	შიწები — 33	ტბა — 11	გორა — 32
12	ქალა — 33	ყორელი — 8	ენახები — 28
13	ტაე — 23	ცხე — 8	ბალები — 22
14	ღელე — 16	მუჩა — 7	რე — 19
15	შირი — 16	ჟურე — 7	ხეობა — 19 ¹⁵

შედარება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველ ორ რეგიონში მეორდება გარკვეული ინდიკატორი-ტოპონიმი, თუმცა მათი თანმიმდევრობა ერთნაირი არ არის. სხვადასხვა რეგიონში ტოპონიმთა არსებობის სხვადასხვა რაოდენობა აღინიშნება. თუ ერწო-თიანეთისა და არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიაში გორი-(-ა) ყველაზე მრავალრიცხოვანია, კასპის რაიონში უბანი სჭარბობს ყველა სხვა დანარჩენს.

¹² გ. ბედლოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

¹³ ფ. შაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

¹⁴ ამ სიების შედარებისას, მართალია, გასათვალისწინებელია ჩამწერთა განსხვავებული თვალსაზრისები ჩასაწერი მასალის შესახებ, მაგრამ, ფიქრობთ, ზოგადი სურათი მინც არ შეიცვლება.

¹⁵ შავი შრიფტით აღნიშნულია პირველსა და მესამე რეგიონში დადასტურებული ტოპონიმები, ზაზგასმით — მეორესა და მესამეში, შავით და დაყოფით — სამეე რეგიონში არსებული, თეთრი შრიფტით და დაყოფით — პირველსა და მეორე რეგიონში ფიქსირებული ტოპონიმები, ზოლო ჩვეულებრივით — ცალი ტოპონიმები.

განხილულ მასალაში სამივეგან ფიგურირებს მხოლოდ გო რ-ი (-ა) და წყ ა რ ო, ხოლო არ მეორდება თავი, მამულე ბი, ძირი (ერწო-თიანეთი), ვაკე, მეეღანი, ტბა, ყო რ უ ლი, ციხე, მუჭა, ყუ-რე (ფშავი), ქედი, მიწა, ვენახები, ბაღები, რუ და ხეო-ბა (კასპი). საგულისხმოა, რომ ქედი პირველი ორი რეგიონის თხუთმეტ ყველაზე გავრცელებულ ტოპონიმში არ ჩანს.

საინტერესოა, რომ კასპის რაიონის ტოპონიმიაში წყ ა რ ო და წყ ა ლ ი სინონიმურად იხმარება. ოღონდ, წყ ა რ ო საკუთრივ წყაროს აღმნიშვნელია. მაშინ როცა წყ ა ლ ი აღნიშნავს სხვადასხვა ჰიდროგრაფიულ ობიექტს — წყა-როს, ლელესა და ნაქადულს, რუსა და არხს, მაგრამ არა პირუკუ: სახელწო-დება წყ ა რ ო არ გულისხმობს წყაროს გარდა სხვა ობიექტს: — ნაქადულს. რუს ან ლელეს. მათი შეფარდება წყაროს (ობიექტის) საგარეო უპირატესო-ბაზე მეტყველებს: ერწო-თიანეთია ტოპონიმიაში წყ ა რ ო 107-ჯერ გვხვდება. წყ ა ლ ი (წყ ა ლ ა) — 37-ჯერ; კასპის რაიონის მასალაში წყ ა რ ო 219-ჯერ დასტურდება, წყ ა ლ ი — 76-ჯერ; არაგვის ხეობის ფშავის მასალაში კი წყ ა რ ო 18 შემთხვევაშია აღწუსებული, წყ ა ლ ი კი — არც ერთხელ. და ეს არათა-ნაბარი შეფარდება საკლებით კანონზომიერია, რადგან წყ ა ლ ს სინონიმებად კიდევ მოეპოვება სხვა ინდიკატორი ტოპონიმები, როგორცაა რუ, ნაკადუ-ლი, დეღე, არხი..., წყ ა რ ო კი მხოლოდ სათანადო ჰიდროობიექტის აღმნიშვნელია. ამით შეიძლება აიხსნას ერთი ტერმინის სიმცირე და მეორის სიმრავლე.

დასკვნა: კასპის რაიონში შეკრებილი ტოპონიმოკური მასალის ანალი-ზიდან ირკვევა, რომ: ინდიკატორები გვხვდება დამოუკიდებლად და სიტყვათ-შეხამებაშიც. აქედან ზოგი მხოლოდ დამოუკიდებლად გვხვდება (გ რ ძ ე ლ ე-ები, ა ბ ა ნ ო ე ბი, კ ო დ ე ე ბი, ბ ი ლ ი კ ა...), ზოგი დამოუკიდებლად და შესიტყვებაშიც (და, ამასთანავე, როგორც მსაზღვრელად, ასევე საზღვრუ-ლად), უმეტესობა კი მხოლოდ სიტყვათშეხამებაში დასტურდება.

მსაზღვრელ ინდიკატორებად გამოიყენება ანტონიმური ზედსართავები, როგორც საზღვრულ ტოპონიმებთან. ისე საზოგადო სახელებთან, თუმცა და-პირისპირებულ წყვილებში ზოგჯერ შეიძლება ნულოვანი მსაზღვრელიც გვქონ-დეს (ე ე ლ ა — გ რ ძ ე ლ ე ე ლ ა).

განსხვავებულია ისეთი ატრიბუტული მსაზღვრელები, რომლებიც შეე-ხამება ტოპონიმებს ან აპელატივებს, ან მხოლოდ აპელატივებს.

ინდიკატორთა შესწავლა გარკვეულ პერსპექტივას უსახავს არეალურ კვლევას, რომელიც საერთო ტოპონიმოკურ მოდელთა მსგავსების ფონზე გა-მოკვეთს სპეციფიკურ ერთეულებსაც.

В. А. МАГРАДЗЕ

ИНДИКАТОРЫ В ТОПОНИМИИ КАСПСКОГО РАЙОНА

Резюме

1. В статье рассмотрены активно действующие имена в топонимии Каспского района, т. е. индикаторы, их структура, функции, относительная продуктивность.

2. Индикаторы встречаются как самостоятельно (сравнительно редко), так и в сложных словах; из них одни засвидетельствованы только самостоятельно (გრძელეები grzeleebi, აბანოები abanoebi, კოდეები kodeebi), другие — только в сложных словах (обычно атрибутивные определяющие), иные же и самостоятельно, и в сложных словах в качестве определяющего (ხევისპირი xevispiri, ხევის წყარო xeviscqaro...), в качестве определяемого (პანტიხევი panṭi xevi, სამგლეხევი samgle xevi...).

3. В качестве определяющих выступают в основном антонимные имена прилагательные (დიდი didi «большой» — პატარა paṭaga «малый», ზემო zemo «верхний» — ქვემო kvemo «нижний»...), которые обычно сочетаются с топонимами (ზემო რენე zemo rene — «Верхний Рене»...), или с нарицательными именами (დიდი მთა didi mta, პატარა მთა paṭaga mta...). Эти определяющие не всегда имеют антонимы (напр.: დიდველა didve-la, ახალ უბანი axal ubani).

4. С точки зрения словообразования дифференцированы, с одной стороны, атрибутивные определяющие, которые сочетаются с топонимами или апеллятивами (დიდი didi «большой» — პატარა paṭaga «малый»), с другой — которые сочетаются только с апеллятивами (მშრალი mšrali «сухой», გრძელი grzeli «длинный», დაბალი dabali «низкий», დამპალი dampali «гнилой»).

5. Индикаторы в топонимии этого региона сформлены по-разному. Особенно часто встречаются суффикс множественности -ებ -eb и суффикс -ა -a, употребляющийся в субстантивизирующей и топонимизирующей функциях.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ოთარ ზურაბულია

„ხე“ ნაწილაკის მარიანტიები ქართულურ ენებში

როგორც ცნობილია, მეგრულს, ჰანურს და თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს — აჭარულს, გურულსა და ქვემოიშერულს დღესაც შემორჩა მდებარეობითი სქესის მაწარმოებელი „ხე“, „ფხე“, „მხე“ ნაწილაკები. ბევლ სენახურს უნდა ჰქონოდა ამავე დანიშნულების სუფიქსები: „ფხე“ და „ფხუ“¹.

ამ გარემოებამ იმთავითვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. საკითხის გაშუქებას ართულებს ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, ბევლ ქართულს (რბევე როგორც ახალ ქართულს) არ ახაიათებს გრამატიკული სქესის კატეგორია (არნ. ჩიქობავა) და საიდან უნდა გამოჩენილიყო ქართველურ ენებსა და ზოგიერთ დიალექტში გრამატიკული სქესის მაწარმოებელი ფორმანტი. მეორეც, ზემოაღნიშნული ნაწილაკები, რომლებიც გრამატიკულ მაწარმოებლად მოჩანს, გარკვეული სახეცვლილებით შვილის (უმეტესად მდებარეობითი სქესის) აღმნიშვნელად გვხვდება.

ამ საკითხს სხვადასხვა ასპექტით შეეხნენ მეცნიერები და რიგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებები გამოთქვეს.

ნ. მარს მიანიდა, რომ ქართველურ ენებში „ხე“, „ფხე“ ფორმანტის არსებობა აფხაზური ენის ზეგავლენით იყო გაპირობებული. იგი წერდა:

«В ниже-имеретинском говоре встречаются слова хе и фхе в значении «девушки», «женщины», встречаются они и в мингрельском. но в них, очевидно, имеют место заимствования из абхазского ha и fha. Относится ли сюда др. г. мегрელი «рабыня», еще вопрос»².

ახლოგიური შეხედულება გამოთქვა ს. ჯანაშიამაც, იგი წერდა: „ფხე არი პროტოტიპი თანამედროვე მეგრული ხე-სი, რომელიც ქალის გვარსახელს აწარმოებს“³.

არნ. ჩიქობავა კი სწორედ „მხევალიდან“ ამოღის, როდესაც ეხება „ხე“ ფორმანტისა თუ ნაწილაკის წარმომავლობას, თუმცა მან ამ სიტყვის „ძირეული მასალის“ საკითხი ღიად დატოვა. მეცნიერი წერს: — „ძირეული ნაწილი ამ სიტყვისა (მხევალი. — ო. ჭ.) უნდა გვექონდეს სამეგრელოში, ქვემო იმერეთსა და გურიაში, ქალის გვარში შენახული:

¹ Н. Я. Марр, Орудовный и исходный падежи в кабардинском и абхазском, избр. работы, т. II, М.—Л., 1936, гл. 239.

² Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.—Л., 1936, гл. 42. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურ „ფა“-სა და ქართულ „მხევალ“-ს შორის ურთიერთმომართების საკითხს აგრეთვე ყურადღება მიაქცია პ. ჯარაიძე. იხ. მისი «Об отношении абхазского языка к фетическим», С. Петербург, 1912, гл. 35.

³ ს. ჯანაშია, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 465.

გურ. ლომთათი-ფხე — ქალი, ლომთათი-ძე — ვაჟი....
 მეგრ. კუპა-ხე — „—, კუპა — კუპა — ვაჟი...
 — „— ქინორი-ხე — „—, ქინორია — ვაჟი....

მეგრული „ხე“ ფონეტიკურად გამარტივებული სახეა „ფხე“-სი, უკანასკნელი ქართულში დაცულ მხევ-ალ-ის პირველ ნაწილს ხვდება; დაკარგულია ოლონდ ბოლოკიდური -ვ და თავკიდურ მ-ს ენაცვლება -ფ. თუ ეს დაკავშირება (მხევ-ალ-ფხე||-ხე) მართებულია, -ალ ქართულში ფუძის საწარმოებელ აფიქსად უნდა ვცნოთ, და ეს მიუხედავად იმისა, ძირეული მასალა ქართველური ენების კუთვნილებათა თუ სხვა ენობრივი წრიდანაა შეთვისებული“⁴.

„ხე“-ს შეეხო ი. ყიფშიძე თავის ცნობილ „მეგრული ენის გრამატიკაში“, სადაც ეკითხვლობთ:

«ხე — дочь, женщина; прибавляется к концу фамильных названий; დალია-დაღია (мужчина), დაღი-ხე დაღიხე (женщина). ზინწარე-ხე, ციკა-ხე და др. (этим. слова см. Н. Я. Марра, Яфетическое происх. абх. терминов родства, И. А. Н., 1912, стр. 432)»⁵.

როგორც ჩანს, ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ ახსნაში ი. ყიფშიძე ეთანხმებოდა ნ. მარის მოსაზრებას.

ი. მეშჩანიშვიმა „ხე“, „ფხე“, „მხე“ დაუკავშირა ურარტულ ენას, რომელშიც „ხენე“ — „ხინი“ ნიშნავს „შვილს“⁶. მანვე მოგვიანებით გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ შრომაში ურარტული ენის გრამატიკული წყობის შესახებ ყურადღება გაამახვილა ურარტულ წარწერებში „ხინე“, „ხი“, „ხი-ე“, „ხე“ სიტყვებზე, რომლებიც შვილზე მიუთითებენ. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: «Менна — hinea — ნიშნავს მენუას შვილს; „ხინეს“ შეკუმშული ფორმებია „ხი“, „ხიე“ და „ხე“⁷.

საანალიზო ნაწილაკის გავრცელება იმერულში დახასიათებულია შ. ბიძიგურის მოხსენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა 1929 წ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე (მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა 1938 წელს)⁸.

განსახილავ საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ი. მეგრელიძემ. მან 1938 წელს გამოქვეყნებულ შრომაში «Женские фамильные окончания в южно-кавказских яфетических языках и фольклоре» მიმოიხილა საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, იბერიულ-კავკასიური ენობრივი მასალა და ფოლკლორული ნიმუშები.

ი. მეგრელიძე მიუთითებს, რომ მდებრობითი სქე-ის აღსანიშნავად „ხე“ ნაწილაკი გვხვდება მეგრულში, ქვემოიმერულსა და ნაწილობრივ სვანურში, ხოლო „ფხე“ — ლაზურში. გურულსა და აჭარულში, იმერული უფრო ახლოს

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 26.

⁵ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, гв. 400.

⁶ И. И. Мещанинов, Грамматический строй урартского языка, ч. I, М.—Л., 1958, гв. 27, 39.

⁷ И. И. Мещанинов, Язык ванской клинописи, Л., 1935, гв. 21.

⁸ Ш. Дзидзигури, К характеристике нижеимерского говора грузинского языка. Сборник Памяти Н. Я. Марра, М.—Л., 1938.

დგას მეგრულთან, ვიდრე ლაზურთან, ხოლო გურული ფორმა — ლაზურთან⁹.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათა კრიტიკული განხილვისა და გვარის აღმნიშვნელ სხვა ქართულური მაწარმოებლების — „ძე“, „შვილი“, „სქუა“, („სკუა“), „სკირი“ ანალოზის საფუძველზე ავტორი მიდის შემდეგ დასკვნამდე: «Как мы видим, все вышеприведенные фамильные окончания (იგულისხმება: „ძე“, „შვილი“, „სქუა“, „სკუა“, „სკირი“ — ო. ჯ.) означают «дитя», «сын» и большинство из них существуют как самостоятельные слова в том же значении. Очевидно и фце или фе в этих же языках были когда-то самостоятельными словами»¹⁰.

სამწუხაროდ, მეცნიერები არ ცდილან აღნიშნული „ხე“, „ფხე“ კოლხურ (ზანურ) ენობრივ მასალაზე დაყრდნობით აეხსნათ.

„ხე“-ს მეგრულში ვაჩნია არაერთი ფონეტიკურ-სემანტიკური შეატყვილობა: ხალა (შობა), ელი (ნაშვი), ხანს (შობს), მახალი (შშობადი), ხაჟილი (ძოგებულა), უხაფუ (უშვი), ოხაფუ (მოსაგები), ოხალირე (მოსაგები), ნახა (ხაშობი), გეხუ (შვა), ქოხუ (შვა თურმე), გეუხანუ (მეფაიე გახდა) და სხე. ამჟამად მეგრულ მეტყველებაში „ხალა“ („შობა“) და „ხელი“ (ნაშვი) უკვე შერღულა ცხოველთა სამყაროს¹¹. მეგრული ძროხის მიერ ხბოს მოგებაა გაძობატაჟს ზემოაღნიშნული სიტყვით, „ჩხოუქ გინი გეხუ“ (ძროხამ ხბო მოიგო (შვა)) ან „ლეჩქ თულუფი გეხუ“ (ღორმა გოკები დაყარა (შვა)). მეგრულად პირუტყვა, რომელმაც ეს-ეს არის უნდა მოიგოს, ეწოდება „მახალა“, ხოლო უკვე მოგებული (ნაშვი) იქნება „ხელი“.

წარსულში მეგრული მეჯოგე გლეხი დიდმარბეის წინა დღეს მეცხოველობის დღეებზე „ჟინი ანთარასადმი“ (აღმოსავლეთ ქართული „ანატორი“, აფხაზური „აითარ“¹² ლოცვას („ოხვამურს“) ასე აღაღვინდა: — „ჟინი ანთარი, პატონი გომორძველი! ჩემი ორინგი სი ამიშენი! ოშ-ოშო გომაბჭოფუნდე დო მუთას მაკორდოდასანი, უხაფუ დო ხაფილც ვა იშებჩინენდე თეში“ (ზენაარო ან თარო, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი შენ გამიმრავლე (ამრშენე)! ას-ასობით გამოვიკერდე და არაფერი აკლებდოდე: უშესა და ნაშეს (ე. ი. დევეულსა და ძროხას) ვერ ვარჩევდე (ერთმანეთისაგან)¹³.

ძველად, ისე როგორც ქართული „შობაჲ“, მეგრული „ხალა“-ც უნდა ყოფილიყო ცხოველთა და ადამიანთა სამყაროს საერთო კუთვნილება. შობასთან დაკავშირებით ივ. ჭავჭავაძის წერდა: „შობა მარტო ადამიანს დაბადების გამომხატველი სახელზმნა კი არ იყო, როგორც ეს ახლა გვესმის, არამედ დე-

⁹ И. В. Мегрелидзе, Женские фамильные окончания в южнокавказских языках и фольклоре, сборник «Помятки академика Н. Я. Марра», М.-Л., 1938, гв. 154; также, И. В. Мегрелидзе, Мегрельский и лазский слон в гурийском, М.-Л., 1938, гв. 133—138.

¹⁰ იქვე.

¹¹ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშ., გვ. 396.

¹² ი. ჭავჭავაძის წიგნი, ქართული ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951, გვ. 83. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველ შუამდინარეთში, კერძოდ ასურეთში არსებობდა ცეცხლის ღმერთი ანშარი, რომელსაც ჰქონია ოთხი თავი და ოთხი ხური და თელეობდა მამულის მფარველად (იხ. К. П. Матвеев, А. А. Саконов, Когда заговорилась клинопись, М., 1979, гв. 81). სანტერესოა რა მიმართება იყო „ანშარსა“ და ანთარ-აითარს შორის?

¹³ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშ., გვ. 186.

დალა პირუტყვების მიერ მოგებასაც ამავე სიტყვითაც აღნიშნავდნენ ხოლმე¹⁴ (შემდეგ მოყვანილია სათანადო არგუმენტაცია).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ძველ ქართულს „შობაძს“ გარდა გააჩნდა მეორე ფორმაჲ „აგებულ“-ის სახით, რაც დაბადებულს, შექმნილს, გაჩენილს ხიშხავდა. მისი საპირისპირო ფორმა იყო „აუგები“, „აუგებელი“ — შეუქმნელი, დაუბადებელი (ა. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1980, ლექსიკონი, გვ. 375, 376) და განა დღეს იმავე ძირისაგან არა გვაქვს სიტყვები: „მოგება“, „იგებს“, „მოგებული“, რაც მხოლოდ და მხოლოდ ცხოველთა სამყაროს განეკუთვნება (ძროხამ ხბო მოიგო)?

თანამედროვე მეგრულში არაიშვიათად „ხალა“ („ხელი“) სიტყვა აღმამანთა მიმართაც გამოიყენება. კახური ხალხური თქმის — „შენი შექმნელი მშობელის ქირიმე:“ შესატყვისი მეგრულსაც გააჩნია: „სქანი მახალ ღო მაქიმინახლს ქუგულაუ“ (შენს მშობელსა (!) და შექმნელს (!) შემოვევლე“.

„ხალა“, „ხელი“ ფორმა რომ ძველად აღმამანთა სამყაროსაც განეკუთვნებოდა, ეს მეგრულ ფოლკლორში კარგად არის შემორჩენილი¹⁵. ზღაპარში „ქაბუშ არიკი“ ვკითხულობთ: „ქაბუქუს გან ფერი კოჩი მურცია, მახალი შერცხეხილია“¹⁶ (ქაბუქუს (რომ) ჰგავს, ისეთი კაცი მოდისო, მშობელ შერცხეხილიო).

აქ „მახალი“ (მშობელი) ქალის ნიშართ არის ნათქვამი, ე. ი. განეკუთვნება აღმამანთა სამყაროს.

მეგრულში სემანტიკურად და ფონეტიკურად კიდევ ერთი სიტყვა უკავშირდება „ხე“-ს. ეს გახლავთ „უხენო“. იგი ი. ყიფშიძეს ასე აქვს განმარტებული: „უხენო“ беременная; — უხენობა беременность, отим. глагол, III-я пор. н. ვახუნენქ делаю беременной, аор. და — ვაუხენი; — стр. з. II-я пор. н. ვიუხენებუქ или იუხენებუქი, სი იუხენებუქ, аор. დე-უუხენია¹⁷.

ორსული ქალის აღსანიშნავად „უხენო“ გვხვდება მეგრულ ტექსტებშიც. მაგალითად: „მა სი ქოგიწინქ სქანი ყუდეში ამბეს: სქან ყუდეს სქანი ოსური უხენოთ დორხეადუ, ალუხე ქომოლ-სქუა“¹⁸ (მე შენ გეტყვი შენი სახლის ამბავს: შენს სახლში შენი ცოლი ფეხმძიმედ დაგხვდება, (საშოში)უხის ვაჟიშვილი).

აქ „უხენო“ გარდა საინტერესოა ორსულობის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა „ალუხე“ (უხის). შინაარსეულად და ფონეტიკურად ისინი ტოლფარდებია.

ზრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქანურადაც „უხენოს“ სახენაცვალი „უხვენო“ ფორმა გვხვდება ორსული ქალის აღსანიშნავად. ირ. ასათიანის მიერ 1946 წელს სარფელებთან ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ:

¹⁴ იე. ჭ ა ე ა ხ ი შ ი ე ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 198.

¹⁵ სხვათა შორის, მეტად საინტერესო დამოხვევასთან გვაქვს საქმე, თუ მართლაც ეს დამოხვევა ამ სიტყვისა იმევე მნიშვნელობის აღმნიშვნელ ყაბარდოულ სიტყვასთან „ლ“ ხე ან“, რაც ნიშნავს დაბადებას, შობას (იოქმის როგორც აღმამანზე, ისე პირუტყვზე). ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, ექსპედციის დღიური, შრომები, ტ. IV, თბ., 1968, გვ. 19.

¹⁶ შ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 241.

¹⁷ ი. ყიფშიძე, დასახ ნაშრ., გვ. 333.

¹⁸ შ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 212.

„უხვენე ვორე, ქორბას ვორე. სოთი ვა იყონდათ!“¹⁹ (ორსულად ვარ, ფეხმძი-
მედ ვარ, არსად არ დაყოვნდეთ).

„უხვენე“—ში „ვ“ განვითარებული ჩანს. თვით ლექსემა ისეთივე ფორ-
მისაა, როგორც მეგრული „უხენე“.

მეგრულში „უხენოს“ პარალელურად არსებობს „უხინო“ ფორმა²⁰. წა-
ლენჯიხის რაიონის სოფ. ჭგალში არსებობს ასეთი თქმა: „ვამზე სქუა“, იტყვიან
უგვანო შვილზე²¹.

ანგარიშგასაწევი ის გარემოება, რომ ბასკურად „პალა“ (მდრ. მეგრული „ხა-
ლა“ — შობა) ნიშნავს ქალს, ხოლო „პალაბა“ — ქალიშვილს. „პალა“ — ქალი,
„ბა“ — საერთოდ შვილი (дитя)²². ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მეგრულად „ცორი“ ეწოდება ნეზე ღორს, ე. ი. სემანტიკურად იგი მდებ-
რობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვაა. ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტ-
ში „ყორ“ ეწოდება ქალიშვილს. ფერეიდნული დიალექტის ერთ-ერთ ტექ-
სტში ვკითხლობთ: „ბიჭი და ყორი (რო ქალს დავძახით!) წინასწინ მოიწო-
ნებენ ერთმანეთს“²³. ასევე: „იქ ერთი ბიჭი ერთ ღორს მაიწონებს“...²⁴.

„ყორ“ (ცორ) სიტყვა ხომ არა გვაქვს „ცოროფაში“ (სიყვარული)? მსგავ-
სი ვითარება ხომ არ შეინიშნება მეგრულ „ხალასა“ და ბასკურ „პალას“ შო-
რის. ეს სიტყვები ფონეტიკურად და სემანტიკურადაც (ორივე დაკავშირებუ-
ლია მდებრობით სქესთან, ქალთან) ერთმანეთთან ახლოს დგანან. ამ პოზიციას
ერთგვარად ამაგრებენ ის გარემოებაც, რომ ენათა იბერიულ-კავკასიურ ოჯახში
შემავალ აფხაზურ ენაშიც შობა აღნიშნება ფონეტიკურად „ხალა“-სთან ახ-
ლოს მდგომი და ხ ძირისაგან შედგენილი სიტყვით — „ახშარა“, „ახმარა“²⁵.

ბ. ჰარაიას თავის ცნობილ გამოკვლევაში, უდარებს რა ერთმანეთს ამ ორ აფ-
ხაზურ და მეგრულ სიტყვას, დამატებით მოჰყავს აფხაზური ენის კიდევ ერთი დია-
ლექტური ფორმა ა-ხუ-არა (იმოწმებს უსლარს). ამასთან იგი დასძენს: «Черк.
рождать, кажется. того же корня. напр. кабард. Тхон» (თხონ. — ო. ჰ.)
(იმოწმებს ლოპალინსკის) — родить²⁶.

ეს დამთხვევაც ბევრის მეტყველია. როგორც ქვემოთ დაეინახეთ, ამ სიტყვებ-
ში იბერიულ-კავკასიური ენებისათვის საერთოა ძირი „ხ“. მეგრულ-ქანურ „ხე-“

¹⁹ ირ. ასათიანი, ჰანური (ლზური) ტექსტები (ხოფური კლოკავი), აკად. არნ. ჩიქობა-
ვას რედაქტორობით, თბ., 1974, გვ. 164.

²⁰ ცნობა მოგვაწოდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატუ-
რის კათედრის დოცენტმა ა. ი. ვაღილიამ. იგი დაბადებული და გაზრდილია გუგუქორის რა-
იონის სოფ. კორცხში. მას ეს სიტყვა ბავშვობაში გაუგონია.

²¹ ცნობა მოგვაწოდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატუ-
რის კათედრის მასწავლებელმა რ. ი. სალიამ.

²² ი. ზეარის ცნობა. „ხე“, „ფხე“-ს მიმართებას ბასკურთან პირველად ყურადღება მიჰქცია
ნ. მარმა და სათანადო გამოკვლევა უქონდა. იხ. მისი *Избранные работы*, М.—Л., 1935, გვ. 467-
468.

²³ ზ. შარაშენიძე, ფერეიდნული „გურჯები“, თბ., 1979, გვ. 176.

²⁴ თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანაშვილი, ჟ. გიუნაშვილი, ფერეიდ-
ნული მეტყველების შესწავლისათვის. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXI, 1979,
გვ. 86.

²⁵ რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, სოხუმი, 1964, ხ. ბლაქუას რედ., გვ. 502.

²⁶ П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, СГБ., 1912, გვ. 40—41.
ამ სიტყვების ეტიმოლოგიის ძიებისას ბ. ჰარაიამ მოიყვანა პარალელები ევგვიტური ენიდანაც. მისი
აზრით, ევგვიტური სიტყვა „ხა“ (აიბი, ნათება, გამოსხივება) რალაქნობიდან მოესადაგება ქართულ-
აფხაზურ სიტყვებს. ამ წიგნის რედაქტორმა ნ. მარმა ასეთ შორეულ პარალელებს უწოდა მიამტერ-
რი ძიება (იქვე, გვ. 71, სქოლო, შენიშვნა მე-2).

„მხე“-ს, აფხაზურ „ფჰა“-ს ფონეტიკურად და ნაწილობრივ შინაარსეულადაც მიესადაგება ადიღური „ხუ“-ს, რაც კაცს ნიშნავს²⁷. ასევე აფხაზური „ახი“ ნიშნავს თავს²⁸, ხოლო ჩერქეზული ენის კიახურ დიალექტზე ჭჭა (საერთო-ადიღური „ყვას“ სახენაცვალი) ნიშნავს შვილს²⁹. ჩერქეზული ენის აბაძეხურ დიალექტზე ჭჭა ნიშნავს ძეს, შვილს³⁰. ანალოგიური მდგომარეობაა ყაბარდოულსა და შაფსულურში, სადაც ყჭა უდრის ძეს, შვილს³¹. ტაბასარანულ ენაში ცხოველთა სამყაროში მამრობითი სქესის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „ხიბი“³².

„უქენო“ ზმნაა შესამე პირში (მა მიხენო, სი გიხენო, თის უხენო). იგი ნაწარმოებია „ხე(ნ)-ნის (ძვ. ქართული „ზინ“³³, სიტყვისაგან). „ხენ“ სიტყვაში „ენ“ აუფიქსია, ხოლო ძირი „ხ“.

ახლა გასარკვევია, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან „ხელ“-ი (ნაშვი). მისი საწყისი ფორმა „ხალა“ (შობა) და „უხენო“?

„ხალა“-ში „ხ“ არის ძირი, „ალ“ — ფუძის მაწარმოებელი. არნ. ჩიქობავა, როდესაც ეხება „მხეველ“ სიტყვას, აქ „ალ“-ს წერედ ამ ნიშნით გამოყოფს³⁴. „ხალა“-ში „ალ“ უდავოდ სუფიქსია, რადგან მისგან ნაწარმოებ მიმღობაში „ხ-ელ-ი“ (ნაშვი) გამოიყოფა „ხ“ ძირი. ეგვევ ძირი ჩანს „ხალა“-საგან ნაწარმოებ სიტყვებში: „მა-ხ-ალ-ი“ (მშობალი) „უ-ხ-აფუ“ (უშვი); „ხ-ან-ს“ (შობს), „გე-ხ-უ“ (შვა).

„უხენო“-ში უ-ო მაწარმოებლებია. შდრ. „უ-ჩქენ-ო“ (იცი), „უ-ცოროს-ო“ (უყვარს), „უ-ლუნ-ო“ (აქვს) და სხვ. აფიქსების მოშორების შემდეგ დარჩა „ხენ“.

არნ. ჩიქობავამ ხენ||ხედ მეგრულ-ქანური სიტყვის თანფარდად ქართულში გამოყო „ს-ხ-ედ“. ქანური „ხედ||ხუნ“ (ჯდომა), მეგრული „ხე (ნ)“, „ხოდ“, „ხუნ“ (ჯდომა) და ქართულ „სხედ“ სიტყვებში, მეცნიერის აზრით, „ძირეულია ხ-, ედ||-უნ — სუფიქსებია, უქანასკნელი — კაუზატივისაა. ქართულში ეს ძირი -ედ სუფიქსით მრავლობითში იხმარება. მას თან წინ ხ მიერთვის, ს-ხ-ენ-ან ს-ხ-ენ-ედ... (სხენედ იგინი სენაკებს)“³⁵. ზანური „ხ“ ძირის ქართულთან შესატყვისობის შესახებ სხვაგვარი ვარაუდი გამოთქვეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა. მათი აზრით: „ზან. ხ — ძირი შესატყვისი უნდა იყოს ქართ. კედ-ფუძ-სა (მკედ-არ-, სა-კედ-არ, რომელიც კ- ძირსა და -ედ სუფიქსს უხდა „შეიცავდეს (დამოწმებულია ე. თოფურიას შრომა. — ო. ჭ.): შდრ. მეგრ. ხ-ე (ნ) „ზის“ — დო-ხოდ-უ „დაჯდა“, ქან. ხ-ე-ნ — დო-ხედ-უ“³⁶.

²⁷ X. C. Бгажба, Эпюды и исследования, Сухуми, 1974, გვ. 156. ხ. ბ ლ ა ე ბ ა ეყრდნობა გ. როგავას ცნობას, წყაროს არ ასახელებს.

²⁸ რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, სოხუმი, 1964, გვ. 154.

²⁹ ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 485.

³⁰ ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. IV, თბ., 1968, გვ. 117.

³¹ ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. IV, გვ. 119, 123.

³² П. К. Услар, Этимология Кавказа, Языкознание, VIII, Табасаранский язык, Тб., 1979, გვ. 115.

³³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 105.

³⁴ იქვე, გვ. 26.

³⁵ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 422.

³⁶ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლატი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 135, სქოლიო.

ამ გარემოებას. კერძოდ, რა ძირი შეესაბამება ქართულში მეგრულ ხ-ს „ქედ“-ის „კ“ თუ „სხედ“-ის „სხ“, ჩვენთვის არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ მეგრ. ჰან. ხენ||ხედ ფუძეს სემანტიკურად შეესაბამება სხდომაც და ჯდომაც (მდრ. „ალუხე“ — უხის).

დადგენილი ფაქტია, რომ მეგრულში ნ ბოლოკიდურიანი აფიქსები ნ-ს ხშირად კარგავენ, რააც თავის დროზე ყურადღება მიაქციეს ს. ჭანაშიამ, არნ. ჩიქობავამ და სხვ. კერძოდ, არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „მეგრულში -ნ ეერ ძღვს სიტყვის ბოლოს, ოღონდ სხვა ბგერით კი არ იცვლება, არამედ შეუნაცვლებლად იკარგება... მა— მან „მე“, ჩქი— ჩქინ-ჩქუნ „ჩვენ“...“

მეგრულს ბოლოკიდური -ლ-ც ეკარგება: ხე — ხელ „ხელი“, ჭა — ჭალ „ძელი“. ჭიმა — ჭიმალ „ძმა“ და სხვ³⁷.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არნ. ჩიქობავას შემდეგი დავიერება: «ყურადღებას იქცევს ის, რომ: 1. ზმნის ბოლოს -ნ ძველ ქართულში არ იკარგება (ხი-ნ, დგ-ან, აღიდგ-ნ...), მეგრულში -ნ ზმნის ბოლოსაც უჩინარდება, რე(ნ), „არის“, ხე(ნ) „ხის“, დგუ(ნ) „დგას“³⁸».

მაშასადამე, მეგრულში -ელ, -ენ, -ან სუფიქსებით დაბოლოებულ სახელებში, როგორც წესი, ნ, ლ უჩინარდება. ამის მაგალითები ზემოთ საკმაოდ იყო მოყვანილი. სხვათა შორის, ეს თავისებურება შეიმჩნევა „ია“ და „აა“-ზე დაბოლოებულ მეგრულ გვარებშიც (წულუკია — წულუკიანი, ბერია-ბერიანი, გოშუა — გოშუანი, მერლულია — მერლულიანი და სხვ.). ამ გარემოებაზე გარკვევით არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. ჭანაშია, წ. ქალღანი). ამ ბოლო დროს აღნიშნულ საკითხზე საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ჯ. ონიანმა³⁹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მდებდრობითი სქესის აღმნიშვნელი მეგრული ელემენტი „ხე“ (დადი-ა — დადი-ხე...) მიღებულია „ხედ“-ისაგან „ლ“-ს მოკვეციით.

როგორც წარმოებით, ისე სემანტიკურად „ხელ“-ი იგივეა, რაც ქართული ნაწვი, შვილი. ისინი ნაზმნარი სახელებია, შინაარსითაც იდენტურნი.

მეგრულად გვარი „გუგუშვილი“ შეიძლება გადმოიციეს რამდენიმე ვარიანტად: გუგუ-სჷჷა, გუგუ-სჷირი, გუგუ(ნ)ჷჷა, გუგუ-ა და გუგუ-ხე. პირველი ოთხი (სჷჷა, სჷირი, აჷა, ა) მოუთითებს ამ გვარის მამრობით წარმომადგენელზე, ხოლო „ხე“ მიგვანიშნებს მდებდრობითზე⁴⁰.

როგორც ჩანს, ეს „ხე(ლ)“ ისევე ძველია, როგორც სვანურში შემორჩენილი საერთო ქართული -ან სუფიქსი (ქალდ-ან-ი, გულედ-ან-ი, ხორგუ-ან-ი და სხვ.). მითითებულია, რომ ეს „-ან“ ერთ დროს უნდა ყოფილიყო საერთო ქართული შვილის აღმნიშვნელი სიტყვა⁴¹.

³⁷ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში, თბ., 1942, გვ. 104—105.

სხვათა შორის, მეგრულში „ლ“-ს არამყარობას პირველად ყურადღება მიაქცია აღ. ცაგარელმა. მან მიუთითა ასეთ მაგალითებზე: ჩიი და ჩილი (ცალი), კაათი და კალათი, ახაი და ახალი.

³⁸ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

³⁹ ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნო-ლინგვისტური ანალიზისათვის, „მაცნე“, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 2, გვ. 84 და შემდეგ.

⁴⁰ ანალოგიური მაგალითი მოპყავს თითქმის ყველა მკვლევარს, რომლებიც კი ამ საკითხს შეხებიან, ამიტომ მათ არ ენასხელებთ.

⁴¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 124. ჯ. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

მეგრულში გვარების ერთი წყების წარმოებისას „ან“ მაწარმოებლისაგან დარჩა „ა“ ფორმანტი, რომელიც ფიქსირებულია ა-სა და ია-ზე დაბოლოებულ მეგრულ გვარებში: ნაჰყები-ა, გობეჩი-ა, სტეფანი-ა, ხაზალი-ა, ბები-ა და სხვ. მათი სვანური მოდელი, რომელიც დღეს მიჩნეულია უძველეს საერთო ქართულ ფორმად, რომლის საფუძველზე იწარმოებოდა მეგრული გვარების ერთი ნაწილიც, მიიღებდა ასეთ სახეს: ნაჰყები-ან-ი, გობეჩი-ან-ი, სტეფანი-ან-ი, ხაზალი-ან-ი, ბები-ან-ი.

ცნობილია, რომ გვარსახელთა წარმოშობა დაკავშირებულია ანთროპონიმებთან, ეპონიმებთან, ეთნონიმებთან, ტოპონიმებთან, ჰიდრონიმებთან და ა. შ. ძველ ქართულ წყაროებში, კერძოდ, „ტბეთის სულთა მატინაწი“⁴², ფიქსირებულია ქართული გვარების ასეთი წარმოება: გორგას-ძე, ახალას-ძე, ბერას-ძე, გაბრიჩის-ძე, გივის-შვილი, თავიდიის-ძე, მგელას-ძე, როსტომის-ძე, დვალის-შვილი, ლაღანის-ძე და სხვ⁴³.

ამ გვარების უმეტესობათა ძირეული ნაწილი საკუთარი სახელებია: გორგა, ახალა, ბერა, გაბრიჩი, გივი. თავიდი, მგელა, როსტომ, ეთნონიმი დვალის და ა. შ. ეს გვარები ნათესაობითი ბრუნვით არის ნაწარმოები. ცნობილია, ეს ბრუნვა კუთვნობას, წარმომავლობას გამოხატავს. დროთა ვითარებაში ნათესაობითი ბრუნვის ფლექსია შეიკუმშა და მივიღეთ გორგა-ძე, ახალა-ძე და ა. შ.

ამ პრინციპითაა ნაწარმოები სვანური გვარებიც, ს. ჯანაშიას კვლადაკვალ⁴⁴, ჯ. ონიანმა სვანური გვარის წარმოშობის ასეთი მოდელი შემოგვთავაზა:

„ავალ — ავალ - იშ - ან - ი (ქართული ავალის-ან-ი) — ავალიანი, ონი — ონი - იშ - ან - ი (ქართული ონი - სან-ი) — ონი -ან - ი, ბერი — ბერი-იშ-ან-ი (ქართული ბერი-ის-ან-ი) — ბერი-ანი, დადი — დადი-იშ-ან-ი (ქართული დადის-ან-ი) — დადი-ანი, გიგა — გიგა-იშ-ან-ი (ქართული გიგა-ს-ან-ი) — გიგა-ანი და ა. შ. თანხმონით დაბოლოებული სახელებიდან მიღებულ გვარებში დაიკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი — იშ (ქართული -ის) ფორმიდან შ (ქართული ს); ა, მ, მ, მ, უ ხმოვნებით დაბოლოებულ სახელებიდან მომდინარე გვარებში კი იშ, აშ, ეშ, ოშ, უშ ფორმანტები“⁴⁴.

უცილობლად ანალოგიური წარმოშობისაა მეგრული გვარებიც: პაპა-ში-სკუა, „პაპა“ საკუთარი ან საზოგადო სახელია, „ში“ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო „სკუა“ — შვილი, მამასადამე, პაპასისკუა იქნება პაპასშვილი. მეგრულში, ისე როგორც სვანურსა და ქართულში (ნიკოლას ძე — ნიკოლაძე), „ჩავარდა“ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და მივიღეთ პაპასკუა. ასევეა ნაწარმოები კვეკვე(ში)სკუა, კვეკვე(ში)სკირი, გეგე(ში)კკორი (გეგე მეგრულად წმინდა გიორგის სახელია, ხოლო კკორი — ყმა. გეგეკკორი კი წმინდა გიორგის ძმა), ყურა(ში)სკუა და სხვ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქანური გვარები იწარმოება შვილის აღმნიშვნელი სიტყვის (სკიი — სკირი) დართვის გარეშე მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შეშვეობით, მაგალითად: დადალი-ში (ქართ. დადალი-ანი), ხა-

⁴² „ტბეთის სულთა მატინაწი“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და საძიებელი დაურთო თ. ენ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1977, გვ. 140—142.

⁴³ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბათენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 211.

⁴⁴ ჯ. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

ქალი-ში (ხაქალი-სი), კურთხალი-ში (კურთხალი-სი), ბეჭირი-ში (ბეჭირ-ისი), სოფი-ში (სოფი-სი) და ა. შ.

ძველად მეგრულსაც უნდა ჰქონოდა გვარის მაწარმოებლად საერთო-ქართული ფორმანტი ან სიანურის მსგავსად (ეს გააჩნდა საერთო ქართულსაც, რაც. ა. შანიძის დაკვირვებით, ნათლად ჩანს აღმოსავლურ ქართულ გვარებში: ციცი-ან-თი, თძელა-ან-ნი და ა. შ.⁴⁵), მაგრამ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული იმ თავისებური წესის მიხედვით, რომ -ენ და -ელ სუფიქსები მეგრულში, როგორც წესი, კარგ-ვენ ნ და ლ თანხმოვნებს, მეგრულმა - ან სუფიქსიდან ნ დაკარგა და მივიღეთ არა გადელიანი, არამედ გადელია, არა ანთელაან-ნი, არამედ ანთელა(ე)ა და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვარის მაწარმოებელი ზანური ფორმანტები: - სკირი, - სკუა, - ხქილი, - ჰკორი, - უა, - ა, -ავა აღნიშნავენ მამრობითი სქესის შთამომავლობას. გვაქვს ამჟამად, და მით უმეტეს უნდა გვქონოდა ძველადაც, გვარში მდებარეობითი სქესის აღმნიშვნელი ფორმანტი ხე (ლ)⁴⁶. იგი თავდაპირველად ასეთი ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: კვეკვე-ში-ხელი-ი (შდრ. კვეკვე-ში-სკუა) = კვეკვე-ს ნაშვი (ასული), ხოლო დროთა ვითარებაში მომხდარი ცვლილებით მივიღეთ: კვეკვე-(ში)-ხე(ლ), ე. ი. კვეკვე-ხე, რაც ნიშნავს კვეკვეს ქალიშვილს, კვეკვესკირების ოჯახის ასულს. ანალოგიურად უნდა იყოს ხაწარმოები, პაპა(ში)-ხე(ლ), ჩხოლარი-(ში)-ხე(ლ), ცა-(ში)-ხე(ლ) და ა. შ.

იმევე კანონზომიერების ძალით, რითაც მეგრულში საერთო-ქართულ -ან სუფიქსა, გვარის მაწარმოებელს (თავის დროზე, როგორც მიუთითებს აკად. ა. შანიძე, შვილის აღმნიშვნელს), ჩამოსცილდა ნ (ცხოპარი-ა (ნ)). ასევე დაიხე-ში ხელ-ს ჩამოსცილდა ლ და მივიღეთ ხე დამოუკიდებელი ფორმანტი, გვარში მდებარეობითი სქესის წარმომადგენლის აღმნიშვნელი.

ამ „ხე(ლ)“-ით ნაწარმოებ მეგრულ გვარებს ანალოგი გააჩნდა ძველ ქართულშიც „სახლის-ნაშუს“ ფორმით. ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, რომ მეგრ. „ხელ“-ს შესაბამება ძველი ქართული „ნაშუ“, რომელიც ძველ ქართულში ასევე იყო გვარის მაწარმოებელი. ამის თაობაზე ივ. ჭავჭავაძის წერდა: „ნაშუ რთულ სიტყვაშია დატული. ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს სახლის-ნაშუ, რომლის შესახებაც ნათქვამი აქვს: „სახლის ნაშუ სახლის ნაშობი ვისიცა, მკევალის ბუში, ორივე ერთი მგონია“ (საბას დამოწმებული აქვს „დაბადება“)⁴⁷.

ივ. ჭავჭავაძის მითითებით, ძველ ქართულში გვხვდება „სახლის-წულნი“ ფორმაც. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში „წული“ ნიშნავდა საერთოდ შვილს კი არა, არამედ უშუალოდ ვაჟიშვილს, რაც დამოწმებულია წყაროებში.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ვითარცა იტყვის ესაია: ალაღე და წარწყმიდე ყოველი წული მათი“⁴⁸.

⁴⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

⁴⁶ ასეთი ვარაუდი გამოთქვა ი. მეგრულიძემ ჭერ კიდე 1938 წელს, მაგრამ ამის დასამტკიცებელი არგუმენტი არ მოჰყავს (იხ. И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский язык в гурийском, М.-Л., 1938, გვ. 137—138.)

⁴⁷ ივ. ჭავჭავაძის წერილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 199.

⁴⁸ „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 164.

„ქართლის ცხოვრების“ დართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „წული-ვაი-ვიშვილი“.

ს.-ს. ობზელიანიც წულს განმარტავს ვაჟად: „წული ვაჟი (34, 24, დაბად.)“⁴⁹ „დისწული დის ვაჟი“⁵⁰. „საწული მამაკაცის ასონი“⁵¹.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ილ. აბულაძეს წულის (ვაჟი) გვერდით ფაქიარებული აქვს „წულეზბრივიც“, რაც ნიშნავს მამრს, მისი საპირისპირო ფორმა ყოფილა მდედრი⁵².

XIV—XV სს. ქრონიკაში „ძეგლი ერისთავთა“ ვკითხულობთ: „მაშინ ევედრებოდა ღმერთსა (ქსნის ერისთავი იოანე. — ო. ჭ.) ყოვლით ერთიურთ მოცემად შვილისა და შეისმინა ღმერთმან ვედრება მათისა, და მიეცათ მათ ყრმა წული“⁵³.

აქ რომ წული ვაჟიშვილზე მიუთითებს, ეს ძეგლის მომდევნო სტრიქონებიდან ჩანს. ამ ერისთავის მეუღლემ მეორედ შობა ქალიშვილი. ამის გამო დოკუმენტში მითითებულია: „მუცლად ილო კვალად და შუა ქალი“⁵⁴. მამასა-დამე, ქალი უდრია აბულს, ხოლო წული — ძეს, ვაჟიშვილს.

ამრიგად, ძველ ქართულს ჰქონდა საგანგებოდ ვაჟის აღმნიშვნელი სიტყვა წული (ძმისწული), ნიშნავდა ძმის არა საერთოდ შვილს, არამედ ვაჟიშვილს, რომლის საპირისპირო ცნებას გამოხატავდა ასული. საბასთან ეს ასეა განმარტებული: „ასული შვილი ქალი“⁵⁵.

ამრიგად, ქართულს ძველად ჰქონია სათანადო ტერმინები: წული — ვაჟი, ნაშუ — შვილი საერთოდ, შვილი ორივე სქესის აღსანიშნავად და ასული — ქალიშვილი.

წულის ეტიმოლოგიაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ასულს ქართული წარმოშობის სიტყვად არ თვლიან სპეციალისტები, იგი მიაჩნიათ ოსური ენობრივი სამყაროს კუთვნილებად⁵⁶.

სიტყვათწარმოების ერთი, ჩვენთვის მეტად საყურადღებო, წესი არსებობს ზემოთხსენებულ კლოკაეში.

შ. ბიძიგური თავის გამოკვლევაში, რომელიც ეძღვნება თერჯოლურ მეტყველებას, აღნიშნავს: „თუ ქალია გვარის წარმომადგენელი, სათანადო გვარის სახელი გაფორმებულია ოურ (დისიმილაციით ოულ) სუფიქსით: ჩუბინოური — ჩუბინიურს ქალი, ჭანკვეტოური — ჭანკვეტაძის ქალი, მაკაროული — მაკარიძის ქალი, რობაქოული — რობაქიძის ქალი, ნეფსოული — ნეფსაძის ქალი... ამგვარი წარმოება შემჩნეულია ზემორაკულშიც. ეს იგივე მოვლენაა, როგორც დადასტურებულია გურულ-ჭეველიშვილში, ფხეხუეს-დართვით რომ გადმოცემა“. ავტორი დასძენს, რომ „სათანადო სუფიქსაცია ახასიათებს ისეთ გვარებს, რომელთა წარმომადგენლები წოდებრივად გლეხურ ფენას გა-

⁴⁹ ს.-ს. ობზელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928, გვ. 441.

⁵⁰ იქვე, გვ. 100.

⁵¹ იქვე, გვ. 306.

⁵² ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 552.

⁵³ თ. ფორდანიია, ქრონიკები, ტ. 2, გვ. 12.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ ს.-ს. ობზელიანი, ლექსიკონი, გვ. 21.

⁵⁶ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 110.

ნეკუთენებოდნენ. აზნაურთა თუ თავადთა გვარებს ეს სუფიქსი არ მოუდიოდა. მაგალითად, ამბობენ: მაჭავარიანის ქალი (და არა მაჭავარიანოული), ჩხეიძის ქალი, ერასთვის ქალი და მისთ⁵⁷.

ახლა ვნახოთ, როგორი ვითარებაა მეგრულში.

მეგრულში სქუა (||სკუა) ნიშნავს საერთოდ შვილს, განურჩევლად სქესისა, იანე როგორც ქართულში შვილი. ეს ჩანს ფორმებიდან: ქომოლისქუა (ქომოლა — ვაჟი, კაცო, სქუა — შვილი, ე. ი. ვაჟიშვილი) და ცირასქუა, ოსურსქუა (ცირა — გოგო, ქალიშვილი, ოსური — ქალი) — ქალიშვილი.

სქუა (||სკუა) ადგივანტურია ქართული შვილისა. მათ ძირიც საერთო აქვთ (სქ||შე)⁵⁸.

ი ყიფშიძის დამოწმებული აქვს ასეთი საინტერესო ფორმა: „ხენწიფეში სქუა-ბოშიქ უწუუ“...⁵⁹ აქ სქუა-ბოში (შვილი-ვაჟი, ე. ი. ბიჭი, ვაჟიშვილი).

მეგრულში სქუს საერთოდ შვილის აღმნიშვნელი სიტყვის გარდა მიმოქცევაში იყო სკი და ხე ვრამატიკული საშუალებები სქესის გასარჩევად. სკი — მამრობითი სქესის აღმნიშვნელი, ხოლო ხე — მდედრობითისა.

ილორის ეკლესიაში სალოცავად მისული ქალები წმინდა გიორგის ვაჟის (!) ყოლას თურმე ასე შესთხოვდნენ: „ჩქიმი სკი დო კვეთი ვაშაყოთა, ჩქიმი ორდალო ქუმაჩუქია“⁶⁰ (ჩემი ძე და წილი არ მოსპო, ჩემს გასაზრდელად მაჩუქეო).

აქ სკი უშუალოდ ძე-ზე. ვაჟიშვილზე მიუთითებს. ზემოთ მოყვანილ სალოცავში ქალები წმინდა გიორგის სწორედ ვაჟის ყოლას შესთხოვდნენ და არა საერთოდ შვილისა⁶¹.

ანალოგიური ვითარება იყო წაჩხურის (გეგეკორის რ-ნი) მთავარანგელოზის ეკლესიაში. აქ ესვენა წაჩხურის მთავარანგელოზის ხატი, რომელსაც უწოდებდნენ „მოსკე წაჩხურს“, ე. ი. ვაჟების მომცემს. სალოცავად აქ ის ქალები მოდიოდნენ, რომლებიც უშუალოდ ვაჟის შეძენის მოსურნენი იყვნენ. წაჩხურობას (იგი იმართებოდა ნააღდგომევის პირველ ხუთშაბათს) ვაჟის მოსურნე ცოლქმარი მიდიოდა ეკლესიაში და თან მიჰქონდათ: „თავიანთი სიგარძის სანთელი, ვერცხლის ძაფი, სანთელ-საქმეველი, ფული და აყენის გამოსახულება. აქ ხატის წინ მათ დააჩოქებდა მნათე, დაამწყალობებდა და ხატს შეთხოვდა. მიეცა მათთვის შვილი, სახელდობრ ვაჟი“⁶².

ანგარიშგასაწევი ფაქტია, მაშასადამე, ქართული წულის მეგრული თანატოლია სკი — ვაჟი.

ლაზურადაც სკი ვაჟს ეწოდება. „სკიი ჩქიმი“ (ჩემო ბიჭო, ვაჟო), მაგრამ ლაზურად „ჩემო შვილო“ იქნება „ბეე(ბერე) ჩქიმი“. „სკიი ჩქიმის“ ეტყვიან მხოლოდ ვაჟიშვილს.

ძველ ქართულ გვარებს, როგორც დღეს მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, უნდა ჰქონოდა მდედრობითი სქესის გამომხატველი ფორმანტები, სუფიქსები. აი, რა საინტერესო დაკვირვება! გვაწვდის „ტბეთის სულთა მატია-

⁵⁷ შ. ძიძიგური, ძივანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 163.

⁵⁸ არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938,

გვ. 21.

⁵⁹ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

⁶⁰ ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 351.

⁶¹ იქვე.

⁶² იქვე, გვ. 365—366.

ნის“ გამოცემელი თ. ენუქიძე: „ტბეთის სულთა მატთანს“ მიხედვით, „ქალი-სა და მამაკაცის გვარები თავისი წარმოებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ნაწილაკები ძე, შვილი და. უმეტესი გამოწაკლისით, ცთ-ო აწარმოებს მამაკაცის გვარებს, ურ და ულ აწარმოებენ მხოლოდ ქალის სახელებსა და გვარებს. ფხე კი — მხოლოდ ქალი: გვარებს. აქვე გვაქვს იშვიათი შემთხვევა. როცა ფხე-ზე დაბოლოებულ გვარებს ემატება შვილი-ც და ვიღებთ ორი ფორმანტით წარმოებულ გვარს. ესენია: ნიკოლა-ფხე-შვილი გოგა, ნიკოლა-ფხე-შვილი ცისკარა, ნიკოლა-ფხე-შვილი ლაზარე“⁶³.

აქ საყურადღებოა რამდენიმე გარემოება: 1. ძველ ქართულს, ყოველ შემთხვევაში ამ ძეგლის მიხედვით მაინც, ჰქონდა საშუალება გარკვეული გრამატიკული ფორმებით განსხვავებულად გადმოეცა მამაკაცისა და დედაკაცის გვარები. 2. ძველ ქართულ წყაროებში გვხვდება ფორმანტად „ფხე“ მაწარმოებელი (ასეთია „ტბეთის სულთა მატთანში“ შერაფხე ცხორება). 3. საინტერესო მოვლენაა, რომ გვაქვს გვარის ორმაგი წარმოება — ნიკოლა-ფხე-შვილი და ამ სახით მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელი იგულისხმება.

ფხე ნაწილაკი გვარის მდებრობითი სქესის წარმომადგენლის აღმნიშვნელად ძველ ქართულ ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. აკად. ე. თაყაიშვილმა პარხლის ტაძრის (X ს.) ერთ-ერთ წარწერაში (მე-8 თაღისა) ამოიკითხა გვარი შემწირველისა „შანიფხე“. ამის თაობაზე მეცნიერი მიუთითებდა: «В слове «Шанипхе» обращает на себя внимание чано-мегрельское окончание «пхе» (дочь, женщина), которое прибавляется к концу фамильных названий для обозначения лиц женского пола (დამწმებულია პროფ. ი. მეგრელიძის გამოკვლევა. — ო. ჰ.). Мужское окончание этой фамилии будет „дзе“, т. е. получается „Шанидзе“ — фамилия, которая сохранилась и поныне в Грузии»⁶⁴.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, ის რომ სვანეთის სულთა მატთანებშიც გვხვდება „ფხე“ და „ფხუ“ ნაწილაკები გვარის მდებრობითი სქესის წარმომადგენლის აღმნიშვნელად. ხომ არ მიუთითებს ეს იმ გარემოებაზე, რომ სვანებში ისინი ისევე იყო ხმარებაში, როგორც მეგრულ-ქანურში, იმერულსა და გურულში?

3. ინგოროყვას მიერ 1941 წელს გამოქვეყნებულ XIII ს. მეორე ნახევრის ისტორიულ ძეგლში „მატიანე სვანეთის კრებისა“ მოხსენიებული არიან „ფხე“-ზე დამოავრებული სვანური გვარები. რომლებიც მიუთითებენ მხოლოდ და მხოლოდ მდებრობით სქესზე. ასეთებია: გურსაფხე, ბეუთმანიფხე, ათარფიხე, გოგორელიფხე, მიქელიფხე, რუმფოხე, უჩინარიფხე⁶⁵.

ასევე „სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატთანში“ (XVII—XVIII სს.) მოხსენიებულ გვარებში არაერთგზის გვხვდება „ფხე“ და „ფხუ“ მდებრობითი სქესის აღმნიშვნელად: მაგ., „სულსა მის მეუღლეს მანანურ რუჩეგიფხეს შეუნდოს ღმერთმანს“⁶⁶.

⁶³ ტბეთის სულთა მატთანე..., გვ. 39—40.

⁶⁴ Е. Такашвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, СПб., 1952, გვ. 97.

⁶⁵ 3. ინგოროყვა, მატთანე სვანეთის კრებისა, თბ., 1941.

⁶⁶ გ. გასვიანი, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატთანე. იბ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 2, გვ. 115.

ამის წინ კი ვკითხვობთ: „სულსა თათარსაუს რუჩეგანსა შეუნდოს ლმერთმან“⁶⁷ ანუშასადამე. მაშრობითი სქესის წარმომადგენლის გვარია „რუჩეგანი“, ხოლო მისი მეუღლე იწოდება „რუჩეგი-ფხე“-დ. აქ „ფხე“, ექვს გარეშეა, ის მეგრულ-ქანური ფორმანტია, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მოვიყვანთ კიდევ მაგალითებს: „სულსა მის მეუღლეს ელდარფხეს ჩარკუ-ფხეს შეუნდვენ ლმერთმან“⁶⁸. „სულსა მის მეუღლესა კაკუს დიდებულს დადიშქელაფხეს შეუნდვენ ლმერთმან“⁶⁹. ასევე გვხვდება გვარები: „გოშოანი-ფხე“||გოშოანი)⁷⁰, „შუფხე“ (შუანი)⁷¹, „დევირფხე“ (?)⁷², „სვიფლიფხე“ (სვიფლიანი)⁷³ და სხვ.

„ფხუ“-ზე დაბოლოებული გვარების მაგალითებია: „სულსა მის მეუღლის იმახათს გელუაფხუს შეუნდოს ლმერთმან“⁷⁴. „სულსა ანას მანაფხუს შეუნდოს ლმერთმან“⁷⁵, „სულსა დიდხას მილდაფხუს შეუნდოს ლმერთმან“⁷⁶, მილდაფხუ — მილდიანი და სხვ.

მაშასადამე. „ფხე“, „ფხუ“ ამ დოკუმენტში მაწარმოებელ ელემენტებად მოჩანს.

„ფხე“ და „ფხუ“ დაბოლოების შესახებ ამ ძეგლის გამომცემელი გ. გასვიანი შემდეგს წერს: „ფხუ-ფხე დაბოლოება მდებარებითი სქესის გამომხატველია და ასულს უდრის. მაგალითად. გელუაფხუ (გელოვანი), რუჩეგიფხე (რუჩეგიანი)“ და სხვ⁷⁷.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ძეგლში მდებარებითი სქესის აღმნიშვნელად „ფხე“ და „ფხუ“ დაბოლოებები ყოველთვის არ გამოიყენება. არის შემთხვევები, როდესაც ცოლის გვარი გადმოცემულია სალიტერატურო ენის ჩვეულებრივ საძეგლებში. მაგალითად: „სულსა სულკურთხელსა სორთმან დადიშქელიანისა შეუნდოს ლმერთმან და მის მეუღლეს ელდარფხეს დედაჩიანის ქალსა, შეუნდოს ლმერთმან...“⁷⁸

როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ, ყოველგვარი ნიშნის გარეშე, არის მითითებული დევიდარიანის მეუღლეზე — „დევიდარიანის ქალსა“. ასევე: „სულსა ციოყნ დადიშქელიანსა შეუნდვენ ლმერთმან. სულსა მეუღლე მისსა აბლას იოსელიანს შეუნდვენ ლმერთმან“⁷⁹. „სულსა მის მეუღლე მარინაი რუჩაგიანსა შეუნდვენ ლმერთმან“⁸⁰. აქაც სიტყვა „მეუღლით“ არის გამოხატული მდებარებითი სქესი.

როგორც ჩანს, სვანურში, მეგრულ-ქანურის მსგავსად, უნდა ყოფილიყო გარკვეული მაჩვენებელი, ნიშანი გრამატიკული მდებარებითი სქესის გადმო-

⁶⁷ ი ქ ვ ე .

⁶⁸ ი ქ ვ ი . 116.

⁶⁹ ი ქ ვ ე . 118.

⁷⁰ ი ქ ვ ე . 122.

⁷¹ ი ქ ვ ი .

⁷² ი ქ ვ ე . 123.

⁷³ ი ქ ვ ე .

⁷⁴ ი ქ ვ ე . 115.

⁷⁵ ი ქ ვ ე .

⁷⁶ ი ქ ვ ე . გვ. 16.

⁷⁷ ი ქ ვ ე . გვ. 115, სქოლო.

⁷⁸ ი ქ ვ ე . გვ. 120.

⁷⁹ ი ქ ვ ე . გვ. 118.

⁸⁰ ი ქ ვ ე .

საცემად, ეს იყო „ფხე“ და მისი ვარიანტი „ფხუ“. დღეს სვანურ ცოცხალ მეტყველებაში „ფხე“ და „ფხუ“ გვარდაბოლოებანი არ ინმარება.

როდესაც „ფხე“-სა და „ფხუ“-ზე დაბოლოებული გვარები გვხვდება დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონში, იქ დასაშვებია, კაცმა იფიქროს, რომ ზოგიერთი გვარი, ამ ფორმებით ნაწარმოები, მართლაც შემოსულიყო ქართულ სამყაროში აფხაზურიდან. ეს გამორიცხული არ არის. ამის მაგალითები საცნაოდ მოიპოვება ქართულ დოკუმენტებში. მაგალითად, თ. ყორდანი, როდესაც ეხება ჯელათის დად ხუცურ ხელნაწერს „იოსიპოსი წიგნი ჰურიისა“, მიუთითებს, რომ აქ ჩვენ ვხვდებით აფხაზური წარმოშობის გვარებს: „მებუნიფხე“ და „ბობოყვაფხე“-ს⁶¹.

ეს გამორიცხული არ არის, თუმცა აქ დასახელებულ გვართა შორის პირველი ლათურ მებონია (მეგრული გვარის) მდებარებითი წარმოებაა. დღესაც მეგრულ მეტყველებაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მებონიათა გვარის მამრობითი სქესის წარმომადგენელი იწოდება მებონია-დ, ხოლო მდებარებითისა — მებონი-ფხე-დ (აქ „ფ“ უთუოდ შემდეგ გაჩენილი ელემენტი). რაც შეეხება ბობოყვაფხეს, ის მართლაც ადიღური წარმოშობის გვარია, — ბობოყვა და შეიძლება აქ ფხე კ-დედაც იყოს აფხაზური ფორმანტის ფჰა-ს ვარიანტული საცხსვამობა და კიდეცაა არა. რატომაც გამორიცხული, რომ ბობოყვაფხე ისევე არის ნაწარმოები როგორც, მაგალითად, თარბა (მამრ) და თარბაფხე (მდედრ). საქმის ვიარებაში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება ვერ შეამჩნიოს ერთი თავისებურება, რაც ამ გვარის ამგვარ წარმოებასთან არის დაკავშირებული.

როდესაც გვარების აფხაზურ გრამატიკულ წარმოებასთან გვაქვს საქმე, ფუძეს აკლდება ერთი გვარ-სქესის მანარმოებელი და ემატება მეორე. მაგ., ზვანბა მიუთითებს გვარის მამრობით წარმომადგენელზე, რასაც გვანიშნებს „ბა“ სუფიქსი, ხოლო ამ გვარის მდებარებითი წარმომადგენელი იქნება ზვან-ფჰა. „ფჰა“ არის სწორედ მანიშნებელი იმისა, რომ ამ გვარის ამ ფორმით მატარებელი ქალია.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მეგრულში, მაგ., ქარჩაა. აქ იგულისხმება მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რასაც გვანიშნებს -ა(ნ) სუფიქსი. ამ გვარის მდებარებითი სქესის წარმომადგენელი იწოდება ასე: ქარჩა-ხე, ამის ანალოგიით: გოგია — გოგინე, მალაზონია — მალაზონ(ი)ხე და სხვ.

მაგრამ უცხო ენობრივი სამყაროდან შემოსულ გვარებს მეგრულში შენარჩუნებული აქვს გვარის მამრობითობის მაჩვენებელი და მას ემატება მდებარებითობის მაჩვენებელი „ხე“. მაგ. არძინბა გვარიდან მეგრულად მდებარებითი სქესი იწარმოება ასე: არძინბა-ხე, თარბადან — თარბა-ხე, მაშასადამე, არძინ-ხე კი არა, არამედ გვარის სრულ მამრობით ფორმას (არძინბა) ემატება მდებარებითი სქესის მაწარმოებელი „ხე“ (|| „ფხე“). ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქართულიდან შემოსულ გვარებთანაც: ჭავჭავაძე — ჭავჭავაძეხე, წერეთელი წერეთელი(ი)ხე, იაშვილი იაშვილი(ი)ხე და ა. შ.

ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სველ ქართულ ტექსტებში შესული, ერთი შეხედვით, აფხაზურ-ადიღური გვარები. „ხე“, „ფხე“ დაბოლოებით ნაწარმოებნი (ბობოყვაფხე, ნიკოლაფხეშვილი და სხვ.), სინამდვილეში ზანური წარმოების გვარებია. ამათან, როგორც ზემოთ დავინახეთ,

⁶¹ თ. ყორდანი, ქრონიკები, ტ. 2, გვ. 436.

დაბოლოებები — „ხე“, „ფხე“ „მხე“ „ფხუ“ ძველი ზანური გრამატიკული მაწარმოებლებია. ისევე როგორც ძველ ქართულში — ასული, შვილი, ნაში.

ეს ერთხელ კიდევ დასტურდება დასავლეთ საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რეგიონის — სვანეთის „სულთა მატრანებში“ დაცული ფაქტებით, რომელთა მიხედვით სვანური გვარის წარმოებას ვხვდებით „ფხე“ და „ფხუ“ ფორმანტებით (გოშოანი — გოშოანი-ფხე, შუანი — შუფხე და სხვ.).

ეს უკვე დამაფიქრებელია და, ჩვენი აზრით, მიუთითებს ამ გარკვეული გრამატიკული ნიშნების ცხოვრებისეულობაზე, მათს პრაქტიკულ დანიშნულებაზე, ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულობაზე. სვანურ მეტყველებაში რომ არ ყოფილიყო გავრცელებული „ფხე“ („ფხუ“) მაწარმოებელი, მას ხუცეაი თუ სხვა რომელიმე მსახური თვითნებურად ვერ შეიტანდა საეკლესიო დოკუმენტში. ცნობილია, ამ საბუთებს — სულთა მატრანებს — საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და ხალხი მათ უმწიკვლოდ ინახავდა და ეპყრობოდა. ექვს გარეშა, რომ წერილობით დოკუმენტში იგი შევიდა ხალხის სამეტყველო ენიდან და დროთა ვითარებაში ქართულმა დახვეწილმა სალიტერატურო ენამ ხმარებიდან გააწევა.

„ფხე“-სა და „მხე“-ში ფ და მ შემდეგ გაჩენილია. ძირეული მაინც ხე ჩანს. ლაზურს (ქანურს) საერთოდ ახასიათებს სიტყვაში მ-ს ჩართვა ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით. მოცუყანთ რამდენ-მე მაგალითს: ლაზ. მ-თხა, მეგრ. — თხა, ქართ. — თხა, ლაზ. — მ-ხესქუ, მეგრ. — ხესქვი, ქართ. — შაში, ლაზ. — მ-დღუა, მეგრ. — დღა, ქართ. — დღე, ლაზ. — მ-გვერი, მეგრ. — გვერი, ქართ. — გველი. მ-ს პარალელურად ვხვდება ფ ზგერაც. მაგალითად. წისქვილის დოღაბი ქანურად იქნება — მ-სქიბუ, მეგრ. — სქიბუ, ქართ. — შიბი აქვს შეხამებული, ამ ფორმასთან არს. ჩიქობავას⁸² ექიბუს პარალელურად აქვს სქიბუ ფორმაც. ანალოგიურია მ-შქერი (ქართ. შქერი) და ფ-შქერი. მ-სკვერი და ფ-სკვერი (ირემი)⁸³. გვაქვს შემთხვევები, როდესაც უშუალოდ „ფ-“ არის დამახასიათებელი ქანურისთვის. მაგ., ლაზ. — ფ-ხუჯი, მეგრ. ხუჯი, ქართ. — მხარი. გარდა ამისა, თვით მეგრულში „ფ“ ხშირადაა განვითარებული, შემდეგ გაჩენილი სიტყვაში. მაგ., უშვილო იქნება — უ-სქე, „თენეფარდეს უსქე“⁸⁴. (ესენი იყვნენ უძირო (უშვილო), მაგრამ მის პარალელურად გვაქვს უფსკე ფორმაც: „ჭირი ხენწიფე ცოფე, ჟირხოლო უსქე. სქუა ვა ხუნან ეფერა“⁸⁵, (ორი ხელწიფე ყოფილა, ორივე უძირო (უშვილო), შვილი რომ არ ჰყავთ, ისეთი).

აქ, როგორც ვხედავთ, „ფ“ ერთგან (უფხვე) განვითარებულა.

შეიძლება დავასკვნათ: „ხე“, „ფხე“, „ფხუ“, „მხე“ მაწარმოებლები „ხე“ გრამატიკული ნიშნის ვარიაციულ სახესხვაობებია.

თვით „ხე“ დაბოლოება შეკვეცილი ფორმაა „ხელ“-ისა, რომელიც ზანური (კოლხური) სიტყვაა და ნიშნავს — ნაშეს, ნაშობს, შვილს (შობილს). მისი საწყისი ფორმაა „ხალა“, რომელიც როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად ემსგავსება აფხაზურ ადევკატს „ა-ხმ-რა“. ისინი ერთმანეთთან სესხბობს წესით კი არ არიან დაკავშირებული, არამედ საერთო ენობრივი ნათესაური

⁸² არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 153.

⁸³ იქვე.

⁸⁴ მ. ხუცეა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 58.

⁸⁵ იქვე, გვ. 249.

ურთიერთობით. მათ გააჩნიათ საერთო ძირი „ხ“. გავიხსენოთ სიტყვა „გული“: როგორც ცნობილია, „გ“ ძირი „გულ“ სიტყვისა საერთოა, ზიარია იბერიულ-კავკასიური ენობრივი სამყაროსათვის⁸⁸.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ „ხე“, „ფხე“, „ფხუ“, „მხე“ კოლხური (ზანური) წარმოშობისაა, რომელთაც გააჩნიათ პარალელები მონათესავე კავკასიურ ენებში. გამორიცხული არ არის მათი კავშირი შუამდინარეთის გარდასულ ქამთა ენობრივ სამყაროსთან.

О. ЧУРГУЛИА

ВАРИАНТЫ ЧАСТИЦЫ «ХЕ» В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

Варианты частицы хе (ფხე—ფხუ—მხე) являются занскими формами, которые имеют параллели в других иберийско-кавказских языках. Не исключаются их связи с языковым миром древнего Давурчья.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული
ენისა და ლიტერატურის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. შიშიგურმა

ივანე ლევაია

კოარტიკულაცია და სიბილანტთა სპეცტრული მახასიათებლები
(ექსპერიმენტული გამოკვლევა სვანურის მასალაზე)

01. ბგერათშეერთებებში ამა თუ იმ ბგერის მიერ გეორეული არტიკულაციის შექმნა ხდება კოარტიკულაციის საფუძველზე¹. კოარტიკულაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეს წარმოადგენს თანხმოვანთა ლაბიალიზაცია, რომელიც იწვევს სარეზონატორო სისტემის დაგრძელებას და დავიწროებას. ამიტომ ლაბიალიზაციის ხარისხი დამოკიდებულია ბაგეების სხვადასხვა მდგომარეობაზე; ბაგეებზე მომრგვალება დასაშვებია წინ წამოწევით ან მის გარეშე. თავის მხრივ, შესაძლოა, მომრგვალება და წინ წამოწვევაც სხვადასხვა სიძლიერისა იყოს².

აქუსტიკურად როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ლაბიალიზაცია ვლინდება მაღალი სიხშირეების დასუსტებაში და სპექტრის დადაბლებაში³.

სიბილანტებში კოარტიკულაციური ლაბიალიზაციით გამოწვეული სპექტრული ცვლილებების შესწავლა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სვანურში წყვილბაგისმიერი [ტ] თანხმოვისა და აფრიკატთა ორი რიგისა და სამი სერიის (მქლერი, ფშვინვიერი, გლოტალიზებული) არსებობის გააო, მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ სისინა და შიშინა თანხმოვნების არტიკულაციის ერთ-ერთი განსასხვავებელი ნიშანი სწორედ ბაგეების წინ წამოწვევაა⁴.

02. სვანურ სამეტყველო ნაკადში [ბჟამ] ლაბიალური ხშული ბგერები მეზობელი სიბილანტის სპექტრში ვერ იწვევენ ისეთ თვალაჩინო ცვლილებებს, როგორსაც [ოუტ] ბგერები. ეს განსხვავება გამოწვეულია იმიტომ, რომ [ოუტ] ბგერებისათვის დამახასიათებელია ბაგეების აქტიური წინ წამოწვევა და მომრგვალება, ხოლო ხშული ლაბიალური ბგერებისათვის — მხოლოდ ბაგეებში გასასვლელის დავიწროება.

ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ ხშული ბგერების კოარტიკულაციურ გავლენას (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) ეწოდოს სუბტი ლაბიალიზაცია, ხოლო [ოუტ] ბგერების გავლენას — ძლიერი ლაბიალიზაცია. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ლაბიალური ხშულებისათვის სავალდებულო სარტიკულაციო მოძრაობის — ბგერათა დახშვის — გადაქცევა სხვა ბგერების თანხლებ არტიკულაციად შეზღუდულია. ბაგეების მომრგვალება და წინ წამოწვევა კი შესაძლოა თითქმის ყველა ბგერის (თვით ლაბიალური თანხმოვნის) თანარტიკულაციად იქცეს.

ამიტომ, ლაბიალური ხშული თანხმოვნები მეზობელი ბგერის მხოლოდ უშუალოდ მომიჯნავე ნაწილის სპექტრულ სურათზე ახდენენ გავლენას, რაც გაპირობებულია ბაგეებში გამოსასვლელის დავიწროებით და არა რეზონატორის დაგრძელებით. [ქბ], [ქმ], [ზბ], [ებ], [შმ], [მე], [პე] ბგერათიმედევრობათა სპექტროგრამებზე კარგად ჩანს, რომ ლაბიალური ხშული ბგერები სიბილანტთა ჩქამის ზედა საზღვარს არ ადაბლებენ, ხოლო ზოგ შემთხვევაში (უფრო ხშირად შიშინა თანხმოვნისას) ამაღლებენ კიდეც (მაგ.: მუჩბეკეუ ჩუბეხევე-

ლი“, ჯიჯბაქ „ვირა“, ჩუბუბუ „დაიმაღე“, ჯიზი „გვამ“, იუბინე „იკლის“, დიქტორი № 2)

ცნობილია, რომ შექმნილია ფრიკაციული მაღალსიხშირული ჩქამის წარმოშობა ბაგეების მიახლოებით, მაგრამ ზემოთ მოყვანილ სიტყვებში ბგერათა გარემოცვა (პალატალიზებული, ფარინგალური და გლოტალიზებული ბგერების მეზობლობა), როგორც ჩანს, ხელს უწყობს დამატებითი ჩქამის წარმოშობას. [მს] და [მზ] ბგერათმდებრობებში [ხს] ბგერათა სპექტრის სიმძიმის ცენტრი ლაბიალური ბგერის მომიჯნავე ნაწილში უფრო მაღალსიხშირულია. ამით ნაპრალოვანი ბგერის სპექტრული სურათი ემსგავსება შესაბამისი აფრიკატის განხშვის სურათს, რადგან აფრიკატის განხშვისას ჩქამის ქვედა საზღვარი დასაბრუნდა დაბლდება.

მასასადავამ, ლაბიალური ხშულის გავლენა სიბილანტთა სპექტრზე ძირითადად ჩქამის ქვედა საზღვრის დაბლდებაში გამოიხატება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ლაბიალური ხშული მომდევნო აფრიკატის განხშვის სპექტრში ცვლილებებს არ იწვევს, რადგანაც აფრიკატის ხშვია პერიოდი აკონარისიძე რომ ბაგეებმა მიიღონ აფრიკატის არტიკულაციისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა. სპირანტთა ჩქამის ქვედა საზღვარზე კი წინამდებელი ლაბიალური ხშული გაცილებით სუსტ გავლენას ახდენს, ვიდრე მომდევნო.

03. სიბილანტთა სპექტრებისათვის გარდა საერთო, ზოგადი ნიშნებისა დამახასიათებელია ინდივიდუალურიც (დიქტორთა მიხედვით). რადგან ცნობილია, რომ სისინა ბგერის ჩქამის ჩამოყალიბება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე — ნაპრალის სიგრძეზე, ფორმაზე, წინა კბილების წყობაზე და სხვა. ამიტომ მრავალფეროვანია აგრეთვე [ხსიციწ] სისინა თანხმოვანთა სპექტრული მახასიათებლების ცვლილებებიც, გამოწვეული ძლიერი ლაბიალიზაციით: № 2 დიქტორთან, რომლის წარმოთქმითაც სისინა ბგერების სპექტრის ძირითადი პიკი 7,5—9,5 კჰც-ის ფარგლებში მდებარეობს, ძლიერი ლაბიალიზაცია იწვევს სისინა სიბილანტების სპექტრის 3,5—6,0 კჰც-ის სიხშირის შემადგენლების დაუსტებას და ქვედა საზღვრის დაბლდებას 2,5 კჰც-მდე.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ [ოუტ]ბგერების მეზობლობაში სისინა აფრიკატების სპექტრის ძირითადი პიკი სპირანტებთან შედარებით მაღალია ჩამოშალვად 500 კჰც-ით, ხოლო ფრიკაციულ მონაკვეთში, განხშვის დასაწყისი მომენტადან 20—30 მს-ის შემდეგ, 2,5—3,0 კჰც-ის სიხშირული შემადგენლები უფრო ნეტად ძლიერდება.

სხვა დიქტორის (№ 5) წარმოთქმით სისინა ბგერის ([ა] — ხმოვნის მეზობლობაში) სპექტრის ძირითადი პიკი მდებარეობს 5,0 კჰც-ზე, ქვედა საზღვარი კი 4,0 კჰც-ია. ლაბიალიზაციის შედეგად აუსლაუტში [ო] ხმოვნის შემდეგ [ზ] ბგერის სპექტრის ძირითადი პიკი გადმოინაცვლებს 3,7 კჰც-ზე და თითქმის ემთხვევა [ა] ხმოვნის მომდევნო ბოლოკიდური [ტ] ბგერის სპექტრის ძირითად პიკს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიქტორის მიერ cvc სტრუქტურის სიტყვებში წარმოთქმული ბოლოკიდური შიშინა სპირანტის სპექტრის ძირითადი პიკი თავიკიდური ბგერის პიკთან შედარებით უფრო მაღალ სიხშირეებშია.

ძლიერი ლაბიალიზაციის შედეგად დაახლოებით აქეთავე ცვლილებებს განიცდის № 3 დიქტორის მიერ წარმოთქმული სისინა ბგერათა სპექტრი, სადაც სუსტდება 5,0—7,0 კჰც-ის სიხშირული შემადგენლები და I ფორმანტული უბნის (3,0—6,0 კჰც) პიკი კი F5-დან (4,5 კჰც) გადაინაცვლებს F4-ზე (3,5 კჰც).

ამგვარად, სიბილანტო ბეგრებში ძლიერი ლაბილიზაციით გამოწვეული სპექტრული მახასიათებლები ცვლილებები შემდეგია:

1. ჩქამის ქვედა საზღვრის დადაბლება 2,5—3,0 კკც-მდე,
2. მესამე ფორმანტი (2,7 კკც) გაძლიერება, განსაკუთრებით აფრიკატებში,
3. სიბილანტო შემადგენლების დასუსტება 3,5—7,0 კკც-ის დიაპაზონში,
4. სპექტრის ძირითადი პიკის დადაბლება 4,5—5,0 კკც-იდან 3,5—3,7 კკც-მდე.

04. [ქშ] თანხმონების სპექტრზე (№ 2 დიქტორი) კარგად ჩანს, რომ ლაბილიზებული ბეგრები (უოუ) მომიჯნავე ნაწილის სპექტრი მალალი (6,0 კკც-ის ზემოთ) სიბილანტობით ღარიბია; ოდნავ დასუსტებულა აგრეთვე სიბილანტო შემადგენელთა უბანი 1,5—3,0 კკც-ის ფარგლებში. ჩქამის ქვედა საზღვარი თითქმის 1,0 კკც-მდე დაბლდება, შესაძლოა 500—1000 ჰც-ით დადაბლდეს აგრეთვე სპექტრის ძირითადი პიკი.

მაშასადამე, ძლიერი ლაბილიზაცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში შიშინა ბეგრების სპექტრში ყველაზე ნაკლებად ასუსტებს F5-ს და F6-ს (მეხუთე და მეექვსე ფორმანტება), ქვედა უბანში (1,0—3,0 კკც) კი ხდება ბევრითი ენერჯის ფართო დიაპაზონში გაფანტვა. ანალოგიურ ცვლილებებს განიცდის შიშინა აფრიკატების სპექტრიც, თუმცა აქაც იჩენს თავს უმნიშვნელო განსხვავება.

შიშინა სიბილანტების სპექტრიათვის ლაბილიზებულ ხმოვანთა გარემოცვაში ანლაუტის, ინლაუტის და აუსლაუტის პოზიციაში ზოგჯერ აგრეთვე დამახასიათებელია ინტენსიური F2 (დიქტ. № 1 და № 3).

№ 5 დიქტორის წარმოთქმით [შ] ბეგრის სპექტრის ძირითადი ენერჯია II, III და IV (1,5—2,5 კკც) ფორმანტებზეა (სიტყვაში შაჭ — „ვაი“). სიტყვაში დომდეულ — „მთვარე“ [შ] ბეგრის სპექტრზე კარგად ჩანს, რომ ლაბილიზაციის შედეგად სუსტდება ის უბანი, რომელიც [ა] ხმოვნის მეზობლობაში ძლიერი იყო.

05. ის ფაქტი, რომ № 2, № 4, და № 5 დიქტორების მიერ წარმოთქმული შიშინა თანხმონების სპექტრში ძლიერი ლაბილიზაციის შედეგად შესაძლებელია 5,0 კკც-ის სიბილანტო შემადგენელთა უბანი აღმოჩნდეს ძირითადი პიკის როლში. მეტყველებს იმაზე, რომ შიშინა თანხმონებისათვის ინფორმაციულად დატვირთულია F2, F3 და F4 უბანი, და ამ უბანში ფორმანტთა სიბილანტობის მდებარეობა და ინტენსივობათა თანაფარდობა გადამწყვეტია ბეგრის აკუსტიკური სახის ჩამოყალიბებაში. ასეთივე დასკვნა მიღებული ქართული სინთეზური შიშინა ბეგრათა ამოცნობის შედეგების საფუძველზე. მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ სიბილანტო და შიშინა ბეგრათა ყველა სპექტრის საერთო გადამწყვეტი სიბილანტო არე სწორედ F5-ისა და F6-ის ფორმანტული უბანია, ვინაიდან სიბილანტო ბეგრის სპექტრის ქვედა საზღვრის მაქსიმალური მნიშვნელობა 4,5 კკც-ია, ხოლო შიშინა ბეგრის ჩქამის ზედა საზღვრის მინიმალური მნიშვნელობა 5,5 კკც-ია. ამავე დროს თითქმის ვიულოდნელია, რომ [ოუუ] ბეგრების მეზობლობაში ეს სიბილანტო შემადგენლები არ უსუსტდებოდათ შიშინებში და უსუსტდებოდათ სიბილანტობის, რადგან თუ სიბილანტობის „გამიშინებას“ ხელს უწყობს ლაბილიზაცია, სიბილანტო ბეგრათა სპექტრში არ უნდა უსუსტდებოდეს სწორედ ის უბანი, რომელიც შიშინებში ([ოუუ] ბეგრათა კოარტიკულაციის საფუძველზე) ინტენსივობით გამოირჩევა.

ამიტომ სავარაუდოა, რომ F5—F6 უბანი („სიბილანტური“) შიშინა ბეგ-

რის ჩქამის ქვედა საზღვრის დადაბლების შემთხვევაში საკომპენსაციო ფუნქციას არტულებს სიბილანტობის შესანარჩუნებლად.

06. სენურ სიბილანტურ თანხმოვანთა სპექტრული ანალიზიდან ირკვევა, რომ ლაბიალური არტიკულაციის წამსწრები ზეგავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე არტიკულატორების (ბაგეების) ინერციულობით გამოწვეული — ნარჩენი კოარტიკულაცია¹¹.

აფრიკატების სპექტრში თვალაჩინო ცვლილებებს იწვევენ მომდევნო ლაბიალური ბგერები, წინამავალი [ოუჲ] ბგერისაგან კი მხოლოდ ბოლოკიდური აფრიკატის სპექტრის მახასიათებლები იცვლება უმნიშვნელოდ. მომდევნო [ოუჲ] ბგერები შიშინა სპირანტის მთელი გრძლივობის 2/3-ს უცვლის სპექტრულ სურათს, წინამავალი კი — ნახევარზე ნაკლებს. თუ წინამავალი ბგერა ბილაბიალური სონორია, ხოლო მომდევნო-ლაბიალური ხმოვანი (მაგ., სიტყვაში ლუჲუჲუჲე „დაძინებული“), ლაბიალიზაციის უფრო ძლიერ გავლენას განიცდის შიშინა ნაპარალოვნის სპექტრის პირველი ნაწილი. ამ შემთხვევაში [უ]-ს წინმსწრებ არტიკულაციას ემატება [ჲ] ბგერის გავლენა, რომელიც გამოწვეულია მის წარმოსათქმელად მოწყობილი ბაგეების კიდევ უფრო აქტიური ნარჩენი არტიკულაციით.

07. როგორც ცნობილია, ბგერები მეტყველების ნაკადში არა მარტო უშუალო კოარტიკულაციურ ცვლილებებს განიცდიან, არამედ დისტანციურსაც. განსაკუთრებით ძლიერ დისტანციურ გავლენას ახდენს [ოუჲ] ლაბიალიზებული ბგერები წინამავალ თანხმოვნებზე¹². სპექტროგრაფების ანალიზიდან ნათლად ჩანს ზემოაღნიშნული თავისებურება¹³ შემდეგ ბგერათმომდევრობებში: [ესგუ-], [სგუ-], [ზგუ-], [-აშგუ-], [შდუ-], [-ჟგო-], [-ძგუ-].

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სიბილანტები ანლაუტში არტიკულაციის დააწყისშივე განიცდიან ლაბიალური კოარტიკულაციის გავლენას, ინლაუტში კი დაახლოებით არტიკულაციის მეორე ნახევარში.

[შგუ] [შგი] ბგერათმომდევრობების სპექტრული ანალიზიდან (სიტყვებში — ხაშგუშინ — „სახოვა“, ჲეშგინ — „უკან“) კარგად ჩანს [შ] ბგერაზე [ჲ] ბგერის არტიკულაციით გამოწვეული ლაბიალიზაციის ეფექტი — მაღალი სისშირეების დაატელება და ჩქამის ქვედა საზღვრის დაწევა.

[შ] სპირანტის სპექტრული ანალიზიდან (სიტყვებში — დაშდულდ „დათუნია“, მიშგუ — „ჩემი“) ირკვევა, რომ სპირანტის სპექტრი [შდ] ბგერათმომდევრობაში ლაბიალიზაციისაგან გაცილებით სუსტ ცვლილებას განიცდის, ვიდრე [შგ] მიმდევრობაში. ეს თვისება კიდევ უფრო რელიეფურად ვლინდება №3 დიქტორის მიერ წარმოთქმულ იმავე სიტყვებიდან აღებული [შ] ბგერის სპექტრული კრილების შედარებისას; სადაც დენტალური ხშულის მიერ გამოწვეული კოარტიკულაციური ცვლილებები ლაბიალიზაციის ეფექტს სავსებით ფარავს.

ეს განსხვავება გამოწვეულია დენტალური და ველარული ხშულების არტიკულაციურ-აკუსტიკური თავისებურებებით. დენტალური ბგერები იწარმოებებიან უფრო წინ ვიდრე შიშინა სპირანტები, და ამიტომ [დ]-ს ასიმილაციური გავლენა მეტაწინდება [შ] სპირანტის სპექტრის დიაპაზონის აბალღებაში; ამასთანავე დენტალურ ხშულს ახასიათებს მეტ-ნაკლებად ფიქსირებული საარტიკულაციო ხშვის ადგილი და ამიტომ კოარტიკულაციურ ცვლილებებს ნაკლებად განიცდის (ამ თვისების გამოვლენა F სტრუქტურაში F₂-ის და F₃-ის მცირე დიაპაზონია).

ველარული ხშულების საარტიკულაციო ხშვის ადგილი კი არ არის მკაცრად ლოკალიზებულ, ამიტომ ეს ბგერები განიცდიან ყველაზე ძლიერ კოარტიკულაციას. იმის გამო, რომ ველარული ბგერების F₂ განისაზღვრება დაბრკოლების წინა რეზონატორის მოცულობით და ფორმით, პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია მათ სპექტრულ სურათს ძლიერ ცვლის. ამასთანავე, როგორც ჩანს, ველარული არტიკულაცია აძლიერებს ლაბიალიზაციის გავლენას (ლაბიალიზაციისა და ველარიზაციის შესახებ ეხ. ქვემოთ).

ველარული და დენტალური ხშულების ზემოაღნიშნული არტიკულაციურ-აკუსტიკური თავისებურებანი ხელშემწყობი უნდა ყოფილიყო [შგუ] მიმდევრობაში [შ] ბგერის დისიმილაციური დელაბიალიზაციისა¹⁴, რადგან სუბნურში თანხმოვანთა დისიმილაციური პროცესები აშკარად სჭარბობს ასიმილაციურს (ხმოვანთა კლასში პირიქით ხდება)¹⁵.

08. ყოველივე ზემოთქმულია გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შიშინა თანხმოვანთა ძლიერი ლაბიალიზაციით გამოწვეული სპექტრული მახასიათებლების ცვლილებები შემდეგია:

1. ჩქამის დიპაზონის დადაბლება,
2. მეორე ფორმანტის (F₂) გაძლიერება,
3. სპექტრის ძირითადი პიკის დადაბლება,
4. სიხშირული შემადგენლების დასუსტება 6,0 კჰც-ს ზემოთ და 2,0—4,0 კჰც-ის არეში.

ვინაიდან არალაბიალურ გარემოცვაში შიშინა თანხმოვანთა სპექტრის პიკებს ან F₃ და F₄ წარმოადგენს, ან კიდევ მხოლოდ F₃, ამიტომ მეორე ფორმანტის გაძლიერება და მაღალი პიკის დადაბლება შეიძლებოდა ერთი ნიშნით დახასიათებულყოფ, როგორც პიკების ერთი ფორმანტით დაბლა დაწევა, ბუნდოვანი რომ არ იყოს F₆ სუბტრედა და F₅ ძლიერდება თუ, F₆ იცვლის სიხშირულ მდებარეობას.

09. აღსანიშნავია, რომ ძლიერი ლაბიალიზაციის მაგავს ცვლილებებს სიბილანტების სპექტრში იწვევს აგრეთვე მომდევნო [ჯ] ხმოვანი. ამ ხმოვნის მეზობლობით გამოწვეული სპექტრული პარამეტრების ცვლილებები საესებით იდენტურია ძლიერი ლაბიალიზაციით გამოწვეული ცვლილებებისა ოდენ № 2 დიქტორის წარმოთქმულ შიშინა ნაპრალოვანთა სპექტრში. ამ დიქტორისათვის ყველაზე უფრო შესამჩნევია სიბილანტთა სპექტრის ცვლილებები გამოწვეული [ჯ] ხმოვნის საარტიკულაციო თავისებურებებით. სისინა სპირანტების სპექტრში ეს ცვლილებები გამოიხატება ჩქამის ქვედა საზღვრის დადაბლებით და 4,0—5,0 კჰც-ის სიხშირის შემადგენლების დასუსტებით. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ორივე ცვლილება ერთდროულად არც კი გამოვლინდეს: აფრიკატებში (სიხინებშიც და შიშინებშიც) მხოლოდ ჩქამის ქვედა საზღვრის დადაბლება შეიმჩნევა. № 3 დიქტორის მეტყველებისათვის ნიშანდობლივია [ჯ] ხმოვნის უფრო სუსტი გავლენა სიბილანტთა სპექტრზე: შიშინებისათვის დამახასიათებელია ჩქამის ქვედა საზღვრის დადაბლება ძირითადი პიკის მდებარეობის შეუცვლელად, ხოლო სისინებისათვის — ქვედა საზღვრის დადაბლების გარეშე 3,8—4,3 კჰც-ის ფარგლებში სიხშირულ შემადგენელთა უმნიშვნელო გაძლიერება.

როგორც დავინახეთ, [ჯ] ხმოვნის მეზობლობით გამოწვეული ეფექტი ნაწილობრივ ემთხვევა [ოუუ] ბგერების კოარტიკულაციით გამოწვეულ ერთ-ერთ ცვლილებას სიბილანტთა სპექტრში¹⁶.

10. კორტიკულაციის ყველაზე გავრცელებული სახეა პალატალიზაცია. თანხმოვნის პალატალიზაცია, აკუსტიკური ეფექტი მდგომარეობს ბგერის „დარბილებაში“ ანუ მაღალსიხშირულ შემადგენელთა (2,0—3,0 კჰც) გაძლიერებაში, რასაც შეესაბამება შუაენის არტიკულირება მაგარი სასის მიმართ¹⁷.

პალატალიზაცია ახასიათებს მეტ-ნაკლებად ყველა ენას. ლ. ზინდერის აზრით, „იმ ენებში, სადაც პალატალიზებულთა და არაპალატალიზებულთა დაპირისპირებას ფონემატური ღირებულება აქვს, პალატალიზაცია უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე იმ ენებში, სადაც ეს დაპირისპირება არაფონემატურია“¹⁸. ამის მაგალითია, ერთი მხრივ, რუსული, რომელსაც ძლიერი პალატალიზაცია ახასიათებს და, მეორე მხრივ, ქართული და გერმანული.

სვანურში თანხმოვნთა პალატალიზაცია, პალატალური ხმოვნების დიდი რაოდენობისა და [ა] სონორი თანხმოვნის არსებობის გამო, უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე ქართულში¹⁹, მიუხედავად ამისა, პალატალიზებული და არაპალატალიზებული თანხმოვნებითა დაპირისპირება სვანურში არაფონემატურია.

განსაკუთრებით შესამჩნევია სვანურში ვლარული ხშულების პალატალიზაცია, სადაც [პ] ხმოვნს წინ იოტისებრი გარდამავალი ბგერა ჩსმის²⁰. ეს მოვლენა სხვა ენებისთვისაც არის დამახასიათებელი²¹ და გაპირობებულია ვლარული თანხმოვნების არტიკულაციური თავისებურებებით, კერძოდ, უკანაენის მოუქნელობით და სპარტიკულაციო ადგილის დიდი დიპაზონით.

გ. ახვლედიანი აღნიშნავს — „თანხმოვნები პალატალიზდებიან ანუ რბილდებიან ერთმანეთთაგან ჯგუფობრივ განსხვავებულად: სახელდობრ: წინაენის-მიერების (ენაკბილისა და ენაუნდა) ჯგუფი პალატალიზდება შუაენის მაგარ სასასთან შეხების ფართობის გადიდებით, ბაგამიერების ჯგუფი პალატალიზდება შუაენის რბილი სასისაგან მხოლოდ აწევით, ხოლო უკანაენის-მიერების ჯგუფი პალატალიზდება შუაენის უკანა ნაწილს ფართოდ შეხებით მაგარი სასის უკანა ნაწილთან“²².

11. სვანურის ბგერით სისტემაში, ნაგავად სხვა ქართველური და კავკასიური ენებისა, სინილანტური თანხმოვნები მრავლად არის წარმოდგენილი, ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა ცვლილებებს იწვევს შუაენის მაგარ სასასთან შეხების ფართობის გადიდება სინილანტთა სპექტრში.

პალატალურ [იჲ] ხმოვნებთან სინა რიგის თანხმოვნთა სპექტრის დიპაზონი უფრო ფართოა (ძირითადად დაბალი სიხშირეების ხარჯზე), ვიდრე [ა] ხმოვანთან.

განსაკუთრებით თვალნათლივ იჩენს თავს ეს თვისება ნაპარალოვან ბგერებთან [ი] ხმოვნის არაუშუალო მეზობლობაშიც კი, რადგან [ი] ხმოვანი ყველაზე მაღალი აწეულობის წინა რიგის ხმოვანია და ამიტომაც პალატალიზაციის მაღალი ხარისხი ახასიათებს²³. დასაშვებია გადახვევებიც, მაგალითად, [ზ] ბგერის სპექტრში ჩქამის სუსტი შემადგენლებისა და ჩამოყალიბებული ფორმანტული პურათის გამო ჩქამის დიპაზონის ქვედა საზღვრის დადგენა ზოგჯერ გაძნელებულია. აფრიკატების სპექტრში კი, განხშვის სპეციფიკურობის გამო, აგრეთვე დასაშვებია არასტაბილიზებული ჩქამის არსებობა. აფრიკატის განხშვის დასაწყისიდან ბგერის დასასრულამდე სპექტრის ქვედა საზღვარი დაბლდება საშუალოდ 800 ჰც-ით; ამას გარდა ფშვინიერებში და გლოტალიზებულებში დაბალ სიხშირეებში ხშირად იჩენს თავს ჩქამი, რომელიც გამოწვეული უნდა იყოს ნაპარალში მაღალი წნევის შეკუმშული ჰერის გამოთავისუფლებით.

თუ რომელი ფორმანტი გაძლიერდება პალატალური კოარტიკულაციის შედეგად სისინა თანხმოვანთა სპექტრის 2,5—4,5 კჰც-ის არეში, დამოკიდებულია დიქტორის ინდივიდუალურ სპექტრულ მახასიათებლებზე. მაგალითად, F3-ის გაძლიერება დამახასიათებელია № 2 დიქტორისათვის, F4-ისა — № 3 და № 4 დიქტორებისათვის, F5-ის კი № 5 დიქტორისათვის. არაპალატალურ ხმოვანთა მეზობლობაში ეს უბანი გაცილებით სუსტია და ამის გამო F3 და F4 სპექტროგრამის ინტენსივობის დიაპაზონის (30 დბ) გარეთ რჩებიან.

მაშასადამე, კოარტიკულაციური პალატალიზაციის ეფექტი ფაქტობრივად გამოხატულია 2,5—4,5 კჰც-ის დიაპაზონში სიხშირული შემადგენლების ვაძლიერებით, რაც იწვევს ქვედა საზღვრის ხარჯზე პალატალიზებული სისინა ბგერის სპექტრის დიაპაზონის გაფართოებას.

პალატალიზაცია შედეგად სისინა ბგერათა სპექტრში ქვედა საზღვრის დაღაბლების მიუხედავად მათი ტონალური სიმაღლე ზევით იწვევს, რადგან ცნობილია, რომ [ს შ] თანხმოვანთა ტონალურ სიმაღლეს განსაზღვრავს F₂-ის სიხშირული მნიშვნელობა 1,0—2,0 კჰც-ის დიაპაზონში²⁴.

12. შიშინა ბგერებში პალატალიზაცია უფრო თვალსაჩინო და უგაონაკლისო ცვლილებებს იწვევს, რადგან ამ დროს სპექტრის არა მარტო ქვედა საზღვარი გადაინაცვლებს შედარებით მაღალ სიხშირეებში, არამედ ზედა საზღვარიც და F₂-იც. იმის გამო, რომ სისინებთან შედარებით შიშინა თანხმოვნების დამახასიათებელი სიხშირული ზოლის ქვედა საზღვარი დაბალია, იგი ემთხვევა F₂-ს და ამიტომ კოარტიკულაციით გამოწვეული ფორმანტული ცვლილებები ცალსახად განაზღვრავს თანხმოვნის სპექტრის ქვედა საზღვარს.

ამასთანავე, [შ] ბგერის მეორე ფორმანტის ინტენსივობა სპექტრის ძირითად მაქსიმუმთან შედარებით დაბალია მხოლოდ 10 დბ-ით, ([ს] ბგერისა 30 დბ-ით), ზოგ შემთხვევაში კი თვით F2 წარმოადგენს სპექტრის მაქსიმუმს.

ჩვეულებრივ, არალაბიალიზებულ გარემოცვაში შიშინა ბგერათა სპექტრის მაქსიმუმს F4 ან უფრო ხშირად F3 წარმოადგენს. პალატალიზაციის შედეგად შეიმჩნევა F4-ისა და იშვიათად (დიქტ. № 5) F5-ის გაძლიერება.

სისინა და შიშინა თანხმოვანთა სპექტრების შედარება გვიჩვენებს, რომ პალატალიზაციის შედეგად ამ ბგერათა ქვედა საზღვრებს შორის მინიმალური განსხვავებაა. მაგალითად, [სგი], [შგი] რგერათმომდევრობებში [ს] და [შ] ბგერათა ჩქარობა ქვედა საზღვრებს (შესაბამისად 2,7 კჰც და 2,0 კჰც) შორის სხვაობა 700 კჰც-ია, მაშინ როცა არაპალატალურ ბგერათა მეზობლობაში ეს სხვაობა ჩვეულებრივ 1,5—2,0 კჰც-ს უდრის.

მაშასადამე, როგორც სიბილანტთა სპექტრულმა ანალიზმა ცხადყო, პალატალიზაციის შედეგად ამ ბგერათა სპექტრის 2,0—4,0 კჰც-ის სიხშირული შემადგენლების ცვლილებები განაპირობებს გარდამავალი სპექტრული სურათის მიღებას სისინასა და შიშინას შორის²⁵.

13. პალატალიზებული სიბილანტების სპექტრული თავისებურებანი ყარგად იხსნება სხვადასხვა ენის რენტგენოგრაფიული და პალატოგრაფიული მონაცემებით.

სეანურ პალატალიზებულ [ქ] და [ზ] ბგერათა პალატოგრამები კიდევ უფრო მეტად ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე ამ ბგერათა სპექტრული პარამეტრები²⁶.

წინაენისმიერი თანხმოვნების პალატალიზაციის შედეგად იცვლება არა მარტო შუაენის მაგარ სასასთან შეხების ფართი, არამედ დაბრკოლების წინა

რეზონატორიც. თუ შევადარებთ რუსული ენის პალატალიზებული და არაპალატალიზებული სიბილანტური სპირანტების რენტგენოგრაფიულ პროფილებს, დავინახავთ, რომ შიშინა რბილ კორელატს (მოუხედავად შუაენის მაგარ სასასთან შეხების ფართის გაღიდებისა) მაგართან შედარებით შემცირებული ზომის წინა რეზონატორია აქვს, სისინებში კი პირიქით—პალატალიზაციის შედეგად წინა რეზონატორია გაღიდებულია²⁷.

მაშასადამე, რადგანაც პალატალიზებულ სისინებსა და შიშინებს დაბრკოლების წინა რეზონატორები თითქმის უთანაბრდებათ და შუაენის მაგარ სასასთან შეხების ფართობიც იზრდება. არტიკულაციური თვალსაზრისით არც სისინების შიშინებში გადასვლა და არც შიშინებისა სისინებში არ არის საფუძველს მოკლებული²⁸.

14. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიბილანტთა პალატალიზაცია, მსგავსად სისინათა ლაბიალიზაციისა, ხელშემწყობი პირობაა საშუალებდო სიბილანტ-შიშინა თანხმოვანთა არტიკულაციისათვის²⁹, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ სპექტრული პარამეტრების ცვლილებების ხასიათს, უფრო სავარაუდოა, რომ შუა რიგის სიბილანტს სწორედ „დარბილებული“ შიშინა ბგერა შეესაბამებოდეს. რაც შეეხება ლაბიალიზებულ შიშინა ბგერებს, ისინი სპექტრული მახასიათებლების მიხედვით მაქსიმალურად განსხვავდებიან სისინა ბგერებისაგან³⁰.

ცხრ. 1. ს, ზ სპირანტთა ჩქარის სპექტრული პარამეტრები თავკიდურ, ბოლოკიდურ და ინტერკოკალურ პოზიციებში

ბგერა	ს—S		ლიტორი №	ბგერა	ზ—Z		ლიტორი №
	ლიაბაზონი კპც	პიკი კპც			პოზიცია	ლიაბაზონი კპც	
#—ა	3,5—10,5	8,5	2	#—ა	3,0—10,0	4,0	2
#—ბ	3,6—11,0	8,0	5	#—ბ	3,7—10,0	5,0	5
#—გ	3,5—11,0	—	4	#—გ	4,0—11,0	5,2	5
#—დ	3,5—10,5	4,5	1	#—დ	3,4—11,0	—	2
#—ე	3,2—11,0	8,0	4	#—ე	2,6—10,0	8,0	2
#—ვ	3,5—11,0	8,0	2	#—ვ	3,5—11,0	8,3	2
ა—#	3,7—10,0	9,0	2	ა—ზ	3,8—11,0	—	3
ბ—#	3,5—9,5	4,5	3	ბ—#	4,5—5,5	5,0	5
გ—#	2,8—9,5	—	3	გ—#	3,4—7,0	3,7	5
დ—#	3,0—9,0	7,5	2	დ—#	2,5—9,0	7,5	2
ე—#	3,4—10,0	7,5	2	ე—ბ	2,5—11,5	8,0	2
ვ—#	3,2—10,0	4,2	3	ვ—გ	2,8—12,0	7,8	2
ზ—#	3,2—11,0	8,0	4	ზ—ა	3,0—12,0	8,0	2
ა—ა	3,0—12,0	—	2	ა—ბ	2,5—11,0	8,0	2
ბ—ა	2,8—12,0	8,2	2	ბ—გ	2,5—10,0	9,0	2
გ—ა	3,2—13,0	7,5	2	გ—დ	2,5—10,5	8,0	2
დ—ა	2,5—12,0	9,0	2	დ—ე	3,5—10,5	8,5	2
ე—ა	3,5—12,0	9,0	3	ე—ვ	3,0—10,0	8,0	2
ვ—ა	2,5—12,0	8,0	2	ვ—ზ	3,6—11,0	8,0	2
ზ—ა	3,2—12,0	4,8	5				

ცხრ. 2. — შ, ე სპირანტთა ჩქამის სპექტრული პარამეტრები თავიღურ, ბოლოციღურ და ინტერეოკალურ პოზიციებში

ბგერა	შ-ჟ		ლოქტორი №	ბგერა	ჟ-ჟ		ლოქტორი №
	პოზიცია	ლიპაზონი კპც			პიკი კპც	პოზიცია	
#—ა	1,5—6,0	2,1	5	#—ა	1,7—5,5	2,5	5
#—ჰ	2,0—6,0	3,0	5	#—ჰ	2,1—6,0	4,0	5
#—ი	1,8—7,0	5,5	2	#—ი	1,8—7,0	—	2
#—ო	1,8—6,0	2,4	3	#—ო	2,5—5,8	3,3	3
#—ე	1,8—7,5	3,5	1	#—ე	2,6—7,0	3,0	1
#—ო	1,3—6,0	4,5	2	#—ო	1,6—6,5	—	2
#—უ	1,3—6,0	4,5	2	#—უ	1,6—6,5	—	2
#—ჲ	1,6—6,0	5,3	2	ა—#	2,5—5,5	3,5	5
ი—#	1,9—7,5	—	2	ი—#	1,8—7,5	2,5	2
ჰ—#	1,75—7,5	3,0	2	ჰ—#	1,6—8,0	—	2
ო—#	1,2—6,0	5,0	2	ო—#	1,3—6,0	4,0	2
უ—#	1,2—6,0	5,0	2	უ—#	1,3—6,0	4,0	2
ა—ი	2,2—7,5	—	2	ა—ი	1,8—7,5	—	2
ე—ი	2,1—7,0	2,7	2	ე—ი	1,9—6,5	—	2
ო—ა	1,3—7,0	1,5	1	ა—ჲ	1,4—8,0	2,0	2
ო—ა	1,25—6,25	—	2	უ—ი	1,9—8,0	—	2
ა—უ	1,25—6,9	4,7	2	ა—ა	1,75—7,5	5,0	2

შენიშვნები

1. გ. ახელედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 110.
2. Л. Р. Зиндер, Общая фонетика, М., 1979, гв. 135.
3. Л. В. Бондарко, Звуковой строй современного русского языка, М., 1977, гв. 104; Р. Якобсон, Г. Фант и М. Халле, Введение в анализ речи, «Новое в лингвистике», II, М., 1962, гв. 156, 224; Г. Фант, Акустическая теория речеобразования, М., 1964, гв. 210.
4. იხ. თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართულურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, გვ. 75; ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 171; Л. В. Щерба, Фонетика французского языка, М., 1963, гв. 69—70. ავტორებს მიჩინათ, რომ შიშინა თანხმონის არტიკულაციისათვის დამახასიათებელია ბაგეების წინ წამოწევა და მომრგვალება, უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული და რუსული ჰ ბგერისათვის დამახასიათებელია ბაგეების მომრგვალების სხედასხვა ხარისხი, იხ. Л. В. Щерба, დასახ. ნაშრ., გვ. 70; შ. გაფრინდაშვილის აზრით, ფონეტიკურ ლიტერატურაში გატრელებულია მდარბი შეხედულება, რომ ჟ—ჰ—ჩ—ჲ ბგერების წარმოებისას ბაგეები მომრგვალებულია, „...მომრგვალების ნაცვალ ეველგან გეაქვს ბაგეების წინ წამოწევა და ოთხეუთხედის მოყვანილობის რუპორისებრი გეგანიერების წარმოშობა პირის ეესტიბიულთან“, იხ. შ. გაფრინდაშვილი, ქართული ენის ნაპრალოვან თანხმოვანთა საშუალო სპექტრები, კრებულში: მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, თბ., 1967, გვ. 19. გ. ლინდნერის აზრით, გერმანული ჰ—ჟ ბგერების არტიკულაციისათვის ასრებიოთი ნიშანია ბაგეების წინ წამოწევა. იხ. G. Lindner, Der Sprechbewegungsablauf, Berlin, 1975. გვ. 143—144.
5. Г. Фант, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

6. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ა) სონანტთან უშუალო მეზობლობაში მყოფი აფრიატები სვანურის განვითარების უძველეს ეტაპზე სპირანტიზაციას არ განიცდიდნენ. იხ. თ. გამყარელიძე, *ღებულობითი სპირანტიზაცია სვანურში*. „გაღწერის წესები“ დიპლომატიურ ფონოლოგიაში, თბ., 1968, გვ. 10, ბ) სონორი [რლშ] ბგერების მოძვენო პოზიცი-აში სიბილანტი ნაპრალოვის აფრიატისა და სკამოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესის ბგერ ენაში. იხ. შ. გ. გაპრინდაშვილი, *Фонетика даргинского языка*, Тб., 1966, გვ. 237—245.

7. Н. И. Жинкин, *Механизмы речи*, М., 1958, გვ. 154—160.

8. რუსული ენის ბგერათმომდევრობათა სპექტროგრამებიდანაც კარგად ჩანს ლაბიალური ხმოვის ასეთივე კონტრასტული ზეგავლენა შიშინა ნაპრალოვებზე. იხ. Л. В. Бондарко, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 70, 106.

9. ერთი შეხედვით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს ცელილება ლაბილიზაციის მიზეზი კი არ იქნის, არამედ დენტალური კონტრასტისა. მაგრამ მდებარე — „გაღწერის წესები“ სიტყვის სპექტროგრამაზე ჩანს, რომ [შ] სპირანტის სპექტრში [ლ] ბგერა ([ა] ხმოვანთან ერთად) განსხვავებულ ცელივებებს იწვევს, რაც ოდენ ჩემის დიაპაზონის ამაღლებაში გამოიხატება.

10. Л. В. Белозерова, *Опыт синтеза сенсативных и шпнящих спирантов грузинского языка*, კრებულში: *მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები*, თბ., 1966, გვ. 143; მისივე, *Синтез аффрикат грузинского литературного языка*, კრებულში: *მეტყველების ანალიზის საკითხები*, თბ., 1973, გვ. 122.

11. ფონეტიკურ ლიტერატურაში ამ ორი მოვლენის გამართიანებელ ტერმინად გამოყენებულია შემდგომი არტიკულაცია. ამასთანავე არტიკულაციის წინსწრება (ექსტურსიის შემდგომი) გაიყვანა არ არის ანტიციპაციასთან, რომელიც ასოცირებულია განსაკუთრებულ, ანომალურ შემთხვევებთან, იხ. ზ. ჭაფარიძე, *არტიკულაციის ელექტროფიზიოლოგიური შესწავლის ზოგი შედეგი*, კრებულში: *მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები*, თბ., 1966, გვ. 119.

12. გ. ახვლედიანი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 96; ზ. ჭაფარიძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 100—121, Л. В. Бондарко, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 130—134.

13. გამონაკლისია № 3 დიქტორის წარმოთქმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია უმნიშვნელო, სუსტი დისტანციური კონტრასტული. ეს თავიანთობა, როგორც ჩანს, ტემპურად და მოდულაციურად მეტყველების შედეგია.

14. თ. გამყარელიძე, *სიბილანტის შესატყვისობანი*, გვ. 75.

15. საერთოდაც, რომ ფონეტიკური კანონების ასეთი განაწილება ფონემათა კლასების მიხედვით არ არის შეთანხმებული. ასიმილაციის და დისიმილაციის შესახებ სვანურში იხ. გ. ახვლედიანი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 383—387; ვ. თოფურია, *ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში*, 1, ბგერით მოვლენათა თანამდევრობა, „მომზადებული“, 1, ტფ., 1926, გვ. 205; ს. ქლენტი, *სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები*, თბ., 1949, გვ. 158—172; მ. ქალდანი, *სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები*, თბ., 1969, გვ. 15, 29, 108, 163; გ. მაჭავარიანი, *საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა*, თბ., 1965, გვ. 110, 116; თ. გამყარელიძე, *სიბილანტის შესატყვისობანი*, გვ. 74—76.

16. საკვლეობა, რომ ველარული თანხმოვნების გავლენა სიბილანტის სპექტრზე სიბილანტის რიგისა და ველარული თანხმოვნის რაგვარობისა და ლარინგალური ფაქტორების მიხედვით მეტად მრავალფეროვანია.

17. გ. ახვლედიანი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 111, Л. Р. Зиндер, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 132—133.

18. Л. Р. Зиндер, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 133.

19. თანხმოვანთა პალატალიზაციის შესახებ სვანურში იხ. ს. ქლენტი, *სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები*, თბ., 1949, გვ. 37—39, 173—178.

20. ს. ქლენტი, *სვანური ენის ...*, გვ. 38; მ. ქალდანი, *სვანური ენის ფონეტიკა*, 1, თბ., 1969, გვ. 166.

